ახალი გოჯოლანი

აპრილი 2012 №78
ფასი 7 ლარი

მამუკა გორგოძე
რაგბით მოწამლული

ისტორია
თეა წულუკიანი

რეპორტაჟი
ლაზიკა

ინსპირაცია
ლეონარდ კოენი

თარგმანი
ლუსიენ ფროიდი

გახსენება
ჯანსუღ კახიძე

ISSN 1512-2220

PONTI

DAL 1867

ჯანმრთელობის ფორმულა

დანარჩენი ზედმეტია

ცხელი შოკოლადი

N78, აპრილი 2012

	6	რედაქტორის სვეტი
	8	ავტორთა სვეტები
წარდგენა	10	მაია ლაშაური, ილუსტრატორი
ანონსი	12	14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***სალომე აფხაზიშვილი***
რესტორნის კრიტიკა	18	ხარფუხი ***თამარ კვინიკაძე***
საავტორო	20	ალახაზა-ბალახაზა ***ანა კორძაია-სამადაშვილი***
	22	აინშტაინები ***გაგა ნახუცრიშვილი***
	24	ვერ გავიმეტე ***მაია სარიშვილი***
	26	ერლომი ***გია არგანაშვილი***
რეპორტაჟი	28	ლაზიკა ***ალექს ჩიღვინაძე***
ისტორია	34	რაგბით მოწამლული ***ლადო კილასონია***
	40	კანონის მხარეს ***მაია წიკლაური***
არტისტი ახლოდან	48	სტრუქტურული ბაღი ***სოფო ტაბატაძე***
ინსპირაცია	54	ჩიტი მავთულზე ***კახა თოლორდავა***
თარგმანი	62	ფროიდი – შეწყვეტილი ცხოვრება ***ავტორი დავიდ კემპი*** ***თარგმნა თამარ სუხიშვილმა***
ესე	74	ჩემი მეგობარი მარი კოლვინი ***უენდელ სტივენსონი*** ***თარგმნა თამარ სუხიშვილმა***
	76	ჩემი ჯანო კახიძე ***ელდარ შენგელაია***
	80	ქვები ისევ მიგორავენ – Rolling Stones ***ირაკლი მახარაძე***
ლიტერატურული პროცესი	86	ქართული წიგნები მსოფლიო ბაზარზე ***მაშო სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე***
საავტორო	92	გაქცევის და ათასი სხვის ***აკა მორჩილაძე***
მოთხრობა	96	Одесса - мама ***ლევან გიგინეიშვილი***
წარდგენა	102	ია ჯინჭარაძე, პოეტი
რეცენზია	104	ლიტერატურული პაბი, ანუ LIBRI VIVI ***მაშო სამადაშვილი***
	106	ორი მთვარის ამბავი ***შორენა შავერდაშვილი***
წიგნები	108	მიმოხილვა
რეცენზია	112	ამბავი დაბნეული ბედისწერისა ***დავით ბუხრიკიძე***
	114	თეთრი ვარდები შავი გედისთვის ***დავით ბუხრიკიძე***
	116	„დღე პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი“ ***ხათუნა ქარდავა***
სტილი	118	კვირეულების თემაზე ***თამარ ალავიძე***
	121	შემოდგომა-ზამთარი 2012-13
	130	ელეონორ ლამბერტი ***თამარ ალავიძე***
	136	ტრენდი
	138	რაფ საიმონსის ინსპირაცია
	140	„დიდი ოთხეულის“ ისტორია ***თამარ ალავიძე***

ყდაზე მამუკა გორგოძე
ფოტო ლევან ხერხეულიძის

ლისი
ვერანდა

ქალაქი შექმნილი
ბუნებაში

ლისი ვერანდა - ისიამოვნე ერთდროულად ბუნებითა და თანამედროვე ცხოვრების სტილით. დატკბი ლისის ტბის მწვანე გარემოთი, იგრძენი თავი კომფორტულად მხოლოდ ათ წუთში თბილისის ცენტრიდან.

595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე
„სტილის“ რედაქტორი
თამარ ალავიძე
„ლიტერატურის“ რედაქტორი
რატი ქართველიშვილი
რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი
ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ჯაფიაშვილი
არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი
დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
ლადო კილასონია, მაია წიკლაური, ალექს ჩიღვინაძე, სოფო ტაბატაძე, სალომე აფხაზიშვილი, თამარ ბაბუაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, მაია სარიშვილი, კახა თოლორდავა, თამარ სუხიშვილი, ირაკლი მახარაძე, აკა მორჩილაძე, თამარ კვინიკაძე, ელდარ შენგელაია, უენდელ სტივენსონი, შორენა შავერდაშვილი,დავით ბუხრიკიძე, ხათუნა ქარდავა, თამარ ალავიძე, სალომე აფხაზიშვილი, გიორგი გოგუა, მაშო სამადაშვილი
ფოტო:
ლევან ხერხეულიძე, მაკა გოგალაძე, გია გოგატიშვილი, სერგი ბარისაშვილი, გოგიტა ბუხაიძე.

გამომცემელი
შორენა შავერდაშვილი
ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი, ქეთევან ლეკიშვილი.
დისტრიბუცია
მიხეილ გედენიძე

DEKOM MEDIA HOUSE

გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005
სხვა გამოცემები:
„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“, ქართული ღვინის გზამკვლევი
სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია. „ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

იმდენი რამ იცვლება გარშემო და მათ შორის, უკვე 7 წლის „ცხელი შოკოლადიც“, მაგრამ ახლა, ამ ჟურნალში გატარებული წლების შემდეგ, ვხვდები, რომ ერთი რამ ჩვენთან ყოველთვის უცვლელია – ამ ფურცლებზე ადამიანები უფრო საინტერესოები და გულწრფელები(ც) ჩანან. ადრე მიკვირდა, ახლა უკვე აღარ მიკვირს, როგორ ხერხდება ის, რომ ამდენი წლის შემდეგ ეს ვიწრო მიმართულება – წერო რეალურ პერსონაჟებზე – არ გაცვდა, გმირები არ დაილივნენ, პირიქით, გარშემო იმდენი საინტერესო ადამიანია. მგონი, არაა აუცილებელი ახალი კონცეფციების მოფიქრება, მთავარი მოფიქრებულია. ახლა, უბრალოდ, ამ ჟურნალში თვალის განაპირა კუთხეებიდან ყურებაც უნდა ვისწავლოთ იმისთვის, რომ თქვენთვის სრულიად უცნობი, ან ნაცნობი ადამიანები წარმოვაჩინოთ ისე, რომ გამოვიდეს უფრო მეტი, ვიდრე ლამაზად დაწერილი ბიოგრაფია.

გასული სამი თვის განმავლობაში, მაშო სამადაშვილთან ერთად, ქართული ლიტერატურის მსოფლიო ბაზარზე გატანის პერსპექტივას ვიკვლევდი. ბევრ ადამიანს ვესაუბრეთ და საათობით. ყოველი მათგანი ცალკე პერსონაჟი იყო, ამბის საკუთარი, ექსკლუზიური ვერსიით. ამ ადამიანებს რომ ჩვენთვის ძალიან აქტუალური თემა ავახსნევინეთ, ესეც „ცხელი შოკოლადის“ არა ჟურნალისტური მიგნება, არამედ გმირებზე ახლებურად წერის ფორმა მგონია.

ამ ნომერში კი მაინც უჩვეულოდ ბევრმა პერსონაჟმა მოიყარა თავი. რატომღაც ავტორებს მოგონებები შემოაწვათ და იმ ადამიანებზე დაფიქრდნენ, რომელთა დავიწყებაც წარმოუდგენლად მიაჩნიათ. კახა თოლორდავამ ლეონარდ კოენი გაიხსენა, ირაკლი მახარაძემ – ბებერი, მაგრამ მაინც ძალიან თანამედროვე Rolling Stones-ი, ელდარ შენგელაიამ – კარგი მეგობარი ჯანო კახიძე, ჟურნალისტმა უენდელ სტივენსონმა ასევე თავისი მეგობარი და კოლეგა, გმირულად დაღუპული მარი კოლვინი, გია არგანაშვილმა – უბრალოდ – ერლომ ახვლედიანი...

ზოგს გახსენება არც დასჭირვებია. გმირები თავის გვერდით იპოვა. ლადო კილასონიამ – მონპელიეს ვარსკვლავი, მამუკა გორგოძე; მაია წიკლაურმა – თეა წულუკიანი, რომლის არჩევანიც დღემდე ბევრს ეჩვენება უცნაურად; სოფო ტაბატაძემ კოლეგა – არტისტი თორნიკე ჭაფოძე და მასთან დიალოგი იმდენად საინტერესო გამოუვიდა, რომ თორნიკეს საკმაოდ რთულად გამოთქმული აზრები მაინც სულმოუთქმელად წამაკითხა.

ხო, სულ მავიწყდებოდა, ალექს ჩიღვინაძემ ლაზიკასთვის მონიშნულ უკაცრიელ მიწებზე იმოგზაურა. იქ ადამიანები არ დახვდა, სამაგიეროდ, შეხვდა ყანჩას, რომელმაც, ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, ფრთები ლაზიკის ვრცელ, უკაცო ველზე დაასვენა და თავისი არსებობით უმალ შეავსო იქაურობა. ამ მიწებს ადამიანები არც სჭირდებაო, – წერს ალექსი და მგონი, თავის წერილში ადასტურებს კიდეც, რატომაც.

ასეა, ერთი თვე, ვფიქრობ, გვყოფნის საინფორმაციო გამოშვებებს შორის, სამსახურიდან სახლისკენ გზაზე, თუ კაფეში ამოსასუნთქად შესვლისას წყვეტილად გაფიქრებული აზრები „ცხელი შოკოლადისთვის“ განვავრცოთ. მთავარია, თქვენც იპოვოთ დრო კითხვისა და ფიქრისთვის.

მთავარი რედაქტორი თამარ ბაბუაძე

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO



მაია წიკლაური

თეა წულუკიანი – ეს სახელი და გვარი პირველად 2010 წლის 15 მაისს გავიგე, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ვაშუქებდი და ტელევიზიით მოვისმინე, თუ როგორ ჩამოვიდა ირაკლი ალასანიას პარტიაში ვინმე თეა წულუკიანი, რომელმაც ქართული პოლიტიკის გამო სტრასბურგის სასამართლოში თანამდებობა დატოვა. მაშინ ძალიან გამიკვირდა, რატომ შეიძლება ვინმემ დათმოს რაიმე, ქართულ პოლიტიკაში მოსვლის მიზნით, მით უმეტეს – აწყობილი ცხოვრება სტრასბურგში.

თეა წულუკიანის საზოგადოებაში წარდგენის პირველი კადრები და ეს შეგრძნება მას შემდეგ რამდენჯერმე ამომიტივტივდა თავში, რაც ჩემი გარშემომყოფებისგან შევიტყვე ისტორიები თეა წულუკიანზე და ფრაზები: „თეა ძალიან მაგარია, უშიშარია, ყველაზე მაგარი ქართველი პოლიტიკოსია, თანაც ქალი“.

ამ ქალზე მინდა მოგითხროთ, რომელმაც საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩაალაგა ჩანთები და პლეხანოვზე, მშობლების სახლიდან სოფელ დიღომში გადავიდა საცხოვრებლად – სოფლის სიყვარულის გამო; ადამიანზე, რომელსაც უყვარს მთა, თუმცა მწვერვალების დაპრყობა მისი მიზანი არ არის, რომელიც მთელ დღეებს ქართული პოლიტიკის ქაოსში ატარებს და ყველაზე ბედნიერი მაშინაა, როცა კვირადღეს საკუთარ ბაღში ფუსფუსებს.

ეს სტატია არის ისტორია ადამიანზე, რომელიც საფრანგეთიდან საერთაშორისო მოხელის რუტინულ ცხოვრებას გამოექცა, თუმცა მაინცდამაინც კომფორტულად თავს არც ქართული პოლიტიკის „ორგანიზებულ ქაოსში“ გრძნობს. თვითონ ნახეთ, თუ რატომ.

კანონის მხარეს
გვ. 40

ალექს ჩილვინაძე

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ვერტმფრენით გადაუფრინა ანაკლიასა და ყულევს შორის მოქცეულ ტერიტორიას და ახალი ქალაქის დაარსების შესახებ გამოაცხადა, სერგისთან ერთად იმ ადგილებში ვიმოგზაურე. ყულევიდან ფეხით გავუყევით. სერგი ფოტოებს იღებდა, მე შთაბეჭდილებებს ვაგროვებდი. მდინარე ჭურიას რომ მივაღწიეთ, ადგილი, საიდანაც რეინჯერები აქ ჩამოსულ სტუმრებს ჭურიის ყურისაკენ ნავით გასეირნებას სთავაზობენ, დაცარიელებული დაგვხვდა. არადა, გვინდოდა იქით წასვლა, საითაც ქალაქის გაგრძელებას აპირებდნენ. პეიზაჟებით იმდენად მონუსხულები ვიყავით, რომ ვერაფერს ვუხერხებდით ჩვენს დოქტორი ჰანიბალივით გაუმაძღარ ცნობისმოყვარეობას. რამდენი ვიძახეთ, მაგრამ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მდინარე კი ზღვას უერთდება და ფონი ისეთი მაღალი იყო, ვერაფრით გადავაღწევდით. მეორე ნაპირზე ორი ნავი ჩანდა. სერგიმ ტანსაცმელი გაიძრო და გაყინულ წყალში შევიდა. ვუყურებდი, როგორ მიცურავდა მეორე ნაპირისკენ. შემდეგ, როგორ ეჯაჯგურებოდა ნავს, რომელიც ძალიან მძიმე აღმოჩნდა იმისთვის, რომ თუნდაც ორ კაცს დაეძრა ადგილიდან. გასათბობად, ხელების ქნევით დარბოდა. მოკლედ, უკან გამობრუნებამ მოგვინია. თუმცა, მანამდე, საკმარისზე მეტი ვნახეთ – ასე დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა. ლაზიკას ამბავი კი წითელმოსასხამიანი და შავცილინდრიანი ილუზიონისტის სახიფათო ნომერს ჰგავს, როცა შუაზე გადახერხილი ყუთიდან, მბრწყინავ სამოსში გამოწყობილი ქალი უვნებლად ამოდის... ზუსტად ასე გვინდა, ჩავწვეთ წარსულში და დემონსტრაციული ხერხვის შემდეგ, დავაფიქსიროთ, თუ რა სასწაულით გადავრჩით. თუმცა, ეს ნომერი უკვე ყველამ იცის. ნეტავ, ვის ვატყუებთ?

ლაზიკა
გვ. 28

მაშო სამადაშვილი

მხოლოდ ახლა, როცა სტატია დასრულებულია, მივხდი, რომ ქართული წიგნების ბედს ასე არც ჩავუღრმავდებოდი, რამდენიმე თვის წინ, ბანკის მოსაცდელ დარბაზში შემთხვევით შვეიცარიელ ქალბატონს, რახელ გრაცფელდს რომ არ შევხვედროდი. პირველივე გასაუბრებისას გამაოცა – რახელი გამართული ქართულით ლაპარაკობდა. ამიხსნა, რომ უკვე წლებია, გერმანულენოვან სივრცეში ქართული წიგნების გამოცემაზე ზრუნავს. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეც არ იყო გასული, რომ ერთ-ერთ ონლაინ-გამოცემაში სტატიას გადავაწყდი – „ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით“. ამ სათაურში ავტორი საქართველოს გულისხმობდა და წერდა, რომ იქ, იმ შორეულ ქვეყანაში, ძალიან საინტერესო მწერლები ცხოვრობენ, მაგრამ მათი ტექსტები ევროპული ლიტერატურის ნაწილი ვერაფრით გახდება, თუ ჯერ დიდი და შრომატევადი სამუშაო არ ჩატარდა. მერე ის იყო, რომ ილიას უნივერსიტეტმა წლის საუკეთესო რომანად ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზი“ დაასახელა. აი, სწორედ მაშინ გადაიჯაჭვა ეს სამი შემთხვევა ჩემს გონებაში და დავფიქრდი: საზღვარგარეთ არათუ საუკეთესო, „რიგითი“ თანამედროვე ქართული რომანებიც კი არაა ცნობილი. იქვე გამახსენდა საქართველოს კულტურის მინისტრის შარშანდელი განცხადებაც, რომ საქართველოს 2015 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით ჩასვლა უნდა და, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვაყალიბე კითხვა, რომელიც თურმე, დიდი ხანია, მაწუხებდა: რა ადგილი უჭირავს ქართულ წიგნს მსოფლიო ბაზარზე? კვლევა-ძიება თამარ ბაბუაძესთან ერთად დავიწყე. სამთვიანი შრომის შედეგი იხილეთ 86-ე გვერდზე.

ქართული წიგნები მსოფლიო ბაზარზე
გვ. 86

Silk TV

ინტერაქტიული ტელევიზია

15 ლარი

გადაახვიე

დააპაუზე

უყურე

Silk TV

ინტერაქტიული ტელევიზია

სილქნეტი SILKNET

Find us on: facebook

2 100 100

www.silknet.com

გვ. 88



გვ. 90

გვ. 94

გვ. 99

მაია ლაშაური
ილუსტრატორი

მაია ლაშაური 26 წლის ილუსტრატორია. თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა გრაფიკული დიზაინისა და ვიზუალური კომუნიკაციების განხრით, ახლა სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ ფიქრობს, თუმცა სად და რა მიმართულებით, ამას მას შემდეგ გადაწყვეტს, რაც ივლისში, ერთი თვით, იტალიაში წავა, ვერონაში იცხოვრებს და პატარა ქალაქ სერმედეში ორკვირიან კურსს გაივლის. უკვე მასწავლებელიც შერჩეულია, როგორც ეუბნებიან – საუკეთესო, სვეტლან ჯოკოვიჩი.

ეს ყველაფერი კი სრული შემთხვევითობის წყალობით მოხდა. ერთხელ, იტალიაში მოღვაწე ბულგარელმა დირიჟორმა, ჯულიან კოვაჩევმა, მაიას ნამუშევრები facebook-ზე ნახა, დაინტერესდა და თავდაპირველად, იმ თეატრის დეკორატორებთან შესთავაზა მუშაობა, სადაც თავად მოღვაწეობს, თუმცა, მაიას ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება შეცვალა, შესაფერისი სასწავლებელი შეურჩია და ახლა მის იქ გამგზავრებასაც თვითონ უზრუნველყოფს.

აკადემიაში სწავლის პერიოდში, მაია ვირტუალურ გამომცემლობაში (ვირგამი) იყო გაწევრიანებული, სადაც სამი წლის მანძილზე ოთხი წიგნი დაასურათა:

„CV“ – მაიას ავტობიოგრაფიული წიგნია, რომელშიც ავტორი ყველაფერზე გვიყვება – დაწყებული იმით, რომ ოთხი სახელი აქვს და დამთავრებული იმით, რომ სუნამოს მომეტებულად დასხმის მავნე ჩვევა აქვს.

„FAQ“ (Frequently asked Questions) – ამ ჩანახატებიანი წიგნის შექმნისკენ მაიას დეიდაშვილის კითხვამ უბიძგა, რომელსაც ვერაფრით გაეგო, როგორ ჩნდებიან ბავშვები.

„გ.წ.ლ“. – ოსურად პატარას ნიშნავს და ისიც მაიაზეა, ანუ გოგონაზე, რომელიც ასაკით დიდია, ტანით კი – პატარა, რასაც ძალიან განიცდის. შვილის პრობლემაზე დარდობს დედაც, რომელიც გამოსავალს ხან ქუსლიან ფეხსაცმელში ეძებს, ხანაც – სტაფილოთი კვებაში. რეალური ხსნა კი სტატისტიკური მონაცემები ხდება, რომელშიც წერია, რომ თურმე მაღალ ბიჭებს უმეტესად, ტანდაბალი გოგონები მოსწონთ. „გ.წ.ლ“ -ს საავტორო უფლებები „გია ქარჩხაძის გამომცემლობამ“ იყიდა და ახლა, წიგნს ბოლონიისა და ლაიპციგის წიგნის ბაზრობაზე აცნობენ ევროპელ მკითხველებსა და გამომცემლებს, დაინტერესების შემთხვევაში კი, წიგნი უცხო ენებზე ითარგმნება და გამოიცემა.

მაიას ბოლო პროექტი – „Baby don’t think about Newton“ თებერვალში მოწყობილი პერსონალური გამოფენაა, რომელიც რომ არა მაიას ლექტორი, კოტე ჯინჭარაძე, არ შედგებოდა, რადგან მაია დარწმუნებულია, რომ სწავლას უნდა მიხედოს და საკუთარ თავზე სისტემატურად იმუშაოს. ახლაც კი, გაკვირვებული და ცოტათი დარცხვენილი ჰყვება, რომ ოატ-გალერეაში უამრავი ადამიანი მივიდა, არადა ქუჩები სულ მთლად მოყინული იყო და კიბეებზეც საკუთარი ხელით ყრიდა მარილს; ის კი არა, ჟურნალისტებიც მივიდნენ და რამდენიმე ინტერვიუც ჩამორთვეს.

მაიამ ამ გამოფენაზე 40 ძველი და ახალი კოლაჟური ნამუშევარი და ოთხი წიგნი წარმოადგინა. ახლა ვერონაში გამოსაფენ დიდი ფორმატის სერიაზე მუშაობს, რომელსაც ევროპელი დამთვალიერებელი ორ იტალიურ გალერეაში ნახავს.

მაია ძირითადად სახლში მუშაობს, ღამით, როცა ყველას ძინავს, რადგან არც ხმაური უყვარს, არც ის, რომ აკვირდებიან და არც ის, შენიშვნებს რომ აძლევენ. ყოველთვის ხელით ხატავს, ხშირად იყენებს აკვარელს, გუაშს და წებოს, ხანდახან – ბუმბულს და ძაფებს. ტუშის პასტა კი, გამორჩეულად უყვარს, რადგან მისი წაშლა არ შეიძლება და „იძულებული“ ხდება, დაწყებული ნამუშევარი დაასრულოს. თუმცა, ასეთი ბიძგი ნაკლებად სჭირდება, რადგან ხატვა მისი ერთადერთი პროფესიაა.

მაია ლაშაურის ნამუშევრების ნახვა მის პირად ფეისბუქ-გვერდზე შეგიძლიათ.

საგაზაფხულო კოლექცია
coincasa
შენი იტალიური სახლი
ყაზბეგის გამზ. 24 - Axis Shopping

ფრაგმენტი გამოფენიდან „სალაპარაკო SEISMOGRAPHY“

14 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

გასეირნება პურის მოედანზე

სად: *გალა-გალერეა*
როდის: *15.04 – 25.04*
მისამართი: *ათონელის ქ.№27*
გახსნა: *19:00*

პურის მოედანზე გასეირნებას ვახო ბუღაძე აწყობს. მისი ფერწერული ნამუშევრები თბილისის ძველ უბანში – პურის მოედანზე მცხოვრები ადამიანების შესახებ გვიყვება. ნამუშევრების სერია, რომელიც მხატვარმა სპეციალურად გალა-გალერეის პროექტისთვის შექმნა, თბილისის ძველი უბნის მცხოვრები ადამიანების პორტრეტებსა და კოლორიტულ სახლებს წარმოაჩენს.

მაფიოზები, კარდინალები, ბრენდები

სად: *გალა-გალერეა*
თარიღი: *1.04 – 10.04*
მისამართი: *ათონელის ქ.№27*
გახსნა: *19:00*

ქართველი მხატვრის, მიშა შენგელიას ფერწერული ნამუშევრების გმირები გასული საუკუნეების გავლენიანი პერსონაჟები – კარდინალები და მაფიოზები არიან. ნახატებზე რეალური ისტორიული პირებია გამოსახული, რაც ეპოქისა და ვინაობის მითითებითაც დასტურდება. მათ ტანსაცმელზე კი, ცნობილი კომპანიებისა და ბრენდების ლოგოებია გამოსახული, რითაც მხატვარი, ძველ და ახალ დროს შორის კონტრასტის გავლებას ცდილობს.

სალაპარაკო SEISMOGRAPHY

სად: *გალერეა „ვერნისაჟი“*
როდის: *25.04 – 1.05*
მისამართი: *ძმები ზუბალაშვილების ქ.№8*
გახსნა: 1*8:00*

„სალაპარაკო seismography“ მხატვრების: ნიკოლოზ კობალავასა და გურამ ნავროზაშვილის ერთობლივი პროექტია. გამოფენა გრაფიკულ ნამუშევრებს აერთიანებს, რომელიც ნიკოლოზმა დაჭმუჭნულ ქაღალდზე, გურამმა კი სეისმოგრამულ ქაღალდზე (მიწისძვრების საზომი ნახაზი) შექმნა. ბიჭების ნამუშევრები ინდივიდუალურ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ თემებს წარმოაჩენს. სეისმოგრამულ ქაღალდზე ახალი ამერიკის აღმოჩენაა ასახული, დაჭმუჭნული ქაღალდები კი მხატვრის პირად, ცხოვრებისეულ მოგონებებს აცოცხლებს. პროექტის საერთო სახელწოდებაც ინდივიდუალური იდეების შერწყმით შეიქმნა – „სალაპარაკო“ ნიკოლოზის ნამუშევრებს ეწოდა, seismography კი – გურამის ნახატებს.

ნამუშევრები მიმდინარე წლის განმავლობაშია შექმნილი, თუმცა გამოფენის დასრულებამდე, ნახატების ნაწილი კიდევ მუშავდება.

მჩუქნით ყველაფერს, რის ყიდვაც გინდათ, თუ მე-1000 ალმოჩნდით ჯვირას!!!

ვოვული

წინაალმდეგობების მიღმა

სად: *თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი*
როდის: *23.03 – 20.04*
მისამართი: *დ. აბაშიძის ქ .№10*

ექსპოზიცია, სახელწოდებით „წინაალმდეგობების მიღმა“ ერთ სივრცეში განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს გააერთიანებს, რაც მათ შორის დადებითი კომუნიკაციის წარმოქმნას ემსახურება. გამოფენის მიზანი, სხვადასხვა თაობის, მიმართულებისა და სოციალური ჯგუფის მხატვართა მრავალმხრივი ექსპოზიციის წარმოდგენაა. პროექტის მონაწილეებს შორის, განსხვავებული ფილოსოფიისა და ხედვების მქონე თოთხმეტი მხატვარია – ზურაბ ნიჟარაძე, უშანგი ხუმარაშვილი, ზურა ლეჟავა, ზურა აფხაზაშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი, მამუკა ჯაფარიძე და სხვები.

თეატრი



„შეუპოვარი“ და „ქალური“ მარიამ სტიუარტი

სად: *რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)*
როდის: *19.04*
დასაწყისი: *19:45*
ბილეთის ღირებულება: *12, 15 ლარი*
მისამართი: *რუსთაველის გამზ.№17*

1997 წლის შემდეგ ფრიდრიხ შილერის „მარიამ სტიუარტი“ განახლებული შემადგენლობით, რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა. რობერტ სტურუასა და ლილი ფოფხაძის მიერ თარგმნილი ტექსტის თეატრის სცენაზე გაცოცხლება რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ სცადა.

„მარიამ სტიუარტი საუკუნეების განმავლობაში აღელვებდა მამაკაცთა გულებს. ჩვენც მისი მომხიბვლელობის მსხვერპლი აღმოვჩნდით. იგი ყოველთვის დარჩება ქალურობის, შეუპოვრობის, უტეხი ნებისყოფის განსახიერებად, თავისუფლებისათვის შეწირულ ადამიანად... ის იყო ადამიანი ყველა თავისი შეცდომით, ქალური ჭირვეულობით. ელისაბედი კი განუზომლად მიყვარს... მადლობა შილერს...“ – ამბობს გოჩა კაპანაძე „მარიამ სტიუარტის“ შესახებ.

ორმოქმედებიანი ტრაგედიის გმირებს ნანუკა ხუსკივაძე, მარინა ჯანაშია, მურმან ჯინორია, მარინა კახიანი, ლევან ხურცია, ნანული სარაჯიშვილი და კიდევ რამდენიმე მსახიობი გააცოცხლებენ.

პანთეონი

სად: *ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი*
როდის: *20.04, 21.04, 22.04, 28.04, 29.04*
მისამართი: *აღმაშენებლის გამზ.№182*
დასაწყისი: *20:00*

სპექტაკლი „პანთეონი“ ლაშა ბუღაძის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, რეჟისორმა გურანდა იაშვილმა დადგა. პიესა, რომელიც თეატრის სცენაზე პირველად იდგმება, თანამედროვე საქართველოში ვითარდება და საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებული ადამიანების შესახებ გვიამბობს. პერსონაჟების განსაკუთრებული ხასიათი, რომლებიც თვით კრიტიკისა და საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარს არიან მოკლებულნი, მათ იუმორით წარმოაჩენს. სიუჟეტი ლაშა ბუღაძის პიესას ნამდვილად აქტუალურს ხდის.

სიზმრები სინანულისანი

სად: *ილიაუნის თეატრი*
როდის: *19:00*
ბილეთის ღირებულება: *10 ლარი*
მისამართი: *ი. ჭავჭავაძის გამზ.№32*

„სიზმრები სინანულისანი“ მიხაილ ბულგაკოვის ცნობილი პიესის – „ივან ვასილის ძე“ პირველი წარმოდგენაა, რომელიც თეატრში დაიდგა. 1973 წელს რუსი მწერლის ამ პიესის მიხედვით, რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ კინოკომედია – „ივან ვასილის ძე პროფესიას იცვლის“ გადაიღო. საქართველოში, ბულგაკოვის ტექსტი, დრამატურგმა ბასა ჯანიკაშვილმა თარგმნა, რის საფუძველზეც, რეჟისორმა ოთარ ეგაძემ სპექტაკლი დადგა.

ორმოქმედებიანი კომედია, ქართველი მეცნიერ-გამომგონებლის – მიხეილ გორგაძის კვლევით საქმიანობაზე მოგვითხრობს, რომელმაც დავით აღმაშენებელი XXI საუკუნის საქართველოში ამოგზაურა. „ეს აინშტაინის თეორიის ნაწილია: დრო არ არსებობს და მასში გადაადგილებაც ბიო-ზელდა ბირთვის საშუალებით ხდება“.

კონცერტი

რადამისტო

სად: *რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)*
თარიღი: *8.04 – 10.04*
დასაწყისი: *19:45*
მისამართი: *რუსთაველის გამზ.№17*

გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ორმოქმედებიანი ოპერა „რადამისტო“ რომაელი ისტორიკოსის – ტაციტუსის მიერ მოყოლილ ამბავს ეყრდნობა, რომლის გმირი იბერიელი უფლისწული რადამისტია. ისტორიული წყაროების ადაპტაციისა და რამდენიმენაირი ინტერპრეტაციის შემდეგ, ჰენდელის ოპერა საქართველოშიც დაიდგმება.

„რადამისტოს“ პრემიერა ლონდონში 1720 წლის 27 აპრილს შედგა, საქართველოში, კი 2007 წელს გამოჩნდა, რომლის დროსაც, დეკორაციების როლი ბუნებრივმა, მუზეუმის საცავიდან გამოტანილმა იბერიის საგანძურის ნიმუშებმა იტვირთა.

ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობითა და გურამ მელივას რეჟისორობით

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ანაბრები

ვენდობი მხოლოდ სტაბილურ ბანკს

*22 22 220 22 22

შექმნილ წარმოდგენაში მონაწილეობას ოპერის თეატრის ორკესტრი და სოლისტები მიიღებენ.

აღდგომიდან – ამაღლებამდე

კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი

სად: *თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდი დარბაზი*

როდის: *3.04, 18.04, 19.04, 21.04, 22.04*

მისამართი: *გრიბოედოვის ქ.№8*

დასაწყისი: *19:00*

საერთაშორიო ფესტივალი, რომელიც წელს უკვე მეშვიდედ ტარდება კლასიკური მუსიკის ყველა მიმართულებას მოიცავს – საფორტეპიანო, კამერული და ვოკალური საღამოები კონსერვატორიის დიდ დარბაზში აპრილის დასაწყისში გაიხსნება და თვის ბოლომდე გაგრძელდება. ფესტივალის პროგრამაშია ჰაიდნის, შუბერტის, სკრიაბინის, მოცარტის, შუმანის, შოსტაკოვიჩის, ოთარ ტატიშვილის, რევაზ ლაღიძისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. კონცერტს არანჟირებას ზვიად ბოლქვაძე გაუწევს. ფესტივალის შესახებ, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ კონსერვატორიის ვებგვერდს – http://www.conservatoire.edu.ge/index.php?ld_leng=geo&ld_pg=01

სხვადასხვა

ორიათასიანელთა თაობა

დისკუსია

სად: *Frontline Georgia-ს სადისკუსიო კლუბი*

როდის: *5.04*

მისამართი: *ლ. გუდიაშვილის ქ.№11*

დასაწყისი: *18:00*

Frontline Georgia თანამედროვე მწერლებს მასპინძლობს. პაატა შამუგია, დიანა ანფიმიადი და ერეკლე დეისაძე საკუთარი შემოქმედების გარდა, ბოლო პერიოდში, საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ ისაუბრებენ. დისკუსიის მოდერატორი გიორგი კეკელიძეა.

ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

დისკუსია

სად: *Frontline Georgia-ს სადისკუსიო კლუბი*

როდის: *18.04*

მისამართი: *ლ. გუდიაშვილის ქ.№11*

დასაწყისი: *18:00*

რამდენად ხშირად, მიუკერძოებლად და საინტერესოდ შუქდება ჯანმრთელობის საკითხები? რამდენად პოლიტიზებულია ჯანმრთელობის გაშუქება? რა არის საჭირო იმისათვის, რომ საზოგადოებამ, გამართული კომუნიკაციის საფუძველზე შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება? – ამ და სხვა კითხვებზე Frontline Georgia დისკუსიას მასპინძლობს. დისკუსიის დაწყებამდე მომხსენებლები მსმენელს იმ ანგარიშს გააცნობენ, რომელიც 241 გამოქვეყნებულ პუბლიკაციას და 214 სატელევიზიო სიუჟეტის ანალიზს ეფუძნება.

კინო

ფილმის „ლიდერი ყოველთვის მართალია“ ჩვენება და დისკუსია

სად: *Frontline Georgia-ს სადისკუსიო კლუბი*

როდის: *11.04*

მისამართი: *ლ. გუდიაშვილის ქ.№11*

დასაწყისი: *18:00*

Frontline Georgia-ს სადისკუსიო კლუბში მოსულ მაყურებელს საშუალება ექნება სალომე ჯაშის რეჟისორობით გადაღებული ფილმი – „ლიდერი ყოველთვის მართალია“ ნახოს და ფილმისა და ზოგადად, შემოქმედების შესახებ კითხვები, თავად რეჟისორს დაუსვას.

ფილმი „ლიდერი ყოველთვის მართალია“ პატრიოტული ბანაკების ცხოვრებას და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას ეხმიანება.

დისკუსიის მონაწილე სტუმარი-მომხსენებლების ვინაობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

ქალაქის ღია ფანჯრები

სად: *კინოთეატრები – „ამირანი“, „რუსთაველი“, „აპოლო“ (ბათუმი)*

როდის: *აპრილი*

თაზო ნარიმანიძის რეჟისორობით შექმნილი ფსიქოლოგიური დრამა მწერლისა და მისი მოახლის სასიყვარულო ისტორიას მოგვითხრობს. მოქმედება გასული საუკუნის საქართველოში ვითარდება. მთავარ როლებს დემეტრე (დუტა) სხირტლაძე, ნინო შავგულიძე და გიორგი გიორგანაშვილი ასრულებენ. ფილმის ძირითადი სიუჟეტი – საგურამოში მდებარე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ვითარდება, ქრონომეტრაჟი კი 25 წუთს გრძელდება.

A FEW BEST MEN

სად: *კინოთეატრები „ამირანი“, „რუსთაველი“, „აპოლო“ (ბათუმი)*

როდის: *აპრილი*

ავსტრალიელი სცენარისტისა და რეჟისორის სტეფან ელიოტის მიერ შექმნილი კომედია დევიდისა და მისი სამი მეჯვარის შესახებ მოგვითხრობს. ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი, საყვარელ ადამიანზე დასაქორწინებლად, ავსტრალიაში მიემგზავრება, სადაც ყველაფერი თავდაყირა დგება.

მერცის სპეციალური დრაჟე

დღეში მხოლოდ 2 დრაჟე!

"უზადოდ ჯიიალა ჯანი"

მერცის სპეციალური დრაჟე ფოლმეა B-ვიტამინების კომპლექსით და B-ჯანოტინით, განაპირობებს ჯანის უჯრედების ყოველდღიურ აღდგენა-განახლებას.

"ჯანსაღი, მბზინავი თმა"

მერცის სპეციალური დრაჟე შეიცავს ვიტამინ A-ს, კალციუმის პანთოთენატს და ფოლის მჟავას, რაც უზრუნველყოფს თმის ძირების კვებას და თმის სტრუქტურის აღდგენას.

"ღამაზი, მტკიცე ფრჩხილები"

მერცის სპეციალურ დრაჟეში შემავალი ბიოტინი, რკინასთანდა ამინომჟავებთან კომბინაციაში განაპირობებს ფრჩხილების სწრაფ ზრდას, ზედაპირის სიგლუვეს და იცავს მათ განშრევებისაგან.

გამოამჟღავნეთ თქვენი სილამაზე

MERZ დამზადებულია გერმანიაში

www.abc-pharm.com tel: 2 911 900

ABC PHARMACIA

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების მესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

პატენტექს ოვალი®

არაჰორმონული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება

უსაფრთხო კონტაცეპტივი ქალებისათვის, რომლებს:

- იჩენენ საიმედო კონტრაცეპციას
- არ სურთ ჰორმონული კონტაცეპტივების ხანგრძლივად გამოყენება
- სურთ კონტრაცეპტივის გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში
- არ შეუძლიათ ჰორმონული კონტაცეპტივების მიღება

MERZ დამზადებულია გერმანიაში

ABC PHARMACIA

www.abc-pharm.com tel: 2 911 900

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების მესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ხარფუხი

ავტორი თამარ კვინიკაძე

რესტორანი „ძველი უბანი“. ქუმსიაშვილის ქ. №1. მუშაობს: 10:00-დან. სამზარეულო იხურება 22:30-ზე. ანგარიშსწორება შეიძლება ბარათითაც, American express-ის გარდა. არ არის wi-fi. არ აქვს კერძო პარკინგი.

ჩემი მეგობარია, აი, ისეთი, ქალაქში ყველა მაგარი სახინკლის, ყველა მაგარი სამწვადის „ტოჩკა“ რომ იცის. ეს ის ბიჭია, რომელმაც წლების წინ, ვერაზე, ახლად გახსნილ ჩინურ რესტორანში „ტკბილ-მჟავე“ რომ მოუტანეს ბრინჯის გარნირით, პურიც მოითხოვა. ახლა ასე აღარ იქცევა. ჩინურში ჩინურად იკვებება, იტალიურში – იტალიურად, ზოგადადაც, პროშუტოც იცის და ხამანწკის სოუსიც, მაგრამ საუკეთესო სახინკლეების, სამწვადეების და სახაშეების ტოპ-ათეულს, ახალ-ახალი რეიტინგების მიხედვით, მაინც სულ აახლებს.

„წამო, მაგარ ადგილას უნდა წაგიყვანო“, – მითხრა ცოტა ხნის წინ. ორთაჭალაში, აბანოებს რომ ცოტათი გავცდით და აი, იმ ადგილამდე მივაღწიეთ, რომელიც შევარდნაძის ტერაქტითაა ცნობილი, ხარფუხისკენ ავუხვიეთ. აქეთკენ მეორე მხრიდან ვარ ნამყოფი – იოსებ გრიშაშვილის სახლს ვეძებდი, ადამიანისას, რომლის ნაწარმოებებიც, მინდა თუ არ მინდა, ამ უბანს ჩემთვის ძალიან ეგზოტიკურ და ამავე დროს ძალიან ნაცნობ აურაში ხვევს. ავუყევით აღმართს, ერთ მხარეს – მტკვარი და გაღმა სანაპირო, ქუჩის განაპირას – საღებავაქერცლილი ხის ჭიშკრები, ვიწრო ეზოები და ბეტონაფხეკილი, ძველი სახლები. აღმართი რომ გავაკდა, გზაჯვარედინზე, სამსართულიან სახლთან გავჩერდით. აქ რომ მარტო მოვსულიყავი, ვერაფრით შევნიშნავდი ამ სახლის პირველ სართულზე რესტორანს, ბეტონის კედელზე მიმაგრებული რკინის აბრით და აუცილებლად, იქვე უსაქმოდ მდგომ ბიჭს ვკითხავდი მისამართს. დაბნეულობა მეგობარმაც შემნიშნა და ამიხსნა: ეს ისეთი ადგილია დაახლოებით, აი, საკუთარ „ზალებში“ რომ აქვთ გახსნილი სახინკლეები, სადღაც გადაკარგულში, აეროპორტის გზაზე, მაგრამ ეგეთ ხინკალს სხვაგან ვერსად რომ ვერ შეჭამ და ამიტომ მანქანების რიგი რომ უდგათ. კიდევ რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მისი ხმა დები იშხნელების „სანთელივით დავდნები“-ს შეერია და ვეღარ გავიგე – უკვე შიგნით ვიყავით. კარის მერე თხელი

ფარდა გადაგვეღობა ზუსტად ისე, რიკოთის გზაზე გახსნილ სასადილოებში რომ აქვთ. თუმცა, ინტერიერზე აქ გაცილებით მეტი იყო ნაფიქრი: გობელენგადაკრული რკინის სავარძლები, აგურის კედელზე გამოჭრილ ნიშაში ჩამოკონწიალებული მეტალის დიდი, პინებიანი სასწორი, ქვეშ – ტყავის ძველმოდური საკვოიაჟები, ფანჯარასთან მიდგმული, გაშლილი ნარდი – ეზოში ჩამოსული ხარფუხელი მამაკაცების განუყრელი ატრიბუტი, შუშის მიღმა რესტორნის სამზარეულო და ბრგე, ჭაღარაშერეული მზარეული, დახლზე ორივე ხელით დაყრდნობილი, თითქოს სასტარტო პოზიციაში ჩამდგარი, შეკვეთის მიღებას ელოდებაო.

ამ დროს ვინც შემოდის, საერთო კერძად ხბოს კანჭს უკვეთავენ, აჯიკაში შესუნელებულს, კარტოფილითა და მჟავეულითო, – დაგვაკვალიანა მიმტანმა ბიჭმა. ხორცი საუზმეულით – მჭადებით და სულგუნით, ნიგვზიანი ბადრიჯნითა და ბოსტნეულის რაგუთი დავაბალანსეთ. ნიგვზიან ბადრიჯანს ობიექტურად ვერ დაგიხასიათებთ, რადგან სრულიად სუბიექტური სიყვარული მაკავშირებს მასთან და ყველა დროს, ყველას გაკეთებული მიყვარს, კანჭს კი მართლა ზედ აკვდებოდა აჯიკის სოუსი, ჩანგლით ჩაჭყლეტილი კარტოფილის ლუკმასთან ერთად. ბოსტნეულის რაგუ ზედმეტად ცხიმიანი მეჩვენა, მაგრამ ლავაშის ტკაცუნა, სიფრიფანა ნაჭრებში შეხვეული, ცხობისგან დარბილებული ყაბაყი, თავზე მოყრილი წითელი წიწაკის ზოლებით მაინც თვალებს მახუჭინებდა სიამოვნებისგან...

ისე ვისადილეთ, როგორც კარგი მეგობრის სამზარეულოში. მიმტანმა ბიჭმაც დამიდასტურა გაფიქრებული: ეს რესტორანი მფლობელმა თავისი სამეგობროსთვის გახსნა. თავიდან უცხო არც არავინ შემოდიოდა, მაგრამ, აგერ, ორი წელია, ძალიან ცნობილები გავხდით, ყველას მოსწონს ჩვენი ნატურალური ინგრედიენტები, ბაზრიდან მოტანილი ქართული (და არა თურქული) კიტრ-პომიდორი, მწვანილეული, ხორცეული და თევზეულიო (დამავიწყდა, აქ ზაქის კატლეტებიც აქვთ და ისიც გავსინჯე, ზაქის ხათრით).

უკვე კარგი ნაჭამ-ნასვამები, გამოსვლას ვაპირებდით, რომ გვერდითა სუფრაზე აჟიოტაჟი ატყდა. მიმტანი ბიჭის ნათქვამს – თქვენი სუფრა გადახდილიაო, ორი აწითლებული გოგოს შეძახილები მოჰყვა, – ვაიმე, დიდი მადლობა, როგორ შეწუხდითო. მოშორებით მსხდომ მამაკაცებს, რომლებიც ხან დედიკოების სადღეგრძელოებს სვამდნენ და ხან პატარებს ლოცავდნენ, ამდგარან და გოგოების შეკვეთა გადაუხდიათ ისე, რომ დიდად არც გამოცნაურებიან მათ. ახლა კი ისხდნენ და ამაყად გაბღენძილები, უსიტყვო ღიმილით იღებდნენ გოგოების დაბნეულ მადლობებს.

მაშინ მივხვდი – ამ რესტორნის ყველაზე ნაღდი და ბუნებრივი აქსესუარი ზუსტად ასეთი ეპიზოდებია და არა ვითომდა ძველთბილისური სანათურები და მაგნიტოფონში წარსულიდან გამოხმობილი დები იშხნელების ხმა.

ასეთი ყოფილა ეს რესტორანი – იმ თბილისსაც გახსენებს, რომელიც სახეცვლილ ქალაქში მივარდნილ, ვიწრო აღმართებზე, პატარ-პატარა კუნძულებადღა დარჩა.

ავერსი – სტაბილურობისა და ხარისხის გარანტი

სულ ცოტა 18 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც კომპანია "ავერსი" საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა. დღევანდელ ვითარებაში ეს ერა სულიერი სიმშვიდე აირჩია და მუდმივი ბრძოლით, ბიზნესის სწორი წარმართვითია და ბრწყინვალე მუნეგულების წყალობით შეუცვალა. ჯერჯერობით ეკონომიკური განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეეტანა. შეეკრა სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, მოსახლეობისათვის უმაღლესი დონის ფარმაცევტული მომსახურება შეუთავაზებინა. თანამედროვეობის და სტაბილურობა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო - დღეს "ავერსი" არსებობს საქართველოში და ამიერკავკასიაში, არსებულ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფარმაცევტული კომპანიაა. მისი სავიზიტო ბარათი კი ხარისხი, საიმედოობა და სტაბილურობა გახლავთ.

"ავერსის" საფთიაქო ჯაჭვის მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ კომპანიამ მათი ნდობა წლების განმავლობაში უნაკლო მომსახურების, დაბალფასებული ფასებისა და უმაღლესი ხარისხის მედიკამენტების წყალობით მოიპოვა. მართლაც, მაღალი ხარისხი და დაბალი ფასები - ეს ორი ერთგერთები "ავერსისთვის" ჯეკლული გახლავთ. ორივე განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 17 წლის წინ დაიწყო საქართველოში მედიკამენტების პირდაპირი კონტაქტებით შემოტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ავერსს" მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობისას შუამავალი არ ჰყავს - ამდენად, მედიკამენტების ხარისხსაც მაქსიმალურად გარანტირებულია და ფასიც - შედარებით დაბალი.

გარდა ამისა, "ავერსის" საფთიაქო ჯაჭვი მომხმარებელს მედიკამენტების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს - აქ საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ პრეპარატს ნახავთ. მართლაც, თავისი არსებობისა და მოღვაწეობის განმავლობაში "ავერსს" არაერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიასთან ჩამოუყალიბდა მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობები.

Actavis - International (ისლანდია) **Dr. Theiss Naturwaren GmbH** (გერმანია) **GlaxoSmithKline** (დიდი ბრიტანეთი) **Italfarmaco** (იტალია) **Boehringer Ingelheim** (ავსტრია) **Nycomed** (ავსტრია) **Bayer Schering Phara** (გერმანია) **Pfizer** (ამბ-ბელგია) **Sanofi Aventis** (საფრანგეთი) **Berlin-Chemie** (გერმანია) **Omron** (იაპონია) **Rottapharm** (იტალია) - ეს მხოლოდ მცირე ჩამონთვალია იმ კომპანიებისა, რომლებთანაც "ავერსი" უმეტესად თანამშრომლობს.

ეს კი იმის გარანტია, რომ მედიკამენტები "ავერსის" საფთიაქო ჯაჭვში ყველაზე დაბალ ფასად იყიდება. ამასთანავე, აქ თითქმის ყველა მედიკამენტის შედარებით იაფფასიანი ანალოგის შეძენის შესაძლებლობა გაქვთ. რასაც ჯენერიკების ფართო არჩევანი გაძლევთ. ისინი უცხოური ანალოგებისგან მხოლოდ ფასებით განსხვავდება და არაფითარი შემთხვევაში - ხარისხით.

ამავე დროს, კომპანიის საფთიაქო ჯაჭვი მაქსიმალურად ეთანამშრომლობა: ეფექტური ყურადღება ეთმობა გეგმიურად რეჟიმს, რაც მედიკამენტების სათანადოდ შენახვასა და დაცვას უზრუნველყოფს. სისუფთავეს და ეთიკურ-განწყობილ გარემოს.

"ავერსში" ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მომხმარებლის მაღალი ხარისხი გახლავთ, რასაც კომპანიის მესვეურნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. "ავერსის" აფთიაქში მუშავდ ნებისმიერ მომხმარებელს ეკალიფიციური სპეციალისტების კონსულტაციებით სარგებლობის საშუალება ეძლევა. ეთიკურ-განწყობილი, პროფესიონალი ფარმაცევტები მზად არიან ნებისმიერ საჭირო მედიკამენტზე ამომწურავი ინფორმაცია გასცენ.

კომპანიის მთავარი მიზანია, "ავერსის" მომსახურება სრულიად საქართველოსთვის იყოს ხელმისაწვდომი, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, შეიძინოს ხარისხიანი მედიკამენტები შედარებით დაბალ ფასად და ამასთანავე, მაღალკვალიფიციური ფარმაცევტების მომსახურებითაც ისარგებლონ.

კომპანიის რეგიონალური ფილიალები დედაქალაქისა მომსახურების დონითა და ხარისხით არ ჩამოუვარდება. "ავერსის" ყველა რეგიონალურ ფილიალში პროფესიონალი ფარმაცევტები მუშაობენ. თავად შენობებიც. ცხადია, დედაქალაქის მსგავსად, მედიკამენტების შენახვის ანსოლუტურად ყველა ნორმა მაქსიმალურადაა დაცული.

მეოთხე სახეზეა, საქართველოს რეგიონების მოსახლეობა, თბილისელთა მსგავსად, "ავერსის" აფთიაქების მომსახურებით ეკმაყოფილია. რადგან სტაბილურობა და ხარისხი ყველგან უცვლელად ჯერ-ჯერობით.

ამ მეოთხის მისაღწევად კი ფირმა კონტროლს საკერო პოლიტიკას ატარებს: "ავერსის" აფთიაქებში ფარმაცევტების მუშაობის ხარისხს და მათ პროფესიულ ზრდას საფთიაქო ჯაჭვის შექმნის პირველივე ღღიდანვე დიდი ყურადღება ექცევა. რადგან ეკმაყოფილი მომხმარებელი ფირმის მთავარი ორიენტირია.

ამ თვალსაზრისით ფირმაში შექმნილია ფარმაცევტთა შერჩევა - სწავლების მთელი სისტემა. პირველი ეტაპი გულისხმობს კანდიდატების შერჩევას პროფესიის, კვალიფიკაციის და გამოცდილების მიხედვით. შემდეგ იქმნება ჯგუფი და ერთი თვის განმავლობაში ისწავლება ყველა ის საკითხი, რომელიც საჭიროა მომავალი მუშაობისათვის. ასევე ისწავლება მომხმარებლებთან ურთიერთობის წესები და უნარ-ჩვევები, რათა მათი მომსახურება იყოს ყოველთვის გულისხმიერი, თავაზიანი და ღიმილიანი. ამას მოჰყვება თეორიული სტაჟირება. სწორედ აფთიაქში მისულამდე ფილიდება მომავალი თანამშრომელი "ავერსელად", რათა მას გაეცნოს ყველა ის სტანდარტი შესრულება, რაც ფირმაშია დანერგილი - აღინიშნა "ავერსი-გეოფარმის" ფირეკტორმა ბაკონმა გია ჩიგოგიძემ. მისივე თქმით, იმისათვის, რომ ფარმაცევტი მუდმივად იხრდებოდეს პროფესიული თვალსაზრისით და ყოველთვის სრულყოფილი იყოს მისი მომსახურება, ფირმაში არსებობს უწყვეტი სწავლების პროცესი, რაც გულისხმობს ყოველკვირეულ სემინარებსა და ტესტირებებს. სემინარებზე ფარმაცევტები ისმენენ ინფორმაციას სხვადასხვა პრეპარატის მედიკამენტების შესახებ, ასევე ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მედიკამენტების, სხვადასხვა პარტნიორი ფირმების პროდუქციის შესახებ. მიზანი ერთია – ფარმაცევტებს ჰქონდეთ მაღალი კომპეტენცია თავის სპეციალობაში. ასევე ფარმაცევტებს უტარდებათ სემინარები და ტრენინგები მომსახურების საკითხებზეც.

მეოთხედ, მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ "ავერსის" აფთიაქებში ყველაზე კვალიფიციური და პროფესიონალი ფარმაცევტები მუშაობენ.

იმისათვის, რომ "ავერსის" აფთიაქის თანამშრომლის მომსახურება და, ზოგადად, აფთიაქი ყოველთვის იყოს სათანადო სიმაღლეზე, ფირმას ჰყავს რეგიონალური მენეჯერების გუნდი, რომელიც სისტემატურად ამოწმებს აფთიაქებში სანიტარულ-ფარმაცევტულ წესრიგს. ასევე ფირმას აქვს "ფარული მომხმარებლის" სამსახური, რომელის საშუალებითაც სისტემატურად ხორციელდება აფთიაქების სამუშაო პროცესის და მომსახურების დონის მონიტორინგი.

ყოველივე ეს უპირველესობა კომპანიას ქართული ფარმაცევტული ბაზრის ლიდერად წარმოაჩენს, სწორედ ამიტომ ბუნებრივია, რომ მოსახლეობა "ავერსს" ენდობა და კომპანიის უმეტესობით გამორჩეულ აფთიაქს ხარისხიანი მედიკამენტების მიღების შეუცვლელ ადგილად მიიჩნევს. ლიდერის სტატუსი კომპანიამ სამართლიანად დაიმსახურა და ამაზე მისი ფართო და უმაღლესი სტანდარტის საფთიაქო ჯაჭვიც მეტყველებს, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ამჟამად 213 ფილიალს აერთიანებს. თბილისში 108, ხოლო რაიონებში 105 "ავერსის" აფთიაქია.

გარდა ამისა, კომპანიას თავისი წარმატებული საქმიანობისთვის მრავალი ჯილდოც აქვს მიღებული. მათ შორისაა საერთაშორისო ხარისხის ნიშანი და ქართული ხარისხის სერტიფიკატი. უმთავრესი ჯილდო კი მომხმარებლის კმაყოფილება და ნდობაა.

ისარგებლეთ "ავერსის" საფთიაქო ჯაჭვის მომსახურებით.

AVERSI
WWW.AVERSI.GE
ბულვარ ალექსანდრეს 148/2
2-967 227
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ალახაზა-ბალახაზა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ლაშა როსტომბაია ძალიან ჭკვიანი ბიჭია. მან ისეთი როლი მომცა, თამაში სულ არ მჭირდებოდა. კუდიან ალბას ათი წელია, არ უძინია და, შესაბამისად, გაავებულია. ისევე, როგორც მე.

არადა, როგორ ეძინება საწყალ, პატარა ალბას...

მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია და არც ახლა ვფიქრობ. ბავშვების მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ – ო'ჰენრის ერთი გმირისა არ იყოს, მეფე ჰეროდე ჩემი საყვარელი პერსონაჟია. მიუხედავად ამისა, ილიაუნის თეატრის სცენაზე აღმოვჩნდი, თან საბავშვო, თან ინტეგრირებულ სპექტაკლში. მეტსაც მოგახსენებთ – იქ შემთხვევით არ ამომიყვია თავი, ორი თვე რეპეტიციებზე დავდიოდი, ყინვასა და უბედურებაში, და სახლშიც ვმეცადინეობდი – ვმღეროდი:

ალახაზა, ბალახაზა,
ენკი ბენკი ბა,
ენი ბენი რიკი ტაკი,
ფუ კარაქი შმა!

– ეს როკაპია თუ დეგენერატი? – იკითხა ჩემი მარტვილობის მოწმე პოეტმა. – რა კარაქი, რა შმა?

მოვიწყინე – ტექსტის ავტორები რეჟისორი ლაშა როსტომბაია და პროფესორი ანა კორძაია-სამადაშვილი ვიყავით.

– კარაქი ეზიზღება, – გავამართლე ჩემი საწყალი ალბა.

– დეგენერატია! – დაასკვნა პოეტმა.

კარაქი და გაუგებარი „შმა" შავმა, ჟღალმა, შმაგმა კატამ შეცვალა, გაუთავებელი „ენკი-ბენკი" – სავსე მთვარემ და მსგავსებმა, და, საბოლოოდ, ალბა მთლად დეგენერატი აღარ იყო. პატარა კუდიანი იყო, რა, საცოდავი, გამოუძინებელი...

ამ შარში თავი, ერთი შეხედვით, ბრიყვული მიზეზით ამოვყავი: ალცჰაიმერის მეშინია. ვისაც არ ეშინია, პირველმა მესროლოს ქვა. ლიტერატურას ჩავუღრმავდი და აღმოვაჩინე, რომ ეს საშინელი ავადმყოფობა მოწმენდილ ცაზე ჩნდება, რატომ – კაცმა არ იცის. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ვერც მიხვდები, რომ დაგემართა, თორემ თუ მიხვდი, მაშინ ხომ შენი ფეხი აღარ იქნება ამ მიწაზე – სხვისა არ ვიცი, და მე სულ არ მაწყობს ქოთნის ყვავილის ცნობიერება და საყვარელი ადამიანებისთვის სისხლის გაშრობა.

...ამიტომაც იყო, რომ ცოცხით ვიფრინე, ჯადოსნური ბანგი მოვხარშე და ისინიც შევიყვარე, ვისიც ყველაზე მეტად მეშინია: **ბავშვები. ძალიან სახიფათო ხალხი.**

ჭკვიანურ პუბლიკაციებში სანუგეშოს ვერაფერს მივაგენი, მხოლოდ რამდენიმე სავარჯიშო აღმოვაჩინე, რომლებიც ჩემგან განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვდა და ამიტომაც დიდი ენთუზიაზმით შევუდექი მათ შესრულებას.

ერთი ისაა, რომ ყოველდღე, დაძინებამდე, უკანსვლით, ანუ საღამოდან დილისკენ, უნდა გაიხსენოთ თორმეტი ქმედება, რომელიც იმ დღეს შეასრულეთ. კბილების გახეხვას არ ვგულისხმობ, სერიოზულ საქმეებზეა ლაპარაკი. თუ თორმეტი საქმე არ გაგიკეთებიათ, ძალიან ცუდად გქონიათ საქმე, თუ გააკეთეთ და არ გახსოვთ – კიდევ უარესად. გახსენება თავიდან ჭირს – საქმეების კი არა, თანმიმდევრობისა, – მაგრამ მერე გაიწაფებით. ჰოდა, ძილის წინ უკვე ძალიან ოსტატურად ვიხსენებ, რამდენი ფუჭი საქმე გავაკეთე დღის განმავლობაში, და მიხარია, რომ ალცჰაიმერს შევერკინე. თან ეს ფიქრი გალავანზე მოხტუნავე ბეკეკებს ჩინებულად ანაცვლებს – მკვდრის ძილით მეძინება.

მეორე ვარჯიში კი სწორედ ისაა, რითაც თხრობა დავიწყე. „ყოველწლიურად ახალი, მანამდე გაუკეთებელი საქმე გააკეთეთ ხოლმე", – გვასწავლის ერთი შედარებით იმედისმომცემი სტატიის ავტორი, – „ან ისეთი რამ ისწავლეთ, რის სწავლაც მანამდე აზრადაც არ მოგსვლიათ. მაგალითად, ბირთვული ფიზიკა. ან კუდიანის როლი.

მე ეს უკანასკნელი ვამჯობინე, და ამიტომაც იყო, რომ ცოცხით ვიფრინე, ჯადოსნური ბანგი მოვხარშე და ისინიც შევიყვარე, ვისიც ყველაზე მეტად მეშინია: ბავშვები. ძალიან სახიფათო ხალხი.

სპექტაკლი დამთავრდა და ჩემი სამსახიობო კარიერა დასრულდა. შედეგი ის გახლავთ, რომ, ჩემი უნივერსიტეტის რექტორის თქმით, ეკლესიის ეზოში აღარ დამკრძალავენ. სხვას არც არაფერს ველოდი.

არა, ვტყუი: მაგარი სიმღერა ვისწავლე – „ალახაზა, ბალახაზა..." ძილი ნებისა, კუდიანო ალბა!

AHMAD TEA
LONDON
ყოველი ჩაი ახალი ყოს
შეიძენეთ სიცოცხლის ძალა!
AHMAD TEA
ENGLISH · TEA · No.1
EXCLUSIVE · QUALITY · TEA
100 TEA BAGS
NET WT · 200g · POIDS NET
AHMAD TEA
AHMAD TEA

აინშტაინები

გაგა ნახუცრიშვილი

მათემატიკა არასდროს მყვარებია. მძულდა ანგარიში, განტოლებები თუ ამოცანები. საშინლად მოსაწყენი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი.

მათემატიკას უნივერსიტეტის პროფესორი, ჰამლეტ მელაძე გვასწავლიდა. მხოლოდ ჩვენს კლასში შემოდიოდა (თავიდან „სპორტული კლასი“ გვერქვა და მარტო ბიჭები ვსწავლობდით) გულწრფელი ენთუზიაზმით. გულწრფელი ენთუზიაზმით გამიშრო სისხლი. იმათაც კი, ვისაც მათემატიკა ეხერხებოდა, ტყავს აძრობდა. სკოლის პროგრამას არ მისდევდა. ურთულეს, ლამის უმაღლესი მათემატიკის და მათ.ანალიზის მასალას გვათვისებინებდა. საკონტროლოების დროს კი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გვიბარებდა და იქ გვაწერინებდა.

– აბა, როგორ გინდათ, ჩემო ძმებო, თავიდანვე უნდა მიეჩვიოთ, – ოღონდ, რას უნდა მივჩვეოდით, აღარ გვიკონკრეტებდა.

– უნდა იმეცადინოთ, რით ვერ შეიგნეთ, რომ არ ხართ აინშტაინები, – გვახსენებდა ხშირად.

აინშტაინისა რა გითხრათ და ერთხელ ბატონი ჰამლეტი კი მართლა გულით შემეცოდა. დაფასთან ჩვენი მეგობარი – პერსპექტიული კალათბურთელი, მაგრამ ჩემზე ცუდი მათემატიკოსი გამოიძახა. მახსოვს, დაფაზე რაღაც განტოლება ეწერა. სინუს იქსის და კოსინუს იქსის შეფარდება ფიგურირებდა. ჩვენი კლასელი ცოტა ხანს გამჭოლი მზერით მიაშტერდა დაფას. მერე იქსები გადახაზა, შეკვეცა.

– აჰა, – შვებით ამოისუნთქა პროფესორმა, – ესე. – ჩვენს მეგობარსაც გული მიეცა და S-ებიც მიაყოლა... შეკვეცა. ჩვენს მასწავლებელს უცნაური ბგერები აღმოხდა, გაწითლდა, მერე გალურჯდა და კლასიდან გაიქცა. მალე დაბრუნდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს და მთელი გაკვეთილი ჩუმადა იჯდა. ისე, რა უნდა ეთქვა ან კი რა უნდა გაეკეთებინა, არ ვიყავით აინშტაინები.

სემესტრი დასრულდა. უკანასკნელი საკონტროლოც პირწმინდად ჩავაგდე და საშემოდგომო გამოცდა მემუქრებოდა. ბატონმა ჰამლეტმა ცარიელ საკლასო ოთახში მიხმო ერთი ერთზე სასაუბროდ.

– გეგა, – რატომღაც გეგა დამარქვა, – ვიცი, რომ წერ...

მადლობელი ვარ თქვენი, ჰამლეტ მასწ.! ახლაც მეხმარება წვალებით, ძალდატანებით ამოხსნილი ურთულესი განტოლებები და ამოცანები. ამას ყოველდღიურად ვგრძნობ. **გულწრფელად გეუბნებით!**

– დიახ, ჩემთვის, რაღაცას, – ვუთხარი დაბნეულმა.

– მაინც რომელი ნაწარმოები გიყვარს ყველაზე მეტად?

– „პატარა პრინცი“, – ვუპასუხე უყოყმანოდ. ახალი წაკითხული მქონდა.

კმაყოფილმა ხელები მოიფშვნიტა. შევატყვე, რომ ჩემი პასუხი მოეწონა.

– მითხარი, რატომ გიყვარს „პატარა პრინცი“ და ნიშანსაც დაგიწერ.

საშინლად დავიბენი. ნამდვილად არ ვიცოდი, რა მეთქვა.

– ჰამლეტ მასწ., – ბორძიკით ვლაპარაკობდი, – ამას... როგორ... აბა, როგორ აგიხსნათ?

– რა, არ იცი, რატომ გიყვარს?

– ვიცი, მაგრამ ეს აუხსნელია.

– აი, ცდები, ჩემო გეგა, ყველაფრის ახსნა შეიძლება.

არადა, როგორ უნდა ამეხსნა? როგორ უნდა ამეხსნა, რომ სიყვარული (თუნდაც ნაწარმოების) აუხსნელია. ორჯერ ორი ყოველთვის ოთხს არ უდრის (ჰამსუნის „მისტერიების“ გმირიც, ცხონებული ნაგელიც ხომ ასე ფიქრობდა) ყველაფერი არ დაითვლება, არ გაითვლება, განტოლებებამდე, ამოცანებამდე ვერ დავა.

არაფერი მითქვამს. გავჩუმდი და თავი დავხარე.

– იცი, ჩემო ძმაო, – მითხრა თბილად, – შენ მათემატიკის სწავლა შეგიძლია და ამიტომაც გთხოვ...

– საიდან იცით? – ვკითხე გულუბრყვილოდ.

– გატყობ, – გაეცინა, – მეც ძალიან მიყვარს ეკზუპერი და დაგიწერ ნიშანს.

– გმადლობთ, – ვუთხარი დარცხვენილმა.

– მაგრამ მაინც დაფიქრდი. წინ მთელი ზაფხულია...

– რაზე დავფიქრდე? – ვკითხე დაბნეულმა.

– შენ იცი, რატომაც გიყვარს „პატარა პრინცი“. უბრალოდ, უნდა დაფიქრდე. ასეა, ჩემო გეგა!..

წლების მერე მადლობელი ვარ თქვენი, ჰამლეტ მასწ.! ახლაც მეხმარება წვალებით, ძალდატანებით ამოხსნილი ურთულესი განტოლებები და ამოცანები. ამას ყოველდღიურად ვგრძნობ. გულწრფელად გეუბნებით! თქვენ მაინც ხომ იცით, რომ პირფერობა არ მჩვევია...

დაუვიწყარი შეხვედრები მარიოტში

როდესაც საქმე თქვენი ღონისძიების დაგეგმვას ეხება, მარიოტი უსაზღვრო შესაძლებლობებს გთავაზობთ, თბილისი მარიოტისა და ქორთიარდ მარიოტის ღონისძიებათა დარბაზები იდეალურია თქვენი კონფერენციის, ბანკეტისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის.

დარბაზის წყობა და გაფორმება, ინდივიდუალურად შექმნილი მენიუ და უახლესი აღჭურვილობა უზრუნველყოფს თქვენი ღონისძიების წარმატებას. მარიოტის გამოცდილი გუნდი კი მუდმივ მზადყოფნაშია თქვენი და თქვენი სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით +995 32 277 91 55

Marriott HOTELS & RESORTS

COURTYARD Marriott

ვერ გავიმეტე

მაია სარიშვილი

სათვალით როგორ უნდა იომოო, – გაგიჟდნენ. რა აფხაზეთიო, გული გაწუხებსო, არა ხარ შენ მზად ამისთვისო და რამდენიმე საათი ყველა ერთდროულად ყვიროდა, ჩემი ძმის ჩათვლით, რომელსაც „წავალ!“ – ეს ერთადერთი სიტყვა ამოზრდოდა პირიდან დროშასავით და ისე აფრიალებდა, თითქოს იქ იყო უკვე, სადაც არ უშვებდნენ. მხოლოდ მე ვიდექი ჩუმად. მეჩვენებოდა, რომ ამ დაძაბულ ბგერებს ფერი მიეცათ უცებ, ხილულნი გახდნენ, კვამლის ფორმა მიიღეს და ამ რუხ კვამლს რომ ვუყურებდი, უცებ ხელში შოკოლადის ფილა ჩამიდო ვიღაცამ. „ეს ჩემგან, ვინ იცის, ბოლო საჩუქარიო“... მივხვდი, მაინც მიდიოდა და ჩავეხუტე. შოკოლადი კი ფუფუნება იყო იმ დროს ჩემთვის... მერე კვამლი გაიწელა, ძაფივით გაწვრილდა და გაქრა... ვიდექი ასე უხმოდ და უგრძნობლად, ვიდრე წამლეკავი გაბრაზება არ მოვიდა. სიხარული მინდა! გარეთ გავვარდი. უპალტოოდ, უქუდოდ, თოვლში. სპორტული შარვალი მაცვია და ოთახის ჩუსტები. ბეჭებზე რაღაც ჭრელი, ბოშური თავშალი მაქვს მოგდებული. აი, ასეთი გავრბივარ სადღაც. რომ დავიღალე და სხეული ჩემი ნებართვის გარეშე ჩაიკეცა დათოვლილ ასფალტზე, მაშინ აღმოვაჩინე, რომ საბურთალოს ქუჩამდე მოვსულვარ ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან. უცებ გამახსენდა, რომ ადრე ვიღაცამ ანა კალანდაძის სახლი დამანახა აქვე. ავალმეთქი! არ იყო ანა ჩემი საყვარელი პოეტი, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა უკვე. ყველაფერი რაღაც კატასტროფული სიჩქარით რუხდებოდა ირგვლივ. ავედი. ისეთი გაყინული ვიყავი და ისე ვკანკალებდი, ვერც ზარის ღილაკს დავაჭირე ხელი, ვერც დავაკაკუნე და ფეხი მივარტყი კარს რამდენჯერმე. სახლში ყოფილა. შემიშვა. მისაღებ ოთახში დამსვა საკარძელზე. რაღაცების ახსნა დავიწყე. უხმოდ მისმენდა. მერე სველი ოთახის ჩუსტების გახდა მთხოვა და ახლები მომიტანა. რაღაც თბილი ჯემპრიც გადამაცვა. არაფერს ამბობდა. ჩაი დამისხა და გოზინაყი დადო მაგიდაზე. მე კიდევ შოკოლადი გამახსენდა, კარგად შენახული სპორტული შარვლის ღრმა ჯიბეში. ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. ანამ დატეხა და გოზინაყებს დააყარა. ველარ ვლაპარაკობდი რამდენიმე წუთი. მერე ვუთხარი, ლექსებს ვწერმეთქი. უფრო იმიტომ ვუთხარი, რომ მომეჩვენა, თითქოს აქამდის თბილი მზერა თანდათან უგრილდებოდა და შემეშინდა, აქაურობაც არ გარუხდესმეთქი. წამიკითხეო და წავუკითხე რაღაც. მგონი, რამდენიმე ლექსი წავუკითხე შეუჩერებლად და პოეტი ყოფილხარო, – გაეღიმა. მე ამ სიტყვებზე უფრო მისი გაღიმება გამიხარდა. გავმხიარულდით. თვითონაც რაღაცებს მიყვებოდა და არაფერი მახსოვს ამ მონაყოლიდან, რადგან სხვა რაღაცას ვეჭიდებოდი უფრო. რაღაც უფრო მნიშვნელოვანს, რასაც უნდა გადავერჩინე... მეხვეწა, ამით წადიო, მაგრამ თბილი ჯემპრიც და ოთახის ჩუსტებიც უკან დავუბრუნე და ისევ იმავე გზით დავბრუნდი სახლში... გადიოდა წლები და მას მერე მასთან არ მივსულვარ. ერთხელ შემომითვალა კიდეც ვიღაცის პირით – მოვიდესო, მაგრამ ვერ... რომ გარდაიცვალა, პანაშვიდზეც ვერ მივედი. სისულელეა იქნებ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ თუ კიდევ მივიდოდი მასთან, მაშინ ის დღე დაინგრეოდა რატომღაც – 1993 წლის იანვრის ერთი რუხი და უცნაური დღე. და ვერ გავიმეტე...

გადიოდა წლები და მას მერე მასთან არ მივსულვარ. რომ გარდაიცვალა, პანაშვიდზეც ვერ მივედი. სისულელეა იქნებ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ თუ კიდევ მივიდოდი მასთან, მაშინ ის დღე დაინგრეოდა რატომღაც – 1993 წლის იანვრის ერთი რუხი და უცნაური დღე. და ვერ გავიმეტე...

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი
უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:
“წიგნის სახლი” - პეკინის #31
“ლიტერატურული” - ბამბის რიგი #7
“ლიტერატურული” - აბაშიძის #22
“ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:
“სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
“ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
“წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
“პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
“დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:
“la Maison de vin” - შარდენის #18
“ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
“ღვინის სახლი”
- პეკინის #45
- ლესელიძის #55

“ხარება” - რუსთაველის #50
“ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
“ღვინის სამყარო” - ლაღიძის #2
შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:
“რჩეული”
- ბათუმი, ჟორდანიას #31
- სიღნაღი, აღმაშენებლის #6
- ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
- თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154

“შერატონი “
- თბილისი, თელავის #20
- ბათუმი, რუსთაველის #28

“სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:
“შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

გალერეები:
წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი

2012

ქართული ღვინის გზამკვლევი

Georgian Wine Guide

მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia

ერლომი

– რას შვრები, ნიკალა? –
– ვკვდები...
კინოფილმიდან „ფიროსმანი“
(სცენარის ავტორი ერლომ ახვლედიანი).

გია არგანაშვილი

ამ დღეებში სოციალურ ქსელში უცნაური ფრაზები გამოჩნდა. აი, ზოგიერთი მათგანი: „ვეძებ სამშობლოს“, „ერიდეთ სიკეთის ქმნას“, მოდი, ვებრძოლოთ ერთმანეთს“, „ახლა ჩემთვის სამშობლო ვიღაცებისგან შეთხზული ლეგენდაა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს...“

ინტერნეტმომხმარებელს მოსწონს ასეთი სტატუსები და შთაბეჭდილებებთან ერთად უზიარებენ ერთმანეთს. აქ, ახლა უკვე ყველამ იცის, რომ ამგვარი „თავსატეხების“ მოძებნა მხოლოდ ერლომ ახვლედიანის წიგნებში შეიძლება.

ერლომ ახვლედიანმა კიდევ ერთხელ, ამჯერად, თავისი სიკვდილით შეახსენა თავი საზოგადოებას.

უმრავლესობას ისე უკვირს ეს ამბავი, როგორც ერლომს სჩვეოდა საკუთარი გრძნობების გამოხატვა. ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ესეც ბუნებრივი იყო, რადგან მოდერნიზებულ გარემოს თანდათან უფრო უჭირდა ერლომის პატიოსნების ატანა.

არადა, როგორ ცდილობდა, ფეხაკრეფით გაევლო ჩვენ შორის და არავინ გაეღვიძებინა.

სიკვდილიც მისდაუნებურად გახმაურდა.

სიცოცხლეშიც ხშირად დამართნია ასე. ერთს ეძებდა და მეორეს პოულობდა. ჩვეულებრიობას შეჰხაროდა და გამორჩეულობა ხვდა წილად. უსახელობა მოსწონდა და მხოლოდ სახელით დაიმკვიდრა ადგილი საზოგადოებაში.

თუ სხვა საქართველო მართლაც არ არის, მაშინ არც სხვა ერლომი არსებობს...

მეგობრის ხუმრობას, – შენ რა ერის ლომი ხარო, – ხუმრობით პასუხობდა, – რა ერიცა ხართ, ის ლომი მე გყევართო...

... მადლი ღმერთს, რომ ისინი ზოგჯერ, მართლაც შესაფერისნი იყვნენ ერთმანეთისთვის....

თუმცა, ისიც მახსოვს, გულისტკივილით ამბობდა, რომ სიბერემდე ვერ მოიშორა დამწყები მწერლის იარლიყი.

არადა, მთელი ცხოვრება წერდა და ყოველთვის ახსოვდა თავისი მეგობრის, გურამ რჩეულიშვილის გაფრთხილება: ხელოვანისთვის ყველაზე საშიშია, არ წამოეგოს იმას, რასაც უკრძალავენ.

ახლა გავიგეთ, რომ სწორედ ამ ორი მწერლის შემოქმედება ყოფილა იზოლირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურისგან და საერთაშორისო ლიტერატურულ ორბიტაზე დაბრუნების წარმატებული მცდელობა (ირმა რატიანი).

ფრაზებიც, რომლებსაც დასაწყისში უცნაური ვუწოდე, სინამდვილეში ღრმა აზრითაა დატვირთული. მაგრამ მათ მიღებას და გათავისებას ერლომისეული ხედვა და გამბედაობა სჭირდება.

მომავალშიც ბევრ თვისებას გამოარჩევენ ერლომის ხასიათში. ამ შემთხვევაში კი, მე მის ლიტერატურულ გამბედაობას შევნიშნავ, რომელიც ნამდვილად სჭირდებოდა იმგვარი არაპოპულარული აზრების გამოთქმას, როგორიც მის პუბლიცისტურ წერილებშია.

ეს არ იყო გაბედულება ტოტალიტარული რეჟიმის, რაიმე საფრთხის, ან თუნდაც სიკვდილის წინაშე.

მე ერლომის უახლოეს მეგობრად და მოსწავლედ მივიჩნევ თავს (ამის თქმა ბევრს შეუძლია) და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ერლომს სიკვდილის არ ეშინოდა.

მან დიდი ხნით ადრე, საღი გონებითა და რწმენით დაასრულა სიკვდილთან დავა.

***

ერლომის გარდაცვალების მეორე დღეს ცნობილი იტალიელი კინოსცენარისტი და მწერალი ტონინო გუერა გარდაიცვალა.

რა უცნაური დამთხვევაა. ქართველების ერლომ ახვლედიანი და იტალიელების ტონინო გუერა. ქართველების ტონინო გუერა და იტალიელების ერლომ ახვლედიანი.

მგონი, არცერთს არ უნდა სწყენოდა ასეთი დაწყვილება.

დღეს ქართული კინოს გულშემატკივარს ყოფნის სითამამე, რომ ასე თქვას, რადგან ქართულმა ფილმებმა (მათ შორის ბევრი ერლომ ახვლედიანის სცენარების მიხედვითაა გადაღებული) დიდი ხანია, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ერლომიც თანასწორად იხსენიება თანასწორთა შორის.

აი, ლიტერატურულმა კრიტიკამ კი დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო სათანადოდ შეეფასებინა მისი ლიტერატურული ღვაწლი.

ერთი შეხედვით ჩანს ასე, რომ თითქოს ერლომს ჯილდოები და პრემიები არ დაკლებია. ეს იყო ბოლო წლებში... თავდაპირველად კი მწერალ ერლომ ახვლედიანის აღმოჩენა ადოლფ ენდლერს, პეტერ პანდკეს, ანდრეი ბიტოვს, ინგრიდ დეხრავეს მოუწია. ერთეულ ადამიანებს თუ არ ჩავთლით, რუსებმა, სომხებმა, გერმანელებმა, უნგრელებმა, არაბებმა ჩვენზე ადრე გაიცნეს „ვანო და ნიკო“.

ერლომ ახვლედიანის შემოქმედების შესაფასებლად მომავალშიც დაგვჭირდება გამბედაობა, რომელიც ერლომის სიკვდილმა უნდა შეგვმატოს.

SINCE 1884

SARAJISHVILI

საფარეხლები

ლაზიკა
ქალაქი, რომელმაც საკუთარი თავი ჭაობიდან უნდა ამოათრიოს

ავტორი ალექს ჩიღვინაძე
ფოტო სერგი ბარისაშვილი

„ასე განვითარდა თავის დროზე კოლხიდა, აქედან წარმოიქმნა ძველი მითები, რომლებიც ჩვენ გვეხება. ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ანაკლიის გაგრძელებაზე ახალი, დიდი ქალაქი დავაფუძნოთ, რომელსაც ლაზიკას დავარქმევთ“.

მიხეილ სააკაშვილი

„...თავიდან მომეჩვენა, რომ დაჭაობებული ადგილი არც ისე ფართო იყო, მაგრამ ვერ გავთვალე, გადავხტი და შუაგულ ჭაობში ყელამდე ჩავეფალი. დავიღუპებოდი, ხელში ძალა რომ არ მქონოდა. განწირული საკუთარი თმის ნაწნავს ჩავეჭიდე და თავი ჭაობიდან ამოვათრიე. რასაკვირველია, ცხენთან ერთად, რომელიც ლაჯებში მომექცია“.

ბარონი მიუნჰაუზენი

როცა კოლხეთის ნაკრძალში ლაზიკას მშენებლობის შესახებ გავიგე, პირველად სწორედ ეს ფრაგმენტი გამახსენდა ერიხ რუდოლფ რასპეს მოთხრობიდან. ლაზიკა – ქალაქი, რომელმაც საკუთარი თავი ჭაობიდან უნდა ამოათრიოს, როგორც ეს ლეგენდარულმა მიუნჰაუზენმა გააკეთა...

* * *

„ჩვენ მოგვწყინდა ქალაქი, რადგან ის უკვე აღარ არის მზის სასახლე“.

ივან შეგლოვი

დილაადრიან, 8 საათზე, მე და ფოტოგრაფი სერგი უკვე ფოთისკენ მიმავალ მატარებელში ვისხედით. მოგზაურობა არარსებულ ქალაქში, რეპორტაჟი ჯერ არაშენებული მეგაპოლისიდან – „ცხელი შოკოლადის“ რედაქციის ამ შემოთავაზებაზე აბა, როგორ ვიტყოდი უარს? ერთი მხრივ, იმის საშუალება მქონდა, გავცლოდი თბილისქალაქს, თან – სად? კოლხეთის ნაკრძალში, ზღვასთან, ტბებთან და ჭაობებთან. და მეორეც, ლაზიკას შესახებ ისედაც მინდოდა დამეწერა რამე, იმდენად მაბრუებდა პრეზიდენტის „თავზეხელაღებული“ იდეები და ველური წარმოსახვები დიდი მეგაპოლისის აშენების შესახებ. ხელოვნური ინტელექტი „ოქროს ვერძი“ და მისანი ქალი ვერა ქობალია, ეუთოს დამკვირვებელ იაზონს რომ ელოდება. დროის მანქანად გადაკეთებული ჯავშანტრანსპორტიორი „ლაზიკა“ და ზომბების ხორუმი ახალი ქალაქის ქუჩებში.

ხელისუფლების აღგზნებულ ფანტაზიას მხოლოდ იმიტომ ვეჯიბრებოდი, რომ ქალაქის აშენებას სრულ აბსურდად ვთვლიდი. კლდესავით მყარი ორი არგუმენტი მქონდა. პირველი ის, რომ იქვე, ყურისძირში, „თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად“ ქცეული ფოთი არსებობდა, რომელსაც ახალ დუბაიდ გადაქცევას უპირებდა პრეზიდენტი და ვერ ვხვდებოდი, რაღა საჭირო იყო ახალი ქალაქი, როცა ეს ძველი პორტიც თავისუფლად შეიძლებოდა ისეთ ზღაპრულ ადგილად ექციათ, რასაც ახლა ლაზიკის სახით გვპირდებოდნენ. და მეორე არგუმენტი კი ის საფრთხე გახლდათ, რაც ამ გაუაზრებელი მშენებლობებით ხელუხლებელ ბუნებას დაემუქრებოდა.

ამ ფიქრებით ვიმგზავრე ფოთამდე, საიდანაც ლაზიკასთვის მონიშნული მიწების მონახულებას ვგეგმავდი. რომ ჩავედით, წვიმდა, თოვლსაც გამოურევდა. თავში ათასი რამე მიტრიალებდა, ისეთები, თავზეხელაღებული პრეზიდენტის „თავზეხელაღებულ გეგმებს“ რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა: ჭაობში ღამე ხეტიალით დაწყებული და ზღაპრული ფსიქოგეოგრაფიული ჩანართებით დამთავრებული. იმ ადამიანების მოძებნაც მინდოდა, ვინც ლაზიკაში ცხოვრებას აპირებდა. ასევე, ერთი სპეციალისტის (გეოლოგის, არქიტექტორის და ა. შ.) მაინც, ვისაც მომავალი ქალაქის დაპროექტებაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ტაქსის მძღოლმა, რომელიც წარმოშობით სოხუმიდან იყო, გვითხრა, რომ ასეთ ამინდში, ლაზიკისთვის შეგულებულ ადგილზე მოხვედრა, ყულევიდან (ყულევი სოფელია. ასევე არსებობს ყულევის ნავთობტერმინალი, საიდაც მდინარის გაღმა ჭაობი იწყება და ზღვის გასწვრივ მიემართება რელიქტურ ტყეებამდე) ანაკლიისკენ გადასვლის იმედი არ უნდა გვქონოდა. ამიტომ სასტუმრო „Anchor“-ში ლუზის ჩაშვების შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ მასალის მოპოვება მომდევნო დღისთვის გადაგვედო, მანამდე კი ფოთში და მის შემოგარენში გაგვესეირნა – ბოლო-ბოლო, სწორედ ეს პატარა, ისტორიული, საპორტო ქალაქი უნდა გამხდარიყო იმ დიადი, ახლად აღმოცენებული მეგაპოლისის ყველაზე ახლო მეზობელი.

ფოთში პირველად რამდენიმე წლის წინ მოვხვდი. ისიც შემთხვევით. ბათუმის მატარებელზე ბილეთები არ იყო და რამდენიმე მეგობართან ერთად, ფაზისისკენ მიმავალ მატერებელში ამოვყავი თავი. მერე სულ მენატრებოდა ეს პატარა, წყნარი ქალაქი, სადაც მოხუცი მეზღვაურები მშვიდად დასეირნობდნენ ველოსიპედებით. იქვე კი

ზღვა ბობოქრობდა და გემების საყვირის ხმა აღვივებდა ადგილობრივი ბავშვების წარმოსახვებს შორეულ მიწებზე.

სადილის შემდეგ, პალიასტომის ტბისკენ წავედით. გარშემო, წყალში ჩაძირული ნანგრევები და გარინდული სივრცე მოჩანდა. სივრცე, რომელიც არაფერს გვპირდებოდა. სერგა შეუსვენებლად იღებდა ფოტოებს, ვერ ვხვდებოდი, რას უღებდა ამდენს, პეიზაჟები თითქმის არ იცვლებოდა.

ტბასთან სასაფლაო იყო, საიდანაც გაპარტახებულ ასაფრენ ბილიკზე გადიოდი. ადრე აქ რუსი სამხედროების ბაზა ყოფილა, ახლა კი მხოლოდ მისი ნანგრევები დარჩენილიყო, რომელიც შორიდან სტოუნჰენჯს წააგავდა.



ლაზიკას შესახებ ისედაც მინდოდა დამეწერა რამე, იმდენად მაბრუებდა პრეზიდენტის „თავზეხელაღებული“ იდეები და ველური წარმოსახვები დიდი მეგაპოლისის აშენების შესახებ. ხელოვნური ინტელექტი „ოქროს ვერძი“ და მისანი ქალი ვერა ქობალია, ეუთოს დამკვირვებელ იაზონს რომ ელოდება.

პალიასტომის ნაპირს ავცდით და ქალაქში შემავალ გზას გავუყევით. თავს ზღვის გამორიყულივით ვგრძნობდი... შორს, შავი წერტილივით მოხუცი ქალი მოჩანდა. როცა მოგვიახლოვდა, გვითხრა, გზის ფულიც არ მქონდა, თორემ ხომ გავყვებოდი რამეს, ფოთში ხალხი არ ცხოვრობსო. იისფერი თავსაფარი ეხურა, დანაოჭებული სახე ჰქონდა და სევდა, ღრმად ჩამჯდარ, შავ თვალებში, როგორც – ტბები და ჭაობები ჩვენს წინ. 22 წელია, არ მიმუშავიაო, ამბობდა.

ადგილობრივები, ვისაც კი გამოველაპარაკებოდით, თითქოს პირი შეუკრავთო, გვეუბნებოდნენ, ლაზიკა კი არა, ფოთიც არ არის ჩვენთვისო. თევზი რომ თევზია, ისიც კი ყველაზე ძვირი ღირს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველო აქედან მარაგდებაო თევზით. აბა, ვისთვის არის-მეთქი? – ვეკითხებოდი. მხრებს იჩეჩდნენ. სინამდვილეში, ქალაქი, რომელშიც მთელი ცხოვრება ცხოვრობ, ძალიან წაგაგავს ძველ სამოსს, რომელიც ხან ისე გიპატარავდება, ვეღარ ეტევი; ხან კიდევ ისე დიდი გაქვს, რომ მეორე ადამიანიც ჩაეტევა. ჰოდა, მოკლედ, ძალიან გწყინს, როცა ამ შენს შეჩვეულ ტანსაცმელს ვეღარ ირგებ.

ქუჩაში ერთმა გოგონამ გვიცნო, რომელმაც „მარშუტკით“ ჩვენთან ერთად იმგზავრა. აბიტურიენტი აღმოჩნდა, ფსიქოლოგიის სწავლას აპირებდა. მივსეირნობთ ერთად და ვეკითხებით, სად დადიხარ, როგორ ერთობით შენ და შენი მეგობრები, რა შეიცვალა შენთვის, რა ხდება ფოთში? ის კი, გაღიმებული, თითქმის ყველაფერზე ერთნაირად გვპასუხობდა: „არაფერი, არაფერიც არ ხდება“. შემდეგ ერთი ქუჩის მდებარეობა აგვიხსნა, სადაც „თავისუფალი სიტყვის“ რედაქცია მდებარეობდა და დაგვემშვიდობა.

რედაქციაში ერთი ჟურნალისტი გვხვდება, იზა სალაყაია. ამ ინტერნეტ-გამოცემის, ბათუმის და ზუგდიდის კორესპონდენტები რამდენიმე კვირის წინ გადასულან იმ ადგილს, სადაც პრეზიდენტის განცხადებით ლაზიკას მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა. ჩართულ დიქტოფონს იმ მაგიდაზე ვდებ, როელსაც იზა უზის.

„ფოთთან დაკავშირებით თავიდანვე ძალიან დიდი მოლოდინი იყო. როცა პრეზიდენტმა გახსნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ასე უწოდა ამ პროექტს – ოქროს საწყისის დასაწყისი. ზუსტად ასეთი უნდა გამხდარიყო ფოთი ქართული ეკონომიკისთვის. და იყო დაპირებები ცათამჯენებზე, მილიონობით ინვესტიციებზე, 100 პროცენტიან დასაქმებზე. თუმცა, შესრულებული თითქმის არაფერია“.

ჟურნალისტები მეუბნებიან, რომ სერიოზული ინვესტორი არსად ჩანს, ერთი სერიოზული კომპანიაც კი, რომელიც შევა და ინდუსტრიულ ზონაში სერიოზულ ინვესტიციას განახორციელებს, ჯერ არ გამოჩენილა, დაპირებულმა ცათამბჯენებმა ახლა ლაზიკაში გადაინაცვლაო. ვუსმენ და თან თავში მომდის შედარება, რომ ცათამბჯენი გიგანტური დიქტოფონია, რომელიც ქალაქის ხმებს „ადამიანურ ფაილებად“ იწერს. იზა კი მეუბნება, აი, სულ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თეატრის შენობა უნდა აღედგინათ, სპორტული დარბაზი გაეკეთებინათ, ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა დაესრულებინათ, მაგრამ გაკეთებული არაფერიაო.

შეუძლებელია, არ გაგიჩნდეს კითხვა, თუ საიდან დაიბადა ამ ყველაფრის ფონზე ახალი ქალაქის მშენებლობის იდეა, რომლის პროექტსაც, როგორც იზამ გვითხრა, „თავისუფალი სიტყვის“ ჟურნალისტებმა ვერც ერთ უწყებაში ვერ მიაგნეს და დღემდე უპასუხოა კითხვაც: რატომ დაიგეგმა ლაზიკას აშენება წინასწარი კვლევის გარეშე? ამ პროექტის შემთხვევაში ხომ პირიქით მოხდა – ჯერ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ახალი ქალაქის დაარსების შესახებ და კვლევა, სად და როგორ – ახლა უნდა დაიწყოს.

გარეთ გამოვდივართ. ფოთის ქუჩებში თვალში მხოლოდ ბანკები და მივიწყებული ღამის „ბარები“ გხვდება. 20-ვატიანი ნათურებით განათებული მეზღვაურთა კლუბი „ამაზონკა“, თურქული ბარი „აყლა“...

მაგრამ აქ ყველაზე დიდი დოზით მაინც მოლოდინისა და იმედგაცრუების უგემურ ნარევს ვგრძნობ – როგორც იმ ფილმში,

„ცხოველები მებაჟესთან ერთად“, სადაც ერთი ბიჭი უდაბნოში სასაზღვრო პუნქტს ხსნის იმ იმედით, რომ მალე ორი ქალაქი უნდა აშენდეს და ამ ქალაქებს შორის მიმავალმა გზატკეცილმა სწორედ იქ უნდა გაიაროს, მაგრამ ქალაქების აშენებას საშველი არ დაადგება.

ზღვა როცა ღელავს, მოსახლეობას სახლში შესდის აბობოქრებული წყალიო, – ადრე ვუყურე სიუჟეტს, – ფოთის სანაპირო ირღვევაო. ეკოლოგები ამბობდნენ, ასე, 20 წელიწადში შეიძლება 50-მილიონიანი ზარალი ვნახოთ, თუ რამეს არ ვიღონებთ, შეიძლება, მთლიანად დაიტბოროსო ფოთი...

ფოთის ქუჩებში ხალხი რკინის ველოსიპედებით გამოეფინა. ყულევამდე ჩასვლას ნახევარ საათზე ცოტა მეტს მოვუნდით.

„ყულევში ძირითადად მეთევზეობით ირჩენ თავს, აქ დღემდე პოულობენ ხის აფრიანი გემის ნარჩენებს, სპილენძის ლურსმნით შეკრულს“, – გვიყვება ჩვენი ტაქსის მძღოლი.

მანქანას ტერმინალის შესასვლელიდან 50 მეტრში ვაჩერებთ. მდინარის პირას რამდენიმე ადგილობრივია შეკრებილი. ზოგი შეშას ჩეხავს, ზოგიც უსაქმოდ ჩამომდგარა. მდინარის მეორე მხარეს, ნაპირს ამაგრებენ, როგორც გვეუბნებიან, გაზის ტერმინალი

ვის ხმაური და ჭაობის დუმილი უერთდება ერთმანეთს, ისევე, როგორც ზღვისა და ჭაობის სუნი.

ის, ვისაც აქ მშენებლობის დაწყება მოუნდება, ალბათ, არასოდეს გაუვლია ფეხით ამ ადგილებში. ერთია, ვერტმფრენიდან დახედო ამ ადგილს და მეორე, გამოიარო, მისი ნაწილი გახდე და საკუთარი თავი ეკოსისტემად გაიაზრო. შეუძლებელია, ასეთ ადგილას, დედამიწის ფილტვში, სიგარეტის ნამწვივით ქალაქის ჩადგმა მოგინდეს.

ნაკრძალის საინფორმაციო ბროშურა, რომელიც ფოთში ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში მოგვცეს, ამ სიტყვებით



* * *

„ასფალტის ქვეშ – სანაპიროა!“
ანონიმური გრაფიტი

„ბათუმიდან ლაზიკაში მიმავალო ქარო
თუ ნაკრძალის ფრინველებმა
გკითხონ ვინა ხარო
უპასუხე რომ სუნთქვა ხარ,
აღარ იცი რისი...“

ყულევისაკენ დილაუთენია გავწიეთ. წვიმიანი დღის შემდეგ, ცაზე ღრუბლები – მზის სინათლის ველოსიპედებით, ხოლო

უნდა გაკეთდეს. „ლაზიკას“ შესახებ არც არაფერი იციან. ამბობენ, თუ აშენდება, იქ, ალბათ, თურქ მესხებს ჩაასახლებენო.

მდინარეზე ალიკას გადავყავართ. ადგილობრივია, ისიც თევზაობს და ფოთში აბარებს თევზს, აბა, სოფელში სხვა რითი უნდა ირჩინოო თავი. ნავი გაღმა ნაპირს მიადგა, გადავდივართ და ალიკა დროებით გვემშვიდობება...

ატალახებულ სანაპიროზე ერთი დიდი სატვირთო მანქანა ეზიდება ქვიშას და რამდენიმე ტრაქტორი მიწას ასწორებს. ჩვენ უკაცრიელ სანაპიროზე მივაბიჯებთ. ზღ-

იწყება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე! ამგვარ უნიკალურ ლანდშაფტს საქართველოში სხვაგან ვერსად იხილავთ. კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს ჭარბტენიანი ტერიტორიები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად“.

„კლიმატი არის საუკეთესო აქა. კანიონი არის ყველაზე მაგარი შავ ზღვაზე. და მიწები და ყველაფერი გარშემო...“ – ამბობდა მიხეილ სააკაშვილი, თუმცა არა მგონია, ესმოდეს, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს

იმ ლანდშაფტის ნაშთს, რომლის ანალოგიც ევრაზიის კონტინენტზე დაახლეობით 10 მილიონი წლის წინ იყო გადაჭიმული. ჩვენს წინაშე უძველესი თეატრია, ყველაზე შთამბეჭდავი ბიოლოგიური წარმოდგენა და არსებები, რომელთათვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა მათ ცხოვრებაში თავიანთი ნავთობით მოსვრილი გრძელი, მეტალის ცხვირები არ ჩაყონ, არ გათხარონ და არ გაუშრონ სისხლი.

თუმცა ეს ყველაფერი ხომ ლირიკაა პოლიტიკოსებისთვის, კორპორაციებისთვის, რომლებიც ამ გაბუღულ დედამიწაზე „მსოფლიო ეკონომიკის“ აზარტულ თამაშებს



სერგა მეუბნება, რომ გადამფრენი ფრინველების საუბრები უნდა აღწერო, როცა ერთ დღესაც მოფრინდებიან და აქ ქალაქი დახვდებათო. წარმოვიდგენთ გადამფრენი ფრინველების აქციას პარლამენტის წინ, მოთხოვნით – დაუბრუნონ კუთვნილი მიწები.

თამაშობენ, დებენ და იღებენ ინვესტიციებს, იგებენ და აგებენ... მთელ ამ ვნებათაღელვაში, ვიღას ახსოვს ჩვენი გარემო.

„ამ ტერიტორიას საერთაშორისო მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ სწორედ აქ პოულობენ დასასვენებელ ადგილს გადამფრენი ფრინველები ევრაზიასა და აფრიკას შორის მოგზაურობისას“, – ვკითხულობთ კიდევ ბროშურაში. სერგა მეუბნება, რომ გადამფრენი ფრინველების საუბრები უნდა აღწერო, როცა ერთ დღესაც მოფრინდებიან და აქ ქალაქი დახვდებათო. წარმოვიდგენთ გადამფრენი ფრინველების აქციას პარლამენტის წინ, მოთხოვნით – დაუბრუნონ კუთვნილი მიწები.

შორს თეთრ ყანჩას ვამჩნევთ, რომელიც კამარას კრავს და ჭაობში ეშვება. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ თან თითქოს მთელ სივრცეს ავსებს, სივრცეს, რომელსაც მის გარეშე რაღაც აკლდა.

* * *

ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენი ტვინები შემნახველ საკნებს ჰგავს, სეიფებს, რომელშიც ძალიან ადრე წარმოდგენები დაუტოვებიათ, შემდეგ კი მათთვის არავის მოუკითხავს. დევს ახლა ასე უძრავად – ძველდება, ყროლდება, ჟანგდება, ხმება, გამოდის მოდიდან, ხმარებიდან, ვადა გასდის, მოხმარების ინსტრუქციაც კი არავის ახსოვს. მიუხედავად ამისა, საკნები საიმედოდ არის დაცული. სულ ახალ-ახალ დაცვის სისტემებს უყენებენ, კოდის შეცვლით კი თავს არ იწუხებენ. ეს შეიძლება იმიტომ, რომ სინამდვილეში, იქ შენახული ხარახურა არც არავის სჭირდება. ეს ერთგვარი ფანდია, ნაძალადევად შექმნილი იმედი, რომლის ამარა ცხოვრებაც თანდათან უფრო ძნელდება. იმედი იმისა, რომ ჩვენში რაღაც ძვირფასი ინახება... მაგრამ თუ ამ პატარა, სქელ კარს გავხსნით, იქიდან მხოლოდ სიცარიელე შემოგვხედავს, თავისი დიდი შავი თვალებით.

ბუნება ყველაზე დიდი ტაძარია და თუ ჩვენი საზოგადოება, რომელიც მართლმადიდებლურ ტაძრებს ლაზიკასავით მითიური მტრებისგან იცავს, არ გაუსწორებს თვალს იმ რეალურ საფრთხეს, რომელიც მართლაც ყველაზე დიდ ტაძარს – ბუნებას ემუქრება, თუნდაც პრეზიდენტის ამ ინიციატივის სახით, გამოუსწორებელ შედეგებს მივიღებთ. არ ვიცი, გარემოს დამცველები რას ასკვნიან, ან ვინმემ რამე ჰკითხა თუ არა მათ, მაგრამ მე, რომელიც ახლა ამ უკაცრიელი ჭაობის შუაგულში ვდგავარ, ვხვდები, რასაც იზარალებს ბუნება თუნდაც ყველაზე კეთილშობილური მიზნის მისაღწევად. ქალაქის ქვეშ უნიკალური ჭაობი მოექცევა. ეს კი გლობალურ საფრთხეებს გამოიწვევს და აქ უკვე ჩვენთვის ნაცნობი თუ უცნობი ღმერთიც ვერაფერს გააწყობს.

წარმოიდგინე, რომ შენც იქ დგახარ ახლა, იქ, სადაც მე და სერგი და შენც იმავეს ხედავ, რასაც ჩვენ. წარმოიდგინე, რომ აქ, ამ მინდორზე, შეიძლება ლაზიკას მთავარი მაგისტრალი გადიოდეს. ჭაობის დუმილის ნაცვლად, ურბანული ჯუნგლის ხმები გესმოდეს. ალბათ, შენც ჩემსავით – ვერაფრით წარმოიდგენ ამ სურათს. თვალებს დახუჭავ და თავს გააქნევ გონების შესაჯანჯღარებლად – ბრრრ, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც ვერ წარმოიდგენ. მაინც ვერაფრით აიძულებ თავს, აქ, ამ გაყუჩებულ სიცარიელეში მეგაპოლისი დაინახო, არა იმიტომ, რომ ვინმეზე ნაკლები წარმოსახვის უნარი გაქვს. არა იმიტომ, რომ არ გინდა ეკონომიკური განვითარება, ან ვერ ხედავ იმ პოტენციას, რაც მეგაპოლისს, ინვესტიციებს და ა.შ. პროექტებს ახლავს თან; არა. უბრალოდ იმიტომ გიჭირს წარმოსახვა, რომ გტკივა, რომ ეს დაუშვებლად მიგაჩნია. გჯერა, რომ აქ, ეს მინდორი ამ ყანჩას ეკუთვნის. ის უნდა ასვენებდეს აქ ფრთებს იმის მაგივრად, რომ მძღოლი ელოდეს მწვანე შუქის ანთებას უიმედო საცობში; გჯერა, რომ ეს ტერიტორია ამ ეკოსისტემის ბუნებრივ მონაწილეებს უნდა რჩებოდეთ, ინვესტიციების მოზიდვა, აღორძინება და სუპერმეგაპოლისად ქცევა კი, ამ ყანჩებზე მეტად, ფოთელებს გაეხარდებათ, აი, იმ ძველ, ისტორიულ, პატარა საპორტო ქალაქში, სადაც ის სევდიანი ხანდაზმული ქალი ცხოვრობს ტბებისა და ჭაობების მსგავსი თვალებით.

რაგბით მოწამლული

ავტორი ლადო კილასონია
ფოტო გოგიტა ბუხაიძე

რუსეთ-საქართველოს მატჩი, 17 მარტი 2012

ლოკომოტივის ტრიბუნები ნელ-ნელა ივსება. ხალხი უწყვეტ, წვრილ რიგებად მოედინება, სექტორებს შორის დატანებული სქელი თეთრი გისოსებიანი კარის სიღრმიდან ჩნდება, დაცვის კორდონს გადის და ხმაურით მოუყვება, მოიზლაზნება სკამებს შორის. ყველა ცდილობს სხვას დაასწროს, კარგი ადგილი დაიკავოს.

ჩვენ დასავლეთის ტრიბუნაზე ვსხედვართ, სპეციალურად წამოვედით ორი საათით ადრე, საცობებიც კი არ იყო, ახალი გზიდან რომ ავუყევით ვაკე-საბურთალოს აღმართს. როგორც ყოველთვის, მაღლა ვსხდებით, მაღლიდან ხომ ყველაფერი ბევრად უკეთ ჩანს, მაგრამ ამჯერად, ოც ადგილს თავიდანვე ვიკავებთ, ვიცით, ბილეთები მთლიანად გაყიდულია, სტადიონის შემოსასვლელში კი მოუსვენრად ფუსფუსებენ ხალხით ალყაშემრტყმული გადამყიდველები.

– მოდი, იცი, რა ვქანთ, – ამბობს ვახუნა, – ორ რიგზე დავჯდეთ, ორი კაცი ჩვენი ადგილების დასაწყისში, ორი კი ბოლოში და თავისუფალი სკამები შუაში მოვიქციოთ, უფრო იოლად გავაკონტროლებთ.

ეგრეც ვიქცევით და ახლა მოუსვენრად დავყურებთ ჩვენს ქვეშ ოდნავ გვერდულად გაწოლილ მომწვანო-მოყვითალო მოედანს, მოედნის ირგვლივ ლაპლაპა პლასტმასის ფარებით შემორტყმულ სპეცნაზელთა ჯაჭვს და ყველაზე სასიამოვნო ლაპარაკი გვაქვს – წინასამატჩო, იმედიანი, დაძაბული, მოუსვენარი. სტადიონი კი ნელ-ნელა იფარება, იძირება ხალხში.

გიფიქრიათ, რას გავს ყველაზე მეტად გადაჭედილი სტადიონი? ამას წინათ ვუყურებდი ფეხბურთის მატჩს, თეთრ და ლურჯ ფერებში გამოწყობილი ფანობა (გუნდი აღარ მახსოვს) ტრიბუნებზე დახტუნავდა და მაშინ მომეჩვენა, რომ გადაჭედილი სტადიონი გულს გავს, ერთ დიდ, მთლიან გულს, რითმულად, შეუჩერებლად რომ პულსირებს და ქაჩავს სისხლს.

– არა, დინამო უნდა აეღოთ, – თმას ხელით იჩეჩავს ჩემს ქვემოთ მოკალათებული ბიჭი.

მაგრად მიხარია, რომ სტადიონი ივსება, ივსება რაგბის გამო და რაღაცნაირად მწყინს კიდეც, იმიტომ, რომ ვხვდები, ეს შევსება უფრო რუსეთია, პოლიტიკაა, ვიდრე სპორტი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, სტადიონი იჭედება, ხალხი უკვე ქვის კიბეებზე ზის, მოედნის თავზე კი სვავებივით დაფრინავენ, კამარას კრავენ ცელოფნის პარკები.

– ისე, რა მაგარია, არა? კარგი გუნდი რომ გყავს, ჰანიკენის (რეგბის ჩემპიონთა ლიგაა) თასს რომ თამაშობს და ყოველ კვირა ასეთი ამბავი, დღესასწაული რომ გაქვს ქალაქში.

აცილებენ, ქარია. მეორე ჯარიმა – ბურთი მოქანავე თეთრ ძელებს შორის გადის, 3 – 0, წინ გავდივართ, რუსები ისევ აცილებენ ჯარიმას და აქ, მამუკა გორგოძეს გააქვს პირველი ლელო, რაქიდან იღებს ბურთს, დაცვის ხაზს არღვევს, ლელოში შედის და მერე ლელოები სეტყვასავით იწყებენ ცვენას: ბინგო, მაჩხანელი (აბუსერიძის ძალიან მაგარი გადაკიდებულით და გორგოძის ლელოში გაკეთებული პასით), დათუნაშვილი, მაჩხანელი, მაჩხანელი, ნემსაძე, მაგრამ მთავარი ლელოთა სიმრავლე კი არა, მათი ხარისხი, სილამაზეა, რომელთაგანაც ორი გამორჩეულად

თი, კარგად აგდებული აუტი, კიდიდან კიდეზე ლამაზად ჩატანილი ბურთი და როგორ სწყინს შეცდომა, არგამოსული კომბინაცია ან ძირს დავარდნილი პასი, რომ მიხვდე ეს ადამიანი სამუდამოდ მოწამლულია. მოწამლულია გიჟურად, უკანმოუხედავად, უკურნებელად.

ვისაც არასოდეს უთამაშია რაგბი, ის ძნელად თუ მიხვდება, რა არის ეს და მართალია, ქვეყანაზე არასოდეს დაილევა შეშინებული თუ უბრალოდ სულელურად წამოსროლილი ფრაზები: „ღმერთო ჩემო, როგორი ვირული სპორტია“, „მე შვილს აქ ვერ ვატარებ“, „რო ვუყურებ გული მისკდება“,

ძაან მაგარია, ვფიქრობ ჩემთვის და გუნდებიც გამოდიან. ხალხის მოძრავი ხალიჩა გუგუნს იწყებს, მაყურებელი იმდენია, რომ ტრიბუნები საერთოდ აღარ ჩანს, უყურებ და გგონია, ადამიანები ერთმანეთზე აკოკოლავებულან, კედელი აუშენებიათ და გეჩვენება, სადაცაა უკან გადაიზნიქებიან და გადაიყრებიან როგორც ქარაფიდან.

რუსეთის ჰიმნს სტვენა ფარავს, ქართულს მთელი სტადიონი ერთად მღერის და მსაჯის სასტვენიც ისმის.

მძიმედ ვიწყებთ, ჯარიმას ვაცილებთ და ეგრევე ვჯარიმდებით ჩვენს მოედანზე, რუსები ურტყამენ და ისინიც

კარგია: აბუსერიძის რეიდი და პასი ნემსაძეს და მალაღურაძის გარღვევა და პასი მაჩხანელს და ვიგებთ, ვიგებთ რეკორდული ანგარიშით: 46 – 0!

ძალიან კარგია აბუსერიძე, მალაღურაძე, კაჭარავა, ყიასაშვილი, ქუბრიაშვილი. მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი მამუკა გორგოძე ხდება და სწორედ აქ იწყება ჩვენი ამბავი.

მამუკასთან დალაპარაკებაც არ არის საჭირო, თუ გინდა თამაშსაც ნუ ნახავ, უბრალოდ მიდი და ვარჯიშზე შეხედე, შეხედე როგორ იხარჯება ბოლომდე, როგორ ბავშვივით უხარია საკუთარი გუნდის კარგად შესრულებული ილე-

მაგრამ ასეთი ადამიანები, ვერასოდეს, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვერ გაიგებენ ბოლო წუთზე გატანილი ლელოს ოფლიან, სისხლნარევ გემოს, ვერ შეიგრძნობენ იმ უცნაურ და ძალიან მაგარ გრძნობას, როდესაც მინდორზე სრულიად მარტო, პირისპირ დარჩენილი საკუთარ შიშებთან, დაძლევ, მოერევი, ბოლომდე გაწირავ თავს, შენზე ბევრად უფრო დიდ, ჯანიან მოწინააღმდეგეს შეუვარდები ფეხებში, ააყირავებ, წამოდგები და იმ თუნდაც თითო-ოროლა შენიანი „ბალეშიკის” ხმა ისე ჩაგესმება ყურში, თითქოს მაღალი კლდის ქარაფზე

იდგე, ვერ ხედავდე, მაგრამ გესმოდეს, როგორი ხმაურით აწყდებიან შენს ფეხქვეშ ზღვის ტალღები კლდოვან ნაპირებს და არც ერთი ასეთი ადამიანის სხეულს ელექტროდივით არ დაივლის, არ დაბურძგლავს გადაჭედილი ტრიბუნებიდან ქარიშხალივით ამოვარდნილი შეძახილები.

რაგბის თავისი სპეციფიური, განუმეორებელი გემო აქვს და საკმარისია ერთხელ შეიგრძნო, რომ მორჩა, სამუდამოდ ჩარჩები ამ ოფლით, ტალახით, სიხარულითა და იმედგაცრუებით სავსე სამყაროში.

მამუკა ამ სამყაროში უცნაური გზით

– გია ლაბაძემ (ცნობილი ქართველი მორაგბე და ეროვნული ნაკრების კაპიტანი) მიმიყვანა ლელოში, ლევან მაისაშვილთან და მაქედან დაიწყო, ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებებში მოვხვდი (მახსოვს, მაშინ მეც ვთამაშობდი, მამუკა ეგრევე შეამჩნიეს ან ვის გამოეპარებოდა, ლამის ორმეტრიანი, ჯანიანი ბიჭი, რომელიც ძალიან სწრაფად დარბოდა და სულ დაჯახებაზე ოცნებობდა), მერე ეროვნულშიც დამიძახეს და ბოლოს მამუკა მაგრაქველიძემ, კირვანამ (ასევე ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე), საფრანგეთში, ელიტა ერთის გუნდში (უმაღლესი ლიგა), მონპელიეში გამიკეთა მოწვევა, სადაც ორი წელი ვითამაშე ესპუარებში, ჩვენებურად დუბლებში და შემდეგ ორწლიან პროფესიულ კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რომელიც მერე კიდევ სამი წლით გავაგრძელე.

პროფესიული სპორტი მურტალი რამეა, ნიჭთან ერთად აუცილებელია შრომისმოყვარეობა, რომელსაც ზოგ-ზოგიერთი მწვრთნელები უმთავრეს ნიჭად თვლიან, რადგან არ მახსოვს ვინ, მაგრამ ვიღაცა ძალიან მაგარმა თქვა, ჩემამდე კი ეგ გამონათქვამი ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშემ, ჩორტიკამ მოიტანა: ნიჭი შრო-

მოვიდა, კალათბურთს თამაშობდა და არც თუ ისე ცუდად. ანუ ის არ ყოფილა, აქ არ ვვარგივარ და აბა სხვაგან ვცდი ბედსო.

– არა, უბრალოდ, მაშინ რეგბი პოპულარული გახდა, ეროვნული ნაკრები თამაშებს იგებდა და რაღაცნაირად უფრო ჩამიჯდა ეს თამაში, ჩემს ხასიათთან ბევრად უფრო ახლოს იყო, – მეუბნება ყვითელ კედელს თავმიყრდნობილი, ორი დღით ადრე რუსეთის მატჩამდე. შევარდენის სარაგბო ბაზის სასტუმროში ვართ, მეორე სართულზე, ტყავის შავ სავარძლებში ვსხედვართ.

მაგრამ მთავარი ლელოთა სიმრავლე კი არა, მათი ხარისხი, სილამაზეა... ორი გამორჩეულად კარგია.

ვიგებთ, ვიგებთ რეკორდული ანგარიშით: 46 – 0 !

მისმოყვარეობის გარეშე ფეერვერკს გავს – გაანათებს და ჩაქრებაო. და, რა თქმა უნდა, იღბალი, გამართლება.

მამუკამ პირველ წელს სულ შვიდი თამაში ითამაშა, მწვრთნელი არ მენდობოდაო, მერე ტრავმა მიიღო.

– ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, მწვრთნელი ან მაღლა აგიყვანს ან დაგახრჩობს.

– და შენთან რომელმა მწვრთნელმა ითამაშა ყველაზე დიდი როლი? – ვეკითხები მე.

– გალწიემ!* – მპასუხობს მაშინვე, – მაგან მომცა მწვანე შუქი და დღემდე ეგრე აგრძელებს.

და მამუკაც ათამაშდა, მეტსახელი გორგოძილაც დაირტყა, მსოფლიო ვარსკვლავადაც იქცა და წინა წლის საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე რაგბისტებში ჩატარებულ გამოკითხვაში: „ყველაზე აგრესიული მოთამაშე“, მეორე ადგილი დაიკავა, კანადელი კუდმორის შემდეგ.

– ბინძური კი არა, აგრესიული, – მიხსნის მამუკა და მართალია, რადგან გაბრაზებული და სხვაზე გაწეული ხშირად მინახავს, მაგრამ რაქში რომ ვინმესთვის ჩუმად ჩაერტყას, არასდროს, – მე თვითონ არ ვიწყებ პირველი, მაგრამ თუ ის მეუხეშა, არ გავუტარებ, ეგეც ხასიათის ბრალია.

ხშირად აგდებდნენ ჩხუბისთვის, იღებდა ყვითელ ბარათებს, ჰქონდა დისკვალიფიკაციები. ეხლა აშკარად ჩანს, რომ საკუთარ თავს თოკავს.

– ალბათ, ადრე გუნდისთვის ნაკლებად საჭირო მოთამაშე ვიყავი და იმიტომ, ეხლა კიდევ ვხვდები, რომ ჩემი გაგდებით კაცნაკლულს დავტოვებ, თანაც საფრანგეთში უკვე იციან, რომ არ დავუთმობ და აღარ მეუხეშებიან, წამოკიდებასაც აღარ ცდილობენ.

ვის თამაშს შეიძლება შეადარო მამუკას თამაში? აგრესიული, ძალისმიერი, ხისტი. ტუილაგები! მახსენდება ეგრევე სამი სამოელი ძმა. უფროსი ჰენრი, ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი რაგბისტია დედამიწის ზურგზე და საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს, ბასკურ „პერპინანში“, ორი უმცროსი ძმა, ალესია და მანუ კი – ინგლისში. არ მიყვარს ინგლისელი ტუილაგები, განსაკუთრებით კი მათში უფროსი ალესია, საკუთარი არაადამიანური ფიზიკური ძალით რომ ტკბება ხოლმე, დაეჯახება ვინმეს, დააგდებს და სახეზე ნასიამოვნები ღიმილი გადაურბენს, ხანდახან მივა ხოლმე და ირონიულად გადაუსვამს თავზე ხელს, თითქოს ეკითხება: როგორა ხარ, პატარა ბიჭოო? მამუკაზე იგივე არ შემიმჩნევია, ამ ყველაფერს ვეუბნები.

– არა, ჰენრიმ ეგეთი რამეები არ იცის, მაგარი „დასტოინი“ კაცია, სხვათა შორის, ეგ არც ქართველებს არ გვაქვს, ეხლა ისე არ გამომივიდეს, არიქა, ჩვენ ვართ, რაც ვართო, არა, ყველგან არის ცუდი და კარგი, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა დაცინვა არ იციან და ეგ კარგია, სწორედ უნდა მიუდგე, შენც რეგბისტი ხარ და ხვალ შეიძლება შენ დაგაგდონ.

– თვითონ თუ გყავს ან გყავდა საყვარელი რეგბისტი? ვინმე ისეთი ვისაც ბაძავდი ან ბაძავ?

ცოტა ხანი ფიქრობს.

– არა, მგონი არასოდეს, ყოველთვის ისე ვთამაშობდი, როგორც გულიდან მომდიოდა და ეგეთი არავინ მყოლია და რომც მყოლოდა, ისეთი ბოღმა ვარ, მაგ ამბავში, მაინც არ ვიტყოდი.

ორივეს გვეცინება.

– მაშინ ვისთან გაინტერესებს თამაში, ძლიერ მოწინააღმდეგეს ვგულისხმობ, არის ეგეთი მოთამაშე?

ერთი სულელური ფილმია, სახელიც არ მახსოვს, მთელი ჰოლივუდია ჩაყრილი შიგნით: ლეონარდო დიკაპრიო, რასელ ქროუ, ჯიმ ჰეკმანი, შერონ სტოუნი, სულ დუელები რომ მიდის, დუელების ჩემპიონატი რომ ტარდება და ამ უცნაური ჩემპიონატის ფინალში რასელ ქროუ, ყოფილი ყაჩაღი და ახლა კი მღვდელი და მისი ბანდის ძველი მეთაური, ჯიმ ჰეკმანი ხვდებიან ერთმანეთს, ველური დასავლეთის ხის ერთქუჩიანი ქალაქის მტვრიან ცენტრში დგანან ერთმანეთის პირისპირ, სადაც ჰეკმანი ეუბნება: არასოდეს არავისი შემშინებია, აი, შენი კი ცოტა მეშინია და ვგიჟდები, ისე მომწონს ეს გრძნობაო.

– არა, არც ეგეთი ვინმეა, ამოჩემებული რომ მყავდეს, – იძახის მამუკა, – უბრალოდ ყოველთვის ვცდილობ, ჩემს ოპონენტ ნომერს ვაჯობო, იმაზე კარგად ვითამაშო.

მამუკას ვარჯიშები არ მქონდა ნანახი.

– სულ ეგრე ხარ?

– დედას ვფიცავარ, სხვანაირად არ შემიძლია, ყველაფერი გულთან მიმაქვს ახლოს. სადაც ვარ იქ ვარ და ვარ ბოლომდე, არა აქვს ამას მნიშვნელობა, საქართველოა თუ მონპელიე. ამის გამო, ხშირად ვფიქრობ ზედმეტი არ მომივიდეს, მგონია, რომ არ მომდის, მაგრამ ბიჭებს მაინც ვუბოდიშებ ხოლმე.

საქართველოში მამუკა გორგოძე ყველამ იცის და ეს მისი თამაშიდან გამომდინარეა, რომელიც ძალიან იოლი გასაგებია რიგითი გულშემატკივრისთვის. აიღე და წადი წინ. ჯერ მარტო ის მომენტი რად ღირს, ესპანელს ბურთთან ერთად შემთხვევით მაისური რომ გადააძრო, ბურთი იმ მაისურში გაეხვია და თამაშიც ამ უცნაური თეთრი დროშით გაგრძელდა ცოტა ხანი. მაგრამ რაგბის მცოდნეები მამუკას თამაშში უამრავ ცვილელებას ხედავენ და ეს ცვლილებები სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოა, პასი, ფიქრი, „ოფლოუდი“, ანუ ძირიდან ან შებოჭილიდან ბურთის თანაგუნდელისთვის აგდება.

– კი, ეგრეა, თუმცა ძაან არასოდეს „გავტეხნარდები“, ზოგი მოთამაშე ფიქრობს ძაან ზევით ავედიო და ზედმეტი მოსდის. მე რითაც მოვიპოვე ჩემი სახელი, აგრესიული თამაშით, იმას ვითამაშებ სულ, რეგბი აგრესიაა! ჯახს თუ დაკარგავ, დაგერხევა, დავინახავ რო პასი უნდა მივცე, მივცემ, მაგრამ თუ დასაჯახებელია, აუცილებლად დავეჯახები!

თუმცა, თამაშის სტილის ცვლა ძალიან ბუნებრივი პროცესია პროფესიულ სპორტში და ამას მარტივი მიზეზი აქვს: სანამ ახალი ხარ და არავინ გიცნობს, არც შენი მინუსების და პლიუსების შესახებ აქვთ წარმოდგენა და ცოტა ზერელედ გეკიდებიან, როგორც ახლად მოსულს, გამოუცდელს, მაგრამ როგორც კი ხვდებიან, რომ მაგარი ხარ, თამაში ძალიან რთულდება და ზუსტად მანდ, როდესაც ორ ან სამ გამოცდილს შებოჭვებში, ძიძგილაობასა და რაქებში სახედაჭყლეტილ, ტკივილის გრძნობა გამქრალ, დაგვაჯულ ბულდოგს მოგიჩენენ, გამოჩნდება ხოლმე სპორტსმენის ნამდვილი ფასი.

– ეგრეა, – მეთანხმება მამუკა.

ჩვენთან პროფესიული სპორტი უფრო დიდ ხელფასთან, ლამაზ ქალებთან, კარგ მანქანებთან, ძვირადღირებულ წვეულებებთან ასოცირდება, ვირული შრომა კი, რომელიც მუდმივად თან ახლავს ამ პროცესს, ყველას გვავიწყდება. არადა, ეგ არის ყველაზე რთული ორჯერადი და სამჯერადი ვარჯიშები, სპორტული დიეტა და სპორტული დამატებები, რეჟიმი, გრძელი და მომქანცველი სეზონი, ბევრი

ვერ უძლებს ამას. იცით, რომ პროფესიონალი სპორტსმენები მაგრად (და ამ „მაგრადში“ საერთოდ არ იგულისხმება ქართული, მამა-პაპური, ერთ დალევაზე შთანთქმული რაოდენობა, არა, აქ სიხშირეა) სვამენ? ვერ უძლებენ რეჟიმს.

– მოსდის ბევრს, – ამბობს მამუკა, – აქ რაც არ არის, იქ არის, მაგრამ უნდა იცოდე და გახსოვდეს, რომ სპორტში ხარ, ეხლა რობოტი კი არ უნდა იყო, არა, ცოტ-ცოტა განმუხტვაც აუცილებელია, მაგრამ გაჩერება უნდა იცოდე. თამაშის წინ ხანდახან მაღაზიაში არ გავდივარ ხოლმე, არასოდეს არ უნდა მოეშვა, სახელის მოპოვება ადვილია, შენარჩუნებაა ძნელი.

თუმცა მარადიული არაფერია.

– ხო, ეგ არი. იცი, მაგრად ვნერვიულობ მაგაზე სუ, რო, აი, როგორც შემეძლო ადრე ვარჯიში, ისე ვეღარ ვვარჯიშობ, 45 თამაშია სეზონში, ტანი სულ დალურჯებული გაქვს, ხვდები, რომ სხეულს აღარ შეუძლია, შენ კიდე ზიხარ და საკუთარ თავს აჯერებ, არა, შენ არ ხარ დაღლილი, მიდი! მიდი! გინდა, რომ იმ დიდ წონებს ეჭიდავო, როგორც ადრე, ძნელია, მაგრამ მაგის გარეშე არ გამოდის. სანამ თამაშობ, უნდა იყო მაგრად!

– რისი გაუმჯობესება გინდა თამაშში, ანუ რაზე გაქვს სამუშაო?

– რავი, რაღაც საფეხური გავიარე, თუმცა წინ კიდევ ბევრი დარჩა. ადრე უფრო ისე იყო, რომ ლელოზე ვთამაშობდი, ეხლა ჩემთვის მთავარი გუნდურია. ისე კი არა, რომ თუ ლელოს გატანის შანსი მომეცა, პასს მივცემ, არა, მაგრამ პირველი გუნდია!

– ქართველი ბიჭები ძალიან ხშირად მიგყავს საფრანგეთში. – ვეუბნები მე.

– მაგაზე კარგს რას გავაკეთებ, – ეღიმება მამუკას, – ხომ უნდა გახსოვდეს, აქ რომ იყავი, როგორ გინდოდა წასვლა და თან მაგრად ასწორებს, რომ მოიხედავ და რაღაც რომ გაქვს გაკეთებული.

– მონპელიე როგორია? ალბათ, ძაან სარაგბო ქალაქია, არა?

– არ არის მაინცდამაინც, მაგრამ ჩვენმა „პაკალენიამ“: ტრენდუკი, ოვერდრაგო, ტომა, მე, უფრო წამოვიღეთ რეგბი, გულშემატკივრებიც გვყავს, ვუყვარვართ, სტადიონი ივსება.

ვუსმენ და ვხვდები, რომ ამ სიტყვა „ჩვენში“ უამრავი რამეა: ის, რომ მამუკა იქ უცხო აღარ არის და მონპელიეს ვარსკვლავები, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები „ეს პაკალენია“ კი არ არის, არამედ მისი თაობაა, რომ მონპელიე მისი გუნდია, რომელშიც მამუკა რიგითი უცხო ქვეყნიდან მოსული ლეგიონერი კი არა, გუნდის სრულუფლებიანი წევრი, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დიდი მექანიზმისა. მე ისიც ვიცი, რომ ის ძალიან უყვართ გულშემატკივრებს, რადგან მამუკა იმედია, კაცია, რომელიც გუნდს დაიცავს, არ გაჩერდება და არაფერზე დაიხევს უკან.

მამუკაც ათამაშდა, მეტსახელი გორგოძილაც დაირტყა, მსოფლიო ვარსკვლავადაც იქცა და წინა წლის საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე რაგბისტებში ჩატარებულ გამოკითხვაში: „ყველაზე აგრესიული მოთამაშე“, მეორე ადგილი დაიკავა.

უცებ მახსენდება, რომ მამუკას სახლი საფრანგეთში მონპელიეს სტადიონის გვერდითაა და პირდაპირ ტრიბუნებს გადაჰყურებს, ამიტომ ვეკითხები.

– საფრანგეთში აპირებ დარჩენას?

– არა, – მპასუხებს ეგრევე, მაგრამ მერე აყოლებს – თუ არ მომიწია.

– მოგიწია, მწვრთნელობის ამბავში თუ... – ვიწყებ მე.

– არა, ბავშვები, – მაწყვეტინებს მამუკა.

არა რა, მაინც რა მურტალი რამეა ეს რაგბი, კაცზე ამდენი ხანია ვყვები და საერთოდ არ მიხსენებია რომ ჰყავს ცოლი, ციცი და ორი შვილი: შვიდი წლის ლიზა და სამი წლის ნიკოლოზი.

– ქართული იციან?

– კი, მეუღლე ქართველია, სახლში სულ ქართულად ვლაპარაკობთ, მულტფილმები, ეგეთი რამეები, ქართული მიმაქვს, მაგრამ დილის ცხრიდან საღამოს ხუთამდე სულ ფრანგებში არიან, მე კიდევ შვიდი-რვა წელი კიდევ ვაპირებ თამაშს და ნაღდად არ ვიცი, როგორ და რა იქნება, – ამბობს მამუკა და გვერდზე იყურება.

– სახლში როგორ ხვდებიან მაგ ამბავს?

– მამაჩემი ემოციური კაცია, – იცინის მამუკა, – რო შევდივარ, ყველგან ჩემი სურათები კიდია, გაზეთებიდან ჭრის სტატიებს და წიგნად აწყობს, მე ჯუჯღუნა ვარ, ვეუბნები, რას აგროვებ, ბოლოს, ეხლა რო ვიყავი იმდენი იყო, ვეღარ მოვითმინე და მეთქი, რაღად გინდა შპალიერი, ჩამოხიე და გაუშვი სურათები-თქო. მაგრამ რა უნდა ვუთხრა, ისედაც წელიწადში სულ რამდენიმეჯერ მხედავს და უხარია რასაც აკეთებს.

– საქართველოს ნაკრებზე რას იტყვი? – ვუბრუნდები ისევ რაგბის.

– ყველაფერი ნორმალურადაა, ახალი მწვრთნელები გვყავს და მუშაობენ, მე მომწონს, ნაკრებს პროგრესი ეტყობა, მთავარი კიდევ – მეგობრობა და ერთად ყოფნა – გუნდში არის და ვნახოთ.

– რეგბის მერე რას აპირებ?

– არა, – მეუბნება მამუკა და თავს აქნევს, – რეგბი პირველ ადგილზეა და იქნება, სანამ ვითამაშებ, დანარჩენს კი მოვასწრებ!

აი, ეგეთია მამუკა გორგოძე – პირდაპირი, ალალი, ფიცხი, გულიანი, რაგბით მოწამლული, ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ – რთული, მაგრამ რომელი ნიჭიერი კაცია იოლი!

***ფაბიენ გალნიე** – საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ცხრა ნომერი და მონპელიეს ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი*

თეა წულუკიანი
კანონის მხარეს

ავტორი მაია წიკლაური

ფოტო: მაკა ბოგალაძე

თიანეთში, ორსართულიანი, თეთრი სახლის ეზოში 30-მდე ადამიანია შეკრებილი. შენობაზე კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს დროშებია გამოფენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეზო თოვლითაა დაფარული და ცივი ქარიც უბერავს, კოალიციის ლიდერებმა გადაწყვიტეს, ოფისის გახსნის ცერემონია მაინც გარეთ გამართონ. ცნობილ ოპოზიციურ სახეებს შორის შეამჩნევთ პატარა ტანის ქალბატონს, რომელიც ერთდროულად მკაცრი და ცოცხალი გამომეტყველებით, თითქოს, უცხოსავით აკვირდება ფუსფუსს – ლიდერები მსჯელობენ, სად დადგან დროშა, როგორ განაწილდნენ, ის კი ჩუმადაა. სიცივის მიუხედავად, შილიფადაა ჩაცმული – თოვლიანი ამინდისთვის, აშკარად, შეუფერებლად. თხელი ქურთუკი აცვია და ქარისგან დასაცავად კისერზე თხელ, ჭრელ ფერებში გაწყობილ შარფს ისწორებს შიგადაშიგ. პრეზენტაცია იწყება. ტრიბუნასთან გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიან. მჭექარედ და ხაზგასმული პათეტიკურობით მიმართავენ შეკრებილებს. მერე მისი ჯერიც დგება და იწყებს:

„არ ვიცი, ყველას გესმით თუ არა ჩემი ხმა, – არადა, სიჩუმეს გარშემო მხოლოდ თოვლის ხრაშუნი თუ არღვევს, – მადლობა მინდა გითხრათ თანადგომისთვის! მადლობა იმისთვის, რომ ჩვენ გვაქვს ოცნება სამართლიანობისთვის, ოცნება, რომ სოფელი არ დაიცალოს, ქართველი გლეხი და ოჯახი გაძლიერდეს, ოჯახიდან სხვა წევრების სარჩენად არავინ იყოს გადახვეწილი. ჩვენი ოცნება არ არის მხოლოდ უკეთესი მომავალი. უნდა ვიმოქმედოთ, დავძლიოთ შიში და ჩვენ, ქალები, მოგცემთ მაგალითს შიშის დასაძლევად!“ – მის გამოსვლას შინაარსი კი აქვს ემოციური, მაგრამ თვითონ ისე მშვიდად და გაწონასწორებულად მეტყველებს, რომ მაოცებს – 2009 წლის შემდეგ რამდენი აქციაც გამართულა, უმეტესობა გამიშუქებია, მაგრამ ტრიბუნიდან ასე მშვიდად და დამაჯერებლად მოსაუბრე გამომსვლელი იშვიათად მინახავს.

ახლა მახსენდება, თეამ მაშინაც გამაოცა, როცა პირველად გავიგე მისი სახელი. საინფორმაციო გამოშვებაში თქვეს, რომ ვინმე თეა წულუკიანმა, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასამართლოში იურისტის კარიერა მიატოვა და 12-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, პოლიტიკაში მოსვლის მიზნით. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს რეალობა იყო.

„მე იმედი მაქვს, რომ ჩემი მაგალითი, ადამიანის, რომელმაც მივატოვე კარიერა, და ჩამოვედი საქართველოში, ბიძგს მისცემს სხვა ადამიანებს, პროფესიონალებს, რომ დაბრუნდნენ და ააშენონ ეს ქვეყანა“, – 2010 წლის 15 მაისს თეა პოლიტიკოსის რანგში ამ სიტყვებით პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე. ის შვიდი თვით ადრე დაფუძნებული ოპოზიციური პარტიის, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ პარტიის მრჩევლად დაასახელა.

ცხადია, ირაკლი ალასანიას პარტიისა და მისი მხარდამჭერებისთვის თეას არჩევანი საამაყო იყო – ევროპული სამართლის შესანიშნავი სპეციალისტი; ქალი, რომელიც ევროპის სასამართლოში პირადად განიხილავდა ყველა იმ საქმეს, რომელთაც ოპოზიციური პარტიები ხშირად იყენებდნენ ხელისუფლების პოლიტიკის გასაკრიტიკებლად, აქტიურ პოლიტიკურ კარიერას იწყებდა. ეს საზოგადოების ნაწილისთვის ზურგის გამაგრება იყო, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების სისწორეში კიდევ ერთხელ დარწმუნების საშუალება.

თუმცა, როცა თეას ვეკითხები, რა იყო მისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ქართულ პოლიტიკაში მოსვლას უფრო პირადულ ახსნას უძებნის: „ხშირად მემართება ხოლმე ასე, მიჭირს, ბოლომდე შევირგო ის, რასაც მაძლევს ცხოვრება. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გამიმართლა. ბევრი რამ მივიღე ცხოვრებაში და სულ მიღების პროცესში ვერ ვიქნები. რაღაც უნდა გასცე და დათმო კონკრეტულ მომენტში. ამდენი „სულ მიღება“ არ არის სწორი!“

სამსახურიდან რომ მიდიოდა, ამის შესახებ, ორი თვით ადრე უნდა ეცნობებინა ხელმძღვანელებისათვის. როგორც წესი იყო, შესაბამის დეპარტამენტს შეატყობინა. შეტყობინების შინაარსმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განცვიფრება გამოიწვია. 10 წლის განმავლობაში ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო მოხელის თანამდებობაზე უარი კონკრეტულმა პირმა საკუთარი ნებით თქვა. როგორც წესი, თეას თანამდებობაზე იურისტები ოცნებობდნენ. ეს გულისხმობდა არამხოლოდ ძალიან ნაყოფიერ იურიდიულ პრაქტიკას, არამედ ბევრ მატერიალურ სიკეთეს და სტაბილურად მზარდ კარიერასაც: თვეში 8 ათასი ევრო ხელფასი, ნორმირებული შვებულება – 43 დღე წელიწადში, სტანდარტული სამუშაო დღე, რომელიც საღამოს 6 საათზე სრულდება და საშუალება – საერთაშორისო მოხელედ 65 წლის ასაკამდე იმუშაო და უზრუნველად იცხოვრო.

2000 წლიდან თავის სამუშაო ოთახში დაგროვებულ ნივთებს, ძირითადად, წიგნებს, საქართველოში წამოსაღებად სამი დღის განმავლობაში არჩევდა, შემდეგ კი მანქანაში ალაგებდა. სამსახურიდან წამოსვლამდე კოლეგებმა გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყვეს. გული დასწყდათ, თუმცა სამშობლოში დაბრუნების მიზეზებს არ ჩაძიებიან – ეს მის პირად არჩევანად მიიჩნიეს და ზედმეტი კითხვებისგან გაათავისუფლეს, ერთადერთი – საქართველოში წარმატებები უსურვეს. რამდენიმე დღეში თეა უკვე ახალ, თბილისურ სამსახურში წავიდა. დილით ადრე „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში გამოცხადდა. მან წინასწარვე განსაზღვრა სამუშაო სფეროები. დასაწყისისთვის რამდენიმე კონკრეტული მიმართულება ჩაიბარა – უნდა ემუშავა თვითმმართველობის ორგანოებში დასავლური გამოცდილების დანერგვასა და სამართლებრივ საკითხებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

ირაკლი ალასანია, რომელმაც თეა წულუკიანის შესახებ ამერიკელი მეგობრისგან გაიგო და მაშინვე თანამშრომლობა შესთავაზა, ამბობს, რომ თეა მისი „პოლიტიკური საყრდენია“; ასეთი კვალიფიციური სპეციალისტი, თანაც, ქალი, მნიშვნელოვანი შენაძენია პარტიისთვის, რომელიც ჯერ სულ ახალი დაფუძნებულია, ახლა ყა-

ლიბდება და არც ისე ბევრი, საზოგადოებისთვის დასამახსოვრებელი, სახე ჰყავს.

2010 წლიდან მოყოლებული „თავისუფალი დემოკრატების“ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში თეას აზრი ალასანიასთვის უმნიშვნელოვანესია. ცხადია, წულუკიანი მონაწილეობდა იმ შიდაპარტიულ განხილვებშიც, როდესაც ალასანიამ ივანიშვილის გარშემო შეკრებილ კოალიციაში გაწევრიანება გადაწყვიტა. პირველი შეხვედრა ივანიშვილსა და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს შორის 2011 წლის ოქტომბერში გაიმართა. ალასანია უკან, პარტიაში, უკვე თითქმის მიღებული გადაწყვეტილებით დაბრუნდა. ახალ ამბავს პარტიის წევრები, როგორც თეა იხსენებს, „დადებითად“ შეხვდნენ. „გაგვიხარდა, რომ ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ბიძგი მიეცა ცვლილებებისთვის. რატომაც არ უნდა დავდგომოდით გვერდით?!“. პირველი შეხვედრიდან ზუსტად 6 დღეში, უკვე საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას გეგმავდნენ.

ალასანია ამბობს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, თეასგან თანხმობის მაშინვე მიღება ზოგიერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე მტკიცე არგუმენტების გარეშე უჭირდა. ამას თვითონ თეაც ადასტურებს და იხსენებს, რომ იყო ორი შემთხვევა, როდესაც პარტიის ლიდერის გადაწყვეტილებას ბოლომდე არ იზიარებდა, მაგრამ მაინც დათანხმდა. ამ შემთხვევებზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ მეუბნება: „მომავალი გვიჩვენებს, გაამართლა თუ არა ჩემი, ან ირაკლის მოლოდინმა. მთავარია, რომ გუნდში ნებისმიერ ნაბიჯს ერთმანეთთან შეთანხმების შემდეგ ვდგამთ და კოორდინირებულად ვმოქმედებთ“.

თეა ყოველთვის ასი პროცენტითაა დარწმუნებული იმ აზრის სისწორეში, რომელსაც საჯაროდ გამოთქვამს. თემები, რომლითაც ალასანიას პარტიის ლიდერი პოლიტიკურ დებატებში ერთვება, როგორც წესი, ყველაზე მეტად ადამიანის უფლებების საკითხს ეხება, თუმცა სხვა თემებზეც უწევს პარტიული მოსაზრებების და ინტერესების დაცვა. მაგალითად, ტელედებატებში დაპირისპირებულ მხარეს ბათუმში, აზიზიეს მეჩეთის შესახებ ედავება, ან კონტროლის პალატის საქმიანობას აპროტესტებს. მსჯელობისას თეა გაწონასწორებული და მშვიდია. ოპონენტს სიტყვას იშვიათად აწყვეტინებს. ვიდრე საწინააღმდეგო აზრს უმტკიცებენ, მოთმინებით უსმენს, ხოლო როცა თეას ჯერი დგება, ლაპარაკობს

წულუკიანის გადაწყვეტილებამ სტრასბურგში განცვიფრება გამოიწვია. 10 წლის განმავლობაში ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო მოხელის თანამდებობაზე უარი კონკრეტულმა პირმა საკუთარი ნებით თქვა. როგორც წესი, თეას თანამდებობაზე იურისტები ოცნებობდნენ.

მხოლოდ ფაქტებით და ისეთი სიმტკიცით, რომ გრძნობ – ოპონენტის არგუმენტების სრული გაბათილება აქვს მიზნად დასახული. რაც მთავარია, თეა წულუკიანი არ იყენებს ქართულ პოლიტიკურ დებატებში ყველაზე მეტად გავრცელებულ „საბრძოლო ტექნიკას“ – შეურაცხმყოფელ ფრაზებსა და მიმართვებს. ეს არც სჭირდება, სამართლის სპეციალისტი თითქმის ყველა სადავო თემას სამართლებრივ კონტექსტში განიხილავს და მომხდარის უსამართლობას კანონის ენით ამტკიცებს.

თეა წულუკიანისგან თანამშრომლობაზე თანხმობის მიღებას „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელი ერთი წლის განმავლობაში ელოდა. 2009 წლის ზაფხულისთვის თეა უკვე ფიქრობდა უკან, საქართველოში დაბრუნებაზე. მიზეზი იყო არა მხოლოდ მზარდი პოლიტიკური უკმაყოფილება საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, არამედ სტაბილური, წყნარი, პროგნოზირებადი მომავლისადმი ერთგვარი შიშიც. „ვუყურებდი ჩემს კოლეგებს, რომელთაც ჩემს ასაკში დაიწყეს სასამართლოში მუშაობა და ახლა უკვე 60-ს იყვნენ გადაცილებულნი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: მინდა მე ასეთი ცხოვრება, დალაგებული, საინტერესო, მშვიდი, მაგრამ საკუთარი ქვეყნისგან შორს?“

ამ კითხვაზე პასუხად – რომელსაც გონებაში ყოველდღიურად, თვეების განმავლობაში ამუშავებდა – ირაკლი ალასანიას შეთავაზებას ბოლოს მაინც დათანხმდა. მით უფრო, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან სკაიპში გამართული პირველი საუბრის შემდეგ მიხვდა – მათი ღირებულებები, მიზნები, სურვილები ზედმიწევნით ემთხვეოდა ერთმანეთს. თუმცა, იმ დროისთვის „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევაში თეა პარტიას გვიან შეუერთდა – როცა პარტიაში გაწევრიანდა, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ 2 კვირაღა იყო დარჩენილი.

როგორც თვითონ ამბობს, ეს არჩევნები ქართულ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მის პირველ იმედგაცრუებადაც იქცა. ყველაზე მეტად, მაინც როგორც ამომრჩეველს, „გულუბრყვილო მოქალაქეს, მეტკინა გული. არჩევნების დღემდე ველოდი, რომ ლევან გაჩეჩილაძე გამოვიდოდა და ირაკლი ალასანიას გამოუცხადებდა მხარდაჭერას. მაგრამ ასე არ მოხდა“. არადა, დარწმუნებული იყო, რომ თუკი გაჩეჩილაძე ალასანიას დაუდგებოდა მხარში, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი უფრო მეტი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქის მიმხრობას შეძლებდა.

გაჩეჩილაძის მხარდაჭერა თბილისის არჩევნებზე მისთვის მნიშვნელოვნი

იყო, რადგან – 2008 წლის 5 იანვარს უმწვავესი პოლიტიკური დაპირისპირების განსამუხტად დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში, თეამ ხმა მას მისცა. როდესაც არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგიდან პარიზში მიდიოდა მატარებლით, ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა. „არჩევანი რომ მქონოდა და იქ მესამე კანდიდატი ყოფილიყო – ჩემი თანმხვედრი ღირებულებების მატარებელი, რა თქმა უნდა, მას მივცემედი ხმას, მაგრამ რეალურად არჩევანი ორ ძალას შორის იყო. გაჩეჩილაძე კი ჩემთვის იყო კანდიდატი, რომლის უკან მდგარი ძალებიც ხელისუფლების ულაგამო ცხენივით სვლას დააბალანსებდნენ და პოლიტიკურ პროცესს სწორ გზაზე დააბრუნებდნენ“, – მეუბნება და მტკიცე, დაჟინებული მზერით ცდილობს, საკუთარ სიმართლეში დამარწმუნოს. თითქოს, ჩემთვის ისედაც გასაგები უნდა იყოს, რას გულისხმობს ხელისუფლების „ულაგამო ცხენივით სვლაში“.

მიამბობს, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის გულწრფელობასა და ქმედებების სისწორის შესახებ ეჭვი პირველად ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე გაუჩნდა. 2000 წელს, სტრასბურგში ერთ-ერთ არაფორმალურ შეხვედრაზე გაიცნო მაშინდელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი. იმ პირველ შეხვედრაზევე გამოიკვეთა, რომ მათი მოსაზრებები და მისწრაფებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამიტომ სრულიად გაცნობიერებულად უთხრა უარი სააკაშვილს შეთავაზებაზე – გამხდარიყო მისი, როგორც იუსტიციის მინისტრის, მოადგილე. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროსაც საზოგადოებაში სუპერპოპულარულ სააკაშვილს კი არ გულშემატკივრობდა, არამედ – ზურაბ ჟვანიას. ახლაც უკვირს, როგორ ვერავინ დაარწმუნა ახლობლებიდან, სააკაშვილისთვის არ დაეჭირათ მხარი. „საკუთარმა მშობლებმაც არ დამიჯერეს“, – მეუბნება დანანებით.

თეამ, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე უარი, იმავე მიზეზით, 2004 წელსაც თქვა. მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა მას თანამშრომლობა შესთავაზა. შეეძლო, აერჩია საქართველოს ელჩის თანამდებობა საფრანგეთში, ან დათანხმებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობას კადრებისა და ფინანსების დარგში. თუმცა, სალომე ზურაბიშვილისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, იცოდა, რომ „ყველა გზა მიდიოდა მიშასთან, მე კი არ მინდოდა მისი ხელისუფლების სამსახურში ვყოფილიყავი. მათი ახალგაზრდული გაბედულება, ყოველდღიური სიგიჟმაჟე და თან იმის გაცნობიერება, რომ დამბალანსებელი ძალა არ არსებობდა ქვეყანაში, მაშინებდა“.

2000 წლიდან სტრასბურგიდან ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე პერიპეტიებს. თუმცა, თეასთვის იქიდანაც მკაფიოდ ჩანდა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველომ „საბოლოოდ გადაუხვია ქვეყნის სწორი განვითარების გზიდან. მიშამ, როგორც მემანქანემ, რელსებიდან გადაიყვანა მატარებელი“. პირველ რიგში, თეა წულუკიანისთვის ამის ნიშანი იმ საქმეების სიმრავლე იყო, რაც სტრასბურგში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადიოდა.

თეა, ძირითადად, საქართველოდან და რუსეთიდან შესულ საჩივრებზე მუშაობდა. მისი უშუალო მოვალეობა, მოსამართლესთან ერთად, ამ საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლა და დასკვნის მომზადება იყო. მის ხელში გაიარა გირგვლიანის, ასანიძის, ბათიაშვილის, მირცხულავას, ალიმონაკის, ასევე, ჩვენთვის უცნობი სხვა მოქალაქეების საქმეებმა. თითოეული მათგანი თეასთვის საინფორმაციო ქრონიკის მოვალეობას ასრულებდა – სწორედ ამ სასამართლო დოკუმენტაციიდან ეცნობოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და დასკვნებსაც აკეთებდა.

„კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის საქმე რევოლუციური უკანონობის ნიმუში იყო. ეს ადამიანი იმ ქმედებისთვის დასაჯეს, რაც არ იყო დანაშაული. ეს განაჩენიდანაც ჩანს – მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენში არის ფაქტები და შემდეგ სასჯელი, აღწერილობა და სამოტივაციო ნაწილი კი, უბრალოდ არ არის. რეალურად ის პოლიტიკური პატიმარი იყო“. თეა მსგავს უზუსტობებს პოულობდა სხვა საქმეებშიც. ამბობს, რომ ირაკლი ბათიაშვილი ის ადამიანია, ვინც გამოთქმა, „გამაგრდი, ძმაო“ შეიტანა ჩვენი იურისპოდენციის ისტორიაში, როგორც „სისხლის სამართლის“ დანაშაული. ამ ფრაზის გამო, ოპოზიციური მოძრაობა „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ბათიაშვილი, ემზარ კვიციანის ამბოხის ინტელექტუალურ მხარდაჭერასა და დანაშაულის დაფარვაში დაადანაშაულეს. „მის საქმეშიც მთელი კასკადია უკანონობის, აბსურდულობის. საქმეს რომ ეცნობი, არ იცი, იტირო, თუ იცინო, იმიტომ რომ აბსურდია“.

როდესაც სტრასბურგის საქმეებზე მიყვება, თვალები ენთება, ცოტა ცხარობს კიდეც, საუბრისას ხელებს იშველიებს და ცდილობს, საქმის დეტალები ჩემთვის გასაგები ტერმინებით ამიხსნას. ამ საქმეების ბედს დღემდე განიცდის. განსაკუთრებული ემოციურობით კი რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღძრულ საქმეს გულშემატკივრობს. ეს, ალბათ, იყო ერთადერთი გამონაკლისი ასეულობით საქმეს შორის, რომელმაც თეა წულუკიანი საშინლად დააბნია და ჩვეული სიმტკიცე და თავდაჯერებულობა დააკარგვინა. 2008 წლის 11 აგვისტოს, საღამოს, შინ ბრუნდებოდა მანქანით, როცა საჭესთან მჯდომს, დავით თომაძემ დაურეკა – იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელმა, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მხარეს წარმოადგენდა.

„მითხრა, რომ საქართველო ცუდ მდგომარეობაშია, სამინისტროს ტოვებენ, რადგან ევაკუაციაა გამოცხადებული და უნდა, რომ საქართველოს სახელით რუსეთის წინააღმდეგ ტელეფონით შეიტანოს სარჩელი. მაშინვე ზუსტი დრო ჩავინიშნე, სამსახურისკენ მოვბრუნდი და ვთხოვე, წერილობითი დასტურიც გამოეგზავნა იმეილით. მეილზე მოდიოდა დაბომბილი გორის ფოტოები, საშინელი ფოტოები. თომაძე ამბობდა, რომ ეს უკვე ბოლო იყო“.

თეამ სტრასბურგის სასამართლოს

მთავარი განმწესრიგებელი, მთელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ერიკ ფრიბერგი საკუთარ კაბინეტში იპოვა და გაუგებრად, გაცხარებით მიაყარა საქართველოდან მოსული ამბები: „გაოგნებული მიყურებდა. მიხვდა, რომ ომთან დაკავშირებით ვეუბნებოდი რაღაცას, ვიმეორებდი ერთ ფრაზას – „რუსები მოდიან“, ის კი ვერ ხვდებოდა, საით მოდიოდნენ რუსები – სასამართლოში, სტრასბურგში თუ კიდევ სადმე სხვაგან... ძლივს მოვიკრიბე ყურადღება, რომ გასაგებად ამეხსნა ყველაფერი“. ფრიბერგმა საქმეში იმ წუთასვე სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე, ჟან პოლ კოსტა ჩართო, საჩივარი ფრანგ იურისტს გადასცეს და გადაწყვეტილება მეორე დღესვე მიიღეს – რუსეთსაც და საქართველოსაც სასამართლომ „სიცოცხლის ხელყოფისა და მოქალაქეთა დაზიანების შეწყვეტისკენ“ მოუწოდა.

გამოძიება ჯერაც არაა დასრულებული. საბოლოო შედეგს თეა უკვე თბილისიდან, პოლიტიკოსის რანგში აკვირდება.

ახლა მთაწმინდაზე მუშაობს – ცნობილ მინისა და ლითონის კონსტრუქციაში. მისი სამუშაო ოთახი, სხვა იურისტებთან ერთად, საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანის სამუშაო ოთახის გვერდით მდებარეობს. ოთახი ნათელ ფერებშია გაწყობილი, გამჭვირვალე მინებიდან კი თბილისის ულამაზესი ხედი ჩანს. მიუხედავად ყველაფრისა, თეა იქ მაინც არაკომფორტულად გრძნობს თავს, ამბობს, რომ ეს არ არის ოფისი. „ძალიან ლამაზია, მაგრამ მაინც რაღაც სხვაა, ეს უბრალოდ ამ ადამიანის რეზიდენციაა“.

თეა „ქართული ოცნების“ ამ საკმაოდ ჭრელ პოლიტიკურ კოალიციაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. თუმცა, აქაც თავისი, ძალიან კონკრეტული მიმართულებით მუშაობს – კოალიციის წევრების და მათი მხარდამჭერების ინტერესების დაცვა უწევს. სამართლებრივად აგვარებს ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხსაც, ყველაზე ხშირად კი მაინც კონტროლის პალატასთან უხდება ჭიდილი იმ ადამიანების გამო, ვისაც დასაკითხად იბარებენ. მუშაობს როსტომ მეფის სასახლის თემაზეც. როგორც თეა მიამბობს, ეს სასახლე სახელმწიფო საკუთრებაშია, მაგრამ ხელშეკრულების მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს მისი აღდგენისა და განკარგვის უფლება აქვს, დედაქალაქის მერია კი მშენებლობის დამთავრებისა და შენობის ექსპლუატაციის უფლებას არ აძლევს.

ივანიშვილზე საუბრისას გამუდმებით ერთი კითხვა მიტრიალებს თავში – „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება თეასთვის ისეთივე გამოსავალია, როგორც 2008 წლის იანვარში გაჩეჩილაძის საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა იყო, თუ ამ საკმაოდ ეკლექტური იერსახის კოალიციას ნამდვილ პოტენციალს ამჩნევს? მეუბნება, რომ სიჭრელე – ერთგვაროვან პოლიტიკურ სურათში, პირიქით, კარგია. „ჩვენ ზოგიერთ საკითხზე გვაქვს განსხვავებული მოსაზრებები, თორემ ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები, რისთვისაც ვიბრძვით ერთია. ქვეყანას არ უნდა მართავდეს ერთ ჭკუაზე მყოფი ერთი გუნდი, ამის შეცვლა ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა“.

ივანიშვილზე საუბრისას ერთი კითხვა მიტრიალებს თავში – „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება თეასთვის ისეთივე გამოსავალია, როგორც გაჩეჩილაძის საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა იყო, თუ ამ საკმაოდ ეკლექტური იერსახის კოალიციას ნამდვილ პოტენციალს ამჩნევს?

სწორედ ამიტომ მიესალმა თავიდანვე ივანიშვილის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში. თეა ამბობს, რომ მან მნიშვნელოვნად შეცვალა პოზიციები და ადამიანებს ცვლილების იმედი გაუჩინა. ივანიშვილის ფული მისთვის უბრალოდ ბერკეტია იმისათვის, რომ ოპოზიციური ფრთა გაძლიერდეს და სახელისუფლებო ძალებთან ერთად თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. „მათ აქვთ ადმინისტრაციული რესურსები და საბიუჯეტო თანხები, ოპოზიცია კი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, რესურსების ნაკლებობას განიცდის“.

„ქართულ ოცნებაზე“ ამაზე მეტად აღარ მელაპარაკება. თუმცა, ვხვდები, რომ თეას ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის უმთავრესი ინსპირაცია კანონი და შესაბამისად – უკანონობაა. სამართალი – ეს ათვლის წერტილია მისთვის; საზომია, რითაც წყვეტს, რა პოლიტიკურ პოზიციაზე უნდა იდგას. ივანიშვილის კოალიციაში ყოფნის დროსაც აბსოლუტურად გულწრფელია. მას სჯერა, რომ ხელისუფლება უკანონო მეთოდებით ებრძვის მდიდარ ბიზნესმენს და მორჩა – ეს უკვე საბაბია იმისთვის, რომ ამ უკანონობის აღმოსაფხვრელად თუ გასაბათილებლად იქ დარჩეს, სადაც დღესაა. სხვებიც მეუბნებიან, რომ თეა წულუკიანი მათთვის პრინციპულობის ეტალონია. ადამიანი, რომელიც ასე ერთგულად იცავს საკუთარ შეხედულებებს, იშვიათად შეხვედრიათ. თვითონ თეა, ისე, ჩემს კითხვაზე პასუხად, რიგით ბიოგრაფიულ ფაქტად მიამბობს, კონტექსტში კი მე თვითონ ვსვამ ამ ამბავსაც: საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდა „თავისუფალ დემოკრატებში“. მისი ხელფასი სტრასბურგში გაქირავებული საკუთარი ბინის ქირა იყო (პირველი ხელფასი, როგორც კოალიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, დაახლოებით 6 ათასი ლარი, 2012 წლის მარტში ბიძინა ივანიშვილისგან ჩაერიცხა).

ახლა უკვე მიკვირს კიდეც, როგორ

ვერ მიხვდა პრინციპული, პირდაპირი, ცხარე და დაუღალავი მოპაექრე, მიზანდასახული და ფაქტებით კამათს მოყვარული, თეა წულუკიანი, რომ დიპლომატია მისი საქმე არ იყო. თუმცა, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, 17 წლის იყო და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ბევრი ახალგაზრდა დღემდე აკეთებს – რადგანაც თვითონ ზუსტად არ იცოდა, რისი გაკეთება უნდოდა მომავალში, მამის სურვილს მიჰყვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლად გახსნილ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩააბარა.

კურსის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი იყო. ისე გამოვიდა, რომ უნივერსიტეტში სწავლას ყველაზე რთული პერიოდი დაემთხვა – სინათლე ხშირად ითიშებოდა, აუდიტორიები ვერ თბებოდა, სწავლის პირობები არ იყო, მაგრამ ალექსანდრე რონდელი იმ წლებს მაინც სასიამოვნოდ იხსენებს, რადგან სტუდენტების გამორჩეულად კარგი ტალღა მივიდა უნივერსიტეტში. „მათ შორის იყო ერთ-ერთი მარგალიტი – თეა. აუდიტორიაში შესვლისთანავე შეამჩნევდი ანთებულ თვალებს. მომცრო გოგოა. პატარა გოგოს ჰგავს, მაგრამ თვალებში ისეთი ძალა აქვს და ინტელექტი, რომ არ არსებობს, გამოგრჩეს“, – მიამბობს ალექსანდრე რონდელი.

კათედრის ხელმძღვანელმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საუკეთესო სტუდენტები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ახლად დაარსებულ ცენტრში წაიყვანა სამუშაოდ.

ალექსანდრე რონდელი და მასთან მიღებული გამოცდილება თეას კარიერისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა, ისევე, როგორც წლებით ადრე საფრანგეთში სასწავლებლად გამგზავრება. 16 წლის იყო, როცა „საბჭოთა ბავშვი“, თეა წულუკიანი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა AFS-ით ლიონის საჯარო სკოლაში მოხვდა.

„მახსოვს, პირველად მასწავლებელი რომ შემოვიდა კლასში, ფეხზე ავდექი. შეკითხვებსაც ფეხზე ამდგარი ვპასუხობდი, ისე, როგორც საბჭოთა სკოლაში ვიყავი დაჩვეული. კლასელები ამის გამო დამცინოდნენ. მაშინ საბჭოთა სკოლებში იმასაც გვასწავლიდნენ, რომ სისუსტის გამოჩენა სირცხვილია. სირცხვილია, როცა რაღაც არ იცი. არადა, საფრანგეთში მივხვდი, რომ ყველაფერი პირიქითაა. არ უნდა მოიშტერო თავი და სისულელეები არ თქვა, როცა რაღაც არ იცი“.

პიროვნული ტრანსფორმაცია, რომელიც საფრანგეთში სწავლისას განიცადა, თეასთვის იმდენად ძვირფასი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი გააკეთა ამ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დასაბრუნებლად. საკონკურსო გამოცდა წარმატებით ჩააბარა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს დახმარებით, 1998 წელს, თავისი ოცნების სასწავლებელში – საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA) ჩაირიცხა. ეს სკოლა, რომელიც შარლ დე გოლმა დააარსა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და პრეფექტებს, სხვა მაღალჩინოსნებსა და ადმინისტრაციული იუსტიციის მოსამართლეებს ამზადებს. ყველა ის ევროპელი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში სურს მუშაობა, ამ სკოლაში მოხვედრაზე ოცნებობს.

ENA-დან თეა სტაჟირებაზე საფრანგეთის სარტის დეპარტამენტში გაგზავნეს. ქალაქ ლემანის პრეფექტის კაბინეტში მიიღეს და ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების მოგვარება დაავალეს. ქუჩაში მანქანების დაწვა, მოხუცთა და ბავშვთა სახლების პრობლემები, წყლით მომარაგების სისტემა, გზები – თეა ამ პრობლემებზე ფრანგულ პოლიციასთან და სახელმწიფო მოხელეებთან ერთად მუშაობდა. მეუბნებიან, საფრანგეთის მოქალაქეობა რომ ჰქონოდა, ფრანგულ ხელისუფლებაში თეა დღეს აუცილებლად მაღალ თანამდებობაზე იქნებოდაო. ამას თავადაც ადასტურებს. ერთი პირობა, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება მართლაც სცადა, მაგრამ ვერ გაბედა, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შიშით.

ENA-ში სწავლისას თეამ თავი ისე გამოიჩინა, რომ მისი წარმატებების შესახებ საქართველოშიც გაიგეს. როცა მინდია უგრეხელიძემ, რომელიც მაშინ უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობდა, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ENA-ს რექტორს ჰკითხა, თუ რამ მოანდომა საქართველოში ჩამოსვლა, პასუხად მიიღო: „იმიტომ შეგხვდით, რომ გაგიზიაროთ აღფრთოვანება და მადლიერება გამოვხატო, ასეთ კარგ სტუდენტებს რომ გვიგზავნით. ეს სტუდენტი თეა წულუკიანი აღმოჩნდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, პირველად გავიგე მის შესახებ“, – მიამბობს მინდია უგრეხელიძე.

ამ შემთხვევის შემდეგ მინდია უგრეხელიძე და თეა წულუკიანი ერთმანეთს სტრასბურგის სასამართლოში შეხვდნენ. „მკაცრი წესების დაცვით შემოვიდა ჩემთან და მაცნობა, გავიგე ქართველი იურისტის ადგილზე კონკურსია გამოცხადებული და მონაწილეობა მინდა მივიღოო. თქვენი აზრი მაინტერესებსო“, – უგრეხელიძე ახლად დანიშნული მოსამართლე იყო, თეას კი ახალი გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დიპლომატია, რომლის სწავლასაც 8 წელი შეალია, მისი საქმე არ იყო. მოლაპარაკებებსა და პროტოკოლზე მეტად სამართლებრივი საკითხები იტაცებდა. ამიტომ, ამ პროფესიაში ბედის საცდელად, სტრასბურგში იურისტის ვაკანსია ზედგამოჭრილი იყო.

კონკურსი გაიარა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი გახდა. ცოტა ხანში მიიღო უფროსი იურისტის წოდება, იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი, ბოლოს – მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე.

„ორგანიზებული, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, კორექტული, პატიოსანი, ღირსეული, სამშობლოს ერთგული, რკინის დისციპლინის მქონე“, – ეს ის ეპითეტებია, რასაც თეას მეგობრები და კოლეგები მასზე საუბრისას ყველაზე ხშირად ხმარობენ. მინდია უგრეხელიძემ კი მას უბრალოდ „რენესვანსი“ უწოდა. როგორც მითხრა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სვანური რკინის ხასიათის მქონე ქართველმა გოგომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, ძალიან მალე დაი-

მკვიდრა თავი საერთაშორისო ორგანიზაციაში.

თეა წულუკიანის ამ თვისებებს დღეს ყველაზე უკეთ „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის ლიდერი აფასებს და იყენებს, რადგან ასეა – თუ ამ პარტიის გვერდითაა, თეა მის საქმეებს უძღვნის მთელ თავის ენერგიას და გამოცდილებას. თუმცა, ალასანია ამასაც მეუბნება: „ზუსტად ვიცი, თეა ისეთი პრინციპული ადამიანია, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კოალიციის და პარტიის საქმეებზე მაღლა, ყოველთვის კანონის ინტერესებს დააყენებს“.

არის რამდენიმე გარემოება, რაც ქართულ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მუშაობაში უშლის ხელს – ეს ქართული არაპუნქტუალობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაა. „ადამიანები ბევრ დროს კარგავენ უსარგებლო რაღაცებში, მაგალითად, ქეიფში“. თუმცა, ამ „ორგანიზებულ ქაოსს“ უკვე შეეჩვია.

ახლა თეას სამუშაო დრო არანორმირებულია. ბევრი რამ მის ინიციატივაზეა დამოკიდებული, რისი საშუალებაც სასამართლოში არ ჰქონდა. ზოგჯერ ლექციებს კითხულობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ხან ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად სხვადასხვა კანონპროექტის ფორმულირებაზე მუშაობს. ყოველ ხუთშაბათს „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში მოსახლეობას ხვდება 10-დან 12-მდე. „ხალხთან შეხვედრა „დამიწებაში“ მეხმარება, ჰაერში რომ არ ავიჭრა და ილუზიებში არ ვიცხოვრო. ყველა პოლიტიკოსს სჭირდება ასეთი „დამიწება“, – მეუბნება და მიმეორებს, რასაც აქ ვაკეთებ, ძალიან მომწონს, თუმცა, შინაგანად სულ ვშფოთავო.

„ავტომატივით ვარ, დილით ადრე ადექი. წადი, წამოდი. მშობლები მენატრება, რადგან კვირაში ერთხელ ვახერხებ ნახვას. გადასახადების გადასახდელადაც ვერ ვიცლი ზოგჯერ“, – სამსახურში ყოველდღე სოფელ დიღმიდან დადის. მშობლებთან და ძმის ოჯახთან ერთად „პლეხანოვზე“ ცხოვრება არ ისურვა. ერთხელაც ჩემოდნებით სოფელ დიღომში გადაბარგდა – სახლში, რომლის მშენებლობასაც 5 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტრასბურგიდან. ამბობს, რომ სოფელი უყვარს და იქ თავს უფრო მშვიდად გრძნობს. სიმშვიდეს და სიმყუდროვეს – რასაც საფრანგეთიდან გამოექცა – ბოლო დროს ყველაზე მეტად ეძებს. იოგას ვარჯიშობს ფიზიკური განვითარებისთვის, მაგრამ მეუბნება, რომ მშფოთვარე ხასიათის გამო, ამაშიც ვერ პოულობს წონასწორობას და სიმშვიდეს. უყვარს მთები. ბაბუამ შეაყვარა სვანეთში, როცა პატარაობისას, გოდორში ჩაისვამდა ხოლმე სამუშაოდ მიმავალი. მიამბობს, რომ

„ალპინისტი არ ვარ და ჯომოლუნგმაზე ასვლის პრეტენზიაც არ მაქვს“, – მიკონკრეტებს. ჩვენი საუბრების შემდეგ კი ვხვდები, რომ თეასთვის მიზანი არც პოლიტიკური მწერვალების დაპყრობაა. „არ გაიშვა ჩემი პოლიტიკოსობა“, – ღიმილით დასძენს.

მოყვარული ალპინისტის სტატუსით იყო ჰიმალაის მთებში. ყველაზე მაღლა 5 ათას მეტრზე, კილიმანჯაროს მწვერვალ უჰურუს (თავისუფლების) პიკზე ავიდა. „ალპინისტი არ ვარ და ჯომოლუნგმაზე ასვლის პრეტენზიაც არ მაქვს“, – მიკონკრეტებს.

ჩვენი საუბრების შემდეგ ვხვდები, რომ თეასთვის მიზანი არც პოლიტიკური მწერვალების დაპყრობაა. „არ გაიშვა ჩემი პოლიტიკოსობა“, – ღიმილით დასძენს. ამიტომ იმ სერიოზულობისა და შინაგანი მობილიზების მიუხედავად, რითაც ახლა „ქართულ ოცნებას“ ემსახურება, პოლიტიკაში მისი უმთავრესი მიზანი საკმაოდ მოკლევადიანია – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგება და ამ გზით, მრავალფეროვანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში. გეგმა ამ პუნქტზე მთავრდება – გამარჯვების შემთხვევაში საკუთარი თავის წარმოდგენა ნებისმიერ თანამდებობაზე უჭირს. ჩემი ჩაძიების შემდეგ მეუბნება, ალბათ, ყველაზე კომფორტულად თავს კანონშემოქმედებით პროცესში ვიგრძნობდიო, პარლამენტის რიგით წევრად.

„სიმართლე რომ გითხრა, ამ წუთას ერთ რამეზე ვფიქრობ. ერთი სული მაქვს, როდის მოვა 2012 წლის 1 ნოემბერი, როდესაც ჩავალაგებ ჩემოდანს და ბედნიერი წავალ შინ, სტრასბურგში. დარწმუნებული ვარ, არჩევნებში გავიმარჯვებთ და აქ ჩემს გარდა ისედაც ბევრი ადამიანი იქნება საქმის მკეთებელი. მე საჭირო ნამდვილად აღარ ვიქნები“.

სტრასბურგში დაბრუნების სურვილი გარკვეულწილად მის პირად ცხოვრებასაც უკავშირდება. თუმცა ეს ის თემაა, რაზეც ყველაზე ნაკლებად საუბრობს. საქართველოში ამისთვის დრო უბრალოდ არ რჩება. თუმცა, ისედაც, ზოგჯერ მეჩვენება, რომ როგორი პრინციპულობითაც იცავს კანონსა და სამართალს, ასეთივე მონდომებით იცავს საკუთარ პირად ცხოვრებას გარეშე თვალისგან, მათ შორის, ჩემგანაც. თითქმის ერთთვიანი რეგულარული ურთიერთობის შემდეგ, არასდროს მეპატიჟება შინ – არც ფოტოების გადასაღებად.

„რაღაც პაუზასავით მაქვს აღებული. მუდმივად, ალბათ, ასე ვერ გაგრძელდება. არჩევნებამდე ვიდგები იქ, სადაც ვდგავარ და მერე აუცილებლად ბალანსი უნდა ვიპოვო პროფესიულსა და პირადს შორის. ერთხელ უარი ვთქვი ოჯახის შექმნაზე, შეიძლება ახლა იგივე ნაბიჯი არ გადავდგა. სულ ვხუმრობ ხოლმე: 37 წელი მივუძღვენი ჩემს პროფესიას, ახლა, ალბათ, ოჯახის შექმნის დროა. ყველაზე მეტად ეს ამბავი დედაჩემს გაუხარდება. მას ჰგონია, იმის გამო, რომ ოჯახი არ მაქვს, წარმატებული ადამიანი არ ვარ“, – მეუბნება ღიმილით.

სტრუქტურული ბალი

ინტერვიუ თორნიკე ჭაფოძესთან
ესაუბრა სოფო ტაბატაძე არქიდრომის სახელით (არქიდრომი – თანამედროვე ხელოვნების არქივი)

თორნიკე ჭაფოძე „სტრუქტურულ ბაღში"



ფოტო: ლევან ხერხეულიძე

თებერვლის დასაწყისში ახალგაზრდა არტისტმა, თორნიკე ჭაფოძემ ევროპის სახლის საგამოფენო დარბაზი გარდაქმნა სივრცედ, სადაც ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე ყველა საინტერესო პროცესი უნდა ასახულიყო. ამ სივრცეს, თორნიკემ „სტრუქტურული ბაღი“ უწოდა და ის რეზერვუარების, სილიკონის სკულპტურების, ქსოვილის ობიექტების, აუდიოეფექტებისა და გრაფიკული ნახატების გაერთიანებით „გააშენა“.

„სტრუქტურული ბაღი“ სკულპტურებისგან შემდგარი ინსტალაციაა. მისი ავტორი კი – მხატვარი, რომელიც კლასიკურ ფერწერას სამხატვრო აკადემიაში სწავლის შემდეგ აღარ მიჰყოლია. თორნიკე ამბობს, რომ ახლა აღარ ხატავს, რადგან ტილოზე ფუნჯის ტყულიად კაკუნს ურჩევნია, განწყობისა და აზრის გამოსახატად გაცილებით უფრო რადიკალური და მძაფრი მეთოდები გამოიყენოს. უკანასკნელი ნამუშევრის მსგავსად, მისი წინა პერფორმანსები და გამოფენებიც უტრირებული და მკაცრია. მაგალითად, ასეთი იყო მისი წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პერფორმანსი, რომელიც 2005 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვრცელ ფოიეში მოეწყო. საარქივო მასალით, ძველი წიგნებითა და ბიბლიოთეკის ძველმოდური ატრიბუტიკით შთაგონებულმა თორნიკემ ე.წ. „მეხსიერების კუბი“ შექმნა – მიკროსამყარო სტერილური, მეხსიერებაწაშლილი კედლებით, სადაც დამთვალიერებელი არტისტს ცნობიერების ხელახალ ფორმირებაში უნდა დახმარებოდა. ამ იდეის განსახორციელებლად თორნიკემ პოლიეთილენის პარკებისგან შექმნილ გამჭვირვალე კუბში განალაგა შავი დაფები, თვითონ შიგნით დაჯდა და წარმოიდგინა, რომ მეხსიერებადაკარგული ადამიანი იყო. დამთვალიერებელი მიდიოდა და კუბებზე საკუთარ ფიქრებს ცარცით წერდა და ავტორს მეხსიერების აღდგენაში ასე ეხმარებოდა.

2010 წელს თორნიკე ჭაფოძე ქეთო ლოგუას კურატორობით მოწყობილ გამოფენაზე – „IN BETWEEN“ სერიგრაფიული ნამუშევრით წარსდგა. სერიგრაფიით – ქაღალდზე ბეჭდვის უძველესი ჩინური მეთოდით – თორნიკემ საკუთარ სახელოსნოში, საკუთარი ხელით აწყობილი საბეჭდი ტექნიკით, 1.80 სმ სიგრძის ქაღალდზე დის ფოტოსურათი გადაიტანა. ფოტოზე თორნიკეს და სკამზე ზის, გვერდით მეორე, ცარიელი სკამი დგას, რომელზეც ადამიანის ხერხემალი დევს. ნამუშევარს ჰქვია „წყვილი“ და, ავტორის ჩანაფიქრით, ის დროის სხვადასხვა პლასტებს ერთ განზომილებაში აერთიანებს.

თორნიკე ჭაფოძე საკუთარ ცხოვრებას ორ ნაწილად ჰყოფს – მერაბ მამარდაშვილამდე და მის შემდეგ – და ამბობს: მამარდაშვილის წაკითხვის შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად დავინახეო. კარგად ახსოვს, როგორ იყიდა პირველად მამარდაშვილის სალექციო კრებული აკადემიის სტიპენდიით – სულ 7 ლარად. „ლექციებიდან გამოვედი, ბუკინისტის დახლს ჩავუარე და ეს სახელი მომხვდა თვალში. 7 ლარი რომ ღირდა, იმიტომ ვიყიდე, თორემ უფრო ძვირი რომ ყოფილიყო, ალბათ, არ ვიყიდდი და ჩემი ცხოვრებაც სხვა გზით წარიმართებოდა“.

თორნიკე ამბობს, რომ „სტრუქტურული ბაღი“ მისი შემოქმედების შეჯამებაა, წლების განმავლობაში დაგროვილი იდეებისა და გამოცდილების გამაერთიანებელი ნაზავია.

ევროპის სახლში გამოფენა რამდენიმე კვირის წინ დაიხურა. ახლა მცირე ნაწილებად დაშლილი „სტრუქტურული ბაღის“ ექსპონატები რუსთავში, თორნიკეს სახლში ინახება, სადაც ახლა არავინ ცხოვრობს. თორნიკე ამბობს, რომ სარდაფში, ყუთებში გადანაწილებული „ბაღი“ შემდეგი გამოფენის მოლოდინშია.

სალომე აფხაზიშვილი

თორნიკე, შენი მუშაობის ერთ დიდ მონაკვეთს დაესვა წერტილი. „სტრუქტურული ბაღი“ გამოფინე და მასზე მუშაობის დამთავრებასთან ერთად, შემოქმედების გარკვეული ეტაპიც დაასრულე. რამდენ ხანს მუშაობდი ამ ნამუშევარზე და რა პროცესები გაიარე ამ ხნის განმავლობაში?

თითქმის ორ წელს ვმუშაობდი ამ პროექტზე, თუმცა, დროს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება ნაკლები მემუშავა, შეიძლება – მეტიც. მნიშვნელოვანია თვითონ პროცესი, რომელიც საშუალებას გაძლევს, რაღაცები შენს თავზე, შენს ინტერესზე მაღლა დააყენო და გაჰყვე ენის სტრუქტურას, ანდა სჯობს, ამას გამომსახველობითი ფორმების სტრუქტურა დავარქვათ. ამ გამომსახველობითი ფორმების გაყოლით, არ იცი, სადამდე მიხვალ, რას მოიმოქმედებ, გაჰყვე შენთვის, რაღაც უცნობს, თავისთავად იმის დაშვებას გულისხმობს, რაც წინასწარ არ იცი. მუშაობის პროცესი იმდენად არის ცოცხალი, რამდენადაც ასეთი დაშვებებისგან შედგება. ფორმებიც, რომლებიც აქედან გამომდინარე ჩნდება, ამ დაშვებების პირდაპირპროპორციულია და არა ილუსტრაცია იმ იდეებისა, რომლებიც მაგიდასთან ჯდომისას გაგიჩნდა. ვფიქრობ, რომ იდეებით ნამუშევარი არ იქმნება, ნამუშევარი იქმნება იმ პროცესების გაყოლით და იმის შენს თავზე, პირად ინტერესზე მაღლა დაყენებით, რასაც გამომსხაველობითი ენა გთავაზობს. ამით თითქოს შენს არსებობას აშიშვლებ; რაღაც პროცესში რთავ შენს დაუსრულებელ და ჩამოუყალიბებელ აზრებსა და განცდებს და ამ ყველაფერს იყენებ, როგორც მასალას.

თუ ამბობ, რომ იდეით არ იქმნება ნამუშევარი, მაშინ რა არის შენთვის პირველი ნაბიჯი, როგორ იწყებ მუშაობას?

დასაწყისი არის კონცენტრაციის მომენტი, ყოველდღიური ძალისხმევა და ყურადღება, სწორად გააანალიზო კეთების დინამიკა და ამ პროცესში საკუთარი თავი დაინახო. კონკრეტული იდეა კი ამ პროცესის მხოლოდ თანმდევია. იდეამ შეიძლება მრავალი ტრანსფორმაცია განიცადოს. საბოლოო ჯამში კი, რჩება ენა, ერთიანი ენის სტრუქტურა, რითაც მე და გარედან მაყურებელი რაღაცას გავიგებთ ნამუშევარზე.

როცა ამბობ, პროცესებს ჩემზე მაღლა ვაყენებო, ჯონ ქეიჯის მუშაობის მეთოდი მახსენდება. ის უძველესი ჩინური ტექსტების, I ching (Book of changes)-ის მიხედვით – ხაზებით და წყვეტილი ხაზებით – ჰექსაგრამებით იღებდა გადაწყვეტილებებს თავის ნამუშევართან დაკავშირებით. ქეიჯი ფიქრობდა, რომ თუ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებდა, ამით ნამუშევარი მხოლოდ მის გემოვნებაზე იქნებოდა მიბმული და ვერასდროს გასცდებოდა მისი, როგორც

„კარავი“ ადამიანის შინაგანი, პერსონალური არსებობის, სიმბოლიზირებაა. როცა კარავს შლი, მასში შენთვის ძალიან ინტიმურ გარემოს ქმნი, ეს არის ჩაკეტილი სივრცე, სადაც მარტო ხარ შენს პირად ნივთებთან ერთად. **სხვამ თავისი კარავი უნდა დადგას.**

ავტორის, გამოცდილებების საზღვრებს. ამიტომ კომპოზიციების შექმნის დროს, არჩევანს ამ ჰექსაგრამებით აკეთებდა. როდესაც ამბობ, რომ საჭიროა საკუთარ თავზე მაღლა დადგე, დაახლოებით იმავეს ხომ არ გულისხმობ, რასაც ქეიჯი?

კი, დაახლოებით ასეა. ქეიჯს მიზნის მისაღწევად ძალიან მარტივი და გონიერი მეთოდი აქვს გამოყენებული. ლაპარაკია აუცილებლობაზე, აღმოაჩინო შენს თავში იმის ძალა, რომ ენდო და გაჰყვე იმ პროცესის დინამიკას, რომელშიც ჩართული ხარ. ამ გზით ჩნდება შესაძლებლობა, ნამუშევარში ჩაიდოს რაღაც პოტენცია, რომელიც გასცდება ავტორის პირად გემოვნებასა და ინტერესებს.

თორნიკე, შეგიძლია, უფრო კონკრეტულად მომიყვე „სტრუქტურული ბაღის“ შესახებ?

„სტრუქტურული ბაღი“ ქანდაკებების სისტემაა. ის ცნობიერების ერთგვარი ლანდშაფტია – ტოპოლოგიური სტრუქტურა, საიდანაც ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი მოცემულობები ამოიზრდება.

ეს სისტემა იყოფა ორ პირობით სივრცედ – „კარავი“ და „პიკნიკი“, როგორც პერსონალური და საზოგადო სივრცეების სიმბოლიზირება. მათზე იშლება ადამიანის არსებობის, მისი შემოქმედებითი აქტივობის მთელი დიაპაზონი.

ამ სისტემის ცენტრს მედიტაციის ადგილი ჰქვია, სადაც ჭერიდან რიტმულად ეცემა წვეთი. წვეთის რიტმული, მონოტონური ვარდნა შეჩერების, პაუზის, ცნობიერების კონცენტრაციის სიმბოლური ეკვივალენტია. ესაა ის შუალედური რგოლი სისტემაში განლაგებულ ორ სკულპტურას, ორ სივრცეს – კარავსა და პიკნიკს შორის, ანუ ესაა ის აზროვნების წერტილი, რომელიც აუცილებლად უნდა გაიარო, როცა ერთიდან მეორე სივრცეში გადადიხარ, რათა არ დაარღვიო არცერთის ბუნება.

ეს წვეთი იშლება რეზერვუარში, რომელიც სხვა რეზერვუარებს უკავშირდება არხებით. როგორც უკვე ვთქვი, „კარავი“ ადამიანის შინაგანი, პერსონალური არსებობის, სიმბოლიზირებაა. როცა კარავს შლი, მასში შენთვის ძალიან ინტიმურ გარემოს ქმნი, ეს არის ჩაკეტილი სივრცე, სადაც მარტო ხარ შენს პირად ნივთებთან ერთად. სხვამ თავისი კარავი უნდა დადგას. ეს კარავი შენი ისეთი მდგომარეობაა, რომლის გარეთ გამოტანა შეუძლებლობასთან არის დაკავშირებული. ის იმდენადაა მნიშვნელოვანი, იმდენად მოქმედებს შენში და რაღაც მდგომარეობას განსაზღვრავს, რამდენადაც ამის გარეთ გამოტანა, ან სხვისთვის ჩვენება შეუძლებელია.

„პიკნიკი“ – პირიქით, შენი არსებობის გარეთ გატანას და სხვისთვის გაზია-

პერფორმანსი „შავი დაფა“, 2005

სერიგრაფიული ნამუშევარი „წყვილი“, 180X130სმ, 2007
სერიგრაფია

რებას აღნიშნავს. ეს საჯარო სივრცეა. თითქოს არსებობის გარეთ გატანის აქტით სრულდება და საბოლოო ფორმას იღებს შენი დაუსრულებელი აზრები და განცდები.

„პიკნიკის“ სივრცეში განლაგებულია ერთი, ვიზუალური თვალსაზრისით ძალიან საინტერესო სკულპტურა, რომელსაც დავარქვი „კომერცია“. ის პოტენციალთა და ძალთა ურთიერთგაცვლის სიმბოლიზირებას ახდენს.

არის კიდევ ერთი ფაზა ამ სისტემაში – სკულპტურები, რომელთაც ჰქვიათ „უნიფორმები“. უნიფორმა ერთგვარი ინსტრუმენტია, საიდენტიფიკაციო საშუალებაა იმ სამუშაოსთან მიმართებაში, რომელსაც ადამიანი ასრულებს და რითაც, საბოლოო ჯამში, ყველაზე რთულ რამეს აღწევს: ქმნის საკუთარ თავს.

„სტრუქტურული ბაღი“ ძალიან მინიმალისტური ფორმებით შექმნილი სკულპტურების სისტემაა, რომელიც ადამიანის ცნობიერების დინამიკურ პროცესებს გამოხატავს.

ამ იდეებამდე ფორმით მიდიხარ?

კი, შეიძლება ითქვას, ასეა. ფორმები იგივე ტექსტებია, ვიზუალური ტექსტები. და როცა მიჰყვები ტექსტის კონსტრუირების გარკვეულ კანონებს, მიდიხარ დასრულებულ ფორმებამდე, რომლებიც კონკრეტული იდეების სახით გამოიხატება.

გამოდის, რომ ყველა ნივთი და ყველაფერი, რასაც ჩვენ გარშემო ვქმნით, ჩვენზე, ან საერთოდ, ადამიანის მდგომარეობაზე იძლევა ინფორმაციას. და აი, მხატვარს როგორ შეიძლება, შეამჩნიო, აცვია თუ არა უნიფორმა, ანუ აქვს თუ არა საკუთარი თავი გამთლიანებული თავის სამუშაოსთან?

მხატვარმაც, როგორც ყველამ, აუცილებლად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თავის საქმეზე. გამომხატველობითი ენა, რომლითაც ხელოვანი მეტყველებს, არის მისი უნიფორმა, პასუხისმგებლობის საგანი ხელოვანისთვის.

როგორ შეარჩიე მასალა „სტრუქტურული ბაღისთვის“ და რამდენად გამოხატავს ეს მასალა ნამუშევრის იდეას?

ძიების პროცესში სხვადასხვა მასალა მოვნიშნე, მაგრამ საბოლოოდ დნობად სილიკონზე შევჩერდი. ამ მასალის ფაქტურა ძალიან ჰგავს ცვილის ფაქტურას და ძალიან ორგანულად გამოიყურება. თითქოს, შეგიძლია, საკუთარ სხეულს მოარგო, მოარგო კეთების პროცესს და დინამიკას, რადგან ტრანსფორმაციის საშუალებას გაძლევს და თუ არ მოგეწონა, შეგიძლია გადაადნო და თავიდან ჩამოასხა, რასაც თაბაშირით ვერ იზამ. გადადნობისას ფერი ეცვლება, მაგრამ იმ ფერშეცვლილსაც ვიყენებ. ესეც პროცესის ნაწილია და შეიძლება წაიკითხო, მაგალითად, როგორც ადამიანის სახის ფერი, რომელიც კლიმატის, ასაკისა და ბუნების ზემოქმედებით იცვლება და თავად მასალაც ცოცხალი პროცესის ნაწილი ხდება.

ენის გაყოლა თუ ჩაყოლა, რომელზეც შენ საუბრობ, საკმაოდ სარისკო, საშიში და მძიმე პროცესია, გრძნობ რაღაც დიდის არსებობას, რამაც შეიძლება ჩაგითრიოს. ერთი პერიოდი, როცა მუშაობაში გავიჭედე, ვიგრძენი ზუსტად, რომ წინათ თუ ჩემი მიზანი იყო ჩავყოლოდი, ახლა აღარ თუ ვეღარ მივყვები, ცალი ფეხით ყოველთვის აქეთა მხარს ვრჩები. თან რამდენადაც არ მივყვები, იმდენად მენატრება იქ ჩაყოლა. ძნელი ასახსნელია, რა არის ამის მიზეზი, შეიძლება – შიში... შენი აზრით, რა რისკების წინაშე შეიძლება აღმოჩნდე, თუკი ამ გამომსახველობით ფორმას მიჰყვები, ანდა შიში რისი გაქვს ამ დროს – რას ვერ აკონტროლებ?

კი, მესმის ამ დროს რასაც გრძნობ. როგორც უკვე ვთქვი, კეთების პროცესში ჩართულია რაღაც უცნობი ელემენტი, რომელიც არ იცი. რა თქმა უნდა, ეს უბრალოდ რაღაცის არცოდნას არ ნიშნავს – რაღაცა ვიცით, ან არ ვიცით. ეს არის აუცილებელი ელემენტი და მისი აუცილებლობა იმაში გამოიხატება, რომ მისი წინასწარ წარმოდგენა და ლოგიკურად გამოყვანა შეუძლებელია. უბრალოდ, უნდა გაჰყვე და ამ გაყოლაში გეძლევა შანსი, გაიგო, სინამდვილეში რა გაწუხებდა. ვინაიდან არ იცი, სად მიხვალ, ბუნებრივია, შიში ამ დინამიკის თანმდევი ფაქტორია – შიში რაღაც უცნობის.

თუ დავუბრუნდებით „კარავს“ და „პიკნიკს“, ამ შემთხვევაში სად გადის რისკის ზღვარი? ეს შიში, მხატვრულად რომ ვთქვათ, კარავშია დამალული და არ გინდა, რომ მან ხიფათი შენს პიკნიკს შეუქმნას?

კი, უფრო „კარავს“, ჩაკეტილ სივრცეს მიესადაგება სიტყვები: საშიში, სახიფათო. „კარავი“ და „პიკნიკი“ ორი კონფლიქტური სივრცეა, ამ ექსპოზიციაში არის სკულპტურა, რომელსაც დავარქვი „ჯაშუში“. ამ შემთხვევაში ჯაშუშის სხეული შეიძლება წავიკითხოთ, როგორც იმ ადგილის სიმბოლო, სადაც ორ დაპირისპირებულ მოცემულობას (საზოგადო და პერსონალური, საკრალური და იურიდიული, მედიტაციური და რეაქციული და ა.შ.) შეუძლიათ ერთმანეთის წაკითხვა. „ჯაშუში“ არის ერთგვარი შეკრების წერტილი სისტემაში, რომელიც თითქოს აგვარებს, ან ამძაფრებს კონფლიქტს ამ ორ სივრცეს შორის.

დასაწყისი არის კონცენტრაციის მომენტი, ყოველდღიური ძალისხმევა და ყურადღება, სწორად გაანალიზო კეთების დინამიკა და ამ პროცესში საკუთარი თავი დაინახო. კონკრეტული იდეა კი ამ პროცესის მხოლოდ თანმდევია.

არ ვიცი, ნახე თუ არა ირაკლი მაისურაძის გამოფენა ქარვასლაში 2011 წელს – ფერმწერი იყო, რომელიც 2010-ში გარდაიცვალა. მისი ნამუშევრები ძალიან მომეწონა და თან მისი სტილი საერთოდ არ ჰგავდა ქართულ ფერწერას. ძირითადად ჰქონდა აბსტრაქტული ფორმები – უცნაური არსებებით. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ნამუშევრები იყო, თან – ქართული პროვინციული კონტექსტიდან ამოვარდნილი. ექსპოზიცია ქრონოლოგიურად იყო გაკეთებული – ახალგაზრდული ნამუშევრები, პატარა მიგნებებით, მერე უკვე მომწიფებული, ღრმა ნამუშევრები, მერე – დაღმავლობასავით, სადაც ენა იგივე რჩება, მაგრამ უკვე მეორდება რაღაცები, და ბოლო ნამუშევრები იყო, რამაც ძალიან გამაოცა, ხატები. ამ გამოფენაზე ნათლად ჩანდა, რომ ეს მხატვარი ჩაჰყვა იმ პროცესებს, ჩვენ რაზეც ვლაპარაკობთ. იქ, ქაოსი თუ უკონტროლობა იგრძნო, რისიც, ალბათ, იმდენად შეეშინდა, რომ ერთადერთი გამოსავალი მისთვის აღმოჩნდა იქ, სიღრმეში ნაგრძნობი პასუხისმგებლობის მოხსნა და ხატების წერის კანონების დამორჩილება. მარტო ამ ხატების ნახვით ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს კაცი ასეთი საინტერესო ფერმწერი იყო, ან მარტო ფერწერის ნახვით ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ მხატვარს ხატებიც ჰქონდა დახატული. როგორც ჩანს, ეს ჩაყოლა, ეს პასუხისმგებლობა, ძალიან მძიმეა და ძალიან დიდ რამეს გაკისრებს, და ამიტომაც ხდება ისე, რომ ერთმა შეიძლება თავი მოიკლას და მეორე, ხატების წერაზე გადავიდეს. ეს იყო ამ ადამიანისთვის გასაქცევი, რომ დამორჩილებოდა ხატების წერის ლოგიკას და მის კანონებს. როგორც ჩანს, მანაც საკუთარ თავზე მაღლა დააყენა რაღაც, მაგრამ ეს მისი მხრიდან იყო უფრო გამოსავალი, რადგან პასუხისმგებლობა ბოლომდე ვერ აიტანა.

კი, სრულიად გეთანხმები. თუ ჩვენთვის საინტერესო ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებას დააკვირდები, ყოველთვის არის ერთიანი ხაზი, რასაც არ ღალატობს მხატვარი. ენას და რიტმს, რომელსაც მიჰყვები, უნდა ენდო. ეს ძალიან რთულია, ცხოვრებაში ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი გხვდება, მაგრამ მაინც უნდა გაჰყვე ბოლომდე. არ მინდა, მეტისმეტად კრიტიკული ვიყო ირაკლი მაისურაძის შემოქმედების მიმართ. მით უმეტეს, რომ არ მინახავს მისი ეს გამოფენა, მაგრამ მაინც

მგონია, რომ ვექტორის ასეთი მკვეთრი ცვლილება, ბოლომდე ვერგაგებაა იმ ენისა, რომელსაც მხატვარი მიჰყვება.

მოდი, ახლა იმ შენს 2005 წლის გახმაურებულ ნამუშევარზე გვიამბე, ბიბლიასთან რომ იყო დაკავშირებული, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას შენთვის?

აკადემიის დამთავრების შემდეგ ეს პირველი გამოფენა იყო, გიორგი ტაბატაძესთან და ზურა აფხაზაშვილთან ერთად. გამოფენას ერქვა „სადილი ყველას“, ჩემს ნამუშევარს კი – „მიირთვით გემრიელად“. სახარებიდან ამოვხიე ფურცლები და შევჭამე, ფონად იყო ვიდეოინსტალაცია და რამდენიმე სხვა ობიექტი. ამ ნამუშევრის მთავარი იდეა იყო ტექსტთან უშუალო და პირდაპირი შეხება – ყოველგვარი შუამავლების, ეკლესიისა და კულტურული კლიშეების გარეშე. ამავე დროს, ეს იყო ჩემი პირველი რელიგიური გამოცდილების გამოძახილიც.

პირდაპირ შეხებაში რას გულისხმობ? იმას, რაც პროტესტანტებმა ქნეს, როცა შუამავლები ამოაგდეს, ბიბლია თავიანთ ენაზე გადათარგმნეს და უშუალოდ ბიბლიით დაიწყეს ხელმძღვანელობა?

კი, ამას ვგულისხმობ. მოვლენა, რომელიც შენ ახსენე კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ზედაპირზე ევანგელიზაციის პროცესის სახით განხორციელდა, რასაც შემდეგ განმანათლებლობა მოჰყვა ევროპაში. სამწუხაროდ, ეს ჩვენთან ვერ განხოციელდა და ყველაფერი ჩვენს კულტურულ სივრცეში ამ მოვლენის მარცხის კვალს ატარებს. ალბათ, ჩემი პერფორმანსი იყო გამოძახილი ამ მოვლენებზე და იყო მცდელობა, ეს ყველაფერი დისკრეტულ სივრცეში გამეთამაშებინა.

საინტერესო ის არის, რომ რაზეც ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ, გამოფენის გახსნის დღესვე გამოჩნდა: მართმადიდებელი ფუნდამენტალისტების ჯგუფმა დაარბია გამოფენა და მეორე დღეს, გალერეაში მისულებს, გამოფენა დახურული დაგვხვდა. ვინაიდან ქარვასლა, სადაც ეს გამოფენა გაიხსნა, სახელმწიფო მუზეუმია, სახელმწიფომ ჩათვალა, რომ მას გამოფენის დახურვის უფლება ჰქონდა. მაშინ ეს საქციელი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევდა, რადგან რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და გვეგონა, სახელმწიფო კონსტიტუციის და დემოკრატიის მხარეს აირჩევდა. ახლა უკვე არაფერია გასაკვირი, ყველაფერი გაშიშვლებულია.



„სტრუქტურული ბაღი“. 2012
ორგმინა, წყალი, დნობადი სილიკონი, ქსოვილის ჩანართები

ფოტოები: ლევან ხარბულიძე

წელს კოტე მინდაძის გამოფენაც დაიხურა, რომელიც არტისტერიუმის ფარგლებში გაიმართა წინანდალში. გამოფენის მსვლელობის დროს პრეზიდენტი ჩავიდა წინანდალში და დირექციამ, ერთი დღით ჩამოვხსნით გამოფენასო. მერე კოტემ სულ ჩამოხსნა, თან ძალიან შრომატევადი იყო იმის აშლა-აწყობა...

თორნიკე, ბოლოს მინდა გკითხო, რას ელოდები „სტრუქტურული ბაღისა“ და მაყურებელთან შეხვედრისგან?

იმედი მაქვს, რომ ეს ნამუშევარი შექმნის ისეთ დაძაბულ ველს, ისეთ პირობებს, რომ მაყურებელი აზროვნების პროცესში შეიყვანოს. დიდი სურვილი მაქვს, დამთვალიერებელმა „სტრუქტურულ ბაღს“ გარედან არ დაუწყოს ყურება, არამედ შევიდეს რაღაც პროცესში. ეს ნამუშევარი პირდაპირი გაგებით ინტერაქტიული არ არის, მაგრამ თავისი დინამიკით, რაღაც პროცესებით, ინტერაქტიულია. და თუ ეს ინტერაქტიულობა არ დაიკარგა და მაყურებელი ჩაერთო ამ პროცესში, ვიტყვი, რომ პროექტი შედგა.

ფოტო: REUTERS

ჩიტი მავთულზე

ლეონარდ კოენი – თერთმეტ ეპიზოდში ჩატეული არტისტის პორტრეტი

ავტორი კახა თოლორდავა

„გამარჯობა, სიბნელევ, ჩემო ძველო მეგობარო!“
პოლ საიმონი

„დღეს სიკვდილს შევხვდი. ჭადრაკის თამაში დავიწყეთ!“
რაინდი ანტონიუს ბლოკი. ინგმარ ბერგმანი „მეშვიდე ბეჭედი“

„სიკვდილს ვერ დაჯაბნი,
სიცოცხლეში თუ მოუგებ ზოგჯერ“.
ჩარლზ ბუკოვსკი

* * *

1977 წელი. იმ საღამოს ოთახში ორნი ისხდნენ, – იაპონელი ბუდისტი ბერი და კანადელი პოეტი-მომღერალი. კონიაკს წრუპავდნენ ბოლდის მთაზე შეყუჟული ბუდისტური მონასტრის ერთ-ერთ პავილიონში. წრუპავდნენ და ჭრიჭინებს უსმენდნენ.

– მომისმინე, ჯიკან, – დაარღვია სიჩუმე ბერმა თავისი დამტვრეული ინგლისურით, – ჭრიჭინაზე უნდა დაწერო ლექსი.

– უკვე დავწერე, როში, – უპასუხა მომღერალმა, – ორი წლის წინ, ამ ოთახში.

– მართლა?

ჭრიჭინით გაზავებული დუმილი. ცოტა ხნის შემდეგ.

– და მაინც, – თქვა ბერმა, – ჭრიჭინაზე უნდა დაწერო რამე.

– კარგი, შენი აზრით, როგორი უნდა იყოს ეს ლექსი?

– ბნელ ღამეში/ჭრიჭინა მღერის./ მისი სატრფო მის სიმღერას უსმენს.

– ცუდი არაა – უპასუხა მომღერალმა.

– ან, აი, კიდევ: ბილიკს მივუყვები./ ჭრიჭინის ხმამ იკითხა:/ სადაა ჩემი სატრფო?

– ეს არ მომეწონა, როში!

– ამაზე რას იტყვი, – ჭრიჭინავ! ჭრიჭინავ!/შენ ჩემი სატრფო ხარ./ბილიკზე მარტო მივაბიჯებ,/მაგრამ შენთან ერთად თავს ეულად არ ვგრძნობ.

– პირველი უფრო კარგი იყო, – უპასუხა პოეტმა.

– მოკლედ, ჯიკან, – გაბრაზდა როში, – იმის თქმა მინდოდა, რომ კიდევ უფრო ნაღვლიანი სიმღერები უნდა წერო.

* * *

ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ხოლმე ლეონარდ კოენზე და იმაზე, თუ როგორ გააცურა მან სიკვდილი. კი არ მოატყუა, – გააცურა! რომ მოგატყუებენ სავარაუდოა, რომ გაბრაზდები, მაგრამ შეიძლება გაგაცურონ და გაგეღიმოს. თუ ცრუპენტელას გაუღიმე, ეს იმას ნიშნავს, რომ აპატიე და სწორედ ამიტომ იღიმის ასე გულღიად ლეონარდ კოენი დღეს, სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში. მან იცის, რომ სულგრძელად აპატიეს, ერთხელ და ორჯერ კი არა, ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ; თანაც, ვინ? მეტოქემ, ვინც არავის არასდროს არაფერს პატიებს! თუ ყველა ღიმილი გადამდებია, მაშინ კოენის ღიმილი მისივე მეტოქის ღიმილის ანარეკლია და პირიქით; ამ ორ ღიმილს შორის კი ისაა, რისი უფლებაც მან თავისი ნიჭით, შრომით და გაქნილობით მოიპოვა. ამიტომაც, როდესაც დღეს ის სცენაზე დგას ფეხზე წამომდგარი ათასობით მსმენელის წინაშე, თავშიშველი, მკერდზე მიდებული შლაპით ხელში, გულახდილი მადლიერების ნიშნად წელში ოდნავ მოხრილი, მოღიმარი სახელგანთქმული პოეტი, პოპ-ვარსკვლავი და ებრაელი ძენ-ბუდისტი ბერი, მე ვგრძნობ, რომ ის მადლობას მარტო მათ კი არ

უხდის, არამედ იმასაც, ვინც მას იქ, იმ მომენტში, იმ წამში ყოფნის უფლება მისცა. „წყალში გაფურჩქნული ლოტოსი შეიძლება ცეცხლმა გაანადგუროს, მაგრამ სულ სხვაა ლოტოსი, რომელიც ცეცხლში იფურჩქნება!“ რა გასაკვირია, ხშირად რომ ვფიქრობ ხოლმე ლეონარდ კოენზე?

* * *

პირველად სიკვდილს ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაეყარა მონრეალში, თავის მშობლიურ ქალაქში. მაშინ სიკვდილმა მამამისი, მუდამ კლასიკურ კოსტიუმში გამოწყობილი კომერსანტი, ნათან კოენი გაიყოლა თან. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მისმა შვილმა მოკლე ლექსი დაწერა, შემდეგ მამის ერთ-ერთი ჰალსტუხი გაჭრა, ფურცლის ნაგლეჯი ჰალსტუხში ჩაკუჭა და კოენების სახლის ეზოში მიწაში ჩაფლა. ის ჰალსტუხი შეიძლება დღესაც იქაა, თუმცა კოენი დღემდე უარს ამბობს იმის გამხელაზე, თუ რაზე იყო ის ლექსი. ყველა, ვინც ამ ლექსის შესახებ იცის, ეკითხება ხოლმე, მაგრამ ის სულ პასუხობს, რომ არ ახსოვს. „მხოლოდ ასე შემეძლო იმ საიდუმლოებით მოცული მოვლენის წინაშე პირისპირ დგომა, – თქვა მან ერთხელ, – თუმცა მის სიკვდილს არ გავუნადგურებივარ; თითქოს ბუნებრივიც იყო რომ გარდაიცვალა. სიკვდილი ისეთი რამაა, რასაც ეჭვქვეშ ვერ დააყენებ, ვერც უარყოფ, ხოლო იმ ლექსს რაც შეეხება, მის ჰალსტუხში რომ დავმალე, ის, ალბათ, ლოცვა იყო მის გასაცილებლად, ახლა უკვე აღარ მახსოვს“. თუ არ ვცდები, სწორედ მამის გარდაცვალების შემდეგ გაქრა მისი ოთახიდან კომიქსების წიგნები. ამ დროისათვის, სინაგოგაში მოსმენილი ბიბლიური ისტორიებით მოხიბლული, ის სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდა მათთან სტუმრად ჩამოსულ, ებრაულ სულიერებაში განსწავლულ ბაბუასთან ერთად დედის (მაშა კოენის, წარმოშობით რუსი, ბოჰემური ქალბატონის) მხრიდან. ესაია წინასწარმეტყველის წიგნმა ყველაზე დიდი გავლენა იქონია მასზე, – განთავისუფლდი ილუზიისგან, უარყავი უსამართლობა, გამორიცხე ტყუილი. ესაია დღესაც ბევრია მის ლექსებში. როდესაც კოენზე ვფიქრობ, რატომღაც სულ მგონია, რომ სწორედ მაშინ ჩაისახა მასში ის განწყობა, რაც მან მოგვიანებით ლექსად აქცია, – „ბზარის გარეშე არაფერია. ასე შემოდის სინათლე ჩვენში“. სადღაც ევროპაში კი, ნათანის გარდაცვალების წელს, 19 აპრილს, ჰეინრიჰ ჰიმლერმა 2 000 ესესელი გააგზავნა ვარშავის გეტოს საბოლოოდ გასაწმენდად. იმ დროს ლეონარდ კოენი ცხრა წლის იყო.

* * *

პირველად იყო ლორკა. მისმა ლექსებმა დაარწმუნეს კოენი, რომ მისი მოწოდება პოეზია იყო (მოგვიანებით, მადლიერების ნიშნად, კოენი თავის ქალიშვილს ლორკას დაარქმევს). რა თქმა უნდა, ამ დროისათვის, გასული საუკუნის ორმოცდაათიანებისათვის, ლექსების წერა უკვე დაწყებული ჰქონდა, მაგრამ სწორედ ლორკა დაეხმარა მას საკუთარი ხმის დაძებნაში. მერე კი იყო ერთი ახალგაზრდა ესპანელი გიტარისტი, მონრეალის ერთ-ერთ სკვერში რომ უკრავდა ფლამენკოს გამვლელ-გამომვლელებისათვის. „გაკვეთილს თუ მომცემ?“ – ჰკითხა ერთხელ მის მოსასმენად შეჩერებულმა კოენმა. ის უკვე ცოტ-ცოტას უკრავდა გიტარაზე. თავისი ბენდიც კი ჰყავდა. აჟღარუნებდნენ ხოლმე. „რატომაც არა?“ – უპასუხა გიტარისტმა. სულ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს კოენის სახლში. ამ სამი შეხვედრის განმავლობაში გიტარის სწორად აწყობა და ექვსი აკორდი ასწავლა იმ ესპანელმა, მერე კი, შემდეგი გაკვეთილის ჩასატარებლად, აღარ მოვიდა. კოენს მისი ტელეფონის ნომერი ჰქონდა ჩაწერილი. გადაურეკა და იკითხა, გაკვეთილი რატომ გააცდინაო. ალბათ, იმიტომ, რომ გუშინწინ თავი მოიკლაო, უპასუხეს. 2009 წელს, როდესაც ესპანეთის მეფემ ხუან-კარლოსმა საკუთარი ხელით გადასცა ლეონარდ კოენს პრინც ასტურიასის პრიზი, სამადლობელ სიტყვაში კოენმა თქვა ის, „რაც არასდროს არავისთვის უთქვამს“, – „არაფერი ვიცოდი იმ კაცზე. არ ვიცოდი, ესპანეთის რომელი კუთხიდან იყო ის, რატომ ჩამოვიდა მონრეალში, რატომ უკრავდა იმ ბაღში და რატომ მოიკლა თავი, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ ის ექვსი აკორდი, რაც მან მასწავლა, ფუძეა ჩემი მუსიკის და ჩემი ყველა სიმღერის“. რა თქმა უნდა, იმ საღამოს კოენს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც სხვისმა სიკვდილმა რაღაც ღირებული დატოვა მასში, რაღაც ისეთი, რასაც ის დაეყრდნობოდა და განავითარებდა. ასეთ შანსს ხელიდან მხოლოდ ისინი უშვებენ, ვინც სიბნელის არსებობაზე არაფერი იციან. „წარმატება გადარჩენისთვის ბრძოლაა – წარმატება გადარჩენისთვის ბრძოლაა – წარმატება გადარჩენისთვის ბრძოლაა!“ – იმეორებს ის დაუღალავად. დღემდე.

* * *

„აი, ჩვენ დიდი და კეთილი გული გაჩუქეთ, მაგრამ ბევრ ღვინოს თუ შესვამ, სამყაროს შეიძულებ. მთვარე შენი დაა, მაგრამ თუ ბევრ დასაძინებელ წამალს მიიღებ, უბედური ქალებით იქნები გარშემორტყმული და ყოველთვის, როდესაც სიყვარულს ზედმეტად მიეძალები, მეხსიერების თითო ფანტელს დაკარგავ!“ როგორც კოენი ამბობს, ასე არიგებდნენ მშობლები და ნათესავები მას ახალგაზრდობაში. თითოეული ეს დარიგება სიბნელის შიშითაა გაჟღენთილი, მაგრამ ყველა ამ საფრთხეში შებიჯების აუცილებლობა თითქოს გარდაუვალი იყო მისთვის, საზრიანი, ლამაზი, ნიჭიერი, თავგადასავლებს მოწყურებული ახალგაზრდა კაცისთვის და ყველაფერი ეს, – რაც შეიძლება მეტი ქალი, რაც შეიძლება მეტი ახალი გემო და შეგრძნება, რაც შეიძლება მეტი მოგზაურობა, პოეზია, მუსიკა, ნიუ-იორკი, დილანი, ჯენის ჯოპლინი, ალენ გინსბერგი, ჯექ კერუაკი და ბითნიკები, ნარკოტიკები, სასიყვარულო ურთიერთობები მსოფლიოს ყველაზე სასურველ ქალებთან, ტაში, წარმატება, ღრმა დეპრესიის პერიოდები, – ამ ცდუნებებით თუ საშიშროებებით გადატვირთული მთელი ეს შვედური მაგიდა სულ მალე დაიძრა კიდეც მისი მიმართულებით, როგორც ბირნამის ტყე –

მაკბეტისკენ. მანამდე კი იყო ის, რაც ყველა მისი ბიოგრაფიული მონაცემების საკუთრებაა დაწყებული „ვიკიპედიით“ და დასრულებული „ბიო“-თი მის ინტერნეტ გვერდზე, – პირველი ფოლკ-ბენდი „ბაქსქინ ბოიზ“, პოეზიის კურსი კანადელ პოეტ ლუი დუდეკთან მაქგილის უნივერსიტეტში, ქოლამბიის უნივერსიტეტი ნიუ-იორკში, ისევ მონრეალი და ადგილობრივ პოეტურ წრეებში პირველი ლექსების კითხვა, მეგობრობის დასაწყისი ირვინ ლეიტონთან, კანადის ყველაზე მნიშვნელოვან პოეტთან (“ჯერ იყო ლეიტონი, მერე კი ყველა ჩვენ“ – თქვა ერთხელ კოენმა ლეიტონზე, – მისი ჩახშობა ვერც ალცჰეიმერმა მოახერხა და ვერც სიკვდილმა!“), ლექსების პირველი კრებული, მერე მეორე კრებული, მერე კუნძული ჰიდრა საბერძნეთში და პირველი რომანი, მერე კი, 1967 წელს, უკვე ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, პირველი ალბომი, რომელმაც მოულოდნელი აღიარება მოუტანა მას. „კოენამდე იყო სიმღერა, – თქვა კოენისადმი მისასალმებელ სიტყვაში კანადის გენერალ-გუბერნატორმა ედრიანა კლარკსონმა 2006 წელს, – მისი მოსმენის შემდეგ კი არცერთი სიმღერა არაა მისი სიმღერის მსგავსი. მან შეცვალა ყველა ჩვენთაგანის ცხოვრება თავისი სევდის სიღრმით და სიყვარულის მოცულობით. ის აღწევს შენს ტვინში, გულში, ფილტვებში და შენ მას იმახსოვრებ, შენ მას გრძნობ, შენ მას სუნთქავ!“ როდესაც ამას უსმენ და უყურებ, შეუძლებელია არ გაიხსენო ის, რომ ადამიანს, ვისაც ამ სიტყვებით მიმართეს, არასდროს უფიქრია მუსიკის მეშვეობით სახელის მოხვეჭა. უბრალოდ, ერთხელ, როდესაც ის მიხვდა, რომ თავისი ლექსებით თავის შენახვა გაუჭირდებოდა და ნიუ-იორკში ყოფნისას საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ პატივისცემაში იყვნენ ბობ დილანი, ჯოან ბაეზი და სხვები, თავისი ლექსების ნაწილი სიმღერად აქცია და ერთ-ერთი მათგანი, ჯუდი კოლინზს, აგრეთვე არანაკლებ ცნობილ ფოლკ-მომღერალს, ტელეფონში უმღერა. როდესაც კოენზე ვფიქრობ ხოლმე, ვხედავ მას თავის ოთახში, მონრეალში, ლოგინზე ჩამომჯდარს, ყურმილით ხელში, რომელშიც ნახევრად ღიღინით, ნახევრად რეჩიტატივით, თითქმის ჩურჩულით მღერის აი ამას: „Suzanne takes you down to her place near the river/You can hear the boats go by/You can spend the night beside her/And you know that she’s half crazy/But that’s why you want to be there... „მე მინდა, რომ ეს სიმღერა ჩავწერო“, – დაუფიქრებლად მიახალა ჯუდი კოლინზმა. ამ სიტყვებმა ლეონარდ კოენი პოპ-კულტურის შუაგულში მოისროლეს, იქ, სადაც ციდან ოქროს მტვერი ცვივა, მაგრამ საიდანაც შეიძლება ცოცხალი ვეღარ დაბრუნდე. „დროდადრო ვგრძნობ ხოლმე სიკვდილის გემოს სიტკბოს“ – ეწერა კოენის პირველივე ალბომის უკანა ყდაზე.

როდესაც დღეს ის სცენაზე დგას ფეხზე წამომდგარი ათასობით მსმენელის წინაშე, თავშიშველი, მკერდზე მიდებული შლაპით ხელში, გულახდილი მადლიერების ნიშნად წელში ოდნავ მოხრილი, მოღიმარი სახელგანთქმული პოეტი, პოპ-ვარსკვლავი და ებრაელი ძენ-ბუდისტი ბერი, მე ვგრძნობ, რომ ის მადლობას მარტო მათ კი არ უხდის, არამედ იმასაც, ვინც მას იქ, იმ მომენტში, იმ წამში ყოფნის უფლება მისცა.

* * *

„რომ ვიცოდე, საიდან მოდიან კარგი სიმღერები, უფრო ხშირად შევეცდებოდი იმ ადგილზე მოხვედრას!“ – ხშირად იმეორებს ხოლმე კოენი და ის არ თვალთმაქცობს. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის მისი სიმღერები თვით ბობ დილანს აქვს ნამღერი, ისევე როგორც ათეულობით ყველაზე სახელგანთქმულ ბენდს თუ მომღერალს, დაწყებული ნიქ ქეივით და დასრულებული U2-თი, კოენის მუშაობის ტემპი ყოველთვის დაბალი იყო, პოეზიაშიც, პროზაშიც, მუსიკაშიც. „რამდენი ხანი მოანდომე „ალლელუიას“ (კოენის, ალბათ, ყველაზე ცნობილი და ყველაზე შესრულებადი სიმღერა) დაწერას?“ – შეეკითხა ერთხელ ბობ დილანი კოენს. „ოთხი თუ ხუთი თვე!“ – უპასუხა კოენმა. – „შენ რამდენი ხანი მოანდომე „მე და მე“?-ს – ჰკითხა კოენმა. „ოცი წუთი!“ – მიუგო დილანმა. ასევე მუდამ დამფრთხალი იყო ის თავის ხმის გამო, რომელმაც წლების განმავლობაში უცნაური ცვლილება განიცადა, – რამდენიმე რეგისტრით დაეშვა დაბლა. დღეს მისი „ოქროს ხმა“ და სრულიად განუმეორებელი სიმღერის სტილი ისეთივე ადვილად საცნობია, როგორც „მერსედესის“ ლოგო, მაგრამ ის ისევე ფრთხილად ექცევა მას, როგორც ადრე. “ჩემი ხმა უკეთესი ხდება, როდესაც ის იმათ ხმებშია შეფუთული,

ვინც სიმღერა იცის“. როგორც წესი „მაშველად“ ქალის ხმებს იშველიებს ხოლმე. კიდევ ერთი მისი უცნაურობა თავისივე სიმღერებთან მიმართებაშია; მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსობა მხოლოდ ფინანსური მოსაზრების გამო გადაწყვიტა, ის იმდენად გულგრილი იყო თავის სიმღერებზე უფლებების მიმართ, რომ თვალსა და ხელს შუა ააწაპნეს იგივე „სიუზანზე“ ყველა უფლება. კოენის რეაქცია? „მე ჩემივე სიმღერაზე უფლება წამართვეს – თქვა მან ერთ-ერთი კონცერტის დროს, სანამ „სიუზანის“ სიმღერას დაიწყებდა, – და ძალიანაც კარგი, ასე რომ მოხდა, რადგანაც უსამართლობა იქნებოდა ჩემივე დაწერილი სიმღერის მეშვეობით რომ გავმდიდრებულიყავი“. როდესაც მას სამოცდაათიანების დასაწყისში შეეკითხნენ მართლა აპირებდა თუ არა ის მუსიკისათვის თავის დანებებას, როგორც ამაზე ჭორაობდნენ, მან მიუგო: „რას უნდა დავანებო თავი? რომელ მუსიკოსობაზეა ლაპარაკი?“ გაუგებარია, როდის თვალთმაქცობდა და როდის ამბობდა სიმართლეს კოენი, მაგრამ აი, ეს, თითქოს დამფრთხალი კაცი, დაწყებული სამოციანებიდან, ბედავდა კუბაში წასვლას „ღორების ყურეში“ კონფლიქტის დროს, ბედავდა ჯიმი ჰენდრიქსის შემდეგ სცენაზე გამოსვლას და დარბაზიდან კაციშვილი არ ადგამდა ფეხს, ის ბედავდა მიეხალა „ზიგ ჰაილ“ გერმანელი მაყურებლისთვის, ის ბედავდა სცენაზე ცხენით შესვლას, ის ბედავდა ნიუ-იორკის მაგივრად ოსლოში, ნეშვილში და საბერძნეთში, კუნძულ ჰიდრაზე ცხოვრებას, ის ბედავდა სულიერებაზე ლაპარაკს ისე, არცერთ როკ-ვარსკვლავს რომ არ დასიზმრებია, დილანის და ლენონის ჩათვლით, ის ბედავდა შუა კონცერტის დროს სცენის დატოვებას, მაგრამ მას რატომღაც პატიობდნენ ამას, ის ბედავდა ჰიპების, „შავი პანტერების“ და ყველა სხვა დაჯგუფებების ათვალწუნებას, ის ბედავდა ადამიანის გულის ისეთ სიღრმეებში ჩასვლას, სადაც სინათლე ვერ აღწევდა, ის ბედავდა დაეწერა სიმღერა იმაზე, თუ როგორ ასიამოვნა ორალურად ჯანის ჯოპლინმა ოტელ „ჩელსის“ ნომერში (ეს ერთადერთია, რასაც კოენი დღემდე ნანობს), ის ბედავდა ყველაზე პოლიტიკურ სიტუაციებში პოლიტიკის უარყოფას, ის ბედავდა შვილების ყოლას ქალისგან, ვინც მისი ცოლი არ იყო, ის ბედავდა გრძელვადიან რომანებს ჯონი მიტჩელთან, ნიკოსთან და რებეკა დე მორნეისთან. „ლეონარდის გვერდით ხვდები შენი, როგორც ქალის ძალას!“ – თქვა მასზე ერთხელ ერთმა ქალმა“. ბევრად, ძალიან ბევრად გვიან ის ასე შეეცადა აეხსნა ყველაფერი: „ბჰაგავატგიტაში“ „ერთი დიდებული ეპიზოდია – არჯუნა თავის ეტლში დგას და ბრძოლის ველს გადაჰყურებს. მისი ყველა ეტლი საბრძოლო მზადყოფნაშია მოსული. მის პირდაპირ მოწინააღმდეგის ჯარია გაშლილი და ის ხედავს, რომ მათ რიგებში ყველა ის ადამიანია, ვინც მას უყვარს, არამარტო მისი ბიძები და სხვა ნათესავები, არამედ მისი გურუც. მერე კი ის ხედავს კრიშნას, რომელიც მას ეუბნება, – „შენ ვერასდროს გაერკვევი იმაში, თუ რა გარემოებებმა მოგიყვანეს ამ წუთამდე; შენ მეომარი ხარ, ამიტომაც წადი და იბრძოლე. ისინი ყველანი მკვდრები არიან, ისევე როგორც შენ. ეს მხოლოდ თამაშია. ასეთია ჩემი ნება და შენ იმ რეალობაში არსებობ, რომელიც მე განვსაზღვრე შენთვის და რომელშიც თვითონვე არ შემოგიგდია შენივე თავი. ამიტომაც, მიდი მეომარო, შეხვდი შენ ბედს და შეასრულე შენი ვალი“.

* * *

„მონრეალში მჭიდრო პოეტური წრე არსებობდა. ამ წრის უფროსი წევრები ირვინ ლეიტონი, ლუი დუდეკი და ფრენქ სქარი იყვნენ. ისინი ძალიან კარგად მექცეოდნენ. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს არაფორმალურ გარემოში, კაფეში ან ვიღაცის სახლში, სადმე, სადაც სასმელიც იყო და საჭმელიც, ერთმანეთს ლექსებს ვუკითხავდით, მერე კი დეტალურად ვარჩევდით წაკითხულს. გვინდოდა, კარგი მწერლები, კარგი პოეტები, დიდი პოეტები გამოვსულიყავით. გვეგონა, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა მსოფლიოში. შელის ნათქვამი აქვს, რომ პოეტები სამყაროს არაღიარებული დამკანონებლები არიანო. გულუბრყვილო განცხადებაა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ასეა. გვეგონა, რომ რასაც ვაკეთებდით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იქნებ, იყო კიდეც, ვინ იცის?“ თუ გაგიმართლა და საკუთარი ნიჭის დიაპაზონი ადრევე შეიგრძენი, ეს აღმოჩენა და ამ ფაქტის სიღრმისეულად გააზრება, ბევრი უმიზნო ნაბიჯისგან გიხსნის. გიხსნის ქაოტური, არაეფექტური „ექსპერიმენტებისგან“, საკუთარი ეგოს შემოტევებისგან, უსაფუძვლო ილუზიებისგან. სწორედ ეს იყო, რაც ლეონარდ კოენმა ისწავლა მასზე ბევრად უფროსი და გამოცდილი დუდეკისგან და ლეიტონისგან, ნამდვილი პოეტებისგან, კანადაში ცხოვრებისას. ის მიხვდა, რომ თუ შენში თუნდაც სულ უმნიშვნელო წყარო აღმოაჩინე, სხვაგან ახალი ადგილის ძებნას აზრი აღარ აქვს. ყველაზე მთავარი აი აქ, ამ ჯერ კიდევ სუსტ ნაკადულთან იწყება და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული რამდენად მძლავრი გახდება ის. შეიძლება, მასში სწორედ ამ მომძლავრებული ნაკადის ძალა იგრძნეს ალენ გინსბერგმა და ჯეკ კერუაკმა უკვე ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ კოენი მათთვის „ზედმეტად ბურჟუა“ იყო, პატივისცემა მათგან არ მოკლებია, ისევე, როგოც ჯიმი ჰენდრიქსისგან, ბობ დილანისგან, ჯონი მითჩელისგან, ენდი უორჰოლისგან და ყველა დანარჩენისგან. რა თქმა უნდა, მათ ადვილად შეეძლოთ კოენის მუსიკალური მონაცემების უგულებელყოფა, – ინსტრუმენტალისტისთვის ზედმეტად შეზღუდული ლექსიკონი, პოპ-ვარსკვლავისათვის, და საერთოდ, იმდროინდელი ნიუ-იორკისათვის, შეუფერებელი თავდაუჯერებლობა (ბოლოს და ბოლოს, კოენი ხომ ის კაცი იყო, ვინც სცენიდან გაიქცა თავისი პირველივე კონცერტის დროს!), – მაგრამ ვერავინ მოახერხებდა მისი სიტყვების პირისპირ გულგრილად დგომას. „მსმენია კაცზე, ვინც ისე ლამაზად წარმოთქვამს სიტყვებს,/ რომ მხოლოდ სახელიც საკმარისია ყველა ქალი მისი რომ გახდეს./ სწორედ ამიტომ, მე თუ მუნჯივით ვწე-

ვარ შენს გვერდზე,/ სანამ დუმილი სიმსივნესავით ედება ჩვენს ტუჩებს,/ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მესმის, თუ როგორ ამოდის ის კაცი კიბეზე,/ მერე კი, ჩვენ კარს მიღმა მდგომი, ერთს ჩაახველებს./ ეს მისი პირველი ლექსების კრებულის პირველივე ლექსი იყო და კოენი სწორედ იმ ხმადქცეული უხილავი კაცივით, ვინც ასე ჩამოჰგავს დევიდ ლინჩის საიდუმლოებით მოცულ პერსონაჟებს, მიუახლოვდა პოპ-კულტურის კარს. შესვლამდე მან ერთი ჩაახველა და მისი ლეგენდაც აქედან იწყება. დღეს, კუნძულ ჰიდრაზე, საბერძნეთში, სადაც კოენმა თავისი საუკეთესო წლები გაატარა ახალგაზრდობაში და სახლიც კი იყიდა იქ, უძრავი ქონების შესყიდვა-გაყიდვის აგენტები ასე იწყებენ საუბარს თავის კლიენტებთან: „გახდით ლეონარდ კოენის მეზობელი კუნძულ ჰიდრაზე!“ „ის ნახევრად მგელია და ნახევრად ადამიანი!“ – თქვა მასზე ანჟელიკა ჰიუსტონმა.

* * *

სიტყვა „ჯიკანი“ იაპონურიდან დუმილს ნიშნავს. ზოგი განმარტებით ის „უბრალო“, „ჩვეულებრივი“ დუმილია, მაგრამ კიოსან ჯოშუ სასაკი ან როგორც ის თავისი მოწაფეებისათვისაა ცნობილი, როში, ლეონარდ კოენის მასწავლებელი ძენ-ბუდისტურ მონასტერში ბოლდის მთაზე, ჩვეულებრივ სიჩუმეს არ გულისხმობდა, როდესაც კოენს ბუდისტური სახელი ჯიკანი შეარქვა. „ორ აზრს შორის ჩამომდგარი სიჩუმე“, – აი, ამ სიტყვის უფრო ზუსტი თარგმანი. როშიმ ინგლისური კარგად არ იცოდა, არც კოენზე იცოდა ბევრი რამ, მაგრამ თითქოს ინტუიციით მიხვდა, რომ მისი ახალი მოსწავლის ცხოვრებაში ორ სიცოცხლეს შორის ჩამომდგარი სიჩუმე იდგა. პირველზე ყველამ ყველაფერი იცოდა, – ის სწავლობდა რელიგიურ ტექსტებს, საიენტოლოგიას, ქრისტიანობას, ინდუიზმს და ცეკვავდა კრიშნაიტებთან ერთად, რომ არაფერი ვთქვათ ყველაფერ დანარჩენზე, 9 ალბომზე, 2 რომანზე, 9 პოეტურ კრებულზე, უამრავ პრიზზე, უამრავ ქალზე, სასმელსა და ნარკოტიკზე. მიუხედავად

თუ გაგიმართლა და საკუთარი ნიჭის დიაპაზონი ადრევე შეიგრძენი, ეს აღმოჩენა და ამ ფაქტის სიღრმისეულად გააზრება, ბევრი უმიზნო ნაბიჯისგან გიხსნის.

ამისა, მისი სიმღერები სულ უფრო და უფრო ცინიკური და სევდიანი ხდებოდა, მაგრამ მაინც იყიდებოდა იმ უცნაური, მოუხელთებელი სილამაზის გამო, რაც მის სიტყვებში ისმოდა. მისი ლექსები თითქოს საკუთარ თავთან შეხვედრის ადგილები იყო. მისი ბენდის წევრები ხუმრობით „კაპიტან მანდრაქსს“, ტრანკვილიზატორია ასეთი, ეძახდნენ, ჟურნალისტები „პესიმიზმის პოეტ-ლაურეატს“ უწოდებდნენ, ირვინ ლეიტონი კი „თვითმოძულე ნარცისს“, კურტ კობეინმა თვითმკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე ინატრა, სიკვდილის შემდეგ მინდა, რომ მხოლოდ კოენის სიმღერებს ვუსმენდეო, მისი პროდიუსერი კი ხუმრობით ამბობდა ლეონარდის ყველა დისკს თითო სამართებელი მაინც უნდა მოჰყვებოდესო. მთელი ეს სევდა კი, კოენს მხოლოდ მისთვის გახსნილი სიღრმეებიდან ამოჰქონდა, იქიდან, სადაც, როგორც მას ეგონა, კარს მიღმა სულ სხვა ვინმე იდგა. „ჩვენ დიდი გაუგებრობის ეპოქაში ვცხოვრობთ, – აღნიშნა მან ერთ-ერთ ინტერვიუში, – ვერც ლიტერატურა და ვერც მუსიკა ვერ მოახერხებს ამ კრიზისის სიღრმის წარმოდგენას. მგონია, რომ დამანგრეველი ბიბლიური წარღვნის მოწმე ვარ. ყველა საკუთარი თავის გადასარჩენად იღვწის... იმ მდინარეში, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდდება და რომელიც საბოლოოდ წყლით დაფარავს ყველა ჩვენ ორიენტირს და ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ასეთ პირობებში ადამიანები მაინც ჯიუტად იმეორებენ, რომ „მემარცხენეები“ ან „მემარჯვენეები“ არიან. გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის ყველანი ისინი შეშლილები არიან!“ კოენმა როში ჯერ კიდევ 1973 წელს გაიცნო და რამდენიმე ხნის შემდეგ პირველად ესტუმრა ბუდისტურ მონასტერს ბოლდის მთაზე, კალიფორნიაში, მაგრამ იქაურ მკაცრ შიდაგანაწესს ვერ გაუძლო, თანაც ზამთარი იყო, და იქაურობას გაეცალა. გაეცალა, თუმცა ჯოში თავიდან ვეღარ ამოიგდო. ასე დაიწყო ორი ადამიანის სამუდამო მეგობრობა. „იყო როშიში რაღაც ისეთი, რაც გულში ჩამივარდა. – თქვა ერთხელ კოენმა, – ის რომ ჰეიდელბერგში ფიზიკის პროფესორი ყოფილიყო, გერმანულს ვისწავლიდი და ჰეიდელბერგში გადავსახლდებოდი მასთან, რადგანაც ვგრძნობდი, რომ როშის თითქოს რაღაცის თქმა თუ ჩვენება უნდოდა ჩემთვის... ჩვენი პირველი შეხვედრის დროს მან ეს მითხრა: „მე არ ვარ იაპონელი და შენ არ ხარ ებრაელი! როში არაა ძენ-ბუდისტი ბერი და ლეონარდი არაა მისი მოწაფე!“ ასე გახდა ის ჩემი ცხოვრების ნაწილი და ძალიან კარგი მეგობარი, ვისაც კარგად ესმის რაა მეგობრობა და ვისაც სულაც არ აინტერესებს, თუ ვინ ვიყავი მე. ბოლომდე დღესაც არ მესმის ის, თუ რაზე მმოძღვრავდა ის, მაგრამ დროდადრო რატომღაც ძაღლებთან ერთად დავიწყე ყეფა და ზამბახებთან ერთად წელში მოხრა“. ბოლდის მთაზე ის გადასაკარგავად კი არ ავიდა, არამედ თავის გადასარჩენად. „თვითმკვლელობა ჩემი სტილი არაა!“

– უპასუხა მან ერთ სულელურ შეკითხვაზე ვიღაც ჟურნალისტს.

* * *

საბოლოო გადაწყვეტილება ბუდისტურ მონასტერში დარჩენაზე კოენმა თავისი ყველაზე წარმატებული 1993 წლის ტურნეს შემდეგ მიიღო. ამ დროს მას უკვე ორი ზრდასრული შვილი ჰყავდა. „ყოველთვის მიზიდავდა სამხედროები, მონასტრები, რიტუალები, წესრიგი... სიტუაციები, სადაც ცხოვრება სტრუქტურულად გამჭვირვალე და მოწესრიგებულია, მაგალითად, როგორს ეს ძენ-ბუდისტურ მონასტრებშია“. 6 500 მეტრის სიმაღლეზე ის ბევრი და მძიმე ბარგით ავიდა, – თავისი შიშებით, ეჭვებით, ზიზღით, ყველაფერი იმით, რაც მას სიბნელისაკენ ექაჩებოდა, ხოლო ის, რაც მას ზემოთ ექაჩებოდა მხოლოდ როში იყო. „ლეონარდ კოენი ვერ იარსებებს როშის გარეშე, – თქვა მან. – როში ყველაფერს იღებს, რაც მასთან მიმაქვს, – ჩემს ეგოიზმს, სიბრაზეს, ამბიციებს, ცოდვებს“. ზოგჯერ მგონია, რომ მისთვის ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა საკუთარი თავის წინააღმდეგ, საკუთარი თავის დასაბრუნებლად, თუმცა თუ მას დავუჯერებთ, ის ძალიან შორს იდგა ასეთი პათეტიკური ხედვისგან. მას უბრალოდ ფოკუსის არსებობა ესაჭიროებოდა და ბუდისტური მონასტერი მართლაც რომ კარგი ადგილი იყო ამისთვის. „ჩინური ლექსების კითხვა ძალიან ადრეულ ასაკში დავიწყე. ლი ბოს და დუ ფუს ლექსები ხშირადაა დასახლებული განდეგილი პერსონაჟებით, მაგალითად, მდინარის პირას ჩამომჯდარი ბერებით. ამ ლექსებში სიღრმისეულად ვგრძნობდი განმარტოების და პირადული ურთიერთობების ღრმა მნიშვნელობას; მეგობრობის, სიყვარულის, არა ქალსა და კაცს შორის გაჩენილი მგრძნობიარე ან ეროტიკული სიყვარულის, არამედ ლტოლვა იქითკენ, რომ განგეცადა და შენთვის აგეხსნა მეგობრობა, ვინმეს დაკარგვის ფაქტი და განშორების შედეგები. ამ ლექსებმა ნამდვილად ღრმად იმოქმედეს ჩემზე და ოცდაათი წლის შემდეგ, სრულიად ბუნებრივად აღვიქვი ის ფაქტი, რომ მანტიაში შევიმოსე, თავი გადავიპარსე და მედიტაციის დარბაზში ფეხმორთხმული დავჯექი“. მეორე მხრივ, მას ძალიან კარგად ახსოვდა იქ ყოფნის პირველი გამოცდილება. მართალია, 1993 წლამდე ის პერიოდულად ადიოდა ბოლდის მთაზე როშის მოსანახულებლად და თითქოს ოდნავ მიეჩვია კიდეც იქაურობას, მაინც, დიდი ხნით იქ დარჩენა საკმაოდ რთული რამ იყო მისთვის. ბოლდის მთაზე დილის სამის ნახევარზე დგებიან და მთელი დღე შრომობენ, პლუს ძენდოში, სამედიტაციო პავილიონში გატარებული დრო. ძენდოში ბერები ერთად მედიტირებენ. მხოლოდ მთავარი ბერი დადის აქეთ-იქით და თუ ვინმეს ჩაეძინა ორივე მხარზე ბამბუკის ჯოხის ძლიერი დარტყმით აღვიძებს ჩაძინებულს. კოენმა ამ ხმას ზუსტად ექვსი წლის განმავლობაში, 1999 წლამდე, უსმინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის როშის პირადი ასისტენტი იყო, – „ჯიკან, ჩანთა დამრჩა!“ „ჯიკან, მანქანა გაამზადე, ლექციაზე მივდივართ!“ „ჯიკან, სადილად რა გვაქვს?“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული პოეტი და მუსიკოსი სხვის სამსახურში დგომას სწავლობდა და ამ მსახურებით უფრო მეტს სწავლობდა საკუთარ შესაძლებლობებზე. „მედიტაცია არ გეხმარება იმაში, რომ კარგი ადამიანი გახდე, მაგრამ ის ჩემთვის ცნობილი ყველაზე ეფექტური გზაა იმ ადგილზე მისასვლელად, სადაც მე მინდოდა მისვლა“, – თქვა კოენმა, – მედიტაციაში ჯდომისას, შენს თვალწინ ჩაივლის შენი ათი ყველაზე სასურველი სექსუალური ფანტაზია, პატივმოყვარული ფანტაზია, გლობალური აღიარების ფანტაზია, შურისძიების ფანტაზია და თითოეულ მათგანში შერბიხარ მანამ, სანამ ყველაფერი ეს სიკვდილივით მოსაწყენი არ ხდება შენთვის. მერე კი ეს ყველაფერი ქრება და ხვდები, რომ ისინი შენი ძირითადი ინტერესიდან ყურადღების გადამტანი ქიმერები იყვნენ. ეს სწორედ ისაა, რასაც სოკრატე გულისხმობდა ფრაზაში, – „შეიცან თავი შენი!“

* * *

სასაკი როში ჭკვიანი კაცია. ის თავიდანვე მიხვდა, რომ მისი მეგობარი და მოწაფე ბოლდის მთაზე სამუდამოდ არ დარჩებოდა. ამისთვის ის ძალიან სახელგანთქმული და ძალიან მნიშვნელოვანი არტისტი იყო. არც კოენს უთქვამს როდესმე რამე იქ დარჩენაზე; უბრალოდ, ავიდა, რამდენიმე წლით დარჩა მონასტერში და არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენი ბერებისაგან, თუ არ ჩავთვლით პერიოდულად მასთან სასაუბროდ ასულ ჟურნალისტებს („იჯექი წყნარად და უფლება მიეცი გაგსინჯონ! – ხუმრობდა ის) და ერთ, მხოლოდ მისთვის დაშვებულ გამონაკლისს, – როშიმ კოენს კელიაში სინთეზატორის დატოვების უფლება მისცა, რათა მას სიმღერებზე მუშაობის საშუალება ჰქონოდა. სხვა მხრივ, მონასტრის განრიგი ზუსტად ისე ეხებოდა მას, როგორც სხვებს, ის ყველასთან ერთად მუშაობდა ბოსტანში თუ ბაღში და სხვების მსგავსად იღებდა მტკივნეულ დარტყმებს მხარზე იმ შემთხვევაში, თუ მედიტაციის დროს ჩაეძინებოდა. კოენი ყოველ დილით, ექვსი წლის განმავლობაში, ხატავდა საკუთარ ავტოპორტრეტს; ის არცერთ მათგანზე არ იღიმება. მთელი ამ ხნის განმავლობაში კოენმა უამრავი ბლოკნოტი გაავსო ჩანაწერებით, ერთ დღეს კი, როდესაც როშიმ უბრალო თავის დაკვრით მიახვედრა შენი სწავლების პერიოდი დასრულდაო, კოენმა ბოლდის მთა დატოვა. „მე მთიდან ჩამოვედი მრავალი წლის სწავლების და მკაცრი ვარჯიშის შემდეგ. ჩემი მანტია იმ ხუხულაში დავტოვე, სადაც ასე დიდხანს ვიჯექი და ასე ცოტა მეძინა. ბოლოს და ბოლოს, მე მივხვდი იმას, რომ სულიერებაში უნიჭო ვარ. „გმადლობთ, საყვარელო!“ – მომესმა ჩემივე გულის ხმა, როდესაც მანქანების ნაკადში შევაბიჯე სანტა-მონიკაში. ვიღაცვიღაცები ბრაზიანად მეკითხებიან მარადიულ რეალობაზე. ვფიქრობ, მათ არ მოსწონთ ბებერი ჯიკანი სიგარეტს რომ ეწევა“. მერე კი, აი, ამ ლექსით შეაჯამა თავისი ექვსწლიანი გამოცდილება: გზა გრძელია./ცა უსაზღვრო./ჩემი გული,/როგორც იქნა,/ უსახლკარო. მისმა დაბრუნებამ მთელი მუსიკის სამყარო დააყენა ფეხზე. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაღრმავდა,

როდესაც ცნობილი გახდა, რომ კოენის მენეჯერმა ცხრა მილიონი მოპარა ბუდისტურ მონასტერში წასულ მუსიკოსს, მთელი მისი ქონება. კოენმა ისეთი გრაციოზულობით გადაიტანა ეს დარტყმა, რომ მისდამი ისედაც დიდი პატივისცემა კიდევ უფრო გაღრმავდა. ახალი მილენიუმის დაწყებიდან დღემდე კოენმა ლექსების კიდევ ორი კრებული და სამი ალბომი ჩაწერა, მოგვიანებით კი სამოცდაათს გადაცილებულმა, ფულის დასაბრუნებელ ტურნეში წავიდა და ისეთი ღირსებით გაიარა 200 კონცერტიანი მარათონი, რომ როდესაც ერთხელ სევილიაში სცენაზე გული წაუვიდა, ბრიტანულმა გაზეთმა შურით აღნიშნა, ამ კაცს გულიც ეშხიანად მისდისო. „ლეონარდს მინდა მივმართო./ ის სპორტსმენია და მწყემსი;/ნაბიჭვარია ზარმაცი,/კოსტუმსაც აღარ იხდის!/ – ამ სიტყვებით იხსნება მისი ბოლო ალბომი „ძველი იდეები“, რომელიც 2012 წლის იანვარში გამოვიდა და სავარაუდოდ, წლის საუკეთესო ალბომების რიცხვში მოხვდება. ამავე ალბომში არის სიმღერა, – „სიბნელე“, – რომელიც ასე იწყება: „სიბნელეს ჩავავლე,/შენი ჭიქიდან რომ სვამდა./„გადამდებია?“ – ვიკითხე./უბრალოდ მითხრა, „დაცალე!/ სულ რამდენიმე ხნით ადრე ის ბოლდის მთაზე დაბრუნდა მეგობრის და მასწავლებლის მოსანახულებლად. ოთახში ისევ ორნი ისხდნენ და კონიაკს წრუპავდნენ, ბუდისტი ბერი და კანადელი პოეტი-მომღერალი. რაღაც მომენტში ბერმა ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა პოეტს და უთხრა: „მაპატიე, აქამდე რომ ცოცხალი ვარ!“ „მეც მაპატიე!“ – უპასუხა

მერე კი, აი, ამ ლექსით შეაჯამა თავისი ექვსწლიანი გამოცდილება:

„გზა გრძელია. ცა უსაზღვრო. ჩემი გული, როგორც იქნა, უსახლკარო“.

ფოტო: REUTERS

პოეტმა. კიოსან ჯოშუ სასაკი როში 102 წლისაა. ლეონარდ კოენს წელს 78 შეუსრულდება.

* * *

ლონდონი. 2008 წელი. O2 არენა. ლეონარდ კოენი თავის ბენდთან ერთად სცენაზე დგას. ლამის ყოველი სიმღერის შემდეგ, ყველა ფეხზე დგება. ვიღაც-ვიღაცები თვალცრემლიანი უკრავენ ტაშს. ყოველი სიმღერის შემდეგ კოენი შლაპას იხდის თავიდან, მკერდზე იდებს და ოდნავ იხრება წელში. ის 74 წლისაა და საოცრად კარგად გამოიყურება. „მეგობრებო, – ამბობს ის ერთ-ერთი სიმღერის ფინალში, სანამ მისი სამი ბექ-ვოკალისტი ქალი ხმადაბლა კრუტუნებს განმეორებად შუბი-დუბი-დუ, შუბი-დუბი-დუ – დღეს, სანამ თქვენთვის ვმღეროდი, ძალიან მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საიდუმლოს ჩავწვდი და ისეთ მნიშვნელოვან პასუხს გადავაწყდი, რომ არ შემიძლია დაგიმალოთ ჩემი აღმოჩენა. გინდათ ეს პასუხი რომ მოისმინოთ?“ – დარბაზი ლამის ინგრევა გუგუნით. შუბი-დუბი-დუ, შუბი-დუბი-დუ. – აგრძელებენ ქალები. „ნამდვილად ძალიან გინდათ ამ პასუხის მოსმენა?“ — კიდევ ერთხელ ეკითხება ის იქ შეკრებილებს. დარბაზი კიდევ უფრო ხმამაღალი გუგუნით პასუხობს. – „ვხვდები, რომ თქვენ სწორედ ის ადამიანები ხართ, ვინც ამ პასუხს იმსახურებს!“ – აგრძელებს ის. – მაშ ასე, ჩემი პასუხი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საიდუმლოზე აი, ესაა, – და მერე წყნარად, ძალიან წყნარად ამბობს თავისი დაბალი, ღრმა, ბარიტონით – „შუბი-დუბი-დუ, შუბი-დუბი-დუ!“

ფროიდი – შეწყვეტილი ცხოვრება

ავტორი დავიდ კემპი
თარგმნა თამარ სუხიშვილმა
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ვენიტი ფეარში“, თებერვალი, 2012 წ.

ლუსიენ ფროიდი გასულ წელს გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. ფროიდი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ქმნიდა შედევრებს. ჩაკეტილი კაცი იყო, არ იზიარებდა იმ აზრს, რომ მხატვრის ცხოვრებას მისი შემოქმედებისთვის რამე მნიშვნელობა ჰქონდა. ზიგმუნდის შვილიშვილის, ჩვენი ეპოქის უდიდესი პორტრეტისტის, სტუდიას ბევრი ადამიანი სტუმრობდა. დევიდ კემპმა გაარკვია, რომ ის ადამიანები, რომლებიც მის ნატურებად მუშაობდნენ – ჰერცოგის ცოლები, „დრეგ ქუინები“, მისი ქალები თუ შვილები – არასოდეს დაივიწყებენ იმას, რაც აქ აღმოაჩინეს.

ლუსიენ ფროიდის ბოლო პორტრეტზე შიშველი მამაკაცი და ძაღლია გამოსახული. ეს ტილო დაუსრულებელი დარჩა. ფროიდი გასული წლის 20 ივლისს გარდაიცვალა, ნახევარი წელიც და 89 წლისა გახდებოდა. ნახატის მიხედვით ვერ იტყვით, რომ მისი შემოქმედი ასაკოვანი კაცი იყო. დიდი ტილოა, 5X5 ფუტი, კვადრატული ფორმის. ფერწერა ნათელი და უზადოა, მრავალშრიანი, ისევე როგორც მის ყველა ნამუშევარში: მამაკაცის მხრების გარშემო ფონი თანაბარი და თავისუფალია, მკლავების გაყოლებაზე კი საღებავის სქელი და ქერქოვანი ფენა მიჰყვება. პალიტრა რთული ვარიაციებით გამოირჩევა: მეწამული და მწვანე ფერები მამაკაცის ფეხებზე, ნათელი ყვითელი შტრიხები მარჯვენა ხელზე, დაჟანგებული და ლურჯი – სარცხვინელთან.

ბოლო 57 წლის განმავლობაში ფროიდი ხატვის დროს სულ ფეხზე იდგა. როცა ზიხარ და ისე ხატავ, თითქოს შეზღუდული ხარო, – ამბობდა. როდესაც იჯდა (ჯერ კიდევ 50-იან წლებში) ხატვის დროს, უფრო აფორიაქებული იყო ხოლმე, ამიტომაც სკამი გვერდზე მოისროლა. მუშაობის ასეთი სტილი საოცარ მოთმინებას მოითხოვდა. მან ხომ საკუთარ თავს დღის მკაცრი წესრიგი დაუწესა: დილის სესია ერთ მოდელთან, შუადღის შესვენება, საღამოს სესია მეორე მოდელთან... ასე გადიოდა კვირაში შვიდი დღე და ასე იყო მთელი წლის განმავლობაში. როგორც წესი, ეს სესიები იწელებოდა ხოლმე: ფროიდი დინჯად და აუჩქარებლად მუშაობდა, 6, 12, 18 თვე, ხან კიდევ უფრო მეტი სჭირდებოდა ნახატის დასრულებისთვის. თუ განწყობა ხელს უწყობდა, ღამის მარათონებსაც არ ერიდებოდა. საოცარი მოთმინება ჰქონდა. ხატვა მისთვის ყველაფერი იყო, სხვას არაფერს აკეთებდა. 2005 წელს გადაღებული ფოტო მისი მუშაობის პროცესს აგვიწერს: ფროიდი 82 წლისაა, პერანგი არ აცვია, გამხდარია, ცარიელი მყესებიღაა.

2011 წლის ივნისში ფროიდმა იგრძნო, რომ მალე სხეული საბოლოოდ უმტყუნებდა, არადა, ჯერ კიდევ რამდენი ფუნჯის მოსმა ჰქონდა დარჩენილი. ბოლო პორტრეტში შიშველი კაცი უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ძაღლი, თეთრი მეძებარი მოყავისფრო-მოყვითალო ლაქებით, უკანა თათების გარეშე რჩებოდა. ფროიდმა გადაწყვიტა პირველ რიგში მის თავსა და სახეზე ეზრუნა, terre verte („მწვანე დედამინა“) უმბერთან შეურია და პატარა ნაწიბური დაუმატა, ცხოველის დაცქვეტილი მარჯვენა ყურის წვეტი რომ გამოესახა. ივლისის დასაწყისში, სანამ ჯერ კიდევ შესწევდა ძალა, ფროიდი ნახატის წინა პლანზე მუშაობდა: ქვედა სიბრტყეზე ზეწრის ნაკეცებია, რომელზეც მისი ორი ნატურა წევს. ტილოს ქვედა ნაწილს ფიფქივით თეთრი, ტყვიასავით მძიმე შეფერილობის მსუბუქი შტრიხები დაურთო...

ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და საწოლ ოთახში გადაინაცვლა, სტუდიიდან ერთი სართულით ზემოთ. ლოგინში იწვა, ჯორჯების ეპოქის დროინდელ სახლში, დასავლეთ ლონდონში. უამრავი მნახველი მიდიოდა მის სანახავად, მეგობრები, ოჯახის წევრები... ფროიდს რაღაც არაამქვეყნიური მიზიდულობის ძალა ჰქონდა. ძნელია ამ ყველაფრის სიტყვებით გადმოცემა. დებორა კევენდიშმა, დევონშირის ჰერცოგის ქვრივმა, ერთხელ თქვა, რომ ფროიდს რაღაც ვარსკვლავის თვისებები ჰქონდა. უცნაური ამბავია, მერკურს უკავშირდებაო. „მთლად ადამიანს არ ჰგავს, თითქოს ფავნის ცეცხლია“. ფროიდს 14 შვილი ჰყავდა 6 ქალისგან. მის 9 ქალიშვილს შორის არიან მოდის დიზაინერი ბელა ფროიდი და რომანისტი ესთერ ფროიდი. ორი კვირის განმავლობაში ახლობლები თავს დასტრიალებდნენ საწოლს მიჯაჭვულ ავადმყოფს. მერე კი ის წავიდა...

ფროიდის სიკვდილი არ ყოფილა დიდი ხნის წინ დასრულებული შემოქმედებითი ცხოვრების ეპილოგური დასასრული. ეს შეწყვეტა იყო – საბოლოო დარტყმა იმ ადამიანისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი და იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც მისი ნამუშევრების ნახვას ელოდებოდნენ. რეს-

ტავრატორი ჯერემი კინგი, რომელსაც ასჯერ და უფრო მეტჯერაც მოუწია პოზირება ფროიდის დაუსრულებელი გრავიურისთვის (ის მანამდეც პოზირებდა ნახატისთვის, რომელზე მუშაობაც 2007 წელს დასრულდა), იხსენებს: „მხატვარი ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ მუშაობის ტემპი იკლებდა. „რა მემართება?“ – იმეორებდა ხოლმე. მე ვპასუხობდი: „ლუსიენ, შენ 88 წლის ასაკში ნებისმიერ 68 წლის კაცზე უფრო აქტიური ხარ“. ამ დროს ის ხელებს აწევდა ხოლმე, თითქოს სადღაც ქრებოდა მისი ავადმყოფობა. ადრენალინი მოაწვებოდა და საოცრად კონცენტრირებული ხდებოდა“.

60 წლის ასაკიდან მოყოლებული ფროიდის შემოქმედებითი პერიოდი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. ამით ტკბებოდა. კრიტიკოსები კეთილგანწყობილი იყვნენ. რობერტ ჰიუზმა „ტაიმსიდან“ მას „თანამედროვეთა შორის საუკეთესო რეალისტი მხატვარი“ უწოდა. ეს ეპითეტი შერჩა კიდეც. აქ კომერციული წარმატება არ იგულისხმებოდა. თუმცა 2008 წელს ფროიდის ნახატი – „მძინარე ზედამხედველი“ (1995) კრისტის აუქციონზე 33,6 მილიონ დოლარად გაიყიდა. ასეთ ფასად აუქციონზე მანამდე არცერთი ცოცხალი მხატვრის ნამუშევარი არ შეუფასებიათ. ნახატი რუსმა ნავთობის მაგნატმა რომან აბრამოვიჩმა შეიძინა.

ფროიდმა სიბერეში დიდი შედევრები შექმნა. „თითქოს იცოდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ბიძგი. ბოლომდე მაგრად აწვებოდა თავისას“, – ამბობს დევიდ დოუსონი, შიშველი მამაკაცი მისი ბოლო ნახატიდან. დოუსონი დიდი ხნის განმავლობაში მხატვრის თანაშემწედ მუშაობდა, ასევე, ის იყო ელის პატრონიც, იმ მეძებრისა, რომელიც ფროიდის ბოლო რამდენიმე ნამუშევრის წყალობით უკვე ვარსკვლავად იქცა (ეს ძაღლი ფროიდმა აჩუქა დოუსონს 2000 წელს, საშობაოდ). დოუსონმა ფროიდისთვის მუშაობა 20 წლის წინ დაიწყო. მაშინ მხატვარი საეჭვო რეპუტაციის ლეი ბოუერის შიშველ სერიაზე მუშაობდა. ბოუერი დიდი ტანის კაცი იყო, სიგრძეშიც და სიგანეშიც, მელოტი, წაგრძელებული თავით. მხატვარს დიდი სამუშაო უნდა ჩაეტარებინა, ტოპოგრაფიული, ფიზიონომიური თუ ეპიდერმული თვალსაზრისით. ფროიდმა დიდი მასშტაბები აირჩია. ნახატზე ბოუერი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სინამდვილეში. თავის ტილოებს სურვილისამებრ ადიდებდა ხოლმე. ხშირად ნახატის ზედა ნაწილზე ზემოდან მუშაობდა, დასაკეცი კიბის მეშვეობით.

გვიან პერიოდში უამრავი დიდი ტილო შეიქმნა. ბოუერისა და მისი მეგობრის – სიუ ტილის (უშველებელი ნატურა ნახატისა „მძინარე ზედამხედველი“) პორტრეტების გარდა, ჩვეულებრივი პროპორციების ადამიანებსაც ხატავდა. ამ პერიოდში დახატა ფროიდმა თავისი მეგობარი, სამხედრო ოფიცერი ენდრიუ პარკერ ბოულესი. პარკერ ბოულესის შვიდი ფუტის სიმაღლის პორტრეტს („გენერალი“) 18 თვის განმავლობაში ხატავდა, 2003-2004 წლებში. ეს მხიარული ექსპერიმენტი იყო. ფროიდმა თავი აარიდა შიშველი ხორცის ჩვენების ჩვეულ სწრაფვას და გააკეთა ფორმაში გამოწყობილი ბრიტანელი ჯენტლმენის პორტრეტი რეინოლდსის ან გეინზბოროს სტილში, თუმცა დამახასიათებელი მიწიერი, ფროიდისტული გადახვევით. „ლუსიენს უნდოდა სამეფო კავალერიის მეთაურის ფორმაში დავეხატე, – ამბობს პარკერ ბოულესი, – „ეს ფორმა ბოლოს 20 წლის წინ მეცვა. მას მერე გავსუქდი. ჰოდა, გავიხსენი ჩემი ტუნიკა და ღიპი გადმოვაგდე“.

ფერწერა საოცარია – ერთდროულად მელანქოლიურიც და თავშესაქცევიც: სამხედრო პირი მთელი თავისი ბრწყინვალებით – ორდენებით დახუნძლული პალტო მოოქროვილი საყელოთი, მოხდენილი შავი შარვალი ფართო წითელი ზოლებით... ფიქრებშია გართული. რა არის ეს? ნოსტალგია? წუხილი? აპათია? პარკერ ბოულესის თეთრი პერანგის საკინძე მის გამობერილ მუცელს ორ ნაწილად ჰყოფს. „როცა სარკეში ვიხედები, ვფიქრობ, რომ არა მიშავს, არც ისე ცუდად გამოვიყურები, მაგრამ როდესაც ნახატს ვუყურებ და ხალხის რეპლიკები მესმის... ამბობენ, რომ ეს ბრიტანეთის იმპერიის დაცემას გამოხატავს“, – ამბობს პარკერ ბოულესი, – „კარგი, დაე, ასე იყოს!“

გვიან პერიოდში დიდ ტილოებთან შეჭიდებული ფროიდი გრავიურების კეთებასაც დაუბრუნდა, დაუბრუნდა იმ ფორმას, რაც წარსულში, ახალგაზრდობაში, უკან მოიტოვა. მან თავისი წვლილი შეიტანა მცირე ზომის პორტრეტების მხატვრობაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია კინგის, დევიდ ჰოკნის (2002) და ბროდერიკ კროუფორდს მიმსგავსებული დედოფალ ელიზაბეთ II-ის პორტრეტები (2001).

კინგის გრავიურაზე ფროიდი „უოლსლიში“ მუშაობდა, მის რესტორანში, სადაც საღამოობით სადილობდა ხოლმე, კვირაში რამდენჯერმე. ამ გრავიურის დასრულება ფროიდს აღარ დასცალდა. ამავდროულად ის მუშაობდა სალი კლარკის პორტრეტზეც. კლარკსაც თავისი კაფე-რესტორანი ჰქონდა – „კლარკსი“, რომელიც ნოტინგ ჰილზე მდებარეობდა, გზისპირას, ფროიდის სახლის გაყოლებაზე. მხატვარს აქედან თითქმის ყოველდღიურად მიჰქონდა ხოლმე საუზმე.

ზედმეტად გადატვირთული სამუშაო გრაფიკი იყო დასტური იმისა, რომ ფროიდი ადამიანის მოკვდავ ბუნებას ებრძოდა. დოუსონი შედეგით განცვიფრებული იყო: „ის არასდროს ჩქარობდა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ერთმანეთზე უკეთეს ნახატებს ხატავდა. გრძნობდა, რომ ამის გაკეთება შეეძლო, ამის ძალა შესწევდა და იმასაც გრძნობდა, რომ ეს იყო მისი ბოლო შანსი“.

მაღალი ტანის არ ყოფილა – 5,6 ფუტი, მაგრამ საოცრად შთამბეჭდავი პიროვნება იყო, მრისხანე, ქორისებური მზერით და მკაცრი, არისტოკრატული გამომეტყველებით. ხატვის დროსაც კი ეკეთა გრძელი შარფი, კისერთან მოხდენილად გამონასკვული. ჩაკეტილი კაცი იყო. არ უნდოდა, რომ ადამიანებს მის ხელოვნებაზე მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე ემსჯელათ. ლუსიენ ფროიდი ზიგმუნდ ფროიდის უმცროსი ვაჟის შუათანა ვაჟი იყო. დაიბადა 1922 წელს ბერ-

ლინში. 1933 წელს, როცა ჰიტლერი გერმანიის კანცლერი გახდა, ოჯახთან ერთად ინგლისში გადასახლდა. ნაცნობების ფართო წრე ჰქონდა: პაბლო პიკასო, ალბერტო ჯაკომეტი, ბიუფორტის ჰერცოგი, ტყუპი ძმები კრეები – ცნობილი განგსტერები, კეიტ მოსი... ქალების ფავორიტი იყო, თავაშვებული გართობის მოყვარული... „მხატვარი თავის ნამუშევრებში უნდა გამოჩნდეს, – ამბობდა ფროიდი, – ოღონდ იმაზე მეტად არა, ვიდრე ღმერთი – ბუნებაში. ადამიანი არაფერია. ქმნილება – ეს არის ყველაფერი“.

და მართლაც ასეა, ფროიდის ნამუშევრები რომ შეაფასო, მის შესახებ არაფრის ცოდნა არ გჭირდება.

საოცარი ოსტატობა ჩანს მის ნახატებში: „ფეხმძიმე გოგონა“ (1960-61), „შიშველი გოგონა კვერცხით“ (1980-81), „ქალი, რომელსაც ხელში უჭირავს თავისი ცერა თითი“ (1992), „შიშველი პორტრეტი“ (2004-5). მიუხედავად იმისა, რომ ამ ნამუშევრებში ქალის სახე არ არის იდეალიზებული, განწყობა მაინც ფემინისტურია, რადგანაც წინააღმდეგობაში მოდის ქალის პორტრეტის ხატვის ზღვარდადებულ პერსპექტივებთან. თუმცა ეს გამოსახულებები არც დაუნდობელია და არც გროტესკული (როგორც ამას ფროიდის ცილისმწამებლები და მისი ზოგიერთი თაყვანისმცემელიც ამბობს); პირიქით, ეს ნახატები საკუთარ მოდელებთან ერთგვარი ურთიერთობის გამოვლინებაა, იმის მაჩვენებელია, რომ მხატვარი მათ ისე ეკიდება, როგორც ცოცხალ არსებებს, აჩვენებს, თუ რა ემართება ადამიანის თავს ან სხეულს სისხლისა და ჟანგბადის მოძრაობის დროს, ან ემოციების მოჭარბებისას. ისეთი საოცარი და საინტერესო ნამუშევრებია, რომ ვერ მოსწყდები.

წლეულს ფროიდის ორი დიდი რეტროსპექტივა მოეწყო, რაც საშუალებას აძლევს ბრიტანელებსა და ამერიკელებს, მხატვრის შემოქმედებას ეზიარონ. 9 თებერვალს ლონდონში, პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში, გაიხსნა გამოფენა „ლუსიენ ფროიდის პორტრეტები“, სადაც 130-ზე მეტი ნამუშევარია გამოფენილი. ეს არის ფროიდის პირველი პორტრეტული რეტროსპექტივა, რომლის მომზადებაშიც თავად მხატვარი იყო ჩართული, თუმცა, როგორც მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების კურატორი სარა ჰოუგეიტი იგონებს, მხატვარს ისიც უთქვამს, „2012 წელს მე აღარ ვიქნებიო“. ზაფხულში პორტრეტების გამოფენა ტეხასში გადავა, 2 ივლისს ფორტ უორთის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოფენის გახსნაა. 17 თებერვალს ლონდონში, გალერეა „ბლეინ-საუზერნში“ ფარდა აეხდება ექსპოზიციას: „ლუსიენ ფროიდი: ნახატები“. ეს ექსპოზიცია მოიცავს

„მხატვარი თავის ნამუშევრებში უნდა გამოჩნდეს, – ამბობდა ფროიდი, – ოღონდ იმაზე მეტად არა, ვიდრე ღმერთი – ბუნებაში. ადამიანი არაფერია. ქმნილება – ეს არის ყველაფერი“.

ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევრებს (100-ზე მეტ ნახატს), რაც 40-იანი წლების შემდეგ შეიქმნა. „ნახატების“ რეტროსპექტივა „ბლეინ-საუზერნში“ 5 აპრილამდე გასტანს და შემდეგ (30 აპრილიდან 9 ივნისამდე) ნიუ-იორკის აკვაველას გალერეაში გადაინაცვლებს.

„მწევრის პორტრეტის“ ხატვისას სწორედ პორტრეტების ნაციონალურ გალერეაზე ფიქრობდა. მთელი გული მიუძღვნა ამ ნახატის ხატვას. რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. ის არ ყოფილა მოდური მხატვარი, გარშემორტყმული იყო კონსტებლისა და ტიციანის ნამუშევრებით, იმ დროს, როცა სამყარო აბსტრაქციულ ექსპრესიონიზმში, ოპსა და პოპში გადაეშვა. მაგრამ ამას მისთვის ზიანი არ მოუტანია, მაშინ როცა მისი თაობის სხვა მხატვრები სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რადგან მათ საკუთარი ადგილი ვეღარ დაინახეს, ფროიდი კვლავ აგრძელებდა მუშაობას.

მის შემოქმედებაში სტილის თვალსაზრისით დიდი გარდატეხა მოხდა. მისი ადრეული ნამუშევრები გრილი ფერადოვნებით გამოირჩევა, კონსტრუქტორის სიზუსტითაა დახატული და მკვეთრად ორგანზომილებიანია – არ ახასიათებს ის მიწიერი თვისებები, რითაც მისი გვიანდელი ნამუშევრების ამოცნობა შეიძლება. 40 წლის ასაკში დახატული ნახატები, მისი პირველი ცოლის, კიტი გარმენის (მოქანდაკე სერ ჯეიკობ ეპშტაინის ქალიშვილის) პორტრეტები თავისებურად შესანიშნავია, მაგრამ სხვა მხატვრის ნახატებს ჰგავს: გამოსახულება ბრტყელია, გადაყოფილი თმის ყოველი ხვეული ზედმიწევნითაა დოკუმენტირებული. მხატვარ ფრენსის ბეკონთან მეგობრობამ, რომელიც 40-იან წლებში დაიწყო, ფროიდს უბიძგა, თავისი მიდგომა შეეცვალა: „ვფიქრობ, ფრენსისის თავისუფალი ხატვის მანერა დამეხმარა იმაში, რომ უფრო გაბედული გავმხდარიყავი“, – აღნიშნა მან.

ახალი თავისუფალი მიდგომა აღმოჩენა გახდა, არა მხოლოდ მხატვრისთვის, არამედ მისი აუდიტორიისთვისაც. ამის კარგი მაგალითია ტრანზიციული ნამუშევარი „ქალი თეთრ პერანგში“, რომელიც 1956-57 წლებში შეიქმნა. მისი ობიექტი იყო მხატვრის მეგობარი, დევონშირის ჰერცოგის ცოლი, ქალიშვილობის გვარით დებორა მიტფორდი, ყველაზე უმცროსი დები მიტფორდებიდან. მაგრამ პორტრეტში ინგლისური ვარდის სილამაზე მომწვანო და გახუნებული ყავისფერი ფერების ნაკადითაა შემღვრეული. „მთლიანად მომწვანო ხაკისფერი“, – ასე წერს 91 წლის ჰერცოგის ქვრივი თავის მემუარში – „დამელოდე!“ და მაინც გასაოცარია, რომ ფროიდის ნახატმა თავისი მღელვარე შტრიხებით მომავალი იწინასწარმეტყველა: „რაც უფრო შევდიოდი ასაკში, მით მეტ მსგავსებას ვპოულობდი ჩემს პორტრეტთან“, – წერს მისი ობიექტი.

აქედან მოყოლებული ფროიდის



1. დევიდ ჰოკნის პორტრეტი
2. მძინარე ზედამხედველი, 1995
3. კეიტ მოსის პორტრეტი
4. **Ali**, ლუსიან ფროიდის შვილის პორტრეტი
5. გოგონა თეთრი ძაღლით, **1950**
6. ბრიგადირი, 2004
7. ლი ბოუერის პორტრეტი
8. ავტოპორტრეტი, 1985

8

7

ფერწერა უფრო თავისუფალი გახდა. მხატვარმა სიასამურის ბეწვის რბილი ფუნჯები ღორის ჯაგრის ხეშეში ფუნჯებით შეცვალა. მერე საღებავიც გასქელდა – მრავალშრიანი ფენა, ათქვეფილი, გადარეცხილი... დიდი შრომის შედეგად ფროიდი ფერით ქმნიდა ფორმას. შემთხვევითი არაა, რომ ფროიდის ტილოები უფრო მგრძნობიარე გახდა, შიშველ ფიგურაზე ორიენტირებული.

საკუთარი ცხოვრების გახმაურება არ უყვარდა. მისთვის მთავარი სამუშაო იყო. არაერთხელ უთქვამს, რომ მხატვრის შემოქმედებისთვის მისი ცხოვრება არ არის მნიშვნელოვანი. მაგრამ სინამდვილეში ფროიდის პიროვნება დიდ როლს თამაშობდა მის შემოქმედებაში.

ფროიდის მკაცრი პიროვნების მიღმა მისი საოცარი მიზიდულობის ძალა იმალება, მისი ძლიერი ქარიზმა. სებასტიან სმი, ავსტრალიაში დაბადებული ხელოვნების კრიტიკოსი, რომელიც „ბოსტონ გლოუბისთვის“ მუშაობს, ერთ-ერთია იმ რჩეული კრიტიკოსებიდან, ვინც ფროიდმა თავის ცხოვრებაში შეუშვა. როდესაც სმი ხელოვანთან ერთად გატარებულ დროს იგონებს, ის აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ძალიან დაძაბული იყო: „მუდმივად თან მდევდა იმის განცდა, რომ თუ რამე სულელურს, მისთვის მიუღებელს ან გამაღიზიანებელს ვიტყოდი, აქაურობა უნდა დამეტოვებინა. თუმცა, ამავდროულად, მე ვცხოვრობდი უკიდურესად მგრძნობიარე და უზომოდ ყურადღებიანი პიროვნების სამყაროში; თუ მოეწონებოდი, ყველანაირ სისულელეს გაპატიებდა, უსაზღვროდ თავაზიანიც იყო და გულსაც გადაგიშლიდა“.

ეს იმ ადამიანის ნათქვამია, რომელიც არასოდეს ყოფილა ფროიდის ნატურა. ფროიდის ნატურები მხატვრის პიროვნებით მოჯადოებული იყვნენ. სწორედ ეს ქარიზმა აიძულებდა მათ, დიდი ხნის განმავლობაში მსხდარიყვნენ მხატვრის წინ და ამით ბედნიერები ყოფილიყვნენ. ამასობაში ფროიდს საშუალება ჰქონდა მთლიანად დაეთვალიერებინა თავისი ობიექტები – აეკრიფა სახის კუნთის ყოველი რხევა, დაკვირვებოდა, როგორ იბურცებოდა კანქვეშა ცხიმგროვა ნატურის სხეულზე.

„აღტაცებული ვიყავი ამ პროცესით, – ამბობს დევიდ ჰოკნი, – ის დინჯად მუშაობდა. ძალიან ნელა. რომ გადავთვალე, 120 საათს ვიჯექი. ამ ყველაფერს დიდი დრო მიჰქონდა. ბევრს ვლაპარაკობდით, ჩვენს ცხოვრებაზე, საერთო ნაცნობებზე, მოკლედ, ხელოვანთა ეს აუტანელი ჭორაობა... მას უნდოდა, რომ გელაპარაკა, აკვირდებოდა, როგორ მოძრაობდა სახე ლაპარაკის დროს. საოცარი თვალები ჰქონდა, თითქოს გამჭოლი, ამ გამჭოლი მზერით ვგრძნობდი, მარცხენა ლოყას ხატავდა თუ სახის რომელიმე სხვა ნაწილს“.

„კაცი ლურჯი შარფით“ – ეს არაჩვეულებრივი წიგნი 2010 წელს დაიბეჭდა; ის ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ფროიდის ნატურად ყოფნა. წიგნის ავტორია „ბლუმბერგ ნიუსის“ ხელოვნების კრიტიკოსი მარტინ გაიფორდი. წიგნი შეიცავს იმ პერიოდის ქრონიკებს, როდესაც ფროიდი გაიფორდს ხატავდა. ღამღამობით პოზირებდა, განუწყვეტლივ, 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის ივლისამდე. გაიფორდი ასე აღწერს ამ პროცესს: „როცა ის სამუშაოზეა კონცენტრირებული, სულ ბუზღუნებს, თავის თავს მითითებებს აძლევს: „ჰო, ალბათ ცოტა კიდევ სჭირდება. მშვიდად! არა, არა მგონია, ცოტა მეტი ყვითელი..“. ფუნჯის მოსმას დააპირებს, მერე უკან იხევს, ისევ რაღაცას ფიქრობს, კარგად უკვირდება, ჩემს სახეს ზომავს ფუნჯის მოძრაობით, ჰაერში პატარა მრუდს შემოხაზავს და მერე ფუნჯს ზემოთ აიქნევს. ეს დიდი გააზრების პროცესია. 40-წუთიანი ჯდომის შემდეგ ვდგები, წელში ვიმართები და ტილოს ვათვალიერებ. ვხედავდი, რომ ენერგიულად მუშაობდა, მაგრამ ტილოზე ბევრი არაფერი შეცვლილა“.

ფროიდი საკუთარ თავს გულით ბიოლოგს ეძახდა; თავის სამუშაოს ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერის დისციპლინითა და სიმკაცრით ეკიდებოდა. ყოველდღე თეთრი ტილოს ზეწარს სუფთა პირს მოახევდა ხოლმე და წინსაფარივით იმაგრებდა. სტუდიაში ბლომად ეწყო სასტუმროს ჩამოფასებული ზეწრები, რომლებსაც გადამამუშავებელი საწარმოდან საბითუმო ფასებში ყიდულობდა. ფუნჯს თითოეული მოსმის შემდეგ რეცხავდა, მონდომებით ურევდა ფერებს მძიმე პალიტრაზე, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა (ხატვით მარცხენა ხელით ხატავდა).

დიდებული სანახაობა იყო მისი მუშაობის პროცესი. მოდელები იგონებენ, თუ როგორი ხალისიანი და თავშესაქცევი იყო ფროიდის სტუდიაში ყოფნა, როგორ მღეროდნენ ლუსიენთან ერთად კოულ პორტერის სიმღერას – Miss Otis Regrets ან როჯერისა და ჰარტის Where or When-ს. ლუსიენი თავისი ახალგაზრდობის ამბებს ჰყვებოდა, იხსენებდა 50-იანი წლების პარიზის ბობოქარ ცხოვრებას, კითხულობდა რომელიღაც სულელურ ლექსს, რომელიც მას უეცრად ამოუტივტივდა გონებაში; მოჰქონდა საჭმელი უოლსლიდან ან კლარკსიდან; ან თვითონვე ამზადებდა საჭმელს, მაგალითად, ტყის ქათამს, პარკერ ბოულესის გამოგზავნილ ნანადირევს.

მხატვრის ამ უშუალობასა და ყურადღებას ფარული მოტივი ედო საფუძვლად: „ის მთელი ამ დროის მანძილზე გაკვირდებოდა და უფრო მძლავრად შეიმეცნებდა იმას, რასაც ხატავდა“, – ამბობს დოუსონი. მხატვარში ჩასახლებულ ბიოლოგს სურდა გამოესახა თავისი ნატურა სხვადასხვა მდგომარეობაში: მშიერი, დაღლილი, ჭირვეული, ნასვამი...

„ყველაზე მეტად მაშინ მოვწონდი, როცა ნაბახუსევი ვიყავი“, – იგონებს კოზეტ მაკკრირი, ნატურა ნახატისა „ირლანდიელი ქალი საწოლზე“ (2003-4), რომელიც მხატვარს მაშინ შეხვდა, როდესაც მის ქალიშვილ ბელასთან ასისტენტად მუშაობდა. ერთხელ შევეკითხე: „რატომ? იმიტომ, რომ ჩუმად ვარ? – არა, – მომიგო მან, – შენში რაღაც სხივია“.

საუბრის საყვარელი თემა მისი პაპა იყო, მამის მამა. ეს თემა ტაბუირებული არ ყოფილა. ფროიდს მოხუცთან თბილი მოგონებები აკავშირებდა, მაგრამ აგდებული დამოკიდებულე-

ბა ჰქონდა ფსიქოანალიზის მიმართ. ძალიან ხალისობდა იმის წარმოდგენაზეც კი, თუ როგორ დაიწყებდნენ კრიტიკოსები მის ნამუშევრებში ფროიდისტულის ძებნას, – იხსენებს მაკკრირი.

უჩვეულო ტილოა: რკინის უხეშ საწოლზე სანახევროდაა წამოწოლილი შიშველი ქალი; წვივებით ბალიშს ეყრდნობა. ბალიში გახეულია და იქიდან ბუმბული ცვივა. საწოლზე თეთრი ბლებია მიმოფანტული...

„ახლა ბალიშს დავბრდღვნი, – მითხრა მან, – ბუმბული მინდა ყველგან!" – და სიცილით გადაბჟირდა", – იხსენებს მაკკრირი, – „რა გაცინებს? – ვკითხე. მან კი მიპასუხა: რას გააკეთებდა ამისგან ჩემი წინაპარი? დაბრდღვნილი ბალიში და ბლები! სინამდვილეში იმედი ჰქონდა, რომ ეს გარკვეული თვალსაზრისით მღელვარებას გამოიწვევდა".

და მაინც არ ერიდებიან აშკარა პარალელების გავლებას პოზირების პროცესსა და ფსიქოთერაპიას შორის: ორგანიზებული სესიები, ერთმანეთის მიყოლებით; დამკვირვებელსა და ნატურას შორის ურთიერთობისა და ურთიერთზეგავლენის პროცესი; საკუთარ თავზე დაკვირვების საათები. „დიალოგს ასე იწყებდა ხოლმე: აბა, მომიყევი შენი ბავშვობის შესახებ", – იგონებს მაკკრირი.

„იმდენი რამ გავიგე საკუთარი თავზე", – ამბობს ჯერემი კინგი, არამხოლოდ პორტრეტიდან, არამედ მხატვართან საუბრით, მისი ყურებით და უბრალოდ იქ ჯდომით. დაუვიწყარი გამოცდილებაა, ადამიანს ბევრ რამეზე დაგაფიქრებს".

ეს პროცესი თერაპიისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მხატვარი თვითონვე იყო ამ ურთიერთობის აქტიური მონაწილე, თანაც მას არანაირი მოვალეობა არ ეკისრებოდა. „ვტკბებოდი იმით, რომ შანსი მომეცა და ასეთი ინტენსიური და პირადული გამოცდილება შევიძინე", – ამბობს კინგი, – „კარგად მესმის, რატომ გადაიზარდა ეს პროცესი კიდევ უფრო ახლო ურთიერთობაში მის ზოგიერთ ნატურასთან. რადგანაც ეს ძალიან, ძალიან მგრძნობიარე პროცესია".

თავის შიშველ ფიგურებს ფროიდი გაშიშვლებულ პორტრეტებს უწოდებდა. ტერმინი „შიშველი ფიგურა" არ მოსწონდა, მისთვის ეს მხოლოდ ობიექტს ნიშნავდა და არა პიროვნებას, – განმარტავს დოუსონი. გათბობა ჩართული ჰქონდა. სტუდიაში მომსვლელებს კომფორტულად უნდა ეგრძნოთ თავი. ეს საჭირო იყო იმისთვისაც, რომ მოდელი ძაღლი ელიც კი წყნარად ყოფილიყო რამდენიმე

„დღეს ყველაზე მეტად მითბობს გულს იმ ამბებისა და საუბრების მოგონებები, რასაც სტუდიაში ვისმენდი, – წერს ალი. მახსოვს მისი ფრაზა: „სიყვარულის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯობია ცუდად იცხოვრო იმ ადამიანთან, რომელიც გიყვარს, ვიდრე კარგად გაატარო დრო იმ ადამიანთან, რომელიც არ გაინტერესებს".

საათის განმავლობაში. ამასთან, რადიატორის სითბოს გამო ფროიდის შიშველი ნატურების პოზას ყოვლისმომცველი მელანქოლიურობისა და დეკადანსის ატმოსფეროს ელფერი გადაჰკრავდა. ყველა მისი სტუდია, პედინგტონზეც, ჰოლანდ პარკში თუ ნოტინგ ჰილზე, სინამდვილეშიც ისეთივე ღარიბული, მოკრძალებული და მკაცრია, როგორიც მხატვრის ნახატებზეა გამოსახული.

ფროიდის ქალი ნატურები ხშირად მისი საყვარლები იყვნენ, ან შემდეგ გახდნენ მისი საყვარლები; მათ შორის იყვნენ მისი შვილების დედებიც. ფროიდს ორი გოგონა ჰყავდა პირველ ცოლთან, კიტი გარმენთან – ანი და ანაბელი. მისი მეორე ცოლი სილამაზით განთქმული კეროლაინ ბლეკვუდი იყო, შემდგომში პოეტ რობერტ ლოუელის ცოლი, მასთან ფროიდს შვილი არ ჰყოლია. კეროლაინს 1958 წელს დაშორდა და მას მერე აღარ დაქორწინებულა. თუმცა მანამდე, 1957 წელს, ალექსანდრეს მამა გახდა. ალექსანდრეს დედა იყო სუზი ბოიტი, სლეიდ სკოლის ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი, მისი ადრეული ახალი სტილის ნამუშევრის – „მოღიმარი ქალის" (1958-59) ნატურა. ფროიდს ბოიტთან კიდევ სამი შვილი შეეძინა: როუზი, იზობელი და სუზი (იშვილა ბოიტის კიდევ ერთ შვილიც, სახელად კაი). დაახლოებით იმავე პერიოდში კეტრინ მაკადამთან შეეძინა ოთხი შვილი: ჯეინი, პოლი, ლუსი და დევიდი. ფროიდს რომ შეხვდა, კეტრინი სენტ მარტინის ხელოვნების კოლეჯის სტუდენტი იყო. 60-იანი წლების დასაწყისში მას და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტს – ბერნარდინ კოვერლის ორი შვილი შეეძინათ: ბელა და ესთერი. კოვერლი არის ნატურა მისი ნახატისა „ფეხმძიმე გოგონა" (1960-61). ამ ნახატს მოსდევს „ბავშვი მწვანე დივანზე" (1961), სადაც ლუსიენისა და კოვერლის გოგონას – ბელას სძინავს, პატარას ხელები გაშლილი აქვს და მუშტები მოკუმული.

1971 წელს დაიბადა ლუსიენის ვაჟი ფრედი, სენ ჟერმენის გრაფინიას – ლედი ჟაკეტა ელიოტის შვილი. ნახატში „ფართო ინტერიერი W9" (1973) ლედი ჟაკეტა ელიოტი უკანა პლანზე წევს შიშველი, წინ მხატვრის დედა ლუსია გამოსახული.

მის შვილებს შორის ყველაზე უმცროსი ფრენკია, მხატვარ სელია პოლის შვილი. კოვერლის მსგავსად, სელიაც სინაზით სავსე პორტრეტის საგანი გახდა, რომელიც მხატვარმა მაშინ შექმნა, როცა სელია შვილს ელოდებოდა – „გოგონა ზოლიან ღამის პერანგში" (1985). ფრენკი ახლა 27 წლისაა, ფროიდის უფროსი შვილი ანი – 63 წლისა.

მხატვრის თავქარიანი და ბოჰემური ცხოვრების გზა მისი ქალებისა და

შვილებისათვის ადვილი ასატანი არ ყოფილა. ფროიდი ეგოისტი იყო, მას სხვისთვის დროის დაკარგვა არ უნდოდა. შვილების აღზრდა არ აინტერესებდა. პირველ ადგილზე ყოველთვის ხატვა იდგა. ამაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიანიშნებენ კიდეც საკუთარ ნაწერებში ფროიდის შვილები. ესთერ ფროიდი, როუზ ბოიტი, სუზი ბოიტი – ამ ადამიანებმა რომანები დაწერეს ავტობიოგრაფიული ელემენტებით, ანი ფროიდმა ორი პოეტური კრებული გამოაქვეყნა. ამ თხზულებებს შორის საუკეთესოა ესთერის „საშინლად ექსცენტრული“, ეს რომანი ესთერისა და ბელას ცხოვრებაზე მოგვითხრობს, როდესაც ისინი მაროკოში ცხოვრობდნენ, თავგადასავლების მაძიებელ ჰიპ დედასთან – კოვერლისთან ერთად, რომელიც სამოცი წლის ასაკშიც ცდილობდა ძველებურად ეცხოვრა (რომანის მიხედვით, გოგონას პოეტი მამა სადღაც შორსაა და ზოგჯერ ფულს უგზავნის თავის შვილს. 1998 წელს ამ რომანის მიხედვით ფილმი გადაიღეს, რომელშიც დედის როლს კეიტ უინსლეტი თამაშობს).

თუმცა ფროიდის ყველა შვილი მაინც არ ამტყუნებს ფროიდისა და მაკადამსის შვილებს, რომელთა დედაც სულაც არ აღიქვამდა რომანტიკულად ფროიდის ღალატს და კონტაქტიც გაწყვიტა მხატვართან. 2004 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ფროიდის ნატურების შესახებ, რომლის რეჟისორიც ჯეიკ აუერბახია, ფროიდის საუკეთესო მეგობრის, მხატვარ ფრენკ აუერბახის შვილი, ახალგაზრდა ფროიდები საკუთარ აზრს გამოთქვამენ: „არჩევანის საკითხია. მისი ყველა შვილი ასე არ მოქცეულა. შენი ნებაა: შეგიძლია გაუგო და მიიღო ისეთი, როგორიც არის; ან არ მიიღო და განაწყენებული იყო იმის გამო, რომ ის სხვა მამებს არ ჰგავს“, – განმარტავს ესთერი, – „როცა 16 წლის ვიყავი, ლონდონში გადავედი. თითქმის მაშინვე დავიწყე მისთვის პოზირება. ეს მართლაც იდეალური საშუალება იყო მის გასაცნობად, მანამდე ერთ ქალაქშიც კი არ გვიცხოვრია“.

როუზ ბოიტის რომანები: „სქესობრივი კავშირი“ და „როუზი“ კიდევ უფრო მეტი სიღრმისეული გრძნობებითაა დამუხტული. ეს რომანები ფილმშიცაა გაცოცხლებული, რომელიც აღწერს, თუ როგორ იხატებოდა ფროიდის ექსტრაორდინარული პორტრეტი „როუზი“ (1978-79). ეს არ არის ფროიდისთვის დამახასიათებელი ტიპური შიშველი ფიგურა: კოლეჯის ასაკის გოგონა გაბეზრებული გამომეტყველებით წევს დივანზე, ცალი ფეხით იატაკს ეყრდნობა, მეორე საწოლზე აქვს აკეცილი, დაძაბულია. „არ მინდოდა მომჩვარული და უსიცოცხლო ვყოფილიყავი. მინდოდა მეგრძნო, რომ მზად ვარ ავდგე და ვიმოქმედო. საკუთარ თავში ვიგრძენი იმის ძალა, რომ უცებ წამოვმხტარიყავი და მეთქვა: „მისმინე, წადი შენი! მეტს ამას აღარ გავაკეთებ!“ – ან კიდევ: „სად იყავი მაშინ, როცა მჭირდებოდი, შე ნაბიჭვარო?“ ვფიქრობ, უცებ რომ წამოვმხტარიყავი და გამეპროტესტებინა, ცოტათი მაინც შეშფოთდებოდა“.

და მაინც, მისი შვილებისთვის, როგორც ჩანს, მამისთვის პოზირება მისაღები იყო, ამით ისინი ურთიერთობის დეფიციტს ივსებდნენ. მოგვიანებით როუზი უფრო თბილად იგონებდა იმ დროს, როცა ის ნატურად მუშაობდა (ნახატისთვის „როუზი“): „ბევრი რამ ვისწავლე, – წერდა მეილში, – „არ ვაჭარბებ. მამამ მასწავლა შექსპირი და ელიოტი. წიგნებმა ისე დამაინტერესა, რომ უნივერსიტეტში შესვლა გადავწყვიტე“. სესიები პორტრეტის შესაქმნელად გვიანობამდე გრძელდებოდა ხოლმე, ზოგჯერ დილის 4 საათამდეც: „როდესაც მამა ხატვას დაამთავრებდა, საბანს დამაფარებდა ხოლმე და სტუდიაში დივანზე მეძინა, დილამდე, იქიდან კი პირდაპირ კოლეჯში მივდიოდი“.

ფროიდის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ბოიტი, შინაურულად ალი, სამი სხვადასხვა ნახატის ნატურა იყო: უცხო მამის ფეხებთან ელფებივით შეყუჟულა ორი ბავშვი, ერთი ალია, მეორე – როუზი. ამ ტილოს ასე ჰქვია: „გამოსახულება ორ ბავშვთან ერთად (ავტოპორტრეტი)“ და 1965 წელსაა შექმნილი. 1974 წელს ფროიდი ხატავს „ალის“, რომელზეც 70-იანი წლების გრძელთმიანი ახალგაზრდაა გამოსახული. 1998 წელს კი ისევ ალექსანდრეა ნატურა ფროიდის ნახატისა – „მხატვრის ვაჟი ალი“; აქ ის უკვე ზრდასრული, მოაზროვნე მამაკაცია.

„დღეს ყველაზე მეტად მითბობს გულს იმ ამბებისა და საუბრების მოგონებები, რასაც სტუდიაში ვისმენდი, – წერს ალი მეილში, – საუბარი ქალებზე, სიყვარულზე, პაპზე. მახსოვს მისი ბრწყინვალე და სახუმარო ფრაზები: „მხოლოდ იმდენი ფარისევლობა არსებობს, რამდენის უფლებასაც მისცემ შენს თავს“, ან კიდევ: „სიყვარულის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯობია ცუდად იცხოვრო იმ ადამიანთან, რომელიც გიყვარს, ვიდრე კარგად გაატარო დრო იმ ადამიანთან, რომელიც არ გაინტერესებს“. ერთხელ ბოდიში მოვუხადე ჩემი საქციელის გამო, მან კი ასე მიპასუხა, „კარგია, რომ ამას ამბობ, მაგრამ ასე არ ხდება. თავისუფალი ნება არ არსებობს. ადამიანებმა უბრალოდ უნდა გააკეთონ ის, რაც მათ უნდა გააკეთონ“.

(როდესაც ამ სტატიას ვამზადებდი, ფროიდის შვილებმა უარი მითხრეს პერსონალურ ინტერვიუებზე, მამის პირადი ცხოვრების პატივისცემის გამო. ოთხი მათგანი დედასაც გლოვობს. 2011 წლის იანვარში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა გარმენი, კიტი გუდლის სახელით ცნობილი; ფროიდის გარდაცვალებიდან ოთხი დღის შემდეგ კოვერლიც გარდაიცვალა. ორი კვირით ადრე მას მოულოდნელად კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ის მხოლოდ 68 წლის იყო.)

ლეი ბოუერის არასოდეს არაფერი აბრკოლებდა და არც სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას ერიდებოდა. 1991 წელს მან ინტერვიუ ჩამოართვა ფროიდს ანდერგრაუნდული ხელოვნების ჟურნალისთვის „ლავლი ჯობლი“. „როდის გადაწყვიტეთ თქვენი ქალიშვილების შიშველი პორტრეტების ხატვა?“ – ჰკითხა მან. „მაშინ, როცა შიშველი ადამიანების ხატვა დავიწყე“, – უპასუხა ფროიდმა. „თუ

არ ვცდები, ასეთი რამ არცერთ მხატვარს არ გაუკეთებია. ეს ცოტა მეტისმეტია“, – აღნიშნა ბოუერიმ. „ჩემს შიშველ ქალიშვილებს არაფერი აქვთ სასირცხვილო“, – მიუგო ფროიდმა.

ფროიდი 70 წლის ხდებოდა, როცა ბოუერიმ მას ინტერვიუ ჩამოართვა. ის უკვე კარგად გრძნობდა, რომ დრო ძალიან სწრაფად გარბოდა. ფროიდმა პირდაპირ განაცხადა, რომ უფრო მეტი უნდა ემუშავა. თავისი შიშიც გაამჟღავნა: „თუ ბევრს ვიძინებ და ნაკლებს ვიმუშავებ, შესაძლოა ერთ ადგილზე გავიყინო“.

სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა მის ცხოვრებაში დოუსონი – დაუმორჩილებელი მებრძოლი, შოტლანდიისა და უელსის სოფლებში გაზრდილი მხატვარი. ის მაშინ ფროიდის აგენტთან, ჯეიმს კირკმენთან მუშაობდა. ფროიდმა დოუსონი თანაშემწედ აიყვანა. მალე ფროიდს კირკმენთან უსიამოვნება მოუვიდა და ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, მაგრამ დოუსონი ფროიდთან დარჩა. „მე მგონი, უბრალოდ ერთად მუშაობა მოგვწონდა“, – ამბობს დოუსონი, – „როგორც ჩანს, მე სწორ დროს გამოვჩნდი მის ცხოვრებაში და გავიგე, რომ მას მხოლოდ ხატვა აინტერესებდა“.

1992 წელს ფროიდმა მოისურვა, რომ მისი წარმომადგენელი აკვაველა გამხდარიყო და ის სტუმრად დაპატიჟა. აკვაველა, რომელიც მეორადი ბაზრის გაყიდვებზე მუშაობდა და გარდაცვლილი მხატვრების ნამუშევრებით იყო დაინტერესებული, ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩა: „ჩემი ინტერესის სფეროში შემოდიოდნენ პიკასო, მატისი, მირო. გაგონილი მქონდა, რომ ლუსიენი მძიმე იყო. მაგრამ ჩვენ შევხვდით, მის სტუდიაში წავედი და ვნახე ლეი ბოუერის ის უზარმაზარი პორტრეტები, რომლებზეც მაშინ მუშაობდა. შთაბეჭდილებისაგან თავგზა ამერია და ყველა ნამუშევარი ვიყიდე. უკვე აღარ შეიძლებოდა, რომ სხვადასხვანი ვყოფილიყავით. ამის მერე ლუსიენის წარმომადგენელი გავხდი, ჩვენ დავმეგობრდით. ხელის ჩამორთმევით ყველაფერი გადაწყდა. ჩვენი ურთიერთობა ქაღალდებით არასოდეს გაგვირკვევია“.

დოუსონის მსგავსად, აკვაველაც ისე აგვარებდა ყველაფერს, რომ ფროიდს მხოლოდ ხატვაზე ეფიქრა. მხატვარმა თავის ახალ აგენტს აცნობა, რომ აზარტული თამაშების მცირე ვალები ჰქონდა დაგროვილი. აკვაველა ფროიდის ბუკმეკერს, ელფი მაკლინს შეხვდა. სხვათა შორის, მაკლინიც პოზირებდა ფროიდისთვის: „დიდი კაცი“ (1976-77) და „დიდი კაცი II“ (1981-82).

„როდის გადაწყვიტეთ თქვენი ქალიშვილების შიშველი პორტრეტების ხატვა?“ – ჰკითხა მან. „მაშინ, როცა შიშველი ადამიანების ხატვა დავიწყე“, – უპასუხა ფროიდმა. „თუ არ ვცდები, ასეთი რამ არცერთ მხატვარს არ გაუკეთებია. ეს ცოტა მეტისმეტია“, – აღნიშნა ბოუერიმ. „ჩემს შიშველ ქალიშვილებს არაფერი აქვთ სასირცხვილო“, – მიუგო ფროიდმა.

ფროიდს მაკლინის ვაჟებიც ჰყავდა დახატული. მაკლინმა ლმობიერება გამოიჩინა ფროიდის მიმართ, მხატვარს მისი 4,6 მილიონი დოლარი მართებდა. აკვაველამ ვალიც გადაიხადა და ფროიდის ნახატების გაყიდვაც დაიწყო. ფროიდის ნამუშევრების ფასი ექვს-შვიდ ციფრიან რიცხვამდე ავიდა. აკვაველამ პირველად აქცია მხატვარი მდიდარ კაცად.

„როცა ფული იშოვა, აზარტულ თამაშებს თავი დაანება“, – ამბობს აკვაველა, – „ასე ამბობდა: როცა ფული გაქვს, ეს უკვე თავშესაქცევი აღარაა. თავშესაქცევი მაშინაა, როცა ფული არა გაქვს“.

რაც უფრო შედიოდა ასაკში, მით უფრო იკეტებოდა საკუთარ სამყაროში. სტუდიიდან იშვიათად გამოდიოდა: „კლარკსი“, „უოლსლი“ და კიდევ ერთი საყვარელი სასადილო ადგილი ჰქონდა – იტალიური რესტორანი „ლოკანდა ლოკატელი“. ხატვა უნდა გაეგრძელებინა. ეს სჭირდებოდა. ფროიდი მოუსვენარი კაცი იყო. ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, თუ რა დაუდევრად გადადიოდა ხოლმე ქუჩაზე სწრაფი მოძრაობის დროს, ან როგორი სიჩქარით მოძრაობდა ლონდონის ვიწრო ქუჩებში თავისი ძველი ბენტლით (ალი ბოიტი ჰყვება: „ჩემი მეგობარი მეუბნება, რომ მანქანას იმ 15 წლის ბიჭივით ვატარებ, რომელმაც მანქანა მოიპარა. ერთადერთი მამაჩემი მეუბნებოდა, კარგად ატარებო“). ამ შემთხვევაში ფროიდზე ასაკი არ მოქმედებდა. ალექსი უილიამს-უინი, მისი ერთ-ერთი გვიანდელი ნატურა, იგონებს „ის ჩქარი ტემპი, რომლითაც მის ცხოვრებაში შევიჭერი, მისთვის ჩვეული ჩანდა. სტუდიური ცხოვრების მიღმა ის ძალიან იმპულსური და მოუსვენარი ადამიანი იყო“.

უილიამს-უინი, 50 წლის ფროიდის უმცროსი პარტნიორი, სამეფო აკადემიაში ქანდაკებას სწავლობდა. ერთხელ მან სახუმარო წერილი მისწერა ფროიდს. მისდა გასაკვირად, მხატვარმა ჩაიზე დაპატიჟა. მაშინვე სთხოვა პოზირება. ასე დაიბადა ნახატი „შიშველი პორტრეტი“ (2004-5). ამის შემდეგ ისინი საყვარლები გახდნენ. „პირველად ამას სერიოზულად არ ვეკიდებოდი – მთლიანად გაცნობიერებული მქონდა ასაკობრივი სხვაობა“, – ამბობს უილიამს-უინი, – „მაგრამ შემიყვარდა. ეს უკვე ჩემზე აღარ იყო დამოკიდებული“.

იმ დროს ფროიდი დიდ ავტოპორტრეტზე მუშაობდა ჰოლანდ პარკის სტუდიაში, კონცეფცია ასეთი იყო: მხატვარი თავის ატელიეში, მაგრამ კლიშე რომ არ გამოსულიყო, ნახატის კონცეფცია განაახლა და უილიამს-უინმა მთავარი როლი მიიღო. ეს

ჰოლანდ პარკის სტუდიაში შექმნილი მისი ბოლო ნამუშევარია, სახელად – „შიშველი თაყვანისმცემლით გაკვირვებული მხატვარი“. ნახატზე გამოსახულია ფროიდი, რომელიც ისვენებს ტილოს წინ ხელში ფუნჯით, ოდნავ წინ გადახრილი და ცოტა არ იყოს გაბრუებული; ამ დროს შიშველი უილიამს-უინი ფეხზე ეხვევა მხატვარს, მის სახეზე აღტაცებული გამომეტყველებაა.

„შიშველი თაყვანისმცემელი“ ტექნიკურად გონივრულადაა განხორციელებული: ნახატზე გამოსახულია, თუ როგორ ხატავს მხატვარი უილიამს-უინს. ამისათვის მხატვარს ოთახის მეორე მხარეს განთავსებულ სარკეში უნდა ჩაეხედა, რათა დაენახა თავისი თავი და თავისი ნატურის გამოსახულება, შემდეგ ტილოსკენ შემოტრიალებულიყო და მეხსიერებიდან დაეხატა ის, რასაც იმ წუთას მოჰკრა თვალი. მერე ისევ შემდგომი ფუნჯის მოსმისთვის მომზადებულიყო.

„კვირაში შვიდი დღის განმავლობაში ვიჯექი, დღეც და ღამეც. ეს ერთ წელს გრძელდებოდა“, – ამბობს უილიამს-უინი, – „ჩვენ საყვარლები ვიყავით, ასე რომ, ნორმალური იყო, ამაღელვებელიც და სახალისოც“. როცა ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, მათი რომანიც დასრულდა. ამ რომანმა უილიამ-უინს თავგზა აუბნია და, როგორც თავად აღნიშნავს, დიდი დრო დასჭირდა, განშორებით გამოწვეული ტკივილი რომ დაეძლია. და მაინც, ის ასეთ რამეს ამბობს: „ლუსიენთან ყოფნისას გავაცნობიერე, რომ ხუმრობა არ არის, იყო ცოცხალი მხატვარი. გავიგე ისიც, რომ სწორედ ეგოიზმი ქმნის დიდ ხელოვნებას“.

კინგმაც ასეთივე დასკვნა გამოიტანა: „ვფიქრობდი, რომ ეგოისტი უარყოფითი ტერმინია. მაგრამ ყოველთვის ასე არაა. ფროიდი ამბობს: „მე ის ვარ, რაც ვარ. ესაა, რისი გაკეთებაც მიყვარს. თუ ამას შეეგუებით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ნუ ეცდებით, ისეთი გავხდე, როგორიც არ ვარ“. ეგოიზმის ამ ფორმას ძალიან ვაფასებდი, რადგან ამ ნათქვამში დიდი გულწრფელობა იდო“.

გასული წლის აპრილში ფროიდმა შიშველი ქალის ბოლო პორტრეტი დაასრულა. მისი ნატურა იყო ოციოდე წლის მხატვარი პერიენ კრისტიენი. ფროიდმა ნატურას მისი მასწავლებლის მეშვეობით მიაგნო პრინცის სამხატვრო სკოლაში, გოგონა ამ სკოლის კურსდამთავრებული იყო. მათ პლატონური ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ეს ურთიერთობა რაღაც ძალიან ახლო და გულითად ურთიერთობაში გადაიზარდა. „კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დრო გარბოდა. უნდოდა ძალიან ბევრი რამ გაეკეთებინა, სულ უფრო და უფრო მეტი. ბოლოს უკვე სიკვდილზე ვლაპარაკობდით. აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ მოკვდავი იყო“, – იგონებს კრისტიენი.

„კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დრო გარბოდა. უნდოდა ძალიან ბევრი რამ გაეკეთებინა, სულ უფრო და უფრო მეტი. ბოლოს უკვე სიკვდილზე ვლაპარაკობდით. **აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ მოკვდავი იყო**“.

მწვრის პორტრეტი ჯერ კიდევ დასამთავრებელი იყო. ეს იყო დოუსონის მეოთხე ორმაგი პორტრეტი ძაღლთან ერთად. პირველი იყო „მზიანი დილა – რვა ფეხი“ (1997), რომელშიც საწოლზეა წამოწოლილი ფროიდის მეძებარ პლუტოსთან ერთად. გამომსახველობითი ბალანსისთვის რომ მიეღწია, ფროიდს საწოლის ქვეშ დოუსონის ფეხების მეორე პარტია უნდა დაეხატა. ფროიდმა ჯიუტად მოსთხოვა დოუსონს, ეგოიზმის უცვლელ ნატურას, ოთხი საათის განმავლობაში შიშველი წოლილიყო საწოლის ქვეშ.

ამას მოჰყვა ეპიკური „დევიდი და ელი“ (2003-4), რომელსაც რობერტ ჰიუზმა „შედევრი“ უწოდა, თუმცა არ დავიწყებია იმის აღნიშვნა, რომ ფროიდი თავის ხრიკებს იყენებს და პერსპექტივით თამაშობს და რომ დოუსონის სათესლე პარკი უფრო დიდია, ვიდრე ის ბალიში, რომელიც მას თავთან უდევს. ასევე, ამას მოჰყვა „ელი და დევიდი“ (2005-6), სადაც კარგად ჩანს ფროიდის მკაცრი და შეუპოვარი მზერა. დოუსონი მშვიდად ზის სავარძელში, პერანგი არ აცვია. მუხლებზე ელი უზის. დოუსონის მკლავები და მხრები ცივი ფერებითაა გამოხატული, მაგრამ სახე შეფაკლვია. ელი მას სათბურივით ათბობს.

ფროიდი არასოდეს ხატავდა იმისთვის, რომ მის ნახატებზე ეთქვათ: „აუუუ, ეს რა ვნახეთო!“ თუმცა სენტიმენტები მისთვის უცხო არ ყოფილა. ასეთი სიტკბოება იგრძნობა მის ნამუშევარში – „ლეის უკანასკნელი პორტრეტი“, რომელზეც გამოსახულია ბოუერის მძინარე თავი. ნახატი A4 ფორმატისაა. ბოუერი 1994 წელს, ახალი წლის ღამეს გარდაიცვალა იმუნოდეფიციტური სინდრომით. ეს ნახატი ფროიდმა მისი სიკვდილიდან ძალიან მალე დაასრულა.

თუ ფროიდის შვილები იმიტომ პოზირებდნენ, რომ მამასთან ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ, ფროიდისთვის ნახატი იყო ნატურასთან კავშირის დამყარების გზა. მიუხედავად მისი დაჟინებული მტკიცებისა, რომ „ადამიანი არაფერია“ დასრულებულ ხელოვნების ქმნილებაში, ამ ხელოვნების შექმნა ყველაფერი იყო ამ ადამიანისთვის: ფროიდის გზა სამყაროსთან ურთიერთობისა, იმ ხალხთან ურთიერთობისა, რომელთაც ის ამ სამყაროში შეხვდა და რომლებიც ამ სამყაროში შემოიყვანა. „ჩემი სამუშაო, – ამბობდა ფროიდი, – წმინდა წყლის ავტობიოგრაფიულია. ეს არის ყველაფერი ჩემსა და ჩემი გარემოცვის შესახებ. ეს არის ამ ყველაფრის ჩაწერის მცდელობა. მე ვმუშაობ იმ ადამიანებთან, რომლებიც მაინტერესებს, რომლებზეც ვზრუნავ და ვფიქრობ“.

იგრძენი მომავალი
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საქართველოს ბანკი უკვე ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიერ ლიგაში

london.bog.ge | 2 444 444

ჩემი მეგობარი მარი კოლვინი

ავტორი უენდელ სტივენსონი
თარგმნა თამარ სუხიშვილმა

მარი კოლვინს პირველად ერაყში შევხვდი, მიტოვებული ბუნკერიდან რომ ამოძვრა, მაშინ დავინახე. 2003 წლის 10 აპრილი იყო. წინა დღეს ბაღდადი დაეცა და სადამის ქანდაკება ჩამოაგდეს. ქურთისტანში ვიყავი, ჩრდილოეთით, რამდენიმე ასეულ ჟურნალისტთან ერთად. ველოდებოდით, როდის მოვიდოდა ომი ჩვენთან. ეს ორ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. სამხედრო მოქმედებები შეჩერდა. ამერიკელები უკვე აღარ ბომბავდნენ მწვერვალზე განლაგებულ ერაყის მთავრობის პოზიციებს და კირკუკისკენ მიმავალი გზაც გაიხსნა. ჩემმა ნაცნობმა ქურთმა სამხედრო მეთაურმა გადმომიჩურჩულა, რომ მთავარი გზიდან რამდენიმე მილის მოშორებით ერაყელთა პოზიციების დათვალიერება შეგვეძლო. რა თქმა უნდა, მანქანაში ჩავსხედით და წავედით.

ბორბლების კვალით დასერილი ერთადერთი გზა ამწვანებულ, კუზიან მთებში მიიკლაკნებოდა, მთიანი პეიზაჟი ხედს თითქოს მთვარის მომწვანო ლანდშაფტის იერსახეს სძენდა. ცოტა ხანში ხრეშის მიწაყრილს გადავაწყდით, გზა ჩახერგილი იყო, მე და ჩემი თარჯიმანი მანქანიდან გადმოვედით და ფეხით წავედით. წყნარი ამინდი იყო, ცა – დაბინდული, მთები ყველაფერს ახშობდა და ქარი და ხმაური აქ ვერ აღწევდა. ნელა მივიწევდით წინ. ხომ ყველაფერი კარგადაა? – ვეკითხებოდით ერთმანეთს. მოსახვევთან ერაყელების პატარა სამხედრო ბაზას მივადექით: ყოველ მხარეს მწკრივად განლაგებული ბეტონის ბარაკები, მთლიანად გაძარცვული ნარჩენებისა და საბრძოლო ტექნიკისგან.

გზის გაგრძელება აღარ მინდოდა. შემაძრწუნებელი სანახაობა იყო. მთელი ჩვენი ხანგრძლივი მგზავრობის მანძილზე არაერთხელ დავძლიე შიში, მთებშიც და აქაც, ამ მიწაყრილის ბარიერზეც. სწორედ ამ დროს დავინახე, როგორ გამოძვრა ბუნკერიდან მარი. ქერა თმა უკან დაუდევრად შეეკრა, გორგალივით, თვალი ახვეული ჰქონდა, ხელში ბლოკნოტი ეჭირა. მახსოვს, რაც ვიფიქრე გამოუცდელმა: ახლა ის მაინც ვიცი, რომ სწორ ადგილას ვარ, რადგან პირველი აქ მარი კოლვინი მოვიდა.

პირველი ჟურნალისტი არ ვყოფილვარ, ვისაც ასე დაემართა: რეპორტაჟის გაკეთებას შეუდგა, საშიში გზა გაიარა, ამბამდე მივიდა და იქ მარი დახვდა. ხშირად ის იყო პირველი, ვინც საშიშ ზონაში მიდიოდა და უკანასკნელი, ვინც იმ ადგილს ტოვებდა. მისი იქ ყოფნა თითქოს უფრო მეტ ძალას გმატებდა. მარი ლეგენდა იყო. მეკობრისეული თვალის სახვევი არც კი სჭირდებოდა. თვალი შრი-

ლანკაში ყოფნისას დაიზიანა, 2001 წელს, ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა. მას შემდეგ, რამდენჯერმე გადავეყარეთ ერთმანეთს, ბაღდადში, სამხრეთ ლიბანში 2006 წელს, ტიროსში ვიმალებოდით, როდესაც ისრაელის ჯარებმა მოსაზღვრე მთები დაიკავეს. თითქოს ცოტათი მეშინოდა კიდეც მისი და „გამარჯობის“ მეტს ვერაფრის თქმას ვბედავდი. მახსოვს, როგორ იჯდა ძველი ომების მონაწილეებთან ერთად, აქ იყვნენ ბოსნიის, კოსოვოსა და ავღანეთის ომების ვეტერანები, ის ადამიანები, რომლებმაც აფრიკის კრიზისი გამოიარეს. ისმოდა აფეთქებების ხმა, უეცრად სადღაც ცეცხლის ალი ავარდებოდა ხოლმე. ზღვა მორიგი აფეთქების ფორთოხლისფერმა ჭავლმა გაანათა, ვიღაცამ რაღაც ჩაილაპარაკა, მარიმ ღვინის ჭიქა შეივსო და ძალიან მხიარულად გადაიკისკისა.

უფრო კარგად გასულ წელს ეგვიპტეში გავიცანი. თაჰრირის მოედანზე ვართ. დილაა. ეს ის დღეა, როცა მუბარაქს გააძევებენ. ბრბოში ვდგავართ, ტურისტული სააგენტოს წინ, დროდადრო ვიღაცის მუჯლუგუნები გვხვდება. ახლა ეს სააგენტო რევოლუციის არაოფიციალური შტაბია. იმ სამხედრო ოფიცერთან შეხვედრას ველოდებით, რომელიც მოწინააღმდეგის ბანაკში გადავიდა. ერთმანეთს საღამოობითაც ვნახულობთ, კომენდანტის საათის დროს, სასტუმროში. ჩვენს საუბრებს ფონად გასდევს რევოლუციური პროტესტი: ხმაურიანი გამოსვლები და ხმაურიანი სიმღერები. ვლაპარაკობთ საქართველოზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინ პირველად ჩავიდა, ვჭორაობთ საერთო ნაცნობებზე, ვლაპარაკობთ იმ ყველაფერზე, რაც თაჰრირის მოედანზე ხდება და იმაზეც, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდგომ. ვინ იცის? სულაც არ ყოფილა ისეთი მკაცრი, როგორიც წარმომედგინა. პირიქით, ძალიან მგრძნობიარე იყო. თანდაყოლილი თანაგრძნობის უნარი ჰქონდა, იმ ადამიანების მსგავსი, რომლებიც უფრო უსმენენ, ვიდრე ლაპარაკობენ. რამდენიმე თვეში ჩამოვიდა კაიროში, ლიბიისკენ მიდიოდა, ექიმი სჭირდებოდა; ისედაც დაჩეხილი სახე კიდევ უფრო დასიებული ჰქონდა, ინფექცია შეეჭრა. „აი, ტემზაზე ნავით რომ ვსეირნობდი, მაშინ დამემართა,“ – გაიხუმრა. ჩემმა მეგობარმა ექიმმა კბილის ნამსხვრევი ამოუღო, რაც ანთებას იწვევდა. ამის შემდეგ ლიბიაში წავიდა. ეგვიპტეში ნოემბერში დაბრუნდა, მოედანზე კვლავ შეტაკებები იყო, კაიროს ცენტრს საბურველივით ეფარა გამაბრუებელი ცრემლსადენი გაზის ღრუბლები...

ერთი დღე გავატარეთ ერთად. ინტერვიუს იღებდა ადამიანის უფლებების დამცველ ცნობილ აქტივისტთან, რომელსაც შემდეგ მეც უნდა შევხვედროდი. მერე, თარჯიმანი მთხოვა თაჰრირის მოედანზე სახეტიალოდ, კაფეებში დადიოდნენ და ხალხს ესაუბრებოდნენ. ძალიან მშვიდი იყო მუშაობის დროს. ღელვა არ ეტყობოდა. არც ჩქარობდა, უბრალოდ, ძალიან ნათელი იყო და პირდაპირი. ყველა შემხვედრთან ადვილად ამყარებდა კონტაქტს – სიცილი, ღიმილი, თანაგრძნობა... ჩაის ვსვამდით და ვსაუბრობდით, ცხოვრებაზე, სიყვარულზე, დაკარგულ სიყვარულზე (მარი სამჯერ იყო გათხოვილი, ორჯერ ერთსა და იმავე კაცზე). მკაცრი, ჭკვიანი და ხალისიანი იყო, თან ძალიან კეთილი. მისი სიკვდილი რომ გაიგეს, მისმა რესპონდენტმა აქტივისტებმა ჩემს თარჯიმანს უთხრეს: „როგორ არ გვახსოვს! მარი!“ და მერე – „რა დასანანია!“

უცნაური ჯურის ხალხი ვართ, ასე ვფიქრობ ზოგჯერ იმ ადამიანებზე, რომლებსაც უყვართ სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალი და უცნობი ადამიანების ამბების შეგროვება. ხშირად იმ გზის რუკაც კი არ გვაქვს, სადაც მივდივართ და არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ რატომ გადავუხვიეთ გზაჯვარედინიდან მარცხნივ, მაშინ, როცა შეგვეძლო მარჯვნივ წავსულიყავით... მაგრამ მარიმ ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. მან ისიც ძალიან კარგად იცოდა, თუ რატომ აკეთებდა ამ ყველაფერს. ფაქტების დადასტურება მნიშვნელოვანი იყო. ფაქტების დადასტურება არის ის, რაც დგას ომის საშინელებასა და ამ საშინელებაზე უფრო უარესს შორის; როდესაც არავინ იცის, თუ რა საშინელება ხდება – აი, რა არის უარესი. ამიტომაც წავიდა სირიაში. ამიტომაც წავიდა ჰომსში, ბაბრ ამრში, იმ ადგილებში, სადაც ხალხს მძიმე სისხლიანი რეპრესიები დაატყდა თავს.

თავზარდამცემი ანგარიში დაწერა „სანდი ტაიმსისთვის“ ქვრივების სარდაფის შესახებ. აღწერდა, თუ როგორ იმალებოდნენ ამ სარდაფში შიშისგან მოკუნტული დედები და ბავშვები დაბომბვების დროს. ტელეფონით დაუკავშირდა „სი-ენ-ენ“-ს და გვიამბო, როგორ დაიღუპა პატარა ბავშვი შრაპნელის აფეთქების შედეგად: „ჩვენ მეტი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, – განაცხადა ექიმმა. ვიდექით და ვუყურებდით ამ პატარა ბიჭუნას, როგორ უცახცახებდა მუცელი სუნთქვის დროს. საშინელება იყო. გული შემეკუმშა“. მან ის თქვა, რაც დაინახა და ის, რაც იგრძნო. მისი ანგარიში მეხის გავარდნასავით გაისმა. მან განაცხადა, რომ 28 ათასი ადამიანი რეჟიმის იმ დამსჯელ ხაფანგში იყო გამომწყვდეული, რომელსაც ასადის რეჟიმის ზურგი ერქვა, და რომ „მტკნარი სიცრუე“ იყო ის ფაქტი, რომ მათ მხოლოდ ტერორისტები ჰყავდათ ამოღებული მიზანში. მარი ამბობდა, რომ მთელი მისი საქმიანობის განმავლობაში ამაზე მძიმე არაფერი ენახა: „ჰომსი მაინც ყველაზე უარესი იყო“.

მეორე დილას მოკლეს. არტილერიამ ჟურნალისტების დროებით ოფისს დაარტყა, სადაც მარი და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი მუშაობდა. მარი და ფრანგი ფოტოგრაფი რემი ოჩლიკი, იქვე დაიღუპნენ. ცუდი ამბები სწრაფად ვრცელდება. მარის მეგობრები ერთმანეთს ურეკავდნენ და ტიროდნენ. ძვირად ფასობს რჩეულთა სიცოცხლე. ერთმანეთს ვამშვიდებდით, როგორც შეგვეძლო. მარი იმ საქმეს შეეწირა, რისი კეთებაც მან აირჩია და რაც სხვებზე უკეთ გამოსდიოდა. ის ამბის თხრობის დროს დაიღუპა, ჭეშმარიტების ძიებისას. ჩემმა მეგობარმა ჰომსიდან მარტივი ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა: „ჰომსი ქედს იხრის მის წინაშე“.

ელდარ შენგელაია და ჯანსუღ კახიძე

ჩემი ჯანო კახიძე

ავტორი ელდარ შენგელაია

„პირველად იყო სიმღერა, გალობა მრავალხმიანი
და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი“...

მკითხველი, ალბათ, ელოდება, რომ ჯანსუღ კახიძეზე საუბარს კინოხელოვნებაში მისი მოღვაწეობის გახსენებით დავიწყებ, მაგრამ მე, უპირველეს ყოვლისა, მისი მსმენელი ვიყავი და ამიტომ მინდა, მასზე, ჯერ, როგორც გენიალურ მუსიკოსზე და დირიჟორზე ვისაუბრო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ადრე სიმფონიური მუსიკის არცთუ „ყოველდღიური“ მსმენელი ვიყავი. რა თქმა უნდა, დავდიოდი კონცერტებზე, მაგრამ ეს არ ხდებოდა ისე სისტემატურად, როგორც შემდეგ, როდესაც ჯანსუღი პოლონეთიდან – „შემოქმედებითი მივლინებიდან“ დაბრუნდა.

ჩამოსვლისთანავე, ფილარმონიის დიდ დარბაზში კონცერტები გამართა (სიმფონიური მუსიკის ცენტრი მაშინ არ არსებობდა). მახსოვს, პირველი კონცერტი პარტიტურის გარეშე ჩაატარა. მაშინ ეს როგორც ნაღმი, ისე აფეთქდა. სამწუხაროდ, არ მახსოვს, რა სრულდებოდა, რადგან მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ჯანსუღი პარტიტურის გარეშე რთულ ნაწარმოებებს შეეჭიდა და ლაღად და ემოციურად მოგვაწოდა. მეორე კონცერტზე მას პიუპიტრზე უკვე პარტიტურა ედო. თუმცა, გნებავთ, ასე, გნებავთ, ისე(!) – შედეგი, ორივე შემთხვევაში, არაჩვეულებრივი იყო.

მას შემდეგ ვცდილობდი, მისი კონცერტი აღარ გამომეტოვებინა. როდესაც ცენტრი აშენდა და ახალ დარბაზს ნელ-ნელა მივეჩვიეთ, მივეჩვიეთ იმასაც, რომ სცენის მარცხენა კუთხიდან, იქიდან, საიდანაც კიბე იწყება და უერთდება სადირიჟორო პულტს, გამოჩნდებოდა ჯანსუღ კახიძე. მსმენელი მას ტაშით ეგებებოდა, მაგრამ ის იმდენად კონცენტრირებული და შემოქმედებითად დამუხტული იყო, რომ თითქოს, დარბაზს ვერ ამჩნევდა. ჯანსუღს საოცარი პლასტიკა ჰქონდა, ჩამოდიოდა ძალიან არტისტულად, მიესალმებოდა პირველ ვიოლინოს, მსმენელს, დადგებოდა პულტთან, შეყოვნდებოდა... უცებ არ იწყებდა კონცერტს – სიჩუმეს ელოდა, ისეთ სიჩუმეს, როცა „მუსიკალური საოცრება“ იბადება. ჩვენც, ყველას გვჭირდებოდა შინაგანი

პაუზა, რომ ყოფიდან გადავრთულიყავით ხელოვნების ზეიმზე, რომელიც მისი სადირიჟორო ჯოხის აქნევით დაიწყებოდა. მე, პირადად, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს, შესრულებული ნაწარმოები ძალიან მალე დამთავრდა. მიჩნდებოდა დაუძლეველი სურვილი, უფრო ხანგრძლივად დავრჩენილიყავი იმ მუსიკალურ სივრცეში, რომელსაც ბატონი ჯანო ქმნიდა. საქმე ისაა, რომ შესანიშნავი კონცერტი, სპექტაკლი, კინოფილმი და საერთოდ, დიდი ხელოვნება, იმდენად დატვირთულია ამაღლებული ემოციით, რომ იკარგება დროის შეგრძნება.

ახლა შემიძლია ვთქვა, რომ კლასიკურ მუსიკას ჯანსუღ კახიძემ მაზიარა.

პირად საუბრებში ჯანო ჩიოდა, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის მზად ხელოვნების ამ დიდი აქტისათვის – სიმფონიური მუსიკისათვის ისე, როგორც ეს დასავლეთშია. თვითონ ამბობდა, რომ ხელოვნების ეს განსაკუთრებული სფერო ჩვენი მსმენელისათვის ჯერ თითქოს უცხოა. ხშირად დავსწრებივარ იმ კონცერტებს, რომლებშიც ჯანსუღ კახიძესთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოეთიდან ჩამოსული ცნობილი შემსრულებლები და მაშინ დარბაზი ყოველთვის ივსებოდა ხოლმე ჩვენი „ბომონდით“. მაგრამ დავსწრებივარ კონცერტებს მაშინაც, როდესაც ჯანსუღისა და მისი ორკესტრის მიერ შესრულებულ დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებებს დარბაზში შეკრებილი არცთუ ისე მრავალრიცხოვანი პუბლიკა უსმენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დიდი ხელოვანის წუხილი მართებული იყო.

ამ ნაკლის დასაძლევად ბატონმა ჯანსუღმა ბევრი გააკეთა. მოგეხსენებათ, საქართველოში მოღვაწეობდნენ დიდი დირიჟორები, ისეთები, როგორიც ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი და სხვები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს კულტურაში. თუმცა, ჯანსუღ კახიძის ღვაწლი არ მთავრდებოდა მხოლოდ მისი, როგორც დირიჟორის მიღწევებით. ის პირადად ზრუნავდა იმაზეც, რომ ხელოვნების ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულება – სიმფონიური მუსიკა და სადირიჟორო ხელოვნება, საქართველოში განვითარებულიყო.

კონსერვატორიაში რომ არსებობს საკონცერტო დარბაზები, ეს თავისთავადი ამბავია. აი, ფილარმონიაში კი, თუ ერთ დღეს სიმფონიური მუსიკა სრულდება, მეორე დღეს საესტრადო კონცერტია, მესამე დღეს – იუმორის საღამო, მეოთხე დღეს კი, იუბილეს მართავენ. იქ, სიმფონიური მუსიკის მუდმივი სამყოფელი არ არის. კულტურულ ერს კი, უნდა ჰქონდეს სიმფონიური მუსიკის ცენტრი. ჯანსუღ კახიძემ იტვირთა ეს საერო საქმე და მომავალი თაობებისთვის შექმნა სიმფონიური მუსიკის ცენტრი. საზოგადოებამ, თავიდანვე, ამ დიდებულ დარბაზს „ჯანოს ცენტრი“ შეარქვა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ დღეს სიმფონიური მუსიკის ცენტრი ჯანსუღ კახიძის სახელობისაა.

ბატონი ჯანსუღი სხვა გზებითაც ცდილობდა სიმფონიური მუსიკის პოპულარიზაციას. ალბათ, ყველას ახსოვს სატელევიზიო გადაცემები, რომლებშიც იგი ბავშვებს და მოზარდებს სიმფონიური მუსიკის გაკვეთილებს უტარებდა და ამ პროცესში ჩართული ჰყავდა ტელემაყურებელიც. იმ დროისათვის არ არსებობდა იმდენი სატელევიზიო არხი, რამდენიც დღეს, ამიტომაც მთელი საქართველო უყურებდა ამ გადაცემას.

თითქმის ყველა ქართველი კომპოზიტორი ცდილობდა, მათი ნაწარმოები პირველად ჯანსუღ კახიძეს შეესრულებინა. და არამხოლოდ იმიტომ, რომ იგი დიდებული დირიჟორი და, ერთგვარად, წარმატების გარანტი იყო. არა! რეპეტიციების დროს მას შეეძლო მიეცა კომპოზიტორისთვის რჩევა, რომელიც აკეთილშობილებდა ნაწარმოებს და, რაც მთავარია, ამას ყოველთვის ძალიან დიდი ტაქტით აკეთებდა.

გია ყანჩელის ნაწარმოებების პირველი შესრულებაც, როგორც წესი, ბატონი ჯანსუღის დირიჟორობით ხდებოდა. რადგანაც მე და გიას დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ზოგჯერ მეც ვესწრებოდი ხოლმე გიას და ჯანოს რეპეტიციებს, ვაკვირდებოდი, როგორ უზიარებდა მუშაობის პროცესში ჯანო თავის მოსაზრებებსა და ნაწარმოების ამა თუ იმ ნაწყვეტის განსხვავებულ ინტერპრეტაციას, და გიაც, მეტწილად, იზიარებდა მათ.

ამიტომ მიმაჩნია, რომ ჯანსუღ კახიძემ არამარტო ახალ დონეზე აიყვანა ქართული სადირიჟორო ხელოვნება, არამედ, თანამედროვე ქართული მუსიკის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი დახურული ქვეყანა იყო. ჯანსუღ კახიძე ზოგჯერ მაინც ახერხებდა „გოსკონცერტის“ ხაზით, თავისი ხელოვნება გაეცნო უცხოელი მსენელისათვის. ისეთ დირიჟორზე, როგორიც ჯანსუღ კახიძე იყო, ყოველთვის არსებობდა მოთხოვნა, მაგრამ არსებული რეალობა ხელს უშლიდა მის საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრებას. 1990-1991 წლებში, როდესაც ეს ბარიერი მოისპო, როგორც იქნა, ჯანსუღ კახიძემ მოიპოვა თავისუფალი ხელოვანის სტატუსი. წელიწადის უმეტეს დროს კონცერტებს მართავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეს მისი საუკეთესო წლები იყო. კომპოზიტორი და მისი მეგობარი, ბიძინა კვერნაძე, ხუმრობით ჯანოს „სულწასულს“ ეძახდა. სინამდვილეში კი, ჯანსუღ კახიძე ურთულეს დროს არ მოსცილებია საქართველოს. იგი ყოველწლიურად მართავდა სიმფონიური მუსიკის საგაზაფხულო და საშემოდგომო ფესტივალებს, რომლებშიც მის მიერ მოწვეული, გამოჩენილი შემსრულებლები მონაწილეობდნენ და ამით ქართველ მსმენელს უწყობდა ზეიმს. ჯანო ისეთი ადამიანი იყო, რომ ხანგრძლივად ვერ მოცილდებოდა თავის მეგობრებს, ოჯახს, ქალბატონ ვანდას, რომელიც განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა შემოქმედებითი მუშაობისთვის.

საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შემდეგ, ჯანსუღ კახიძემ ძალიან სწრაფად იწყო სვლა ოლიმპისკენ და როდესაც ბოლო ნაბიჯიღა დარჩა, ჯანმრთელობამ უღალატა...

ასე მოხდა მერაბ მამარდაშვილის ბიოგრაფიაშიც. წარმოიდგინეთ, ეს უდიდესი ფილოსოფოსი ლექციებს მხოლოდ უნივერსიტეტში, სარეჟისორო კურსებზე კითხულობდა და როდესაც მოვიდა თავისუფლების დრო, მას უკვე ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ჩაერთო ფილოსოფიის თანამედროვე პროცესებში და აღიარებაც მოიპოვა. ძალიან ხშირად უწევდა მოგზაურობა, არადა, ქვეყნიდან ყოველი გასვლა მის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. მერაბი კი მაინც არ ნებდებოდა, რადგან ეს, მისთვის, როგორც ფილოსოფოსისთვის, საკუთარ დანიშნულებაზე უარის თქმა იქნებოდა...

ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ჯანსუღ კახიძეს, თავისი გამორჩეული ნიჭით, ტემპერამენტით, თავისი დაუოკებელი ენერგიით, მებრძოლი ხასიათით, ეღვაწა მხოლოდ თბილისში და საკუთარ ჯანმრთელობაზე ეზრუნა. ეს უკვე ჯანო არ იქნებოდა, იმიტომ, რომ ის, რაც ღმერთმა უბოძა ისეთ ადამიანებს, როგორიც ჯანსუღ კახიძე, მერაბ მამარდაშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა იყო, კაცობრიობას ეკუთვნის. ღმერთისგან ბოძებული ნიჭი მათ სხვა გზას არ უტოვებს, თუ არა, თავგანწირვამდე ემსახურონ თავის საქმეს. ამიტომ, ისეთ ადამიანებს, როგორიც ბატონი ჯანსუღი იყო, მე მივიჩნევ იმ სისტემის მსხვერპლად, რომელშიც ჩვენ ვიცხოვრეთ, რადგან ისინი ახალგაზრდობიდანვე მოკლებულნი იყვნენ თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობას.

ახლა უკვე შეიძლება ვისაუბროთ ჯანსუღ კახიძის მოღვაწეობაზე კინოში.

ბატონ ჯანოსთან ურთიერთობა ჩემს თითქმის ყველა ფილმზე მუშაობისას მომიხდა. ის ამ ფილმებისთვის წერდა მუსიკას, დირიჟორობდა, მღეროდა... ეს შემოქმედებითი თანამშრომლობა შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა.

კინოში მუსიკის ჩაწერას თავისი ფაზები აქვს და ამიტომ, რეპეტიციიდან საბოლოო ჩანაწერის მიღებამდე, ბევრი რამ იცვლება. ჯანსუღ კახიძე არასდროს ყოფილა მხოლოდ შემსრულებელი – დირიჟორი. მასში სხვა საწყისიც იყო ხელოვანისა, რომელიც – თხზავს, ქმნის მუსიკას. ამიტომ, არ მახსოვს, რომ მას არ ეთქვა გია ყანჩელისათვის, ან ჩემთვის: „ხომ არ აჯობებს ასე, აბა, ერთი მოისმინეთ... იქნებ ასე სჯობდეს, რომ გავაკეთოთ... დაუგდეთ ყური ამ ინსტრუმენტს“... ამიტომ გვიყვარდა მასთან მუშაობა და მის გარეშე ვერ წარმოგვედგინა ეს პროცესი. ეს იყო არამარტო დაწერილი მუსიკის შესრულება, არამედ ახლის შექმნაც. მე ამას ძალიან ვაფასებდი. იმიტომ, რომ ვხედავდი შედეგს, ვხედავდი, რომ უკეთესდებოდა ის, რაც ჩავიფიქრეთ.

ჯანსუღ კახიძის აბსოლუტურად განუმეორებელი ხმის გამოუყენებლობა შეუძლებელი იყო. მისი ხმა – ეს, განსაკუთრებული ინსტრუმენტი იყო. ჩვენ მას „ვიყენებდით“ კიდეც: „...დუბლი პირველი!“ – გამოაცხადა ჯანომ და ფრაზა წაიმღერა. სიმართლე რომ გითხრათ, ეს ფრაზა ზედგამოჭრილი იყო ფილმისთვის, მაგრამ მე და გია ყანჩელი ჩავაცივდით და კიდევ ერთი დუბლის ჩაწერა ვთხოვეთ... მეოთხე დუბლი რომ იწერებოდა, ჯანომ გამოაცხადა: „დუბლი მეოთხე, გიას სასიამოვნოდ!“ მელოდია რომ დაამთავრა, პირდაპირ მიაყოლა: „დუბლი მეხუთე, ელდარის სასიამოვნოდ!“ უნდა გითხრათ, რომ ძალიან გამიჭირდა მონტაჟის დროს ამ ხუთი დუბლიდან ერთის არჩევა.

ფილმ „შერეკილების“ შექმნის დროს, გია ყანჩელმა შემომთავაზა, რომ ამ ფილმის კომპოზიტორი მასთან ერთად, ჯანო კახიძეც ყოფილიყო. კომპოზიტორებს – ჯანსუღ კახიძეს, გია ყანჩელს და მე, როგორც რეჟისორს, მუსიკა გვესახებოდა მომავალი ფილმის საერთო დრამატურგიის განსაკუთრებულ კომპონენტად. როდესაც ფილმი დამონტაჟდა და ჩაიწერა დიალოგები, მე ფილმი (მუსიკის გარეშე) რჩევისათვის ვაჩვენე პროფესიონალებს, რეჟისორებს, მათ, ვისაც მე მჯეროდა. ფილმის მსვლელობის დროს მე მათ ვანიშნებდი, სად უნდა ყოფილიყო მუსიკა და რა განწყობა უნდა შეექმნა მას. ამის და მიუხედავად, ფილმის ნახვის შემდეგ სინანულით მითხრეს, ფილმი არ შედგაო. პროფესიონალებმაც კი ვერ აღიქვეს ფილმი მუსიკის გარეშე. ეს არ იყო გასაკვირი, რადგან „შერეკილების“ დასაყრდენი ბოძი მუსიკა და ჯანოს ხმაა, რომლის გარეშე ეს ფილმი არ არსებობს.

ბატონი ჯანო, გია ყანჩელთან ერთად, იყო ფილმ „სამანიშვილის დედინაცვალის“ მუსიკის ავტორიც, დირიჟორიცა და შემსრულებელიც. ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში მამა-შვილი ეყრება ერთმანეთს და მათ დიალოგს მიჰყვება მუსიკალური ფრაზა. ჩაწერის დროს ბატონმა ჯანსუღმა მოითხოვა მიკროფონი და როცა ორკესტრი ამ ფრაზას ასრულებდა, თავადაც წაიმღერა. წამღერება იყო სევდიანი და ბუნებრივად ჩაჯდა მუსიკალური ფრაზის საერთო განწყობაში, თითქოს ეს ასე იყო ჩაფიქრებული.

ბატონი ჯანსუღი განათლებული ადამიანი იყო და საოცარი მუსიკალური ალღო ჰქონდა. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: მე და ჩემი ძმა, გიორგი, მამაჩვენის, ნიკოლოზ შენგელაიას ფილმის, „26 კომისრის“ აღდგენაზე ვმუშაობდით. მოგეხსენებათ, რომ ადრე, ფილმს თან ახლდა „ტაპიორი“ – პიანისტი-აკომპანიატორი. 1930-იან წლებში პრემიერებზე იწვევდნენ ორკესტრს. ეს ფილმი სწორედ ამ წლებში იყო გადაღებული. მე ვთხოვე ჯანოს, ენახა სურათი და შეერჩია მისთვის მუსიკა. როცა ფილმი დასრულდა და დარბაზში სინათლე აინთო, ჯანომ გვითხრა – „შოსტაკოვიჩი!“ მართლაც, ჯანოს მიერ შერჩეული მუსიკა ჰარმონიულად შეერწყა გამოსახულებას, თითქოსდა შოსტაკოვიჩმა ეს მუსიკა სპეციალურად ამ ფილმისთვის დაწერაო. იმ პერიოდში ჯანო თავად ძალიან დაკავებული იყო და გვირჩია, რომ ფილმის მუსიკაზე ემუშავა კომპოზიტორ სოსო ბარდანაშვილს, რაც მან შესანიშნავად გააკეთა.

ზუსტ რიცხვს ვერ დავასახელებ, მაგრამ ვიცი, რომ ბატონ ჯანსუღს უამრავ ფილმზე უმუშავია როგორც დირიჟორს, კომპოზიტორს და მომღერალს. ბევრ რეჟისორს სურდა, რომ ჯანსუღ კახიძეს ჩაეწერა, ან დაეწერა მისთვის მუსიკა. მათ იცოდნენ, რომ ბატონი ჯანსუღის მიერ შესრულებული მუსიკა ბევრს შემატებდა ფილმს.

ერთხელ, ჯანომ თავის სოფელში, ობჩაში წამიყვანა. მამამისის, ბატონი ივანეს დაბადების დღე იყო. აქ თავი მოეყარა კახიძეების მთელ ოჯახს. ჩვენთან ერთად იყო ვანიკო მაჭავარიანი. გაიმართა ლხინი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კახიძეებისეული ქართული მუსიკის კონცერტი. რახან ეს ოჯახისთვის განსაკუთრებული დღე იყო, შესრულებაც განსაკუთრებული იყო. მე პირადად, ასეთი რამ არასდროს მომისმენია. რა თქმა უნდა, თავიდათავი ამ ზეიმისა ჯანო იყო.

მუსიკალურ ტრადიციას, რომელიც ამ ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად უნდა ეშვა ისეთი შემოქმედი, როგორიც იყო ჯანსუღ კახიძე. სწორედ კახიძეების სასიმღერო ტრადიციები და ბავშვობის წლები იქცა მისთვის შთაგონების წყაროდ, როდესაც წლების შემდეგ ანსამბლი „შვიდკაცა“ შექმნა.

ამ ანსამბლით დაიწყო აღმასვლა. საქართველოში ქართული სიმღერა ყოველთვის ჟღერდა, მაგრამ ეს უნიჭიერესი ახალგაზრდები, ჯანსუღ კახიძის შთაგონებით გაერთიანებულნი, მისი ხელწერით, მოვლენად იქცნენ და უცბად მოიპოვეს უდიდესი პოპულარობა.

„შვიდკაცას“, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საგასტროლოდ იწვევდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში. ერთხელაც, მიიწვიეს დაღესტანში. თავად ჯანსუღი მიყვებოდა: „...დარბაზი გადაჭედილი იყო. დავიწყეთ სიმღერა. ცოტა ხნის შემდეგ, დარბაზიდან გაისმა შეძახილი: „танцы“. ეს შეძახილი რამდენჯერმე განმეორდა და მას სულ უფრო და უფრო მეტი მსმენელი აჰყვა. ამ შეძახილების ფონზე დავამთავრეთ გამოსვლის პირველი ნაწილი. შესვენების დროს, ბიჭებს ვუთხარი, ჩვენი საქმე ცუდად არის, უნდა ვიცეკვოთ-მეთქი, სცენაზე რომ გავალთ, თქვენ საცეკვაო სიმღერა იმღერეთ და ტაში მიაყოლეთ, მე კი, ვიცეკვებ. თუ რომელიმე თქვენგანი ამყვება, კარგი იქნება. ასეც მოხდა. როგორც კი სცენაზე გავედით, ბიჭებმა დაიწყეს სიმღერა და ტაში, მე – ცეკვა. ცოტა ხანში, ბიჭებიც ამყვნენ. არ ვიცი, როგორ ვიცეკვეთ, მაგრამ დარბაზი ტაშით დაიქცა. ასე გადავრჩით“...

...სულერთია, რა ეპოქისა თუ სტილის მუსიკას ასრულებდა ჯანსუღ კახიძე, იგი ყოველთვის განსხვავებულად კითხულობდა პარტიტურას, ქმნიდა თავისებურ ინტერპრეტაციას, მისეულ ხელწერას, რაც, ჩემი აზრით, აიხსნება იმით, რომ მისი შემოქმედებითი ფესვები ღრმად არის გადგმული ქართულ მუსიკალურ ტრადიციებში.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ის დღე, როცა ჯანო 60 წლის გახდა. „ჯანოს ცენტრის“ გვერდით რესტორანი იყო, სადაც თავი მოეყარათ მის მეგობრებს, ახლობლებს. სუფრას უძღვებოდა თემიკო ჩირგაძე, რომელიც იმ პერიოდში უკვე ცნობილი იყო, როგორც მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ცისფერი მთები“. თემიკო შესანიშნავად მღეროდა, არაჩვეულებრივი იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა. მის სიმღერას და იმპროვიზაციებს ჯერ ჯანო აჰყვა, შემდეგ კი, „იამაჰაზე“ დაკვრით, ჯანოს შვილი, ვატოც შეუერთდათ. საბედნიეროდ, არსებობს ამ დაუვიწყარი საღამოს ვიდეოჩანაწერი...

ახლა ის დროც მახსენდება, როდესაც საქართველოს ახალი ჰიმნის შექმნის საკითხი დადგა. ბოდიშს ვუხდი დღევანდელი ჰიმნის შემქმნელებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ოდესმე ჩვენი საზოგადოება კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს, რადგან, ჩემი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, კახიძისეული „მრავალჟამიერი“ ყოფილიყო საქართველოს ჰიმნი.

ჯანსუღ კახიძე არასდროს ყოფილა მხოლოდ შემსრულებელი – დირიჟორი. მასში სხვა საწყისიც იყო ხელოვანისა, რომელიც – თხზავს, ქმნის მუსიკას.

პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ პარმის ბიბლიოთეკაში დაცული (იტალია) ძმებ ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების 1367 წლის პორტულანზე (საზღვაო რუკა) გამოსახული საქართველოს უძველესი დროშა მოიძია. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სწორედ ეს დროშა გახდა შემდგომში საქართველოს ეროვნული დროშა. საქართველოს დროშის პირველწყაროს თარიღი ჩვენთვის უკვე ცნობილია, მაგრამ როდის შეიქმნა პირველად „მრავალჟამიერი“ უცნობია. ეს არის უძველესი სიმღერა, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან ისმის; სიმღერა ქართველი კაცისა, ჰიმნი სიკეთისა და კაცთმოყვარეობის, ქართული სიტყვათწყობისა და უნიკალური მრავალხმიანობის ჰარმონია.

ბოდიშს ვუხდი დღევანდელი ჰიმნის შემქმნელებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ოდესმე ჩვენი საზოგადოება კვლავ დაუბრუნდება ჰიმნის საკითხს.

ჯანსუღთან ძალიან ვმეგობრობდი, ის ჩემთვის საოცრად ახლობელი ადამიანი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვგრძნობდი მის მიმართ მოწიწებას, რომელსაც უნდა გრძნობდეს და კიდევაც გრძნობს მსმენელი დიდი ხელოვანის – მაესტროს წინაშე.

მე ეკლესიური ადამიანი გახლავართ. ვლოცულობ, როგორც ეკლესიაში, წირვის დროს, ასევე, ჩემი ქალიშვილის, ელენეს საფლავზე. როცა მივდივარ დიდუბის პანთეონში, ჩემი მშობლების საფლავზე, აუცილებლად მივდივარ ჯანოს საფლავთანაც, რომელზეც გამოხატულია სადირიჟორო ოქროს ჯოხი. ვუყურებ მის საფლავს და მახსენდება მისი ნათქვამი: „მე, უპირველეს ყოვლისა, ვარ დირიჟორი“.

არსებობს ასეთი ლოცვა – „ლოცვა გარდაცვალებულთათვის“, რომლითაც მოიხსენიება მშობლები, ნათესავები, მეგობრები. მე ამ ლოცვაში ყოველთვის ვიხსენებ ჯანოს.

ქვები ისევ მიგორავენ Rolling Stones

ავტორი ირაკლი მახარაძე

ამ 30-35 წლის წინათ ამერიკაში ვიქტორინა ჩაატარეს. კითხვა იყო: „რას მოიმოქმედებდით Rolling Stones-ის კონცერტზე დასასწრები ბილეთის საშოვნელად?“ გაიმარჯვა ერთმა ახალგაზრდამ, რომელმაც განაცხადა – მთელ სხეულზე თმას გავიპარსავდი, ჩავდებდი ჩიბუხში და მოვწევდიო.

მაშინ მეშვიდე თუ მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი და ამ ჯგუფის სახელი არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ერთ დღეს ჩემი უფროსი დის ამხანაგმა ვინილის დისკი მოგვიტანა მოსასმენად. იქამდეც ვუსმენდი სახლში არსებულ ფირფიტებს – პოლ საიმონს, ბობ დილანს, სტივი უონდერს, დორსს... მაგრამ ეს კარდინალურად განსხვავებული რამ იყო. გარეკანზე ჯგუფის არცთუ სიმპათიური წევრები იყვნენ გამოსახული, მაგრამ მთავარ ყურადღებას დიდტუჩებიანი, ახალგაზრდა კაცის მსხვილი ხედი იქცევდა. ფირფიტას ჯგუფის სახელი Rolling Stones ამშვენებდა. როგორც კი პირველი სიმღერა, Hey Negrita მოვისმინე, მას შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, სხვა არაფრის მოსმენა აღარ შემეძლო. სკოლაში წასვლის წინ ამ ფირფიტით ვაღვიძებდი ყველას, გაკვეთილების სწავლის დროსაც ვუსმენდი და დაძინების წინაც. მოკლედ, Rolling Stones-ი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

შემდეგ აღმოვაჩინე ალექსანდრეს ბაღში იმპროვიზირებული (აკრძალული) ბაზრობა, სადაც იკრიბებოდნენ

როკ მუსიკის თაყვანისმცემლები. იქ ხდებოდა ვინილის ფირფიტებით ვაჭრობა, გაცვლა, რაც მთავარია, შეგეძლო, გესაუბრა და მიგეღო ახალი ინფორმაცია საყვარელი ჯგუფის, ან მომღერლის შესახებ (რის საშუალებასაც სხვა წყაროებიდან მოკლებული ვიყავით), ანუ ეს იყო დასავლური სამყაროდან შემობერილი სიო, რომლის ჩასუნთქვასაც წესრიგის სადარაჯოზე მყოფი, მარად ფხიზელი მილიციონერები არ გვაცლიდნენ, მაგრამ ეს უსიამოვნო ინციდენტები მაინც ვერ გვიქარწყლებდნენ ახალი ფირფიტით, თუ პლაკატით გამოწვეულ სიხარულს.

ბაზრობის, „ფარცოვშიკებისა“ და „ბარიგების“ წყალობით, Rolling Stones-ის გრამფირფიტების ჩემი კოლექცია ნელ-ნელა იზრდებოდა, ამას ემატებოდა იშვიათი უცხოური ჟურნალებიდან ამოღებული ინფორმაცია და ფოტოები. ნელ-ნელა გავიცანი სხვებიც, ვინც ჩემსავით Rolling Stones-ის თაყვანისმცემლები იყვნენ. ვიკრიბებოდით ერთად, უმეტესწილად, ჩემს სახლში და ვუსმენდით მუსიკას, ვსვამდით და ვსაუბრობდით ჩვენს საყვარელ ჯგუფზე. მაგრამ მხოლოდ ფირფიტები და პლაკატები არ იყო საკმარისი, საჭირო იყო სხვა სახის ატრიბუტიკა, რათა მთელ მსოფლიოს (ამ შემთხვევაში თბილისს) გაეგო, რომ მე Rolling Stones-ის ფანი ვარ. რამდენჯერმე ვეცადე, მათი ლოგო, დიზაინერ ჯონ პაშეს ქმნილება, წითელი ტუჩები და ენა, გადამეტანა მაისურზე, მაგრამ – ამაოდ. იმ დროს შემთხვევით ხელში ჩამივარდა კიტ რიჩარდსის ფოტო, რომელსაც ეცვა მაისური, წარწერით – Who the Fuck is Mick Jagger? ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი და, ჩემს მეგობართან ერთად, ეს სიტყვები მაისურზე გადავიტანე, რითაც შოკში ჩავაგდე ჩემი შინაბერა ინგლისურის მასწავლებელი.

შემდეგ, 1988 წელს, მომეცა საშუალება, პირველ არხზე ზურა კაკაბაძესთან ერთად წამეყვანა გადაცემა „მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავები“, რომელიც იქამდე ბატონ ჟენია მაჭავარიანს მიჰყავდა. რაღა თქმა უნდა, პირველი პროგრამა სტოუნზებს მივუძღვენი. ბევრი ძალიან აგრესიულად შეხვდა ამ გადაცემას, განსაკუთრებით კი, გაღიზიანება ალტამონტის კონცერტის ჩანაწერის გაშვებამ გამოიწვია. ეს ის ცნობილი კონცერტი იყო, რომლის დროსაც ჯგუფის დაქირავებულმა მცველებმა, „ჯოჯოხეთის ანგელოზებმა“ შავკანიანი ახალგაზრდა მოკლეს, რომელიც სცენაზე მდგარ

დრომ გვიჩვენა, რომ თუ სტოუნზების ფანი ხარ, სამუდამოდ ასეთად რჩები. 2003 წელს, ამერიკაში, ROLLING STONES–ის კონცერტის მსვლელობისას, ერთი ქალბატონი სცენაზე აიჭრა და გარდაცვლილი მეუღლის ფერფლი გარშემო მოაფრქვია.

მიკ ჯაგერს რევოლვერს უმიზნებდა. მაგრამ ზოგიერთების აგრესიულმა რეაქციამ და გამოხტომებმა ჩემზე დიდად ვერ იმოქმედა – 1980-იანი წლების ბოლოს, იმ გარდამავალ პერიოდში, ყველაფერი იცვლებოდა და ვხვდებოდი, რომ მალე ასეთ რამეებს ჩვენთანაც ადეკვატურად მიიღებდა და განსჯიდა ხალხი.

დრომ გვიჩვენა, რომ თუ სტოუნზების ფანი ხარ, სამუდამოდ ასეთად რჩები. 2003 წელს, ამერიკაში, Rolling Stones-ის კონცერტის მსვლელობისას, ერთი ქალბატონი სცენაზე აიჭრა და გარდაცვლილი მეუღლის ფერფლი გარშემო მოაფრქვია. ვერავინ ვერაფერს მიხვდა და ჯაგერი ისევ ენერგიულად განაგრძობდა უცნობი მამაკაცის ფერფლზე ცეკვას. ქალი პოლიციაში წაიყვანეს და დაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონის მეუღლე სტოუნზების თავგადამკვდარი ფანი ყოფილა. ის კონცერტამდე ხუთი დღით ადრე გარდაცვლილა და უკანასკნელ ანდერძად მეუღლისთვის დაუბარებია, ჩემი ფერფლი იმ სცენაზე მიმოფანტე, სადაც მიკ ჯაგერის ბენდი კონცერტს გამართავსო.

წელს, აპრილში, Rolling Stones-ს 50 წელი უსრულდება. ის მძაფრი ინტერესი და მწვავე დისკუსიები კი, რაც ამ ჯგუფის შექმნისას გაჩნდა, დღემდე არ ნელდება. „როკ-ნ-როლის სატანები“, „მგორავი ნაგავი“, „ლონდონელი ხულიგნები“ – რა ეპითეტებით არ ამკობდნენ მათ წლების განმავლობაში, მაგრამ სტოუნზები ეგვიპტური პირამიდებივით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომელთაგან მხოლოდ მოგონება, ზოგიერთებისაგან კი ესეც არ დარჩა, სტოუნზებმა არა მარტო გაუძლეს დროს, არამედ ლედი გაგას, ჯასტინ თიმბერლეიკის, მადონასა და მისთანების ბატონობის პერიოდში, ახალგაზრდებშიც კი იპოვეს საკუთარი მსმენელი.

ჩემი უფროსი მეგობრებისაგან მსმენია, რომ როცა 1960-იან წლებში ქუჩის ფეხბურთს მართავდნენ, გუნდებს Beatles-ისა და სტოუნზების სახელებს არქმევდნენ, თურმე. თუმცა, საქართველოში Rolling Stones-ს დიდად არ სწყალობდნენ და ყოველთვის Beatles-ს ადარებდნენ. თავისთავად ამ ორი კარდინალურად განსხვავებული ჯგუფის შედარება, მუსიკით დაწყებული და სცენური სამოსით დამთავრებული, ჩემი ღრმა რწმენით, უაზრობაა (ცნობილ დიზაინერს, თომი ჰილფიგერს თავის წიგნში All American ამ ორი ჯგუფის სამოსი ასე ჰქონდა დახასიათებული: „Beatles-ი – ჩაცმულები რათა მოგნუსხონ, სტოუნზები – ჩაცმულები, რათა მოგკლან“).

Rolling Stones-ის ისტორია 1960 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა ერთ დღეს, ლონდონის ტრამვაიში ერთმანეთს გამოეცნაურა ორი 17 წლის ბიჭი. ისინი ყოფილი თანაკლასელები აღმოჩნდნენ. ერთს ხელში გიტარა ეჭირა, მეორეს – შავკანიანი ბლუზმენების გრამფირფიტები, რაც იმდროინდელ ინგლისში ძნელად იშოვებოდა. ბიჭი გიტარით კიტ რიჩარდსი იყო, ფირფიტებით – მიკ ჯაგერი. ამ შეხვედრამ დაუდო დასაბამი ორი ძალიან თავისებური და ნიჭიერი მუსიკოსის თანამშრომლობას და, რაც მთავარია, Rolling Stones-ის დაბადებას.

1960-იან წლებში შავკანიანთა მუსიკა – რიტმ-ენდ-ბლუზი – ნაკლებად პოპულარული იყო ინგლისში და სწორედ სტოუნზების დამსახურებაა, რომ მათ ამერიკიდან იმპორტირებულ ამ მუსიკალურ ნაირსახეობას სახელი გაუთქვეს. „ბლუზი ეს პირდაპირი მოქმედების მუსიკაა, – ამბობდა ერთ ინტერვიუში ჯაგერი, – ბლუზი მელანქოლიური განშორებაა. ის მუსიკა კი არა, უფრო მეტად ცხოვრების სტილი და ადამიანთა ფიქრია, რომელიც ამ სამყაროს ეკუთვნის... და არა მგონია, რომ ბლუზმენობისთვის აუცილებელია, იყო ღარიბი, უბედური და შავკანიანი..“.

თავიდან ჯგუფი ცნობილი ბლუზმენების ქავერებს ასრულებდა და ბლუზსა და რიტმ-ენდ-ბლუზს ბრმად ბაძავდა, მაგრამ შემდეგ, თანდათან დაიწყეს ამ მუსიკის საფუძველზე საკუთარი, სპეციფიკური რიტმითა და ჟღერადობით გამორჩეული, კომპოზიციების წერა.

ჯგუფს სახელწოდება გიტარისტმა ბრაიან ჯონსმა შეურჩია. იდეა შავკანიანი ბლუზმენის, მადი უოთერსის სიმღერიდან Rolling Stone Blues-დან (დაგორებული ქვის ბლუზი) აიღო. ამ დროს ბრაიან ჯონსი როლინგების მთავარი ლოკომოტივი გახლდათ. სწორედ მან შეკრიბა როლინგების ძირითადი ბირთვი. თუმცა, შემდეგ სასმელსა და ნარკოტიკში ჩაეფლო და ახლა უკვე დანარჩენი როლინგები მიათრევდნენ მას. ბოლოს, როცა ჯონსი მუდმივად აგვიანებდა რეპეტიციებზე და რამდენჯერმე კონცერტიც კი კინაღამ ჩაშალა, ის ჯგუფიდან დაითხოვეს. ამით დაიწყო Rolling Stones-ში დიდი ცვლილებების სერია. ჯონსი 21 წლის ნიჭიერმა გიტარისტმა, მიკ ტეილორმა შეცვალა, ტეილორი – რონი ვუდმა. 1993 წელს კი, როცა Rolling Stones-დან წავიდა ბასისტი ბილ უაიმენი, ლეგენდარული კვინტეტი ლეგენდარულ კვარტეტად გადაიქცა.

კარიერის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ ფართო აუდიტორიისთვის სრულიად უცნობი ბენდი ლონდონის ცნობილ კლუბში – Marquee Club-ში უკრავდა, სტოუნზების გამოსვლა შემთხვევით მოისმინა 20 წლის ენერგიულმა და გამჭრიახმა ახალგაზრდამ, ენდრიუ ლუგ ოლდჰემმა. ოლდჰემი Beatles-ის ადმინისტრაციულ ჯგუფში მუშაობდა და ოცნებობდა, ერთ დღეს თვითონაც აღმოეჩინა Beatles-ივით მაგარი ბენდი. ნახა თუ არა სტოუნზები, დამწყები პროდიუსერი მიხვდა, რომ ნამდვილ ოქროს საბადოს წააწყდა და მაშინვე შესთავაზა მათ კონტრაქტი. ბიჭები დათანხმდნენ.

ჯაგერმა და რიჩარდსმა საკუთარი სიმღერების წერა 1964 წლიდან ენდრიუ ოლდჰემის მოთხოვნით დაიწყეს, რომელმაც ისინი ოთახში ჩაკეტა სიტყვებით: სიმღერის გარეშე არ გამოხვიდეთო. „ძაღლი-კატასავით ვჩხუბობდით. ძმებივით კი ვართ, მაგრამ ხან ერთმანეთი გვიყვარდა, ხან გვძულდა, ხანდახან კი – ფეხებზე გვეკიდა“, – იხსენებს რიჩარდსი მიკ ჯაგერთან მუსიკალურ ტანდემს, რომელიც, ალბათ, თანამშრომლობის ყველაზე ხანგრძლივი მაგალითია როკ მუსიკის ისტორიაში.

იმავე, 1964 წელს, როცა Beatles-ი პოპულარობის მწვერვალზე იდგა, გამოვიდა Rolling Stones-ის პირველი ფირფიტა გიგანტი. გარეკანზე გამოსახული იყვნენ სერიოზული გამომეტყველების ახალგაზრდა ყმაწვილები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო იმ განწყობასთან, რაც Beatles-ის მოღიმარი ბიჭების ფოტოდან მოდიოდა. ოლდჰემის მოთხოვნით, სტოუნზების პირველ დისკს ჯგუფის სახელიც კი არ ეწერა.

თუმცა, სწორედ ამ ოპტიმისტი პროდიუსერის წყალობით, დაიწყო ორი ბრიტანული ჯგუფის გახმაურებული შემოქმედებითი პაექრობა. რაც მთავარია, აქედანვე ჩაეყარა საფუძველი სტოუნზების, როგორც „ცუდი ბიჭების“ იმიჯს. ჯაგერი ამბობდა: „Beatles-ის წევრები ყველასაგან გამორჩეულად იქცეოდნენ, ამას ისინი აკეთებდნენ ისე ლაღად, ლამაზად და მხიარულად, რომ ყველა ფიქრობდა: ღმერთო, რა კარგები არიან ეს ბიჭები! ჩვენ ასე ლამაზად არ ვიქცეოდით და ყველამ დაასკვნა, რომ ძალზე ჭირვეულები და ცუდები ვართ“.

მართლაც, სტოუნზები ღიად უპირისპირდებოდნენ ისთებლიშმენტს, მათ მიერ ხელოვნურად დანერგილ ზნეობრივ ნორმებს და ამ პროტესტს ბევრად უფრო უშუალოდ, მწარე ირონიითა და უხეში იუმორით გადმოსცემდნენ საკუთარ სიმღერებში, ვიდრე – Beatles-ი თავის შემოქმედებაში. ჯაგერის უჩვეულო ვოკალი (ბავშვობაში კალათბურთის თამაშისას ის წაიქცა და ენის წვერი მოიკვნიტა, რის გამოც სამუდამოდ შეეცვალა დიქცია), კიტ რიჩარდსის ჩაკ ბერისეული ჟღერადობის გიტარა, სხვა ინსტრუმენტების, თითქოსდა, დისონირებული ხმები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. იმ დროს ყველა იმეორებდა ჯაგერის ფრაზას: „არ მოგწონვართ? არც არის საჭირო!“ ვალში არც მედია რჩებოდა: პრესით ხან რესპექტაბელურ საზოგადოებაში მოარული ფრაზა ვრცელდებოდა – „თქვენ დაიკოს გაუშვებდით სტოუნზებთან ერთად?“ – კითხვა, რომელიც თავად გულისხმობდა პასუხსაც; ხანაც – ჯაგერის ფოტო, წარწერით: „ჩვენ ვშარდავთ იქ, სადაც მოგვესურვება“. სინამდვილეში ეს სიტყვები, რომელმაც შოკში ჩააგდო იმდროინდელი პურიტანულ-კონსერვატიული საზოგადოება, ჯაგერს არ უთქვამს, მაგრამ სწორედ ყვითელი პრესის მსგავსი ხრიკები უწყობდა ხელს სტოუნზებისთვის „ცუდი ბიჭების“ იმიჯის განმტკიცებას.

მათი აგრესიული, უცენზურო სიტყვებით გადატვირთული და უცნაური ჟღერადობის მქონე სიმღერები რიგითი ობივატელის ყურისთვის აბსოლუტურად უცხო და ზოგჯერ

მიუღებელიც იყო, ამიტომ ხშირად კრძალავდნენ ამ სიმღერების ეთერში გაშვებას. განსაკუთრებული სკანდალი გამოიწვია ჰიტმა Sytmpathy for the Devil, ("სიბრალული ეშმაკისადმი", რომელსაც ხშირად არასწორად თარგმნიან ხოლმე როგორც – „სიმპატია ეშმაკისადმი"), რომელშიც სტოუნზები მღერიან ქრისტეს ჯვარცმაზე, რუსეთის რევოლუციასა და მეფის ოჯახის დახვრეტაზე, ჰოლოკოსტსა და მეორე მსოფლიო ომზე, კენედის მკვლელობაზე...

სტოუნზებს ბრალი დასდეს სატანიზმში და შავი მაგიის მიმდევრებად გამოაცხადეს. „ამ სიმღერაში არაფერია ეშმაკისეული და არც სხვა რაღაც სისულელეები, რომლებიც შემდეგ შემოიტანა Megadeth-მა და მისთანებმა", – აპროტესტებდა ჟურნალისტების მიერ მიწეპებულ სატანისტის იარლიყს ჯაგერი და ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ სიმღერა, რომელიც ბულგაკოვისა და ბოდლერის ტექსტების შთაგონებით დაწერა, არის არა სატანიზმზე, არამედ ადამიანთა ბნელ დაფარულ მხარეებზე. „ეს სატანიზმი პაპიე მაშესაგან არის გაკეთებული", – ასე აფასებდა სტოუნზების ამ ჰიტს ჯაგერის ყოფილი საყვარელი, მერიან ფეიტფული – ქალი, რომელმაც ჯაგერს მიხეილ ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" მისცა წასაკითხად.

ნავთზე ცეცხლის დასხმა იყო ზემოთ ნახსენები ალტამონტის კონცერტის დროს მომხდარი ინციდენტიც, როცა შავკანიანი ახალგაზრდა მოკლეს. „ვუდსტოკის ბნელი მხარე", „სიკვდილის კონცერტი" – ასე უწოდებდნენ ალტამონტის გახმაურებულ კონცერტს. თვითონ მიკ ჯაგერიც ამბობდა: „ამ გამოსვლის შემდეგ თავს საშინლად ვგრძნობდი. მიმაჩნდა, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა პირადად უნდა მეტვირთა. ეს ამბავი დღემდე არ მაძლევს მოსვენებას". როცა იმ საშინელი ინციდენტის შემდეგ სტოუნზები ალტამონტს ტოვებდნენ, აეროპორტისკენ გზაზე ჩაუარეს ბილბორდს, მათი ახალი ფირფიტის რეკლამით, რომელზეც ეწერა: Let It Bleed ("დაე, სისხლმა იდინოს") – მათთვის ეს სცენაც მძიმე და სიმბოლური იყო.

ამ ყველაფერს ემატებოდა სტოუნზების სკანდალური თავგადასავლები და მიკ ჯაგერის საყოველთაოდ ცნობილი სასიყვარულო ისტორიები. მე მხოლოდ ზოგიერთ ცნობილ ქალბატონს დავასახელებ, თორემ სია ძალიან გრძელია: მომღერალი კარლი საიმონი, კანადის პრემიერ-მინისტრის მეუღლე მარგარეტ ტრუდო, საფრანგეთის პირველი ლედი კარლა ბრუნი, მსახიობები მაკენზი ფილიპსი, ჯენის დიკინსონი, ანჯელინა ჯოლი და მრავალი სხვა. ასევე ბევრი ჭორი დადიოდა ჯაგერის ურთიერთობებზე რუდოლფ ნურიევთან, დევიდ ბოუისთან, ენდი უორჰოლთან და თვითონ კიტ რიჩარდსთანაც კი.

როგორც ჯგუფის წევრები იხსენებენ, ნარკოტიკები, სასმელი და სექსი – ეს მათი, ისევე როგორც, სხვა როკ ჯგუფების, ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ეს იყო მოდა, რომელსაც ვერავინ ვერ გაექცა, ზოგიერთი დიდი მუსიკოსი – ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი და სხვები, გადაიყოლა კიდევაც.

ნარკოტიკებმა სტოუნზების პროდუქტიულობაზეც იქონია გავლენა. 1967 წელს გამოშვებული დისკები Between the Buttons და Their Satanic Majestic Request ამის დასტურია. „ჩვენ ძალიან ბევრ წამალს ვიღებდით მაშინ", – იხსენებდა ჯაგერი. კიტ რიჩარდსმა კი ჟურნალისტის სახუმარო კითხვას – რა არის გაციების საწინააღმდეგო უებარი საშუალებაო – ერთხელ ასე

ROLLING STONES-ის სოლისტი კით რიჩარდსი

უპასუხა: ჰეროინი! ოცი წელია, ამ მედიკამენტს ვიკეთებ და ერთხელაც არ გავციებულვარო.

1989 წელს როლინგები როკ-ნ-როლის დიდების დარბაზში საზეიმოდ გააწევრიანეს. მადლობის სიტყვის წარმოთქმისას ჯაგერმა იხუმრა: „ჩვენ ცუდად მოქცევის 25-წლიანი სტაჟისთვის გვაჯილდოებენ“.

როდესაც Rolling Stones-ის საუკეთესო სიმღერის გამოსავლენად გამოკითხვებს ატარებენ, ხშირად Sytmpathy for the Devil და Satisfaction (I Can't Get No) გადის ხოლმე პირველ ადგილზე. ეს უკანასკნელი კიტ რიჩარდსს, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შემთხვევით გამოუვიდა. ერთხელ, სახლში, ნარკოტიკებისა თუ სასმელის ზემოქმედების ქვეშ, გიტარაზე უკრავდა და თან ყველაფერს მაგნიტოფონზე იწერდა. „მეორე დღეს რომ გავიღვიძე, გადავახვიე კასეტა და იქ Satisfaction დამხვდა... და ორმოცი წუთი ხვრინვა“, – წერდა ის თავისი მოგონებების წიგნში.

სიმღერის გამოსვლისთანავე – 1965 წელს – Satisfaction ჰიტად იქცა, მილიონ ეგზემპლარად გაიყიდა და იმდროინდელი მეამბოხე ახალგაზრდობის სავიზიტო ბარათად იქცა. „ეს იყო სიმღერა, რომელმაც სინამდვილეში შექმნა Rolling Stones-ი, – იხსენებდა ჯაგერი, – ამ სიმღერამ ჩვენ რიგითი ჯგუფისგან უზარმაზარ, მონსტრ ბენდად გვაქცია. ერთი ასეთი ჰიტი ყველას სჭირდება“.

ასეთივე ბედი სტოუნზების უამრავმა სხვა ჰიტმაც გაიზიარა, განსაკუთრებით 1960-იან წლებში – ვიეტნამის ომის, რობერთ კენედისა და მარტინ ლუთერ ქინგის მკვლელობების, ახალგაზრდული საპროტესტო მოძრაობების, რასობრივი გამოსვლების და არეულობების ეპოქაში. ეს სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, სტოუნზების სიმღერებში მთელი სიმძაფრით აისახა, თუმცა, ყველაზე გამორჩეულად – მაინც ამ ორ ჰიტში – Gimme Shelter და Street Fighting Man. „ახლა შესაფერისი დროა ქუჩის ბრძოლისთვის..“., – მღეროდნენ როლინგები ამ სიმღერაში.

ფირფიტების ჩაწერაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი Rolling Stones-თვის მსმენელთან ცოცხალი კავშირის დამყარება იყო. ალბათ, ვერცერთი ჯგუფი ავსებდა იმხელა დარბაზებს, როგორც წლების განმავლობაში – Rolling Stones-ი.

ამბობენ, რომ ერთხელ ბობ დილანმა უთხრა მიკ ჯაგერს: ისეთ სიმღერას, როგორიცაა Satisfaction-ი, მეც კი დავწერდი. რა თქმა უნდა, დაწერდი, – იყო პასუხი, – მაგრამ იმასაც ვნახავდი, როგორ შეასრულებდი მერე მას!

SATISFACTION გამოსვლისთანავე ჰიტად და იმდროინდელი მეამბოხე ახალგაზრდობის სავიზიტო ბარათად იქცა. „ეს იყო სიმღერა, რომელმაც სინამდვილეში შექმნა ROLLING STONES-ი, – იხსენებდა ჯაგერი, – ამ სიმღერამ ჩვენ რიგითი ჯგუფისგან უზარმაზარ, მონსტრ ბენდად გვაქცია“.

მართლაც სწორედ სიმღერების შესრულების გიჟური, სუპერენერგიული მანერა იყო ის, რაც მათ კონცერტებზე შეკრებილ აუდიტორიას თავაწყვეტილ ტრანსში აგდებდა. Rolling Stones-ის კონცერტები – ეს მასობრივი ფსიქოზი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად ჯგუფის ფრონტმენი, სერ მიკ ჯაგერი იწვევდა – ჯონ ლენონის შეფასებით, სცენის მეფე.

ჯაგერი დღემდე გამოირჩევა საოცარი ენერგიულობით. მომღერალს, რომელსაც მალე 70 წელი უსრულდება, ახლაც ისე შეუძლია სცენაზე საათების განმავლობაში გაუჩერებლივ იცეკვოს, იხტუნოს, ირბინოს და იმღეროს, როგორც – წლების წინ. მის ამ სასწაულებრივად ენერგიულ სცენურ იმიჯს უამრავი როკ მომღერალი ბაძავდა, დევიდ ბოუიდან ფრედი მერკურიმდე. ამას წინათ კი, ჯგუფმა Maroon 5 გამოუშვა სინგლი Moves like Jagger, რომელიც ამ ლეგენდარულ როკერს და მის მიმბაძველებს ეძღვნება.

კრიტიკოსების ეჭვს – ხომ არ მოვიდა დრო, რომ სტოუნზები მუსიკას შეშვებოდნენ, აღშფოთებულმა კიტ რიჩარდსმა რამდენიმე ხნის წინ ასე უპასუხა: „ეს ნაღდი რასიზმია, რატომ არ ეუბნებოდით ამას ჯონ ლი ჰუკერს? აუცილებლად შავკანიანი უნდა ვიყო, რომ სიცოცხლის ბოლომდე დაკვრის უფლება მქონდეს?.. ჩვენ ისევ ყველაზე „მაგარი“ ჯგუფი ვართ, ვნახავ, ერთი, ეს ახალგაზრდა მუსიკოსები რას გააკეთებენ, როცა ჩვენი ხნისა გახდებიან!“

1989 წელს ოცნება ავიხდინე – Rolling Stones-ის მოსკოვში გამართულ კონცერტზე პირადად გავხდი იმ მაგიური ძალის მოწმე, რომლის განცდასაც ბავშვობიდან მოყოლებული ვიდეო და აუდიოჩანაწერებით ვცდილობდი. საერთოდ, ბევრს ემართება ხოლმე ასე – როცა თავის სათაყვანებელ კერპს ცოცხლად ხედავს და უსმენს, იმედგაცრუება იპყრობს, რადგან ნანახი არ ემთხვევა ხოლმე მანამდე წარმოდგენილს. ჩემს შემთხვევაში კი, სულ სხვაგვარად მოხდა. „ლუჟნიკებში“, სამი საათის განმავლობაში, თავს დამატყდა შმაგი ენერგიის და დრაივის უწყვეტი ნაკადი, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა და მთლიანად გადავყავდი როლინგების სამყაროში..

ჩემთვის წლევანდელი აპრილი Rolling Stones-ის თვეა. მჯერა, რომ ნახევარი საუკუნის წინ შექმნილი, ჯერ კიდევ მგზნებარედ მოცეკვავე Rolling Stones-ი, თავისი 60 წელს გადაცილებული სოლისტებით, დღემდე იმსახურებს საპატიო ტიტულს: „მსოფლიოს საუკეთესო როკ-ნ-როლის ჯგუფი“.

ახალი მოკოლაღი

ლიტერატურა

ლიტერატურული პროცესი

ქართული წიგნები მსოფლიო ბაზარზე

მაშო სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე

საავტორო

გაქცევის და ათასი სხვის

აკა მორჩილაძე

მოთხრობა

ОДЕССА - MAMA

ლევან გიგინეიშვილი

პოეზია

ია ჯინჭარაძე

რეცენზიები

ლიტერატურული პაბი, ანუ LIBRI VIVI

ორი მთვარის ამბავი

ქართული წიგნები მსოფლიო ბაზარზე

ავტორები: მაშო სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე

15 მარტს ლაიფციგში, იმ სასტუმროს რესტორანში, სადაც ქართული დელეგაცია დაბინავდა, საზეიმო ვახშამი გაიმართა. სუფრას საქართველოს კულტურის მინისტრი, ნიკა რურუა უძღვებოდა. მინისტრი მოწვეულ ჟურნალისტებს: იან ფედერსენს (გაზეთი Tageszeitung) და რიჩარდ კემერლინგს (Die Welt) და გოეთეს ინსტიტუტის დირექტორს თბილისში, სტეფან ვაკვიცს ქართული ლიტერატურისა და კულტურის უნიკალურობაზე ესაუბრებოდა. თან იმ მიზნების შესახებ უამბობდა მათ, რაც საქართველოს საგამომცემლო საქმის განვითარებისთვის დაისახა.

ვაჭრობით განთქმულ საქსონურ ქალაქში, ხუთ საუკუნეზე მეტია, წლის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება – წიგნის ბაზრობა ტარდება. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემდეგ, ლაიფციგი ყველაზე მასშტაბური და ანგარიშგასაწევი წიგნის ფესტივალია. თუმცა, როგორც პროფესიულ წრეებში ამბობენ, ამ ორ ბაზრობას შორის თვისობრივი განსხვავებაა ის, რომ ლაიფციგში პრიორიტეტულია მწერალი და ნაწარმოები და არა წიგნის ბიზნესი საავტორო უფლებების გაყიდვით, გამომცემლობებს შორის საქმიანი მოლაპარაკებებითა და კონტრაქტების გაფორმებით – ისე, როგორც ეს ფრანკფურტში ხდება. ლაიფციგის ბაზრობის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ განყოფილებას ასე ჰქვია: Leipzieg liest" („ლაიფციგი კითხულობს") და მართლაც, მთელი სამი დღის განმავლობაში, ქალაქის სხვადასხვა წერტილში დაგეგმილ სესიებზე 2 ათასამდე მწერალი, ნობელიანტიცა და დამწყები ავტორიც, უკითხავს დარბაზში შეკრებილ პუბლიკას საკუთარ ნაწარმოებებს.

წელს პირველად, 15-დან 18 მარტამდე, ლაიფციგის ბაზრობაში საქართველო ოფიციალურად მონაწილეობდა. სხვადასხვა დარბაზებში შეკრებილ პუბლიკას საკუთარ ნაწარმოებებს – „დიდ შავ კატას", „წვიმს", „გათვლას" – ზურაბ ლეჟავა, ანა კორძაია-სამადაშვილი და თამთა მელაშვილი უკითხავდნენ. ქართველი ავტორებისთვის ეს იყო პირველი რეალური შანსი, საკუთარი ლიტერატურა გერმანულენოვანი მკითხველისთვის პირადად გაეცნო. როგორც ნიკა რურუა გვიხსნის, ლაიფციგის ბაზრობაში მონაწილეობას ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ჟესტით საქართველომ ფაქტობრივად განაცხადა, რომ აქვს ამბიცია, შევიდეს წიგნის მსოფლიო ბაზარზე და ამისთვის მზადაა, როგორც ფინანსურად, ისე ინტელექტუალურად.

ბაზრობა დილაადრიან გაიხსნა. უზარმაზარ პავილიონში, სადაც ახალი წიგნების სანახავად და ავტორების გასაცნობად დღეში ათი ათასამდე ადამიანი მიდის, სტუმრები პატარა ქართულ სტენდთანაც ხშირად ჩერდებოდნენ. გერმანულენოვანი მკითხველისთვის აბსოლუტურად უცნობი ზურა ლეჟავას საჯარო კითხვაზეც, რომელიც არცთუ სახარბიელო დროს – ბაზრობის პირველსავე დღეს, დილის 10:30-ზე გაიმართა – ყველა სკამი შეივსო. ეს ხმამაღალი კითხვა პატარა სივრცეში იმართება, სულ 30-მდე ადამიანი თუ ესწრება მხოლოდ, მაგრამ ლეჟავას მაინც ძალიან ესიამოვნა ის, რომ მისი „დიდი შავი კატის" გერმანული

თარგმანის შინ წაღება თითქმის ყველა დამსწრეს მოუნდა.

შვეიცარიულმა გამომცემლობა Unionsverlag-მა თამთა მელაშვილის რომანი „გათვლა“ თებერვლის ბოლოს გერმანულად გამოსცა და ლაიფციგის ბაზრობის სტუმრებისთვის ამ წიგნის საჯარო კითხვას თავად უხელმძღვანელა.

ასეთ კითხვებში გამოცდილი მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი ამბობს, რომ ძალიან ღელავდა, რადგან თავად უნდა წარედგინა მსმენელისთვის საკუთარი მოთხრობა, რომელიც გერმანულად თვითონვე თარგმნა.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე იმყოფებოდა კიდევ ერთი ქართველი მწერალი და დრამატურგი, ნინო ხარატიშვილი, რომლის არამარტო რომანებია პოპულარული, არამედ მისი სცენარების მიხედვით გერმანიაში უკვე იღებენ ტელესერიალებს და ფილმებს.

დატვირთული სამი დღის შემდეგ, ქართულმა დელეგაციამ თან ჩამოიტანა არა მზა კონტრაქტები უცხოურ გამომცემლობებთან, არამედ ერთი დაპირება: სწორედ ლაიფციგში გადაწყდა, რომ წელს, მაისში, თბილისის წიგნის ფესტივალზე ჩამოვა 15-მდე მსხვილი ევროპული გამომცემლობის წარმომადგენელი იმ მიზნით, რომ სხვადასხვა ევროპულ ენაზე გამოსაცემად თანამედროვე ქართველი ავტორების წიგნები შეარჩიონ.

ეს კონკრეტული გეგმაა, მაგრამ ლაიფციგის წიგნის ბაზრობიდან ნიკა რურუა კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი აღმოჩენითაც დაბრუნდა: „ის, რომ ლაიფციგში ქართველ მწერლებს ბევრი მსმენელი ჰყავდა, ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე საქართველოში მართლა იქმნება თანამედროვე ლიტერატურა“.

გიო ახვლედიანი გვეუბნება, რომ წიგნის ბაზრობა კომერციაა. ბაკურ სულაკაური ამატებს, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იყოსო! და მართლაც, ეს მსხვილბიუჯეტიანი ფესტივალები, ძირითადად, იმიტომაა მოგონილი, რომ მყიდველსა და გამყიდველს – გამომცემლობასა და ავტორს შორის გარიგება შედგეს. მსგავსი გარიგებების საგანი ქართული მხატვრული ტექსტები მხოლოდ ეპიზოდურად და უღიმღამოდ თუ გამხდარან; არასდროს – თანმიმდევრულად და სერიულად. ალბათ, ამიტომაც ქართული წიგნი მსოფლიო ბაზარზე ჯერ კიდევ იმ საწყის მდგომარეობაშია გაჭედილი, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყო დამოუკიდებელი საქართველო (ეგ, რომელი ჯორჯია, შტატებში?).

მიზეზი ისიცაა, რომ დამოუკიდებლობის ოცწლიანი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს არასდროს უფიქრია ქართული თანამედროვე ლიტერატურის ხელშეწყობაზე ისე, რომ ამ უკანასკნელს მსოფლიო წიგნის ბაზრის ჩაკეტილი კარი, ბოლოს და ბოლოს, შეეღო.

პროცესი, მეტ-ნაკლებად, ბოლო წლებში დაიძრა. შეიქმნა ქართული წიგნის თარგმნის სახელმწიფო ფონდი, გაკეთდა მხატვრული ლიტერატურის უცხო ენებზე მთარგმნელთა ბაზა, მაგრამ ძალისხმევათა მთელ ამ სერიაში ყველაზე მნიშვნელოვანი (და ყველაზე ამბციურიც) იყო კულტურის მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის განცხადება იმის შესახებ, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, რომელსაც ყოველწლიურად სხვადასხვა სტუმარი ქვეყანა ჰყავს, 2015 წელს სტუმრის სტატუსის მოპოვება საქართველოს სურდა.

ასეთი სტატუსის მიღების შანსი ქვეყნებს მხოლოდ ერთხელ ეძლევა (გამონაკლისი ინდოეთი იყო – 1986, 2006 წწ). სტუმარი ქვეყანა, გერმანიასთან ერთად ბაზრობის მასპინძელი ხდება, წიგნის ერთკვირიან ფესტივალს გერმანიის ფედერალურ კანცლერთან ან საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად სტუმარი ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი ხსნის. სტუმარ ქვეყანას ეთმობა ყველაზე დიდი პავილიონი და ეძლევა უნიკალური შანსი – ათი ათასობით ადამიანს საკუთარი კულტურა – ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა და კინო გააცნოს. საქართველო ამ ბაზრობაზე მონაწილეობით პოლიტიკურ განაცხადსაც აკეთებს და შეეცდება ქვეყნის მიმართ კეთილგანწყობა გაზარდოს.

„ახლა ვართ ისტორიულად მნიშვნელოვან პერიოდში, როცა საბოლოოდ უნდა გავიდეთ რუსეთის პოსტიმპერიული გავლენიდან“, – ამბობს ნიკა რურუა.

თუმცა, ამ განცხადებამ ბუნებრივად გააჩინა აზრთა სხვადასხვაობა გამომცემელთა და ლიტერატორთა წრეში.

„ძალიან მომწონს, კულტურის სამინისტრო ამ საკითხის მიმართ ინტერესს რომ იჩენს, მაგრამ სანამ უცხო ენებზე ნათარგმნი ლიტერატურა არ დაგროვდება, ფრანკფურტში სტუმრობაზე ფიქრი ნაადრევია. იმ უზარმაზარი სივრცისთვის, სადაც ასი ათასობით წიგნი გამოიცემა ყოველწლიურად, ქართული პროდუქტი ჯერჯერობით ძალიან მცირეა. თან, სულ რომ ასი წიგნი გამოვცეთ უცხო ენაზე, ევროპულ ბაზარზე შეღწევა ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ნებისმიერ დასავლურ გამომცემლობას წინასწარ გაწერილი რამდენიმეწლიანი გეგმა აქვს, რა გამოსცეს, ჩვენ კი ამ გეგმებში უცბად ვერ ჩავჯდებით“, – ასე ფიქრობდა თავიდანვე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, ლაშა ბაქრაძე, რომელიც უკვე წლებია, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ესწრება და ლიტერატურულ პროცესს მუდმივად ადევნებს თვალს.

„2015 წელს ფრანკფურტზე ძალიან კარგი პრეზენტაციის მოწყობა არარეალურია, სჯობს, 2017-ში, ან 2018-ში ბრწყინვალედ წარვდგეთ, ვიდრე სამი წლის შემდეგ და – ისე რა. თუმცა, საბოლოოდ, ეს პოლიტიკური საკითხია, თან 2015-ში საშუალო ჩვენება რაღაც შედეგს მაინც მოიტანს“, – გვეუბნება გამომცემელი ბაკურ სულაკაური.

კულტურის სამინისტრო თავს იცავს. მინისტრი რურუა ამბობს, რომ რთულია, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ასეთი გრძელვადიანი მიზნისთვის თანხის გამოყოფის აუცილებლობაში დაარწმუნონ. ჩვენთან პირველ ინტერვიუზე მინისტრი გამუდმებით ცდილობდა, მისი გადაწყვეტილების მნიშვნელობაში დავერწმუნებინეთ. ისე საუბრობდა, რომ შთაბეჭდილებას ტოვებდა, კონკრეტული გეგმა – თუ რამდენი და როგორი თარგმანი უნდა წარვადგინოთ ფრანკფურტზე და ამისთვის რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ და რა თანმიმდევრობით – მეორეხარისხოვანი იყო; განსაკუთრებით, იმ კულტურულ პროგრამასთან შედარებით, რომლის საკმაოდ დეტალური მონახაზიც უკვე ჰქონდა მზად.

თუმცა, ფრანკფურტის ბაზრობაზე ამ საპასუხისმგებლო განაცხადის გაკეთებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა საქმე, სხვაგვარად პროცესი ვერ წავიდოდა წინ. ამ მიზეზით, სამინისტრო, თავისი პოზიციის დაცვის პარალელურად, მოსამზადებელ სამუშაოებში ჩაერთო.

შემდეგი ეტაპი რამდენიმე წინაპირობას გულისხმობდა, მათგან ყველაზე საჩქარო იყო ასეთი მოთხოვნის შესრულება: ქვეყანას, რომელსაც სურს ფრანკფურტზე სტუმრის სტატუსით წარსდგეს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული ლაიფციგის წიგნის ბაზრობაში. ამის შესახებ იანვარში, შუალედური მოლაპარაკებე-

ბის დროს გახდა ცნობილი. სამინისტროში მზადებას ნაჩქარევად შეუდგნენ. რა პრინციპით გადაჭრა სამინისტრომ საკითხი – რომელი მწერლები აერჩიათ წასაყვანად – უცნობია, რადგან სიის მიღმა დარჩნენ ავტორები, რომელთა წიგნებიც ინგლისურად, გერმანულად და სხვა ევროპულ ენებზეა უკვე გამოცემული, უცხო ენებსაც ფლობენ და საინტერესო მოსაუბრეებიც არიან.

რურუას თქმით, ანა კორძაია-სამადაშვილი დანარჩენ მწერალთაგან სწორედ ამ მიზეზით გამოარჩიეს: ის შესანიშნავად ფლობს გერმანულ ენას და ყოველთვის უშუალო, გულწრფელ დიალოგში იწვევს პუბლიკას; ზურაბ ლეჟავა, იმიტომ, რომ მისი მოთხრობა „მაცივარი სექსისა წილ“ უკვე იყო ინგლისურად თარგმნილი (თუმცა თვითონ გერმანულად ვერ საუბრობს); თამთა მელაშვილი კი იმიტომ, რომ მისი „გათვლა“ ზუსტად საგაზაფხულოდ უნდა გამოეცა გერმანულ ენაზე გამომცემლობა Unionsverlag-ს.

თუმცა, მწერალთა ამ მცირე სიის შედგენას აშკარად ეტყობოდა სიჩქარის კვალი. ანა კორძაია-სამადაშვილმა, რომელმაც ახალი რომანი „შუშანიკის შვილები“ 2011 წელს გამოსცა, ლაიფციგში თავისი წლების წინ დაწერილი მოთხრობა „წვიმს“ წაიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტექსტი უკვე ნათარგმნი იყო გოეთეს ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულისთვის „8909/ტექსტებში ასახული დრო“. ზურა ლეჟავას შემთხვევაში საქმე ასე იყო – თუკი ბაზრობამდე დარჩენილ ორ თვეში მისი მოთხრობის გერმანულად თარგმნა მოესწრებოდა, ხომ კარგი, თუ არადა, მის ინგლისურად თარგმნილ „მაცივარი სექსისა წილ“-ს წაიღებდნენ ლაიფციგში. რადგან ამგვარ მოკლე ვადაში მაღალი ხარისხის მხატვრული თარგმანის შესრულება რთული მისიაა, გერმანისტი ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი თავიდან ყოყმანობდა, შემდეგ კი „დიდი, შავი კატა“ ლაიფციგისთვის მაინც მოამზადა.

ლაიფციგი-2012 ერთჯერადი ღონისძიება იყო და, ასე თუ ისე, კონკრეტული შედეგით დასრულდა. ფრანკფურტი-2015-მდე სვლა კი გრძელვადიანი და თანმიმდევრული გადაწყვეტილებების დაგეგმვას გულისხმობს. ერთ-ერთი ასეთი პირობა მთარგმნელობითი სახელმწიფო ფონდის მეტად გააქტიურებაა. ეს ის უწყებაა, რომელიც ქვეყნის ლიტერატურით დაინტერესებულ უცხოურ გამომცემლობებს, წიგნის დაბეჭდვის შემდეგ თარგმნის ხარჯებს უნაზღაურებს.

ნორვეგიული სახელმწიფო არაკომერციული ფონდი NORLA (Norwegian Literature Abroad – ნორვეგიული ლიტერატურა საზღვარგარეთ) ნორვეგიულ გამოცემებს პოპულარიზაციას სხვა ქვეყნებში 1978 წლიდან უწევს. დღემდე ამ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2 ათასზე მეტი ნორვეგიული წიგნი 50 ენაზეა თარგმნილი.

მსგავსი ფონდი თურქერთში 2005 წელს დაფუძნდა. თურქული ლიტერატურის არნახულ წარმატებას მსოფლიო წიგნის ბაზარზე სწორედ ამ ფონდის მიერ დაფინანსებულმა თარგმანებმა და 2006 წელს ორჰან ფამუქის ნობელის პრიზით დაჯილდოებამ შეუწყო ხელი. შედეგად TEDA-ს დაფინანსებით 2005 წლიდან დღემდე 985 თურქული წიგნი ითარგმნა და გამოიცა.

TEDA-ს ვებგვერდი ექვსენოვანია, NORLA პოტენციურ კლიენტებს საკუთარ მომსახურებას შვიდ ენაზე სთავაზობს. ორივე პორტალზე ნახავთ უახლეს ცნობებს იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანაში რომელი წიგნის გამოცემაა დაგეგმილი და რომელ მათგანს ხვდა წილად დადებითი ლიტერატურული რეცენზიები და პრიზები.

„ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“ საქართველოში 2010 წლის ივნისში დაარსდა. კულტურის სამინისტროში საგანგებოდ ამ პროგრამისთვის შექმნილი ვებგვერდის პრეზენტაციაც გაიმართა. სწორედ პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მისამართი www.book.gov.ge ქართული ლიტერატურის წიგნის პოპულარიზაციის პროცესს მაქსიმალურად საჯაროსა და გამჭვირვალეს გახდიდა და საზოგადოების ინფორმირებულობას შეუწყობდა ხელს.

www.book.gov.ge – ეს საიტი დღესაც მოქმედებს, მაგრამ ბოლო ახალი ამბავი აქ 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. ამ ბმულში საუბარია 2011 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართული პავილიონის შესახებ. ვებგვერდზე არაა განთავსებული 2012 წელს დაგეგმილი პროექტები მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელობითი კონკურსის შედეგები ჯერ კიდევ იანვარში უნდა ყოფილიყო ცნობილი. არაა ატვირთული ინფორმაცია არც იმ მწერლების შესახებ, რომლებიც ლაიფციგისთვის შეარჩიეს. წინა წლების არქივიდან კი შეგვიძლია გავიგოთ, რომ ამ ფონდის დახმარებით შარშან უცხო ენებზე სამი წიგნი ითარგმნა: ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ რუსულ და პოლონურ ენებზე და იგორ ობოლენსკის რუსულენოვანი წიგნი „ღირსების ფასი. ქართველი ქმრების ისტორიები“ – ინგლისურ ენაზე.

გამომცემლები გვეუბნებიან, რომ მსგავსი ფონდის არსებობა უკვე კარგია, თუმცა, მისი გააქტიურებაა აუცილებელი. „ასეთი ფონდები მხატვრული ლიტერატურის სა-

გალერეა

მაია ლაშაური
„უფასო ადგილი“, 2012, შერეული ტექნიკა.

ზღვარგარეთ პოპულარიზაციისთვის უდიდესი სტიმულია, გარდა ამისა, მისწრებაა გამომცემლებისთვისაც. ორჰან ფამუქის წიგნების ქართულად გამოცემა რამდენიმე წლით გადაიდებოდა, რომ არა თურქული ფონდი, რომელმაც თარგმნის ხარჯები მთლიანად აგვინაზღაურა", – ამბობს ბაკურ სულაკაური.

ქართული ფონდის ბიუჯეტი მილიონი ლარია. ნიკა რურუას თქმით, მომავალ წლებში ფონდის დაფინანსება თანდათან გაიზრდება და 4 მილიონი ლარი გახდება. ნიკა რურუას თქმით, ამ თანხის დიდი ნაწილი, წესით, სწორედ მთარგმნელობით პროექტებს უნდა მოხმარდეს, სხვაგვარად, ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე გამოცემა თითქმის შეუძლებელი იქნება.

ამ პროცესის ორგანული ნაწილი კი მთარგმნელთა ბაზის შექმნაა, რომელშიც ქართველი და უცხოელი მთარგმნელები ერთიანდებიან. გამომცემლებთან და მწერლებთან ერთად, მინისტრიც აღიარებს, რომ კვალიფიციური მთარგმნელები არ გვყოფნის, თუმცა ფიქრობს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ამ ეტაპზე მთარგმნელების უცხოელ რედაქტორებთან მუშაობაში, ე.წ. ტანდემებშია შესაძლებელი.

თუმცა, ლაშა ბაქრაძეს ურჩევნია, სახელმწიფო უფრო შორეულ პერსპექტივაზე გათვლილ გეგმებს ადგენდეს. „იმ მთარგმნელების ნაწილი, ვინც საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურას თარგმნიდა, მოხუცდა, ნაწილი გარდაიცვალა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა სახელმწიფო ხელშეწყობით საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ქართული ენის შემსწავლელი კურსების დაარსება. თუ ეს არ მოხერხდა, ძალიან რთული იქნება არა მარტო თარგმანის, არამედ ზოგადად, ქართული კულტურის უცხოეთში გატანის საკითხის გადაჭრა", – ამბობს ლაშა ბაქრაძე.

„ხშირად ხდება ასეც, როცა ქართველი ავტორის ნაწარმოების დაბეჭდვას რომელიმე უცხოური გამომცემლობა გადაწყვეტს, ამ პროცესს აფერხებს ისიც, რომ სწრაფად ვერ პოულობენ მთარგმნელს. მაგალითად, იტალიურად გამოდის „მოგზურობა ყარაბაღში" და მისი თარგმანი შეუკვეთეს ნოდარ ლადარიას, რადგან იქ არავინ აღმოჩნდა, ვინც ქართულიდან თარგმნას შეძლებდა. რამდენიმე ხნის წინ ძალიან დიდი ფრანგული გამომცემლობა დაინტერესდა ჩვენი წიგნით, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა ისეთი მთარგმნელის პოვნა, რომლის ნამუშევარიც მათ დააკმაყოფილებდათ. გერმანულ ენაზე ტექსტებს კი, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ადამიანი – ნათია მიქელაძე თარგმნის. თუ ის დაკავებულია, ჩათვალეთ, სხვა პროექტი ვერ განხორციელდება", – ამბობს ბაკურ სულაკაური.

„მე თარგმნა მხოლოდ სამსახურისგან თავისუფალ დროს, ანუ დღეში ორი საათით შემიძლია", – გვეუბნება ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის კულტურული პროგრამების განყოფილებაში მუშაობს.

გიო ახვლედიანი გვეუბნება, რომ წიგნის ბაზრობა კომერციაა. ბაკურ სულაკაური ამატებს, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იყოსო! და მართლაც, ეს ფესტივალები იმიტომაა მოგონილი, რომ მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგება შედგეს.

ბაკურ სულაკაური გვიამბობს, რომ გამომცემლობის ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს მათი ავტორების ტექსტების თარგმნაზე ხარჯავენ მიუხედავად იმისა, ჰყავთ დაინტერესებული უცხოური გამომცემლობა თუ არა. ასე დახარჯეს მაგალითად, 5 ათასი ლარი ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესის" თარგმანში. „ეს წიგნი არ გამოსულა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს თანხა გადაყრილი მაინც არ იყო – არა კონკრეტულად ამ რომანით, არამედ, ზოგადად, ლაშას წერის სტილით სხვა გამომცემლობა დაინტერესდა", – გვიამბობს ბაკურ სულაკაური, რომლის გამომცემლობაც ახალი წიგნების კატალოგს 500-მდე უცხოურ გამომცემლობას უგზავნის.

გერმანელი ლიტერატურული აგენტი, თომას ვიდლინგი კი გვწერს, რომ მისი სააგენტოსთვის პრიორიტეტულია ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებების კითხვა და ლიტერატურული ხარისხის შემოწმება თვითონ შეუძლიათ. ვიდლინგის სააგენტომ მათი ქართველი კლიენტის, ზაზა ბურჭულაძის შესახებ მხოლოდ იმიტომ გაიგო, რომ ზაზას რომანები რუსულად იყო თარგმნილი, ვიდლინგის სააგენტოს მთავარი მიმართულება კი რუსული ლიტერატურის ევროპაში გატანაა.

ბევრი ქართული გამომცემლობისთვის ბიუჯეტის ხარჯვა ნაწარმოების საცდელ თარგმანზე, უბრალოდ, ფუფუნებაა. ამიტომ ძალიან ხშირად, თუკი ქართველი ავტორის წიგნს უცხოური გამომცემლობა ბეჭდავს, ეს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევით ხდება.

შვეიცარიელი ლიტერატურული აგენტი, რახელ გრაცფელდი, რომელიც „დიოგენეს", „სიესტასა" და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ლიტერატურას ყიდის გერმანულენოვან ქვეყნებში, თამთა მელაშვილის „გათვლით" წაკითხვისთანავე აღფრთოვანდა. მას ტექსტის აღქმა არ გაჭირვებია, რადგან თითქმის სრულყოფილად ფლობს ქართულს, თუმცა, ერთი წლის შემდეგ წიგნის უფლებების გაყიდვაში ძალიან დაეხმარა გოეთეს ინსტიტუტში გამართული მთარგმნელობითი სემინარი, როდესაც ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა „გათვლის" გერმანულად თარგმნა ისურვა. სემინარის ფარგლებში დაწყებული თარგმანი რახელ გრაცფელდმა წიგნის გასაყიდად გამოიყენა. მანამდე კი, უკვე დაგზავნილი ჰქონდა 30-მდე გამომცემლობისთვის „გათვლის" თავისი ხელით დაწერილი შინაარსი და მისი ქართული რეცენზიები. საკმაოდ ბევრმა – თხუთმეტმა გამომცემლობამ გამოთქვა ინტერესი. ისინი თარგმანის სასინჯი ვერსიის გაგზავნას ითხოვდნენ. როგორც კი ნათია მიქელაძე მუშაობას მორჩა, რახელმა ბერლინის, მიუნხენისა და ციურიხის დაინტერესებულ გამომცემლობებში ტურნე მოაწყო, მისიით – თამთა მელაშვილის წიგნისთვის შესაფერისი გამომცემლობა შეერჩია. საბოლოოდ, კონტრაქტი Unionsverlag-თან გაფორმდა – დიდი ისტორიის მქონე შვეიცარიულ გამომცემლობასთან, რომელიც ასობით მწერლის წიგნს ბეჭდავს ყოველწლიურად.

რახელ გრაცფელდი გვეუბნება, რომ ისეთ რომანებს, როგორიც „გათვლაა", აქვს პოტენციალი, ინტერესი სხვა ქართულენოვანი ტექსტების მიმართაც გაზარდოს. „გათვლის" წყალობით, ბევრი გერმანელი გამომცემლისათვის ნათელი გახდა, რომ

საქართველოს გამორჩეული და საინტერესო ლიტერატურა აქვს. მგონი, რომ ახლა ისინი მეტი ინტერესით მოეკიდებიან სხვა ქართულ ტექსტებს. ყოველ შემთხვევაში, რედაქტორებსა და გამომცემლებს ასეთ განწყობას ვამჩნევ", – გვწერს რახელ გრაცფელდი.

ასეთივე პერსპექტივა არ მოჰყოლია 2006 წელს „სანტა ესპერანსას" გერმანულ ენაზე გამოცემას. წიგნი მაშინ შვეიცარიულმა Pendo-მ 10 ათასიანი ტირაჟით დასტამბა. ფასი 30 ევრო იყო. რეცენზიებიც დადებითი მიიღო, მაგრამ ქართული წიგნის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისთვის შეუქცევად პროცესად ვერ იქცა. ობიექტურ მიზეზებად ბაკურ სულაკაური რამდენიმე ფაქტორს ასახელებს: კარგი და კარგად გაყიდვადი ტექსტების და თარგმნის ხელშემწყობი ფონდის არარსებობა და ზოგადად, ლიტერატურული პროცესის შენელება.

შედეგად, ქართველი ავტორების თარგმნისა და გამოცემის პროცესი დღემდე ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია. მხოლოდ აქა-იქ მომხდარი გარღვევები, როგორიცაა – ზაზა ბურჭულაძის რომანების პოლონურად, რუმინულად და რუსულად გამოცემა, ლაშა ბუღაძის მოთხრობების და პიესების რუსულად, ინგლისურად და ჰოლანდიურად თარგმნა, კრებულში Best European Fiction ქართველი მწერლების დავიდ დეფისა და ზურა ლეჟავას მოთხრობების შეტანა და ცალკეული მოთხრობების უცხოურ პერიოდიკაში ბეჭდვა – სურათს ვერ ცვლის. ამის მიზეზი არა ცალ-ცალკე – მთარგმნელების დეფიციტი, გამომცემლობების ბიუჯეტის სიმწირე, ევროპელი მკითხველისთვის არააქტუალური ლიტერატურა და არასაკმრისი სახელმწიფო მხარდაჭერა, არამედ მათი ერთობლიობაა.

იმისთვის, რომ ქართველი ავტორის წიგნი გაიყიდოს ბრიუსელის თუ ბერლინის წიგნის მაღაზიებში, უნდა მუშაობდეს საათივით გამართული სისტემა თავისი მთავარი მოთამაშეებით: მწერალი, რომელიც წერს კარგ წიგნს; გამომცემელი, რომელიც წიგნს აფასებს მისი გასაყიდი პოტენციალით და გამოსცემს მას; ლიტერატურული აგენტი, რომელიც კონტაქტს ამყარებს უცხოელ გამომცემლებთან და ზრუნავს წიგნის თარგმანსა და სხვა ქვეყნებში დაბეჭდვაზე; ფონდი, რომელიც ეროვნული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნას აფინანსებს და სახელმწიფო პროგრამები და სტიპენდიები მწერლებისთვის, რითაც ავტორებს წერისთვის აუცილებელ პირობებს უქმნიან.

მწერალთა წრეში სახელგანთქმული გერმანული ლიტერატურული პროგრამა – ბერლინის ლიტერატურული კოლოქვიუმი – სწორედ იმ მხარდაჭერის ილუსტრაციაა, რასაც სახელმწიფო და მსხვილი კერძო კომპანიები უცხადებენ მწერლებს. ლიტერატურული კოლოქვიუმი 1963 წლიდან არსებობს და ყოველწლიურად, ათობით მწერალს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ერთი თვის განმავლობაში შემოქმედებითი წერისთვის საუკეთესო პირობებს უქმნის და აწყობს ვორქშოპებსა და ლექციებსაც მთარგმნელებისა და ავტორებისთვის. ჩვენთან მსგავსი პროექტი არც სახელმწიფო და არც კერძო ინიციატივით არასდროს განხორციელებულა. იყო მხოლოდ „პენ მარათონი" – როგორც ერთი, დამოუკიდებელი გამომცემლობის „დიოგენეს" პირადი ინიციატივა, რომელიც ფორმითა და პრინციპით დაახლოებით მაინც ჰგავდა ევროპაში გავრცელებულ მსუყე ლიტერატურულ პროგრამებს.

წიგნის ბაზრის ქართულ სისტემაში არ არსებობს არც ლიტერატურული აგენტის ცნება. მის ფუნქციებს ხშირად თვითონ გამომცემელი ითავსებს. საკუთარი პროდუქტის საზღვარგარეთ გაყიდვის რთული გზა უცხოურ გამომცემლობებში ახალი გამოცემების კატალოგის გაგზავნით იწყება. როგორც წესი, გამომცემლობებს საკუთარი მიმართულებები აქვთ, ამიტომ რომელი წიგნი აინტერესებთ და რომელი არა, იოლად წყვეტენ. თუკი დაინტერესდებიან, ითხოვენ წიგნის დაბეჭდილ ხელნაწერს, რომელსაც ე.წ. ლექტორი-წამკითხველები ეცნობიან. გაფართოებულ შეხვედრაზე თითოეული მათგანი საკუთარ ფავორიტ ტექსტებს წარმოადგენს და მხოლოდ აზრთა შეჯერების შემდეგ ცხრილავენ დაწუნებულ და დასაბეჭდად ვარგის ლიტერატურას. „წარმოიდგინეთ, საფრანგეთში წელიწადში 30 ათასი რომანი იწერება და მათგან მხოლოდ 3 ათასი იბეჭდება. ასეთ კონკურენტულ ბაზარზე ყოველი ახალი ავტორის შეყვანა უცხო ქვეყნიდან საკმაოდ რთული პროცესია", – ამბობს ბაკურ სულაკაური.

გიო ახვლედიანი, რომელიც უკვე წლებია, ლონდონში ცხოვრობს, გვიხსნის, რომ წიგნის ბაზარი სუპერკომერციულია. ფულის სამყაროა. გვიამბობს: „ინგლისში ძალიან ცოტა წიგნს თარგმნიან. განუზომლად ცოტას, ვიდრე გერმანიაში, ან რუსეთში – თავისი ინგლისურენოვანი და ამერიკულიც ჰყოფნით. აი, „სანტა ესპერანსა" ხო ახსენეთ. ეგ წიგნი ინგლისში ვერასდროს გამოვა. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ეწერა „გარდიანში" მაგის გამოცემით თავს ვინ აიტკიებსო. ბრიტანული ბაზარი ჟანრულ

გალერეა

მაია ლაშაური
„ოსკარი", 2012, შერეული ტექნიკა.

ლიტერატურას ექვემდებარება, მეინსტრიმს, მოდას. აი, ახლა ყველა სკანდინავიურ დეტექტივს კითხულობს“.

როგორ დავწეროთ მსოფლიო ბესტსელერი? – ამ თემაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მწერლებისთვის სემინარებიც ხშირად ეწყობა. შემოქმედებითი წერა – სალექციო კურსი ამ სახელწოდებით ბევრი უმაღლესი სასწავლებლის კურიკულუმშია შეტანილი. ამ ყველაფრის ფონზე, ზღვარი მწერლობას, როგორც ხელობასა და თავისუფალ შემოქმედებით პროცესს შორის, თითქმის ირღვევა.

„უნივერსალურად მოთხოვნად წიგნებს სულ სხვა რამ სჭირდება. დღეს ეგეთი წიგნი მაინცდამაინც გადასარევ წიგნს არ ნიშნავს, საინტერესო კი მართლაც არის ხოლმე და კარგი მწერლების ნაწერიც. ოღონდ ეგ არ არის ფოლკნერი, ფაუსტი და რა ვიცი კიდევ... შეიძლება, წიგნი დაწერო, კარგმა გამომცემელმა გამოსცეს, გაყიდოს, დაგაყაროს ფული, მაგრამ ძალიან რთული პროცესია. ლამის ისეთი რთული, რომ მეტი არაფერი უნდა აკეთო და სდიო. საერთოდ, სისტემაში მოხვედრა უნდა: აგენტი, გამომცემელი, სირბილი, აქტიურობა, შეთავაზება, მორგება, ათასი უბედურება და სიკეთე. მთელ ამ ამბავში შენი ნაწერიდან რაღა რჩება, არ ვიცი, იმდენი რამ გექნება გათვალისწინებული იმისთვის, რომ ტექსტი გაგეყიდა. მოკლედ, რა... ფუფუნებაა, შენსას წერდე და იმის გაყიდვით ცხოვრობდე. იშვიათია“, – გვწერს გიო ახვლედიანი.

ეს სამომხმარებლო მიდგომა შემოქმედებითი პროცესის მიმართ ბევრ ავტორს აბნევს. ქართველი ავტორების უმეტესობა კი წიგნის ბაზრის კომპლექსურ სისტემას, რომელიც აღვწერეთ, არც იცნობს. შესაძლოა, მათი პასიურობის მიზეზი ესეც არის. გიო ახვლედიანის შემთხვევაში კი, პირადი არჩევანია.

თუმცა, რომელიმე ქართველ მწერალს რომც ჰქონდეს საერთაშორისო ბაზარზე გარღვევის ამბიცია, ძალიან გაუჭირდება. ზოგადად, ქართულ ლიტერატურულ პროცესს ჟანრობრივი მრავალფეროვნება აკლია.

ანა კორძაია-სამადაშვილი უკვე მესამე წელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უახლესი ქართული ლიტერატურის კურსს უძღვება და ძალაუნებურად სულ უწევს, ახალგამოცემული მხატვრული ტექსტები იკითხოს. გვთავაზობს: „მოდი, ჩამოვთვალოთ 1991 წლიდან დღემდე დაწერილი 5 ქართული დეტექტივი, 5 ქართული ფენტეზი, 5 ქართული ისტორიული რომანი, წიგნები, რომლებიც თარგმნას კი არა, კითხვას ექვემდებარება? – არ არის“.

თომას ვიდლინგი, რომელიც ზაზა ბურჭულაძის ლიტერატურული აგენტია, გვწერს ზუსტ კრიტერიუმებს, რომლებიც თანამედროვე მხატვრულ ტექსტს წიგნის ბაზარზე გასაყიდ ღირებულებას მატებს:

„წიგნის გამოცემას აქტიურობა, შეთავაზება, მორგება, ათასი უბედურება და სიკეთე უნდა. შენი ნაწერიდან რაღა რჩება, არ ვიცი, იმდენი რამ გექნება გათვალისწინებული იმისთვის, რომ ტექსტი გაგეყიდა. ფუფუნებაა, შენსას წერდე და იმის გაყიდვით ცხოვრობდე“.

„დღევანდელი ევროპისთვის საინტერესო, თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტში მოქმედება დაძაბულად უნდა ვითარდებოდეს, თან წიგნს თავისი უნიკალური ხმა უნდა ჰქონდეს“. „უნიკალურ ხმაში“ ვიდლინგი გულისხმობს ლოკალურისა და უნივერსალური თემების ნაზავს. წიგნი მაშინაა ევროპელი მკითხველისთვის მიმზიდველი, როცა მის გმირებს, მათ პრობლემებსა და განცდებს „ცნობს“, მაგრამ თან სრულიად ახალ, მანამდე უცნობ მხარეს აღმოაჩენს.

„როცა თავს მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად გრძნობ, შენი ლიტერატურაც მსოფლიო ლიტერატურის ნაწილია, ხოლო როცა თავს საქართველოს შვილად, თბილისელად და, უფრო მეტიც, გაღმა-გამოღმა უბნელად გრძნობ, საქმე სულ სხვაგვარად მიდის. ამ ლოკალურობას ვერც მე გავექეცი, ჩემს ტექსტებში შემოვიტანე ის, რაც იქ ვნახე, მაგრამ გარეთ ჩემის გატანა ბევრად რთული აღმოჩნდა“, – ამბობს ანა კორძაია-სამადაშვილი და მაგალითად თავის ბოლო რომანს „შუშანიკის შვილებს“ ასახელებს – „ეს ტექსტი ჩემს საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ის გერმანული ბაზრისთვის გაუგებარი იქნება“.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამდე, რომელზეც სტუმარი ქვეყანა ახალი ზელანდიის, ბრაზილიის და ფინეთის შემდეგ, საქართველო შეიძლება გახდეს, 3 წელზე მეტი რჩება. საბოლოო პასუხს ოქტომბერში მივიღებთ. თუმცა, როგორც ქართულ დელეგაციას ლაიფციგის ბაზრობის ხელმძღვანელებმა ურჩიეს, დროის დაკარგვა ამ მომენტიდან უკვე აღარ შეიძლება. დასტურის მიღების შემდეგ, ეს ერთადერთი შანსი იქნება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმრის სტატუსის სატარებლად და საქართველომ ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. მინისტრი ამბობს, რომ ეს „სასიამოვნო გაფრთხილებაა“, რადგან, მისი აზრით, მოსამზადებლად დრო საკმარისია. ჩვენს პირველ ინტერვიუზე, იანვრის ბოლოს, რურუამ უკვე იცოდა და ჩვენც დაწვრილებით გაგვიზიარა იმ შოუს კონცეფციის მონახაზი, რითაც ფრანკფურტი-2015-ზე წავალთ. რადგანაც სტუმარ ქვეყანას ერთი უზარმაზარი პავილიონი აქვს გამოყოფილი, წიგნებთან ერთად, აუცილებელია კრეატიული, საინტერესო და მსუყე კულტურული პროგრამით წარსდგეს. ქართული ანბანი, ქორეოგრაფია, მრავალხმიანი მუსიკა, ღვინო – როგორც რურუა ამბობდა, შოუს მოწყობა ჩვენი მდიდარი კულტურის წყალობით, მართლაც შეუდარებლად შეგვიძლია. თუმცა, რამდენ წიგნს ჩავიტანთ ბაზრობაზე, როგორი იქნება თარგმანისა და თვითონ ტექსტების ხარისხი, როგორ ისწავლიან ამ სამ წელიწადში ქართველი მწერლები თავიანთი უნიკალური ქართული ამბების „გაუნივერსალურებას“, რა კონკრეტულ პროგრამებს მოიფიქრებს სახელმწიფო ლიტერატურული პროცესის განსავითარებლად – შოუზე უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი სწორედ ამ კითხვებზე დროული პასუხების მოსმენაა; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ არ გვინდა, რომ წიგნის ბაზრობაზე გასაყიდად წიგნების ნაცვლად ღვინო, ჩურჩხელა და ტყლაპი დაგვრჩეს.

გაქცევის და ათასი სხვის

აკა მორჩილაძე

1.

ოდესღაც, მგონი, 1979 წელს, ბათუმის სამილიციო პატრულმა ღამის ქუჩაზე ახალგაზრდა კაცი დააკავა.

მაშინ კომუნისტების დრო იყო, ხოლო ბათუმი საბჭოეთის სავარაუდო მტრის, თურქეთის საზღვარზე მდებარე ქალაქი გახლდათ.

სხვანაირად, ის იყო პირველი დიდი ციხესიმაგრე, მტერს რომ უნდა გადაღობებოდა.

ამიტომ, ის მხოლოდ ზღვისპირა ქალაქი არ იყო, არც ზღვისპირა კურორტი, და არც ნავსადგური, სადაც ოდესღაც ჩერჩილი, სტალინი და რუზველტი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ღამით ზღვის ზედაპირზე პროჟექტორების შუქი მოძრაობდა.

ეს საოცარი და საინტერესო საყურებელი იყო, განსაკუთრებით, თუ უცხო ქალაქიდან ჩამოსული ბავშვი იყავი: მესაზღვრეთა ჯარების ღამის სინათლეები ზღვის ზედაპირზე, რათა ვინმემ, შეშლილმა და თავზეხელაღებულმა ზღვაში არ ისკუპოს და ცურვით არ გააღწიოს საზღვარს იქით, იქიდან კი სრულ თავისუფლებაში.

გაიგონებდი ამბებს ასეთ მოცურავეებზე, რომლებიც ოდესღაც შავი ზღვის პირს უგრძესი მარშრუტებით სერავდნენ. ირაკლი კვირიკაძის ფილმი „მოცურავეც“, სწორედ ერთ ამგვარ კაცზე მოგვითხრობს.

მაგრამ საბჭოთა კავშირის დასატოვებლად ანთებული ეს რომანტიკული თავზეხელაღებულობა, მგონი, არასდროს დასრულებულა წარმატებით. ყოველ შემთხვევაში, ბათუმში.

არასდროს გამიგონია იმ ადამიანების სახელები, ვინც ბათუმიდან, ანდა, მთლად, სარფიდან გააღწია თურქეთში.

სარფში შესვლაც ხომ საგანგებო საშვებით ხდებოდა.

გამიგონია მხოლოდ ლეგენდა უსახელო გმირისა, რომელიც, თითქოს საბჭოთა სამხედროებს მოუკლავთ ასეთი გადაცურვისას, მაგრამ მეტი არაფერი. ლეგენდაც იმისია ხოლმე, რომ სახელი დაიკარგოს.

მგონი, ისიც შეიძლება, რომ ამგვარი ამბავი მხოლოდ იმიტომ არსებობდეს, რომ არსებობს იდეა, ასე გავცურავთ საბჭოეთიდან შორს!

საზღვრის გადალახვები კი უფრო სხვანაირად ხდებოდა.

ეს უფრო, სხვა ისტორიები იყო, ნამდვილი ტრაგედიები, თვითმფრინავის გატაცებას რომ ახლდა თან. თვითმფრინავის ბიჭების ამბავიც ხომ ბათუმში დაიწყო.

იქამდე კი იყო სხვაც, როცა ბათუმის აეროპორტიდან აფრენილ თვითმფრინავს ბალტიისპირელმა მამამ და ორმა ვაჟმა ასევე თურქეთისკენ ფრენა უბრძანეს და საზღვრის გადაკვეთა მოახერხეს. ამ გატაცებას ერთი სტიუარდი ქალის სიცოცხლე შეეწირა. ბალტიელები კი აღარასოდეს გადმოუციათ საბჭოელებისთვის. ახლა, ალბათ, სადმე ცხოვრობენ და ეს ამბავიც კარგად ახსოვთ.

დიახ, ამ ქალაქს გაქცევის სურნელი ასდიოდა.

2.

ერთხელ, თოთხმეტი წლისა, ბათუმის ბულვარში ძველ ნაცნობს გადავეყარე. ჩემზე უფროს ბიჭს, რომელსაც ერთხანს ყოველ ზაფხულს ვხვდებოდი, დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქში, სადაც ბებიის ძველ სახლში ჩავდიოდით ხოლმე.

ეს ბიჭი იმ ქალაქში კარგა თავზეხელაღებულ ვინმედ ითვლებოდა.

ჰოდა, აქ რომ შემხვდა, დიდად არ მეამა, მით უმეტეს, რომ განზე გამიხმო, როგორც ძველი დროის ქუჩის ბიჭებმა იცოდნენ და ფული მთხოვა.

ძალიან მჭირდებაო.

წართმევის იერი არ ჰქონდა, მაგრამ როცა კაცი თავის ძალას გრძნობს და რაღაცას გთხოვს, წართმევასაც არაფერი უკლია. რაც მქონდა, მივეცი და გადამკოცნა. ძალიან გამიმართე ხელიო. სასაცილოა, სულ შვიდი მანეთი მივეცი. მერე ერთად გამოვისეირნეთ ბულვარში, თუმცა სეირნობა ამასაც არ ერქვა.

ის თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით და ძალიან დამფრთხალი იყო.

ვიფიქრე, რაღაც მოუპარავს და იმალება, ანდა თავისი ქალაქიდან გამოქცეულამეთქი.

ბედი არ გინდა? პლაჟზე მეგობრები გელოდებიან, თან ამინდიც დიდებულია. მე კიდევ, ამას დავყვები. რატომღაც უნდოდა, რომ ერთხანს გვერდით ვყოლოდი.

სკამზე ჩამოვსხედით და ხეივნის მო-

პირდაპირე მხარეს, ასევე სკამზე ჩამომჯდარი კაცი დამანახა.

ასეთი საშინელი და სახიფათო იერის ადამიანი იქამდე არასოდეს მენახა. საშინელ პერანგში, საშინელი ნაკვთებით, იჯდა და გვათვალიერებდა.

ახლა ვფიქრობ, რომ ეგებ ის კაცი სულაც არ იყო საშინელი და გაგონილმა ამბავმა დამანახა ასეთად.

ამან კი ჩუმად მითხრა, ეს ჩემი ძმაკაციაო და ამაღამ უნდა გადავიყვანოო.

საზღვრის გადაკვეთას ლამობდნენ. მე თვითონ არ მივდივარ, მაგრამ ის აუცილებლად უნდა გადავიდესო.

ამის ჩემთვის თქმა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ, და თან ისე, რომ ის კაცი ვერ მიმხვდარიყო, ყველა კრიმინალური წესითა და ადათით შეცდომა იყო. რატომ მეუბნებოდა, არ ვიცი. ეტყობა, ძალიან ღელავდა.

მათი ამბის დასასრული არ ვიცი. ვერ ვიტყვი, გადავიდა ის საშინელი შავხელებიანი კაცი თურქეთში, თუ ვერა.

ეს ბიჭი კი ცხოვრებაში ერთადერთხელღა ვნახე, ორი წლის წინათ. თბილისში, ქუჩაზე მანქანა გააჩერა და ერთმანეთს გადავეხვიეთ. არ მიკითხავს, ოცდარვა წლის წინათ რომ საზღვარზე კაცი გადაგყავდა, რა ქენით-მეთქი, უკან უცებ შეიქმნა საცობი. თბილისში ასეა ხოლმე.

3.

ბათუმი კი გაქცევის ქალაქი იყო.

საერთოდ, ეს ის ადგილია, სადაც დადგები ზღვის პირას და უყურებ ზღვას, მერე კი უცებ მოიხედავ და დაინახავ თოვლიან მთებს, იმ შუა სიცხეში.

ბათუმის ზურგს უკან მთებია: მთებში – საოცარი, ტყეებს აკრული სოფლები. იმ სოფლებში არიან ადამიანები, რომლებიც თუკი უცხოს დაინახავენ, აუცილებლად შეატყობინებენ მესაზღვრეებს და მაშინ, საბჭოთა სასჯელს ვეღარაფრით აცდები.

მაგრამ იმავე სოფლებში არიან მოხუცები, თეთრწვერა, კაფანდარა მოხუცები, თავზე – ნაქსოვი ქუდებით; ისინი, ვისაც სხვა დროებაც ახსოვთ. მათ იციან ბილიკები, რომლებსაც ვერცერთი მესაზღვრე ვერ შეამოწმებს, მათ იციან დრო, როდის უნდა გაიარო უღრანში, რომ ტყეს პროჟექტორის შუქმა არ გადაუაროს, განგებ გაფხვიერებულ მიწაზე კი ისე გაგატარებენ, რომ ნაკვალევი არ დარჩება.

მათ იციან ფეხაკრეფით სიარული და მათ ჰყავთ ახლო ნათესავები, სულაც, ძმისშვილები საზღვარს იქით, რადგან ოდესღაც საზღვარი შუა ოჯახებზე გავიდა და გაჭრა ისინი.

ჰოდა, ისინი სანდო ხალხს ჩაგაბარებენ, გათენებამდე კი უკან დაბრუნდებიან და დაიძინებენ მშვიდად თავიანთ სახლში.

ოღონდ, ამისთვის ბევრი ფულია საჭირო და დიდი ნდობა, მანამდე კი უნდა იპოვო ვინმე, ვინც იმათზე გაგიყვანს, ვინც ამ ბაბუებს დაგაკავშირებს.

ამის გაკეთება ზაფხულში სჯობს, საკურორტო სეზონის დროს, რადგან ზამთარში უცხო კაცი წამსვე იცნობა. ბათუმი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს და ზღვისპირა ბულვარზე წამსვე შეგამჩნევენ, რომ უშნოდ მიდი-მოდიხარ.

ასეთია გაქცევის კიდევ ერთი ლეგენდა, რომელსაც მართლა აქვს საფუძველი, ოღონდ 1920-იანი წლებიდან, როცა ყველა, ვისაც გაქცევა უნდოდა, სწორედ ამ მთებით გარბოდა.

სხვანაირად კი ეს ქალაქი გაქცევის უდიდესი ისტორიაა საქართველოსთვის.

ალბათ, ასე ემართებათ ქალაქებს, რომლებიც იმპერიათა კიდეზე, ზედ საზღვარზე აღმოჩნდებიან ხოლმე. სადაც ზღვაა, იქ კიდეცაა. ზღვა წასვლას ნიშნავს. წასვლა კი ხშირად, გაქცევასაც გულისხმობს.

ბათუმიც ასე იყო, ჯერ ოსმალეთის იმპერიის უკიდურეს ჩრდილოაღმოსავლეთს მიწეპებოდა საზღვრის კიდეზე, მერე – რუსეთს. არადა, ბათუმი ქართველების ქალაქია.

თუმცა, სახელი ელინური აქვს, ქართულად მორგებული.

ეს სახელი ღრმა ნავსადგურს გულისხმობს. ძველი კოლხეთი, ელინური ახალშენი და მთელი ამბავი. რომაული ციხესიმაგრე, რომელსაც გონიოს ვეძახით და რომლის კედლებშიც გადმოცემით, დაუმარხავთ მატათა მოციქული. გურიის მთავრები და ბათუმის კიდეზე მოულოდნელად გამოჩენილი ბურგუნდიელი რაინდები. დიდი ოსმალური მმართველობა და ისლამი. გენუელები და რუსეთის იმპერია. ომები. საქართველო. ბრიტანული პროტექტორატი და ისევ საქართველო.

ბათუმი ქართველებისთვის გამუდმებული დაკარგვისა და პოვნის ქალაქია. არამხოლოდ გაქცევის.

4.

ბაბუაჩემმა ზღვა პირველად ოცი წლისამ ნახა.

ის სატვირთო ფორნაზე პირქვე იწვა, როცა უკანდახეული ქართული ჯარის ნაწილები უკანასკნელ მიჯნას, ბათუმს მიადგნენ. იმის იქით ზღვა იყო. ზღვის უკან ვეღარ დაიხევ. ან გარბიხარ, ან კვდები.

ეს იყო 1921 წლის მარტში. წითელი არმია უკვე შემოსულიყო თბილისში და საქართველოს მთავრობა, მთელი შერჩენილი ძალებით, უკანსვლით მიდიოდა ზღვისკენ.

ბაბუაჩემი ფერდში იყო დაჭრილი, ყუმბარის ნამსხვრევები ჯერაც არ ამოეღოთ და ძილ-ღვიძილში დაინახა ზღვა.

ზღვა მარტის პირველ რიცხვებში, თუნდაც სუბტროპიკებში, სადაც მთელ სანაპიროზე პალმა და ლიმონი ხარობს, კარგს არაფერს გაფიქრებინებს.

ბაბუაჩემი საომრად გაწვეული სტუდენტი იყო. ახლა აღარ მახსოვს, გაწვეული, თუ მოხალისედ წასული, მაგრამ სამი ნამტვრევიდან ორი სწორედ ბათუმის ჰოსპიტალში ამოუღეს ფერდიდან. ერთი სამუდამოდ დარჩა.

იმ დღეებში ბათუმში საოცარი ამბები ხდებოდა. ქალაქს წითლები უახლოვდებოდნენ. სამხრეთიდან კი ოსმალური ჯარები გამზადებულიყვნენ.

რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებით, ლენინის ხელმოწერით, იმ ცნობილი ბრესტის ზავით, წითელი ჯარი ბათუმში ვერ შევიდოდა. როგორც კი მას ქართული მთავრობა დატოვებდა, ქალაქს ოსმალები დაიკავებდნენ.

ბაბუაჩემს უყვარდა ამის გახსენება: საქართველოსთვის ყველაზე ტრაგიკული გაქცევის შესახებ თხრობა, ოღონდ შვილიშვილებს უფრო გვიყვებოდა. თითქოს უდარდელად, მაგრამ ფრთხილად.

მას ახსოვდა, როგორ შეიკრიბა ნავსადგურში უამრავი ხალხი და როგორ მიმართა მათ ნოე ჟორდანიამ სიტყვებით, ჩვენ დავბრუნდებითო.

ჟორდანია ცუდი ორატორი იყო, დაბადებიდან ენა ებმოდა, მაგრამ მაინც აატირა იქ მყოფი ხალხი. ბევრმა დაიჩოქა კიდეცო, ამბობდა ბაბუაჩემი, მე ვერაო. ახალი ნაოპერაციები ვიყავი და ნავსადგურამდე ძლივს მივედიო.

მერე მთავრობა იტალიურ გემზე ავიდა.

ყველამ შლაპები გადმოყარა ზღვაში. ეს შლაპები ტივტივებდნენ და თავისუფალი საქართველო კი მთავრდებოდა.

ჯარისკაცებთან ვიღაც კაპიტანი მოვიდა და უთხრა, ვისაც ევროპაში წამოსვლა გინდათ, მოიფიქრეთ, გემი კიდევ იქნებაო. ბაბუაჩემმა თქვა, ვერაფრით გადავწყვიტეო. დედა შემეცოდაო. ისედაც არ იცოდა ჩემი ასავალ-დასავალიო.

მამამისს, ძველი თოფი აეღო და მთელ ქვეყანაში სდევდა ფრონტის ხაზებს, რათა შვილი ეპოვნა.

შებნელებულზე, ქალაქი ოსმალურმა ჯარებმა დაიკავეს. შეთანხმებისამებრ.

ღამით, ჰოსპიტალში გენერალი მაზნიაშვილი მივიდა.

ეს იყო, მგონი, ერთადერთი ქართველი გენერალი, რომელიც ქალაქში დარჩენილიყო და გაქცევასაც არ აპირებდა. მაზნიაშვილს ცალი ხელი ბრძოლებში ჰქონდა გაფუჭებული და კისერზე შავი სახვევით ეკიდა ხოლმე. რუსეთ-იაპონიის ომისას, ის, დაჭრილი, ნიკოლოზ მეორემ მოინახულა და წმინდა გიორგის ჯვარიც დააბნია გულზე.

დამოუკიდებლობის წლების მარად გამარჯვებული ქართველი გენერალი, რომელიც არცერთ გემეზე არ ავიდა.

მაზნიაშვილმა დაჭრილები სათითაოდ მოინახულა და ბოლოს უთხრა, ხალხი გვჭირდებაო.

– ვისაც ბრძოლა შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ. ეგებ ეს ბოლო ბრძოლაც იყოს, – ასე გადმოსცემდა ბაბუაჩემი მის სიტყვებს.

ჰოსპიტალში მყოფები ხეირიანად ვერც მიხვდნენ, რაღა იყო საბრძოლო: მთავრობა წავიდა, ქვეყანა კი უკვე რუსებს ეპყრათ.

„ეგებ ეს ბოლო ომიც იყოს დიდი ხნის მანძილზე...“

სინამდვილეში ეს ძალიან ქართული ისტორიაა: აღარაფრიდან რაღაცის მოპოვების ძველი ილეთი.

ბათუმს მომდგარი რუსის ჯარი შეთანხმებას იცავს, ოსმალებს ქალაქში უკვე საგუშაგოები დაუყენებიათ. მათი ნაწილები საჭირო ადგილებში ისვენებენ.

ოსმალთათვის ახალი არაფერი იყო. ისინი იმას იბრუნებდნენ, რაც საუკუნეების განმავლობაში ეპყრათ და რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის დროს დაკარგეს, პირველ მსოფლიო ომში თითქმის სულ დაიბრუნეს, მერე კი კვლავ დაკარგეს, ხოლო ახლა კვლავ იბრუნებდნენ.

ქართული კი ამ ამბავში ის იყო, რომ ბოლშევიკთა რიგებში ბევრი ქართველი რევოლუციონერი იყო, რომლებიც რუსულ არმიებს შემოჰყვნენ. ამათ შორის უმრავლესს კი სულაც არ მოსწონდა ლენინის შეთანხმებები თურქეთის რესპუბლიკასთან.

ქართველებმა ასე იციან, საბოლოოდ, ისინი მხოლოდ ქართველები არიან და მეტი არაფერი.

წითელმა კომისარმა, თენგიზ ჟღენტმა ბათუმში მოძებნა მაზნიაშვილი და უთხრა:
– ჩვენ ქალაქში ვერ შემოვალთ. ასეთია შეთანხმება. ხვალიდან ბათუმი ოსმალური ქალაქი იქნება. რუსებისთვის ეს სულერთია. მათ საქართველო უჭირავთ. თუ შეძლებ ქალაქის დაბრუნებას და ოსმალებს უკან დაახევინებ, ჩვენ შეგვეძლება შემოსოვლა ქართვლების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ, საბოლოოდ, ბათუმი მაინც ქართველებს დაგვრჩება.

დაახლოებით ასე იყო. ტექსტზე თავს ვერ დავდებ.

მაზნიაშვილი კი დათანხმდა. სხვანაირად არც მოიქცეოდა.

სტუდენტები, ჯარისკაცები, გვარდიის ნაშთები და უბრალო ადამიანები: გენერალმა შეძლო ამის ორგანიზება და ჯერ მოულოდნელი შეტევით, მერე კი ოსტატობით, ოსმალურ ნაწილებს ბათუმიდან დაახევინა, საბოლოოდ კი, კიდევ ოც კილომეტრზე შეუტია.

ქალაქი წითლებმა დაიკავეს და იქ ჩასულმა ქართველი კომუნისტების ლიდერმა, სერგო ორჯონიკიძემ უთხრა მაზნიაშვილს:

– შემიძლია ნებისმიერ წუთს დაგხვირტო, როგორც ჩვენი მტერი.

მერე დიდი პოლიტიკოსები შეთანხმდნენ, და ბათუმი, როგორც აჭარის ავტონომიის დედაქალაქი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩა, საქართველო კი დიდ საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა.

მაზნიაშვილი კი მაინც დახვრიტეს. უკვე სამოცდაათს მიტანებული, 1937 წელს, თავისი პატარა სოფლიდან გამოიძახეს. სასამართლო არ ყოფილა.

სწორედ იმ მარტის დღეებში ჰოსპიტლის ყარაულში მდგომი ბაბუაჩემი მამამისმა იპოვა.

ძველი თოფი რუსებს ჩამოერთმიათ, პალტო გზაში გაეყიდა და გახარებული იყო, რომ შვილი ზღვას არ გაჰყოლოდა.

გალერეა

მაია ლაშაური
„ობამა“, 2012, შერეული ტექნიკა.

5.

ახლა გამახსენდა: ბათუმის ამბის თხრობა იმით დავიწყე, რომ მგონი, 1979 წელს ღამის ქუჩაზე მილიციელებმა ახალგაზრდა კაცი დააკავეს. ახალგაზრდა კაი ნაქეიფარი იყო და მღეროდა. მოდიოდა და მოიმღეროდა, როგორც ძველ ქართულ პოემებშია.

ამის გამო კაცის დაკავება საქართველოში, თუნდაც კომუნისტების დროს, საკვირველი ამბავია, რადგან ღამის ქუჩაში ხმაურისთვის, რომელიც, თუ დავუფიქრდებით, გულწრფელ სიმღერას მოგვაგონებს და უმრავლეს შემთხვევაში არის კიდეც სიმღერა, იმას ნიშნავს, რომ ნახევარი ქვეყანა დაიჭირო. აბა, რაღა უნდა ექნათ ძველი დროის პოლიციელებს, როცა ამგვარ სიმღერას კივილიც ახლდა და ჰაერში სროლაც.

ჩანს, სასაზღვრო ქალაქის მილიციელები იმ საღამოს ხასიათზე ვერ იყვნენ. ანდა, რას გაუგებ.

მოკლედ, ახალგაზრდა კაცმა წინააღმდეგობა გასწია. არ იყო მთლად ისეთი ახალგაზრდა კაცი, ხელს რომ ჩაავლებ და წამოგყვება.

საბოლოოდ, ეს ამბავი, ციხედაც კი დაუჯდა, მაგრამ არ უნანია.

თუკი წინააღმდეგობას გასწევ, მოგხვდება კიდეც.

მილიციაში გასაოცარი ცემა იცოდნენ. ხელ-ფეხს კარგად ხმარობდნენ. ქართული მილიცია ამით ყოველთვის გამოირჩეოდა. აქა-იქ თუ შეგხვდებოდა კაცი, რომელიც გასართობად მაინც არ წამოგარტყამდა. ჰოდა, ამ ახალგაზრდა კაცსაც მოხვდა.

მილიციელებმა ისეთ ადგილებში ცემა იცოდნენ, რომ მერე ტუსაღს დალილავებული სხეული თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა.

მე ასეთ დღეში არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ იმ დროში ყოველი ბიჭი გეტყოდა, რომ განსაკუთრებით მწარე, ფეხისგულებზე სკამის ფეხის რტყმაა.

ჰოდა, ამ ახალგაზრდა კაცსაც, როცა მილიციაში მიათრიეს და ერთ მოზრდილ მაგიდაზე პირქვე გააწვინეს, ფეხსაცმელები გახადეს და დასცხეს ფეხისგულებში. საბრალო, სიმწრისგან მაგიდის კიდეს ეჭიდებოდა და ღრიალებდა.

საკვირველია, მაგრამ სწორედ ამ დროს შეამჩნია მაგიდის კიდეზე პატარა თუჯის ფირფიტა. ფირფიტა ოვალური იყო და ზედ ეწერა: ალფრედ ნობელ კომპანი.

ახალგაზრდა კაცი არ იყო მთლად რიგითი ახალგაზრდა კაცი.

ეს წარწერა და მაგიდის ძველებური, განსაკუთრებული იერი მას სამუდამოდ დაამახსოვრდა.

იოლი ამოსაცნობი არ არის, რად იქცა მისთვის ეს მაგიდა, ანდა რა განიცადა მან იმ დროს, როცა მილიციის ამ ოთახში ტანჯავდნენ.

მისი ცხოვრება კი შეიცვალა.

ამ ღამიდან ღამის ცამეტი წლის შემდეგ, ახალგაზრდა კაცი, რომელიც საერთოდ აღარ იყო ახალგაზრდა, მილიციის ამ განყოფილებაში მივიდა.

ამ დროს მილიციას საერთოდ აღარ ერქვა მილიცია, არამედ უკვე პოლიცია.

საბჭოთა კავშირი უკვე აღარ არსებობდა, საქართველო სამოქალაქო ომში იყო გახვეული, მატარებელი თბილისიდან ბათუმში წასვლას თუ გაბედავდა, გზას სამ დღეს უნდებოდა, გზადაგზა კი ვაგონებში თოფიანი კაცები ამოხტებოდნენ ხოლმე და რაღაცებს ამტკიცებდნენ.

ჰოდა, ახალგაზრდა კაცი პოლიციაში მივიდა.

მისმა მისვლამ გაოცებაც გამოიწვია და პატივისცემაც.

რა თქმა უნდა, ვერავინ იცნო. რამდენი ასეთი გაუსტუმრებიათ. ანდა, იმ პოლიციელთაგან ვინღა იქნებოდა დარჩენილი, მას რომ სცემდა?

ესეც არ იყოს და, ახალგაზრდა კაცს ველარც იცნობდი. ის წვერში ჭაღარაშეპარული მღვდელი იყო და ბათუმიდან კარგა მოშორებულ პროვინციაში მსახურობდა.

მღვდელი იმხანად მოულოდნელი, ახალი და პატივსაცემი პერსონაჟი იყო ხალხში. ყველაფერს რომ თავი დაანებო, თან ავტომატი არ ჰქონდა და მისი გამოჩენა მშვიდობას გულისხმობდა.

მღვდელი თავად პოლიციის უფროსმა მიიღო და მისგან სრულიად მოულოდნელი რამ მოისმინა: მას ოდესღაც პოლიციის ინვენტარში არსებული ერთი მაგიდა უნდოდა, რომელსაც, სიამოვნებით იყიდდა.

მაგიდა იპოვეს. ერთ-ერთ ოთახში იდგა.

მღვდელმა წამსვე იცნო. ფირფიტაც ზედვე ჰქონდა და კიდევ უფრო შელანძღულიყო.

პოლიციამ ფული არ აიღო. მაგიდა გამოატანეს.

მღვდელმა მაგიდა წამოიღო და თავის სამრევლოში გამოსაჩენ ადგილას დადგა.

ხომ ვამბობ, არ ვიცი, რას ნიშნავდა მისთვის ის მაგიდა. ეგებ, რაღაც დიდის დასაწყისი იყო მის გულში. ანდა, შემობრუნების სრულიად მოულოდნელი წერტილი, რომელიც ვერ დაივიწყა.

მე კი ამ ამბავში იმანაც წამიღო, რომ მაგიდა ალფრედ ნობელის კომპანიისა იყო.

თავად ალფრედ ნობელი არასოდეს ყოფილა ბათუმში, მაგრამ მისი კომპანიის ფილიალი, ბაქოდან სწორედ აქეთ ეზიდებოდა ნავთობს და ბათუმის ნავსადგურიდან გაჰქონდა ევროპაში. ძმებ ნობელებს მშვენიერი ოფისი ჰქონდათ ბათუმში და ასევე, მუდმივად თანამდევი წინაალმდეგობა ბათუმის მერთან, რომელიც, თავის მხრივ, საუცხოო კაცი იყო, მაგრამ ქალაქისთვის იმაზე მეტი უნდოდა, ვიდრე ნობელები გაიღებდნენ.

ეს გზა, ძველი აბრეშუმის გზის გაგრძელება იყო. უფრო სწორად, მისი აღდგენილი სურათი, ოღონდ აბრეშუმი ნავთობმა შეცვალა.

არ ვიცი, რამდენად წარმოუდგა თვალწინ იმ ახალგაზრდა კაცს მთელი ეს სურათი, როცა ფეხისგულებში სცემდნენ, მაგრამ ნობელების საოფისე მაგიდიდან შესაძლოა საბჭოთა ისტორიის ერთი მოზრდილი სამყარო გამოიზარდოს.

ნივთები, რომლებიც მოგზაურობდნენ მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაინგრა.

ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო დროს. განსაკუთრებით ჩვეულებრივმა ნივთებმა. ანტიკვარიატს უვლიდნენ. იაფად ყიდდნენ. ინახავდნენ, იპარავდნენ. ჩვეულებრივი ნივთები კი... არადა, გადარჩენილნი მოგზაურობდნენ.

ნობელების მაგიდა შორს არ წასულა, იმავე ქალაქში დარჩა და სრულიად მოულოდნელად გამოიღვიძა. საოცარია: კაცს დაეხმარა.

მგონი, ამ წარწერით ფირფიტაზე რომ იყო, ის რაღაც სამყაროს მისწვდა. იცოდა ამ სამყაროს არსებობა, მაგრამ ახლოს არასდროს ენახა. არასდროს შეხებოდა. სამყაროში სული აღმოჩნდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Одесса - мама

ლევან გიგინეიშვილი

„რაც შეეხება ფლოტაციურ კოლ-ჩედანს, იგი მიიღება მაღალ ტემპე-რატურაზე მინერალების ფლოტა-ციის შედეგად“... რატომღაც ზუსტად ეს ფრაზა იყო, ლექციაზე ჩემ მიერ წარმოთქმული, რომელმაც ცხადად დამანახა, რომ ტყუილად ჩავაბარე მასალათა გამძლეობის სადოქტორო პროგრამაზე! ხომ დავხურე მაგის-ტრატურა მამაჩემის დაჟინებული (მო)თხოვნით, რატომ აღარ გავჩერდი ამაზე? ახლა ჩემმა პროფესორმა და ხელმძღვანელმა, პარმენ კობახიძემ, საცდელი ლექციებიც გადმომაბარა საბაკალავროს სტუდენტებთან; პატი-ვმოყვარეობის გამო დავთანხმდი? – „25 წლის დოქტორანტი ბიჭი უკვე ლე-ქციებს კითხულობს!“. მაინც, მგონი, მოტივების თაიგულში პატივმოყვარე-ობა არ იყო მთავარი ყვავილი: იქნებ თავად ბატონი პარმენის დამოკიდე-ბულება? – რაღაც მდუმარედ მოწიწე-ბული და მამაშვილური, ამავე დროს, თითქოს უმწეო და მთხოვნელი, მა-ვედრებელიც კი: აქაოდა, მასალათა გამძლეობა ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში კვდება და შენ ხარ ერთადერთი გადამრჩენელიო, ერთა-დერთი, ვისაც დარგის ჩირაღდანი ეს-ტაფეტასავით შემიძლია გადავცე და მერე დავისვენოო; ამიტომაც ხელის გულზე გატარებ და სულს გიბერა-ვო; თან მამაშენიც თანახმაა, შენგან

მეცნიერი და კაცი გამოვძერწოო; მაგრამ ყველაფერ ამას უთქმელად მაგებინებდა, ყოველი დალაპარაკებით, მოპყრობით, მხარზე ხელის მოთათუნებით და იმ „აბა, შენ იცი“ ინტონაციით, რომლითაც დავალებებს მაძლევდა. ჰოდა, განმსაზღვრეს მასალათა გამძლეობის ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპეციალისტად. უნდა დამედო პატარა ღიპი, მომეყვანა საშუალო სილამაზის წესიერი ცოლი, მერე პარმენივით გავჭაღარებულიყავი და მასსავით, კითხვაზე „როგორ ხარ?“, მეპასუხა, „ვჯახირობ და ვარ“.

ამ დროს ვიგრძენი, ლექციაზე, თვალჟუჟუნა კოხტა გოგოების და მთქნარებაატანილი ბიჭების წინ, მთელი უფსკრული ჩემს გულს, ინტერესებს, ოცნებებსა და „ფლოტაციურ კოლჩედანს“ შორის. მახსოვრობიდან ამომიტივტივდა ფილოსოფოსის ლექცია: სულ პატარა, ალბათ, 10 წლის თუ ვიყავი, როცა მამას წავყევი თსუ-ს მეორე კორპუსში, სადაც მშვიდი, ხავერდოვანხმიანი, ნახევრად თავმოტვლეპილი ფილოსოფოსი ფიქრებს ამოთქვამდა; ჰო, ასე ჩანდა ჩემთვის, თითქოს მისი ფიქრი წყაროს წყლის ნაკადივით, ხან მოაწვებოდა მის პირს და წამოვიდოდა, ხან კი წყდებოდა და სადღაც, მისი გონების სიღრმეში კვლავ გროვდებოდა; ყველაფერი დამავიწყდა მისი ერთი ფრაზის გარდა: „როდესაც არ ვბედავთ ცხოვრებას, ვემსგავსებით ანტიკური ხანის იმ სიკვდილმისჯილ ბერძნებს, რომლებსაც რკინის ხარში სვამდნენ და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ: ისინი ყვირიან შიგნით, მათი ხმა კი არავის ესმის“. ტყუილად არ გამახსენდა ახლა ეს: პარმენი იყო ის რკინის ხარი, რომელშიც ოჯახის ნებამ და ჩემივე უნიათობამ თუ ხათრიანობამ ჩამსვა. ლექციის დასრულებისას უკვე ვიცოდი, რომ აღარ გავაგრძელებდი, თუნდაც მასალათა გამძლეობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტების კურიკულუმებიდან ამოეღოთ.

ბედის ჯოხი ტკაცანით გადავტეხე. გადავიტანე მამაჩემის კაცური, მშვიდი, მაგრამ მაინც ისტერიკა, შემდეგ მისი ერთკვირიანი ბღვერა და მდუმარე, დაბოღმილი აურა; დედის დასევდიანება; ბებიის პერიოდული აცრემლებები. შემდეგ კი ვთქვი: „მე ოდესაში მივდივარ სამი თვით“. ჩემდა მოულოდნელად ოჯახი ამას გაგებით და იმედით შეხვდა. შემთხვევით მოსმენილი ფრაზებიდან გავიგე, რომ, მათი აზრით, ჩემი ეს ახირება დათრგუნული სექსუალობით იყო გამოწვეული და მეტი არაფერი. „მაგისტოლა ბიჭები რომ ქალებში დადიოდნენ, ეგ წიგნს არ უშვებდა წაუკითხავს“; იმედში იმას ვგულისხმობ, რაც ბებიაჩემმა უთხრა ტელეფონში თავის მეგობარს (არ იცოდა, რომ მესმოდა): «Перебесится и вернется», ანუ თავის ჭინკებს მოამშვიდებს და ისევ ისეთი დაგვიბრუნდებაო. გულში მეცინებოდა, მაგრამ, რომ დავუკვირდი, მივხვდი, სიმართლის ნაწილი იყო იმაში, რასაც ამბობდნენ: ქალთან მანამდე ერთხელ ვიყავი ნამყოფი, შვიდი წლით ადრე, რაღაც ქოხში ლოტკინის გორაზე, ხუთ სხვა ბიჭთან ერთად, რომლებსაც ამ მობეზრებულ ქალთან უკვეშეჩვეულ სიამოვნებაზე უფრო ის აინტერესებდათ თუ მე, „დედიკოს ბიჭი“, რას ვიზამდი და თუ ვიზამდი საერთოდ. ასე რომ, ჩემთვის საკონტროლოს დაწერას, ან გამოცდის ჩაბარებას უფრო ჰგავდა ის ხუთწუთიანი ჯაჯგური, რომელმაც გულისრევის გრძნობა დამიტოვა მთელი დღით.

მანქანა, ჩემი რვაწლიანი „სუბარუ“ ინტერნეტით გავყიდე. სხვა დანაზოგებიც მქონდა და ასე ოთხი ათასი დოლარის და ბედის ანაბარა ოდესაში გავფრინდი ბათუმიდან. მხოლოდ ოდესაში ჩასვლის მერე გავიგე, რომ ეს სახელი პირდაპირ კავშირში იყო ჰომეროსის „ოდისეასთან“: იმპერატრიცა ეკატერინეს შერქმეული რომანტიკული სახელი თავისივე აშენებული ახალი ქალაქისათვის.

ჭოდესა მისი ხიბლის გამო ავირჩიე. ბაბელი, ჟვანეცკი, პორტი, კოსტია მორიაკი, ეიზენშტეინის ჯავშნოსანი პოტიომკინი და ქურდული სამყაროს ის ეგზოტიკა, რომელიც „ბლატნოი“ სიმღერებიდან ვიცოდი: «Что вся Одесса переполнена ворами / и заедает темный элемент»... და ასე შემდეგ.

რა ქალები ?! მე მინდოდა მოვმკვდარიყავი და ხელახლა დავბადებულიყავი.

ოთახი ძველ უბანში ვიქირავე, დანაოჭებულ, მაგრამ ლამაზ და დაბრძენებულ სახლში. იცით, რა გრძნობაა დილას, მაღალჭერიან, ვრცელ ოთახში, როდესაც მზის ხალასი, ნორჩი სხივების მისალმებასავით, არა (!) – დაძახებასავით შემოანათებს, შენ კი აგდიხარ საწოლზე სრულიად უსაქმური, მდიდარი, ახალგაზრდა, უსასრულო შესაძლებლობებით. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ავადმყოფი კბილი ამომეღოს და ახლა ყრუ, სასიამოვნო, ვრცელი ტკივილი იშლებოდა მის ადგილას ჩემს სულში. ყვირილი მინდოდა. პირველ რიგში, ტანსაცმელი გამოვიცვალე, ანუ ვიყიდე ჯინსები, შალის ნამდვილი, მეზღვაურისსაყელოიანი მატროსკა, რომელიც შემდეგ კანივით მომეწება და ჩემი განუყრელი ოდესური სამოსი გახდა. ძველ ტანსაცმელს კი, ძვირიანს, მაგრამ უიდეოს, რიტუალურად გადავუძახე სანაგვეში. მსურდა სივრცე, ასპარეზი. ოდესის ულამაზეს, მზით გაჩახჩახებულ ცენტრალურ მოედანზე, „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ კიბეების ზემოთ ეგრევე რომ იშლება, გავედი კი არა და, შევეფრქვიე. ძველ ლათინებს ჰქონდათ ასეთი გაგება „გენიუს ლოცი“, ანუ ადგილის სული, ან ადგილის დედა; ვგრძნობდი, რომ ოდესის ადგილის სულმა შემამჩნია და მას შემდეგ, მისი ალერსიანი თვალთვალი ჩემი იქ ყოფნის ფონად იქცა.

ასე მოხდა, რომ ჩემი თავგადასავალი იმავე დღეს დაიწყო. მოედანს, რომელზეც უამრავი ხალხი ირეოდა – ფოტოგრაფები მაიმუნებით და იგუანებით, ფერადი, ზორბა თუთიყუშებით – გრძელი და საუკუნოვანი ხეებით დაჩრდილული ხეივანი უერთდებოდა. გავედი თუ არა ხეივანზე, ვნახე ნაღდი ოდესური შპანა: ასე 18-24 წლის ბიჭები ქაღალდში გახვეულ მახორკას თუ მარიხუანას ეწეოდნენ, იპურჭყებოდნენ და რაღაცაზე მხიარულად ანგლობდნენ, ლაღი, სარკასტული გამომეტყველებით: ჩიტებს ჰგავდნენ. „გულში სანთლები დამენთო“, ალბათ, ასე იტყოდა ამ განცდას ვაჟა-ფშავე-

ლა. ეს მინდოდა! – რაღაც კამპანია, ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც გამომცვლიდა, გამომადნობდა, ოდესურ მისტერიას შემრთავდა, მაზიარებდა. მთავარია, როგორ მივსულიყავი, რა მეთქვა. გაცნობისას პირველ ფრაზას, სიტყვას, გამოხედვას ხომ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მოთხრობის ან რომანის სათაურს, რომელზეც ავტორი ზოგჯერ თვეობით ფიქრობს. ჯერ გავიარ-გამოვიარე: ვეფინებოდი ოდესის ქუჩებს, მოლდავანკას, დერიბასოვკას, ფიქრებში თითოეულ ლამაზ სახლს, მეცხრამეტე საუკუნის ქანდაკებებს, ტაძრებს ლოყას ვადებდი და ვეფერებოდი; თან ამ დროს გონებაში ჩემი პრობლემის „ფაილი“ მქონდა გახსნილი: „როგორ გავიცნო ის ბიჭები?“ ასე ვაკეთებდი ხოლმე ყოველთვის: გონებაში რამე საზრუნავს „დავთესავდი“ და მერე სხვა საქმეებს ვაკეთებდი. გონება კი თავისით ფიქრობდა იმ საზრუნავზე და გარკვეული ხნის მერე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას იღებდა; ახლაც, ვსეირნობდი და ამ დროს ჩემი გონება ათას ვარიანტს არჩევდა, ამოწმებდა, იწუნებდა, ხვეწდა. როდესაც დავბრუნდი, ვნახე, რომ მხოლოდ ორი ბიჭი იყო დარჩენილი მთელი შპანიდან: გრძელი, გამხდარი, არარეალურად დიდყბიანი და მისი სრული ანტიპოდი, სმაილიკივით მრგვალი სახით, ტანმორჩილი, ქერა, „როკი IV“-ის ივან დრაგასავით აზღარბებული თმებით. ისინი სკამის უკან, ბალახზე ისხდნენ, ზურგით რაღაც ყუთებზე მიყრდნობილები, ეწეოდნენ და იფურთხებოდნენ. მივედი: «Салют, ребята, я ищу где дурь взять». ისე შემომხედეს, თითქოს რენტგენში გამატარესო, აი, რამდენიმე წამი საათივით რომ გრძელდება, ისე იყო. მერე გრძელმა, არაფერი მითხრა ისე, გახვეული თუთუნი თუ მარიხუანა გამომიწოდა ზანტი მოძრაობით, თან ცალთვალმოჭუტული გამომცდელად მიყურებდა. ეს შემოთავაზება უკვე ნიშნავდა, რომ ათიანში გავარტყი, რომ თვალში მოუვედი, იმ დიდყბიან გრძელს მაინც. მარიხუანა მისდღემში მოწეული არ მქონდა, მაგრამ გავიხსენე, როგორ ეწეოდნენ უნივერსიტეტის ბაღში ძველი ბიჭები და მეც იმათ მანერაზე ორი-სამი ნაპასი დავარტყი და იგივე ზანტი ჟესტით დავუბრუნე. «А сам откуда будешь?» «Тбилиси». «А, грузин что ли? А по русски ведь чешешь». «Чего хочешь, чтоб спасибо за комплимент сказал?» – ვერ გაიგებ, ირონიით, ვერ გაიგებ, აგრესიით, ვუპასუხე მე. მსურდა, რაც შეიძლება მაგარი, მხნე, „ხრატუნა“ ვყოფილიყავი, «Я Вадим», – მითხრა, «Дуду», – ვუპასუხე და გაწვდილ ხელზე ხელი ჩამოვართვი. ამ დროს მან ჩემ უკან რაღაცას შეხედა და სახიდან ის გამომცდელი, დაეჭვებული იერი იმწამსვე გადაებანა; მივიხედე და დავინახე ოდესა; არა, რა ოდესა, უბრალოდ, შადრევანივით ამოსხმული გოგო, მოსხეპილი, ჯინსებში ჩასმული ტანით, ღიაწაბლისფერი, მოლივლივე თმებით; ვარდისფერი, გაბზარულმინიანი MP3 კისერზე ჩამოეკიდა და გაღეღილი, მოქარგული ბლუზკა ეცვა. „ოდესა“ უნებლიეთ იქვე შევარქვი, რადგან, ალბათ, ეს გოგონა ჩემი აქ ჩამომყვანი გაურკვეველი, ბუნდოვანი ოცნების უცაბედ, მოულოდნელ და საბოლოო პასუხად მეჩვენა. შეიძლება, მართალია ჰერაკლიტე და მართლა არსებობს ფაქიზი ცეცხლი, რომელიც მთელ სამყაროს უხილავად მსჭვალავს. „ოდესას“ შემოხედვაზე ამგვარი ცეცხლი შემენთო: „დავიწვი, ვითა აბედი კვესითა“ – ეს მკვდარი ფრაზა უცბად გაცოცხლდა. (აი, რას ვფიქრობ, და ეს უკვე ოდესისაგან და ამ ისტორიისაგან დამოუკიდებლად: ძველი კლასიკოსები, თუ ფილოსოფოსები, ვისი ნაწარმოებები და სიტყვები დღეს მკვდარ და უსულო კენჭებად არის ქცეული ბიბლიოთეკის კარადების თაროებზე, სინამდვილეში ცხოვრების საიდუმლოებების მისტაგოგები არიან და ეს კენჭები მხოლოდ მაშინ ცოცხლდებიან და ათასფრად აბრჭყვიალდებიან, როდესაც თავად აღმქმელი იგრძნობს და შეეხება ნამდვილ ცხოვრებას). «А вот и Ксюша», – თქვა ვადიმ-გრძელომ და წამოდგა. მერე, ის მრგვალსახიანიც ადგა და ნამდვილი სმაილიკივით ღიმილით მოირკალა პირი. «Знакомся, Дуду из Грузии», «Из солнечной, что ли?» – ამოანაკადულა ხმა ქსიუშა-ოდესამ და გამიღიმა, არა თავაზიანად, არამედ ნაღდად, ისე, რომ გულმა ბრაგა-ბრუგი დამიწყო. მოვეწონე. რაღაც მშვიდი სინათლე ჩამიდგა სხეულში ოდესა-ქსიუშას და ასევე ვადიმ-გრძელოს გამო, რადგან ორივესგან სიმპათიას ვგრძნობდი. ერთადერთი ღრუბელი „სმაილიკისგან“ მოდიოდა. მისი გაფანტვაც ვცადე და ვკითხე ისევ იგივე მხნე და „კრუტოი“ ტონით: „А тебя как изволишь величать?“ „Гена“, – ცივად მითხრა, რაღაც ვერ დავეხატე გულზე. «Водку бухнешь?» მკითხა ვადიმმა. «Да они только свою чачу-мочу там хлещут» – დაუფარავი ღვარძლით წამოროშა გენამ. ასეთ შებრუნებას არ ველოდი! მე მართლა დავიძაბე, გორგლად ვიქეცი და დინჯად, მაგრამ ხმაში რაც შეიძლება მეტი მეტალის შერევით ვუთხარი: «А ты уверен, что чача и моча это одно и то же?» ყველანაირი განვითარებისთვის მზად ვიყავი, მაგრამ ამ დროს ვადიმ-გრძელომ განმუხტა მდგომარეობა: მკლავში ხელი ჩამჭიდა და თბილად, ლამის ალერსით მითხრა: «Что напряга то? Спакуха, чувак, это же у нас Генка-Колобок шибанутый такой, кажись из приюта» და გენკა-კალაბოკს ცხვირზე ორი თითი მოუჭირა და აქეთ-იქით მოუტრიალა. მივხვდი, რომ ვადიმ-გრძელო ამ ორს შორის ავტორიტეტი იყო და ახლა ჩემს მაგივრად „იძია შური“ ქვემდგომის უზრდელობისთვის, ასე რომ, ჩემი ჩარევა აღარ გახდა საჭირო. ისე, რას ვიზამდი? შევაგინებდი? ხელს გავარტყამდი? არ ვიცი, მაგრამ რომ შემერჩინა, უკან დამეხია, ალბათ, ოდესაში ველარ დავრჩებოდი. ეს, ასე ვთქვათ, მუცლისმოშლა იქნებოდა, ჩემი ოცნების მუცლისმოშლა.

«А где бухать то?» – ვკითხე? «Есть где, почапали!» ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს: თითქოს პრესტიჟულ უნივერსიტეტში, სადმე ჰარვარდში ან სორბონაში ჩავირიცხე. თან ქსიუშა-ოდესაც ჩვენთან იყო, მისი თვალების შუქი მეც გადამედო და მთელ ოდესას, ყველაფერს – ნაგავს ქუჩის კუთხეში, მოჩხუბარ ბებრუცანებს, მოტანტალე მათხოვარ ბოშა ბავშვებს – ამ შუქში ვხედავდი, ყველაფერი მიყვარდა.

დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება, თანდათანობით მეორე დაბადება. შპანაში ყოფნა და ურთიერთობა ერთგვარი სპორტი იყო: მე ბავშვობაში ჩოგბურთს ვთამაშობდი, საკმაოდ კარგად და მახსოვს ვარჯიშის მკაცრი რეჟიმი. ყოველდღიური ძალისხმევა, დახელოვნების რთული, მაგრამ სასიამოვნო პროცესი. აქაც ასე იყო, ყოველდღე ახალ რამეს ვიგებდი, ახალ სიტყვებს, ახალ გამოთქმებს, შაყირებს, ურთიერთობის ფორმებსა და ნიუანსებს. ვიყავი მუდმივად ფორმაში, დაძაბულობაში, რამე არ წამომცდენოდა ისეთი, რაც იმიჯს დამირღვევდა, ვინმესთან რამე არ შემშლოდა, ვსწავლობდი, როდის ხმა ამეწია, როდის დამეწია, როდის გავჩუმებულიყავი, რაც მთავარია, მიხაროდა: ის შემოქმედებითი მხიარულება, რომელიც ჩამეღვარა პირველ დღეს, ბოლომდე გამყვა. ცხადია, უსაფრთხოს ვერ დაარქმევდი ჩემს შპანაში ყოფნას; ჩემი სტატუსი თავიდანვე მაღალი იყო, რადგან ვადიმ-გრძელომ ძმად მიმიღო და ამ რანგში უნდა გამექაჩა; არაყს რომ ვყლაპავდით, ჭიქის აწევისას ყველას გასაგონად იტყოდა ხოლმე: «Грузин – ეს ჩემი „კლიჩკა“ – мой кореш, не просто так, а кореш с яйцами-мой закадычный кореш!“ – და მთელ ჭიქას ყელში ისე გადაუშვებდა, თითქოს შიგნით მართლა მე ვყავდი. ამიტომ განსაკუთრებით ვფრთხილობდი, მე ხომ ლამის შპიონივით ვიყავი შემოპარული, პირველ ორ თვეს მაინც. ერთხელ, ვადიმმა ზონაში წაგვიყვანა, ხუთნი, თავისი სხვა კორეშის მოსანახულებლად, ოდესიდან, ასე, ნახევარი საათის სავალში. ამ ტიპს, სახელად ჩერგაშს, ერთი გარეწარი შემოაკვდა ჩხუბში და რვა წლით გაისროკა. უკვე მეხუთე წელზე იყო და ზონაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ დავსხედით, მის საკანში ვიღაც ნათელსახიანი პატიმარი შემოვიდა, გამჭვირვალე, ცისფერი თვალებით; მინიმუმ, მევიოლინეს ჰგავდა; ყველაფერში ეტყობოდა, როგორ პატივს სცემდა ჩერგაშს; არ ვიცი, რა მომივიდა, მაგრამ მისმა ბავშვურმა სახემ, უმანკო იერმა დამავიწყა სიფრთხილე და, აი, ასეთი უადგილობები ვუთხარი სრული სერიოზულობით: „თქვენს ზონაში რამდენი ცარიელი, აუთვისებელი მიწა გაქვთ; მოიყვანეთ პამიდვრები, ან კურდღლები მოაშენეთ, რა იქნება?“ ამის თქმა და ცისფერთვალებას ავისმომასწავებელი განაბვა ერთი იყო. ჩამომდგარ სიჩუმეში დაბნეული სახით შეხედა ჩერგაშს, მერე ვადიმ-გრძელოს, რაღაც გაურკვეველი ჩაიბურტყუნა და გავიდა. უხერხული სიჩუმე ვადიმ-გრძელოს სიცილმა დაარღვია: „ნახე, როგორ გადებილებული გავიდა საკნიდან, დააბნია და დააშინე კაციო! ისე, რას ეკაიფებოდი, უბრალო ლოხი ხო მარ გეგონა, იცი ვინ არისო?“ „ვინ მეთქი? „ვინა და, საიუველიროს პატრონის სახლი დააყაჩაღა, თვითონ პატრონი და მისი ცოლი ნაჯახით აკუწა, დანაწევრებული გვამები ჩემოდნებში ჩააწყო, მერე ოდესის პირსზე გაგრიალებული, პირდაპირ მანქანიდან ისროდა იმ ჩემოდნებს ზღვაში. შენ კი, ირიბად აჩმორებდი, ეუბნებოდი „კურდღელი“ და „წითელი ხარო!“ გულში შვებით ამოვისუნთქე, რადგან ვერ მიხვდა ვადიმი, რომ მე სრული სერიოზულობით ველაპარაკებოდი ცისფერთვალებას ზონის ტერიტორიის რაციონალურ გამოყენებაზე, ვადიმის არაზუსტმა ინტერპრეტაციამ კი, სირცხვილს კი არადა, კატასტროფას გადამარჩინა! ასე ვფიქრობდი მაშინ. ამ ინციდენტის მერე, «Грузин»-თან ერთად, ახალი ზედწოდებაც გამიჩნდა შპანაში. „Дудка-тонкий“. ეს იმიტომ, რომ ძირითადად ვდუმდი და მათ ლაპარაკს ვუსმენდი გაგებული, ყველაფრისმცოდნე და გაბეზრებული სახით, და როდესაც იშვიათად ხმას ამოვიღებდი, ჩემს ნათქვამში რაღაც ფარულ მინიშნებას, ირიბად ნათქვამ სიბრძნეს, ან სახიფათო ირონიას ეძებდნენ. ღამღამობით, ყველას უჩუმრად, ინტერნეტ კაფეში შევდიოდი და ინტერნეტში ვსწავლობდი, ვხვეწდი რუსულ ქუჩურ ლექსიკონს, მას შემდეგ, რაც ერთმა ჩვენიანმა მითხრა: „Что ты как Пушкин голосишь, давай на фене бацать!“ – ანუ, ლიტერატურული ენით ნუ მელაპარაკები, ქუჩურზე იბაზრეო. ამავე დროს, ვცდილობდი, ზედმეტად არ

გალერეა

მაია ლაშაური

„5-დღიანი ტკივილი“, 2012, შერეული ტექნიკა.

გამომეყენებინა ახალი სიტყვები, რომ არაბუნებრივი არ გამოსულიყო. თავისით დარეგულირდა ყველაფერი და მალე, ის, რაც მანამდე თამაში მეგონა, ჩემი ნაწილი გახდა: ჩვეულებრივად დალაპარაკებისთვის ძალისხმევა მჭირდებოდა, შპანას ენა კი უკვე ჩემი ენა იყო. ღამღამობით „პეპელა დანის“ ტრიალში ვვარჯიშობდი და ისე დავხელოვნდი, ჩემზე მოქნილად შპანაში ვერავინ ატრიალებდა.

მაგრამ ჩემი იმიჯის გამოკვეთაში ქსიუშა-ოდესა მაინც მთავარი მოქანდაკე იყო. პირველივე დღიდან ჩვენი ხასიათები ერთმანეთს შეეწყო კი არა და შეეტკბო. ბანალური გამოთქმაა: თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდიო, სულის დაკარგული ნატეხი ვიპოვე. მისთვის კი, მე ზღაპრების სამყაროდან მოსული რაინდი ვიყავი – ყველაზე უკეთესი, ყველაზე შარმიანი, ვისი წარმოდგენაც კი შეეძლო: ჩემზე წერდა ლექსებს, სადაც მქმნიდა და მსახავდა ისეთად, რომ თავი ლანცელოტი და ამადის გალელი მეგონა ერთ პერსონაში:

“Потемкинская лестница прет в небо,

На нем матроска, сам душой матрос,

Он флаг с ветром, что синей веет зеброй,

Он `в бурю шли челнок, рубай, брат, тросс!““

მომწონდა, რომ გრამატიკას არღვევდა და «рубай»-ს წერდა. სწორი „руби“-ს ნაცვლად. ამით, თითქოს, ქარის თავისუფალი, თვითნებური ქროლვა შეჰქონდა სტრიქონში. მაღალფარდოვანი, აღტაცებული სიტუტუცეა? მაგრამ ასეთი იყო ქსიუშა სრული სერიოზულობით. მისი ოცნება ჩემზე იყო უხილავი რეალური ძალა, რომელიც მე გარდამქმნიდა და მალამაზებდა: მამყოფებდა მუდმივ პრესინგში, დაჭიმულობაში, რომ საკუთარ თავზე მეტი, უკეთესი ვყოფილიყავი. მასთან ცხოვრება რომ დავიწყე, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სულის აქამდე დაკეტილი შლუზები გამეღო და შიგ ცხოვრება შემოსკდა მთელი თავისი ანგელოზებით და დემონებით. სიცოცხლის ინფექცია მე ოდესაში შემეჭრა.

გადამწყვეტი დღეც დადგა. დღე ან ჩემი დაბადების, ან ჩემი ოცნების მუცლისმოშლის. „სტრელკა“ დაინიშნა სხვა უბნელებთან ოდესის პარკში, სათამაშო ავტომატების უკან. მანამდე ჩხუბში არ ვყოფილვარ. არა, ვტყუი – რამდენჯერმე მოვხვდი თბილისში ჩხუბში, მაგრამ სხვისაში: ვაშველებდი; იქ არ იყო ჩემი გული და აზარტი, არც ჩემი ღირსების საქმე წყდებოდა. აქ კი ჩემი პირადი ამბავი იყო და თან რეალური საფრთხე სიცოცხლისათვის. თუ გარჩევა «добрый базар»-ით არ დასრულდებოდა, მუშტი-კრივი გადაწყვეტდა საქმეს, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ დანა უკლებლივ ყველას ედო და მუშტი-კრივი ყოველთვის შეიძლება გადაზრდილიყო „პონოჟოვშინაში“. ვადიმ-გრძელომ მირჩია, წიგნი ჩაიდე ქამარში მაისურის ქვეშ, ფინთი ტიპები არიანო. მე ვიუარე.

ისინი ათნი იყვნენ, ჩვენ – რვანი. რაზბორკა დიდხანს არ გაგრძელდა. ვადიმ-გრძელომ დემაგოგიის დასრულება არ აცალა და წეპა. ჩემ გარეთ რა ხდებოდა, არ გეტყვით, გეტყვით მხოლოდ, თუ როგორ ვიბადებოდი: ამდენი ხნის მზადებას ამაოდ არ ჩაუვლია; მარტო მე კი არ ვმოქმედებდი, ჩემში მოქმედებდა მთელი ის სულისკვეთება, ის ურთიერთობა და განცდები შპანის მეგობრების მიმართ, მოვალეობის და მიკუთვნებულობის გრძნობები, ჩემი სულის ახალი კუნთები, რომლებსაც წვეთწვეთად ვბერავდი, ვაძლიერებდი ამ თვეების განმავლობაში: ყველაზე მეტად პასუხისმგებლობას ოდესა-ქსიუშას თვალების წინაშე ვგრძნობდი. შიში როგორ არ მოვიდა?! – მოვიდა, როგორც ცივი, დენიანი მეტალის გემო საყლაპავში, მაგრამ არ ვიცი, გმინვით, არ ვიცი, ყვირილით, გავაგდე და სხვებთან ერთად ჩავები თავგანწირვით იმ არეულ ლაწალუწში: გამეტებით, მთელი სიშმაგით ვიქნევდი მუშტებს და წიხლებს. უკვე მხოლოდ იმაზე კი არ ვფიქრობდი, რომ ღირსეულად გამოვსულიყავი და არ შევრცხვენილიყავი, არამედ იმაზე, რომ ვადიმ-გრძელოს დავხმარებოდი, იმაზე, რომ გამარჯვება ჩვენს შპანას დარჩენოდა! ერთადერთხელ მქონდა მანამდე რაღაც მიმსგავსებული გრძნობა, როცა გუდაურში, თორმეტი წლის ბიჭს, არაყი დამალევინეს დიდმა ბიჭებმა და ნასვამი რომ დავეშვი თხილამურებით კუდებიდან, კი არ შევანელე სვლა, როგორც ყოველთვის მანამდე, არამედ მაქსიმუმი ავკრიფე და დუჟმორეულს კიდევ მეტი და მეტი მინდოდა. მაგრამ ეს რა შედარებაა იმასთან, რასაც ოდესის პარკში განვიცდიდი! მე დავიბადე, ვცოცხლობდი, აღარ ვიწვოდი რკინის ხარში, ყვირილით გამოვძვერი მისი მუცლიდან. აღარ მეშინოდა სიკვდილის – უფრო სწორად, მეტად მეშინოდა სირცხვილის და იმის, რომ არ დამეკარგა ჩემი ნალოლიავები იმიჯი – მასში ხომ ახალი ცხოვრების ნაკადი სისხლივით მდიოდა.

ოდესა, როგორც ყველა ოდისეა უნდა დასრულებულიყო. წამოსვლისას, მოწყენილ პორტში, ჟანგიანი გემებითა და მაზუთის მძიმე სუნით, მაცილებდა ნოემბრის ბაცი ნისლი და ოდესა-ქსიუშას ცრემლები. რატომ არ შეიძლება ადამიანებმა ერთმანეთი შეჭამონ, რომ მერე განუყრელად ერთად, გაერთმანეთებულად იყვნენ? – მე მსურდა, ასე, ჩემში მყოლოდა ეს გოგო. მისი ბოლო ლექსი ასე მთავრდებოდა:

«Как памятнику гордой Катерины,

Корабль, гудя навзрыд: «ду ду, ду ду»

Прощалный гнет поклон, штормов детина,

Прощался так с Одессою Дуду!»

ვადიმ-გრძელომ „მკერდი მკერდს შემაჭედა“ და გულში ჩამიკრა: «Ну, бывай, кореш». მერე უცებ თვალი თვალში, რასაც ჰქვია, გამიყარა და მითხრა: «А я ведь знал, что тогда, в первый раз с Колобком, ты только прикидывался крутым». ისეთი შებერტყილობა, სიბრძნე და, ამავე დროს, ღიმილიანი სითბო უღვიოდა თვალებში, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემგან უარყოფას, ან გათამაშებულ აღშფოთებას. საიდან ასეთი აზრი მეთქი? – ვკითხე. «Да ты, блин, чуть не задохнулся при первой же затяжке той бурды».

Stelzen Haus

SH

ბავარიული სასტელი

The old Bavarian beer Weihenstephan in the world. Pork knuckles spare ribs and other delicious dishes from a German chef.

მსოფლიოში უძველესი ბავარიული ლუდი ვაინშტეფანი. კანჭი, ნეკნი და სხვა უგემრიელესი კერძები გერმანელი შეფმზარეულისგან.

ერეკლე II-ს 8/10

8/10, Erekle II

ია ჯინჭარაძე
პოეტი

სიხარული და სევდა დაუსრულებლად ენაცვლებიან ერთმანეთს – ადამიანებს ეს ბედისწერა გვაერთიანებს; განწირულები ვართ მათი მოკვდავი ბუნებისთვის. ასე ხდება – საგნები, ადამიანები ქრებიან და მათთან ერთად – ჩვენი ემოციური მიმართებებიც. სწორედ სიცოცხლის წარმავალი ბუნების სრული გაცნობიერებით იბადება ის უკიდურესი სასოწარკვეთა, რომელსაც ია ჯინჭარაძის მითო-პოეტური სამყარო ასახავს. მისი პოეზია უპირველესად ავტორისეულ მსოფლგანცდას გადმოსცემს, – სიკვდილის შიშის დასაძლევად მომართულ თვითთერაპიას ემსგავსება. როგორ შეიძლება დაუპირისპირდე წარმავლობას?! – იქნებ, უარყო გარემო, როგორც ანგარების წყარო და საკუთარ თავთან განმარტოვდე:

ჩვენი არ ყოფნით არაფერი არ შეიცვლება...
საკუთარ თავში, ვით ჭაობში უფრო ვეფლობი...
და ვეძებ, ვეძებ არა კლდეს და კლდეზე კიდობანს,
არა უდაბნოს ოაზისით, ლალს და იაგუნდს,
უბრალო სოროს, სად შევალ და მოვიკუნტები.

იას პოეზია ექსპრესიულია. მის ლექსებში სახეები ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, მათ შორის მხატვრული ლოგიკის გამოძებნა შეიძლება გაჭირდეს, თუმცა არცერთი მათგანი ლექსის ემოციურ მნიშვნელობას არ სცილდება. მათვე აერთიანებს ლექსის ხშირად ცვალებადი და კარგად გამოკვეთილი რიტმი, რაც თავისუფალი ფორმისთვის ბუნებრივია. მისი პოეზია გამოირჩევა ევფონიური კუთხითაც; კეთილხმოვანება შიდა მარტივი რითმებითა და სიტყვების ბგერით შემადგენელთა მსგავსებაზე აქცენტით მიიღწევა.

ია ჯინჭარაძე 1973 წელს დაიბადა. პროფესიით არის ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე. ამჟამად ცხოვრობს იტალიაში, ვერონას მახლობლად, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „აბორგებული აბორიგენი“ და „ცა ცვალებადობს“. ჰქონდა რამდენიმე პუბლიკაცია ქართულ პერიოდიკაში. ლექსებს აქვეყნებს ინტერნეტშიც.

ნიოგე

ზღვაო, ეს ტალღები – ალმასები,
ხედავ, კლდეებთან რომ იმსხვრევიან,
ხედავ , ზეცის ხვრელებს ამოვსებულს,
ჩემი ქვადქცეული სურვილებით?
როგორ კაშკაშებენ, ზღვაო.
გატყდეს ჩემი მზერის ფაიფური,
ნიჭი ქალღმერთების – შურისგება,
გდევნის ნადირივით, ადვილია
მოკვდე, ვერასოდეს დაუსხლტები,
სიტყვა – ისარია, შხამი.

ახლა სიკვდილივით ეული ვარ,
ვტირი დამსხვრეულებს ღმერთებივით -
ჩემი დაუცველი რწმენა.
მზე კი ცის ოთახში მომწყვდეული
და მზე მოწამლული წყვდიადისგან,
თავზე დამტრიალებს, მაღვრის
სხივებს, ცეცხლი მისი სხეულია,
ჩემი სხეულია ცეცხლი.
ვიდრე ალმასები ავსულებად,
ვიდრე შენი ფსკერი ჩემს თვალებში,
ვიდრე ავსულების ასეული
შემომესევა და დამღლის.
ზღვაო, შენ მიმღერე იავნანა,
ჩემი მძიმე სული ნიავივით
გახდეს, დამაძინე ზღვაო.

ტროა

ზოგჯერ ღმერთია ჩემი ღმერთი, გაფრენა ბუზის
არ ეპარება, მდინარეა – მიედინება,
დედაჩემია კუზიანი, სართავს რომ უზის
და მირთავს შორ გზას და ამ გზაზე გზაჯვარედინებს.

როგორც ითაკის თაკარა მზეს დაღლილი ცოლი,
ზღვას გავყურებდე და ტალღების ვქსოვდე სუდარას.
ათასი მცველი ჩემს სურვილებს, ათასი მცველი,
გახმეს მუცელი უნაყოფო, დარდმა მომცელოს.

ქვიტკირი იყოს შენი ტანი, ანდა პიტალო,
აიტანს ყველა შემოტევას, თუნდაც ეულად
იდგე, ბიძგი კი შინაგანი, უწყალოდ დაგშლის,
წყეული არის შენი ბაგე და შენც გრძნეულო
დაწყევლილი ხარ. ეს ქალაქი გაჩანაგდება.

გავს ეს ხმაური – გაღვიძებულ ვულკანის ყვავილს,
სიზმარს რომ ყვება და ცეცხლს ყვება, ექსტაზით გავსებს,
ვით პალიმფსესტზე ძველი ტექსტი, იშლება ხალხი
და ეწვის მიწას თხელი კანი და მიწა კვდება.

შენ სხვა მგზავრი ხარ, დაისვენე, მოითქვი სული,
თქვი – სული რაა, საკენკია ჩიტების, გიკვირს
ცრუ სიზმრის ბოლო და ცა გიკვირს და ცისკენ ბოლი,
მტვერი კი ფარავს ცხადს და სიზმარს და იმტვერება.

* * *

ზღვამ შეიფარა
ლურჯთვალება მეზღვაურები

ეს კლდე ფრიალო არ ყოფილა.
ფიალის ფსკერზე
შერჩენილი შხამის წვეთები...
გზა, როგორც ლენტი გადაჭრილი.
აქ უნდა შედგე.
ნუ გააღვიძებ მდინარეებს, ადიდდებიან
და წაიღებენ ჩემი სიზმრის ადამიანებს.
ნუ გააღვიძებ ქარს,
ქარივით მომაკვდავ სიკვდილს,
მღვრიე ზვირთების ლაბირინთში
მომწყვდეულ ხელებს,
კუნძულებივით რომ გადაშლის
ზღვა მარტოხელა
და რიფებს შორის
გულგრილად რომ ამოახველებს.
როცა სიცივე
ელდასავით დაგივლის, შენი
ურჩი სხეულიც ტალღა არის
მსხვრევადი, ლურჯი,
ცას უნაპრალოს,
ვარსკვლავების პლანტაციები
შვენის და სულის სასრულობას
წამით იჯერებ.
გადაიკითხე ზღვების ფსკერი,
ზღვების ანბანი,
თავ-გზას ვით ურევს მეზღვაურებს,
აუარებელ მარჯანს პირდება
და მარგალიტს და ქალთევზებიც
ტირიან, ანუ ცრუ ცრემლებით
თვალებს იბანენ.
ამ უკაცრიელ, უკაცრიელ უდაბნოებში,
ამ ყვირილისგან
დაყრუებულ მიწაყრილებზე,
ისე მიყვარდე,
ამოვკაწრო შენი სახელი,
ისე მიყვარდე,
არ გამიძლოს გულმა, მოგხედო.

მისანი

უნდა იცოდე,
ამ წლების და სიმშვიდის მილმა,
არსებობს დიდი ღამეები,
სინათლე შორი,
შუქი ადგებათ სახეზე და ილიმებიან,
სად გადის ზღვარი
სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის,
უნდა იცოდე,
მზე ხელმრუდე და ქარი ქვენა,
ბადესავით შლი, სილაზე წერ,
კარგავ და ეძებ,
როგორც დაღლილი მოგზაური
გზას და ძვირფას ქვებს
და როგორც ღრუბლის ცივ სამალავს,
მთვარე – მგლის კერძი.
უნდა იცოდე,
სიყვარული აუარესებს
მას, ვინც სიყვარულს შეურია
სიცრუის სილა,
უნდა იცოდე,
ზღვა სულია მეზღვაურისა,
ნაპირზე თუკი გაირიყა,
დაშრება სული.

თუ ქარიშხალმა გაილვიძა
შენს ხმაში, უნდა
ისმინო მისი სიმღერა
და მათაც ასმინო,
ვისი გონებაც დახშულია
ქარიშხლის მიმართ.
ვინც დაჭრილია
და ტკივილი უსერავს სახეს
და სახვევივით მოიცილოს
სხეული ცდილობს,
ვის უკვდავება გახდომია
უბრალო მახედ,
სადაც მხეცივით გამომწყვდეულს
სურს დავიწყება.
ის, ვინც დილიდან ელოდება
მეორე დილას,
ის, ვინც ჩვილივით უძლურია
სუნთქავს და წვალობს,
ვისაც სიცოცხლე ისე უნდა,
ისე, რომ ყვირის –
იდინე სისხლო და სულივით
იდინე წყალო.

ლიტერატურული პაბი, ანუ LIBRI VIVI

Librivivi.ge – , ლიტერატურული ვებ-პორტალი, რომელიც, მკითხველს „ცოცხალ წიგნებს“ სთავაზობს. აქ იტვირთება მხოლოდ ის ტექსტები, რომელიც ჯერ კიდევ წერის სტადიაშია, ანდა, რომელსაც ჯერ ჩამოყალიბებული ფაბულაც არ აქვს. მკითხველს საშუალება ეძლევა ონლაინ-რეჟიმში დააკვირდეს, როგორ წერს მისი საყვარელი მწერალი მოთხრობას, ან, სულაც – რომანს და რაც მთავარია, თვითონაც ჩაერთოს ამ პროცესში ავტორს.

კომენტარები და შენიშვნები მისწეროს და დაუსრულებელ მხატვრულ ტექსტში, მოვლენათა განვითარება მანამ განსაზღვროს, ვიდრე მწერალი ფინალს დაწერს.

ვებპორტალის შექმნის იდეა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გიგი თევზაძეს გაუჩნდა. ის, ამ მისამართს – Librivivi.ge ხედავს როგორც ლიტერატურულ პაბს ონლაინ სივრცეში, სადაც მკითხველს მწერლებთან ერთად „ჩამოჯდომა“ და მათთან საუბრის გაბმა შეეძლება.

უახლესი ტექნოლოგიები და სწრაფად განვითარებადი ინტერნეტ-კომუნიკაციები ამ პორტალისთვის ინსპირაცია და მთავარი საყრდენია: პროექტი librivivi.ge მკითხველთან კომუნიკაციისთვის მხოლოდ ინტერნეტს ეყრდნობა, მწერლებს კი, მხატვრული შთაგონებისთვის, სრულიად უნიკალურ ონლაინ-გარემოს სთავაზობს – არნახულად ინტერაქციულს და, ამავე დროს, ინტიმურს.

librivivi.ge მარტის პირველი რიცხვებიდან ამუშავდა. ონლაინ-პაბის პირველ სტუმრებს, იქ, შვიდი ქართველი მწერალი და დაწყების თუ დამუშავების ფაზაში მყოფი ტექსტები დახვდათ.

ზაზა ბურჭულაძე და ზურა ჯიშკარიანი ტანდემში მუშაობენ. მათ ერთობლივ მხატვრულ მონახაზში მოქმედება „პატარა, ჟანგიან ჭიათურაში“ ხდება, სადაც „ციდან ასტრონავტი ჩამოვარდა“, – „მკვდარი ასტრონავტი, დამტვრეული სკაფანდრით, ბავშვების სათამაშო სკვერთან“. ვებგვერდის ერთ-ერთ პირველ სტუმარს, ეს იდეა უკვე მოსწონებია და იქვე, ტექსტის ბოლოს, ავტორებს სთხოვს კიდეც – მაგარია, გააგრძელეთო.

მკითხველის კომენტარები უკვე ელოდება აკა მორჩილაძესაც. ავტორი, რომელიც ისედაც ბევრს წერს, ონლაინ-რეჟიმშიც მუყაითად მუშაობს და ამჯერად, ამუშავებს მხატვრულ ტექსტს, სათაურით – „ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში“, რომელიც სკოლაში, სულ ცოტა, 100-ჯერ დაწერილ თემას გაგახსენებთ.

მკითხველს იმედს არც ლაშა ბუღაძე გაუცრუებს, რომელიც ვირტუალურ სივრცეში ერთდროულად წერს პიესასაც, სათაურით – „ცივი ჩაი“ და რომანსაც – „თემიკო მამაცაშვილის დღიური“. ანა კორძაია-სამადაშვილი იმ ამბებსა და ადამიანებზე გიამბობთ, რომელთაც ერთ დროს მისთვის დიდი სიხარული მოჰქონდათ. პაბში დაგხვდებათ ანინა ტეფნაძეც, რომელიც საიტის ადმინისტრატორობას ითავსებს და პარალელურად, ონლაინ წერს იმ საშუალო სტატისტიკურ ქართველ ბიჭზე, რომლის უღიმღამო ცხოვრებაც მოულოდნელად იცვლება, მიზეზი კი, დაბადების დღეზე საჩუქრად მიღებული ქალთევზაა...

ამ ტექსტებისთვის თვალის გადავლებისას მივხვდი, რომ librivivi.ge-ზე ონლაინ-ლიტერატურის შექმნა, არა – მარტივად, ახალი ტექნოლოგიებით შთაგონებული ექსპერიმენტი, არამედ ლიტერატურული ავანტიურაცაა. მკითხველის წინაშე შენი ნედლი მასალით, გრამატიკულ-სტილისტური შეცდომებით, თუ ჩამოუყალიბებელი იდეებით გაშიშვლებას, მწერლისგან, სულ ცოტა, გაბედულება სჭირდება. მწერალი, იმაზე დათანხმებით, რომ დაწერს მხატვრულ ტექსტს ონლაინ, მკითხველის ჩარევით – მიდის რისკზე, რომელსაც თავისი ჯილდოც აქვს: წერს ახალ ნაწარმოებს, ზრდის გარანტირებულ მკითხველთა რაოდენობას და, რაც მთავარია, ეძლევა საშუალება, თავისი შემოქმედების პოპულარობა ისევე გაზომოს, როგორც ახალი საუკუნის მწერლებს – ბლოგერებს შეუძლიათ.

თუმცა, ეს პროექტი ბუნებრივად აჩენს კითხვებსაც:

რამდენად ხარისხიანი იქნება ლიტერატურა, რომელიც ქართველი ავტორებისთვის უჩვეულო გარემოში იწერება, თან მკითხველის ჩარევით?

პროექტში მონაწილე მწერლები, მხატვრული ტექსტის ონლაინ წერას თავისუფალ შემოქმედებით პროცესად აღიქვამენ, თუ ვალდებულებად?

საზოგადოებაში, რომელიც პასიურობით გამოირჩევა, რამდენად მოიძებნებიან მკითხველები, რომლებიც ამ ლიტერატურულ ექსპერიმენტში ჩაებმებიან და მეტიც, ამაში ფულს გადაიხდიან?

Librivivi.ge-ზე წიგნის დაწერა გიგი თევზაძემ ისეთ მწერლებს შესთავაზა, რომელთაც იოლად დაითანხმებდა. ავტორების აყოლიება იმითაც შეძლო, რომ არამხოლოდ თემისა და ფორმის არჩევაში, არამედ წერის ინტენსივობაშიც კი, მათ სრული თავისუფლება მისცა.

თუმცა, მწერლები კიდევ ერთი რამით დააინტერესა – მერე რა, რომ ტექსტები ჯერ დაუწერელია და არც რომელიმე გამომცემლობას დაუდია პირობა, რომ წიგნად გამოსცემს, ავტორი librivivi.ge-დან ჰონორარს მაინც მიიღებს – ზუსტად იმის ნახევარს, რასაც მისი ტექსტის წასაკითხად, პორტალზე შესული მკითხველები გადაიხდიან.

19 მარტიდან librivivi.ge-ს მომსახურება ფასიანია. კონტრაქტებს მკითხველი საყვარელ ავტორს 3, 6 და 12-თვით უფორმებს, შესაბამისად, 5, 7 ან 10 ლარს იხდის. ვთქვათ, 10 ლარის გადახდის შემდეგ, მკითხველი ზემოთ ხსენებული მწერლებიდან აირჩევს ერთ-ერთს, „გამოიწერს“ მის ტექსტს და შემდეგ, ამ ფასად, მთელი წლის განმავლობაში, საყვარელ ავტორთან ერთად დაწერს ნაწარმოებს. რაც მეტი გამომწერი ეყოლება მწერალს, მით უფრო გაიზრდება მისი შემოსავალი და ყველაზე უხეში გათვლებითაც კი, სავარაუდოდ, გადააჭარბებს იმ თანხას, რასაც გამომცემლობა ყოველი გაყიდული წიგნისთვის უხდის მწერალს.

გიგი თევზაძე ამბობს, რომ Librivivi.ge-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი ლიტერატურის განვითარებაა. ამ პროცესს კი შესაძლოა, ონლაინ-პროექტმა მართლაც შეუწყოს ხელი, განსაკუთრებით კი, იმ მწირი ბიუჯეტის ფონზე, რასაც სახელმწიფო ლიტერატურის განვითარებისთვის გამოყოფს და იმ გამომცემლობების სიმცირის ფონზეც, რომლებიც მაღალხარისხიანი წიგნების გამოცემას ახერხებენ. წარმატების შემთხვევაში, librivivi.ge შესაძლოა, მართლაც იქცეს იმ თითქმის ერთადერთ ადგილად, სადაც მწერალი მაღალ, სტაბილურ შემოსავალს სწორედ იმ საქმისთვის მიიღებს, რაც ყველაზე მეტად უყვარს.

გიგი თევზაძის თქმით, Librivivi.ge-ზე წერა ზემოთ ხსენებული მწერლების გარდა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვისაც პორტალის ტექნიკური მხარე არ დააბნევს. მათ ბედს კი, საიტზე მკითხველთა რაოდენობა და ამის მიხედვით შედგენილი რეიტინგი გადაწყვეტს.

ერთი თვე ძალიან მოკლე დროა დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა, ფაქტია librivivi.ge-ს შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოსამჟღავნებლად, პირველ რიგში, მკითხველთა აქტიურობაა საჭირო.

პროექტის დაწყებიდან 3 კვირაში საიტზე უკვე 500-ზე მეტი მკითხველია დარეგისტრირებული, რაც დასაწყისისთვის კარგი მაჩვენებლია, მაგრამ მას შემდეგ, რაც მკითხველთა უპასუხოდ დარჩენილ კომენტარებს გადავავლე თვალი, მივხვდი, რომ librivivi.ge-ზე, ჯერჯერობით, ნამდვილი დიალოგი მკითხველსა და მწერალს შორის არ შემდგარა.

ამიტომ, როგორც ამ საინტერესო პროექტის გულშემატკივრებმა, მოვუწოდოთ მწერლებს მკითხველთან მეტი ინტერაქცია, მკითხველს კი – მეტი აქტიურობა, რათა ექსპერიმენტში ჩართული ავტორები დაარწმუნონ, რომ ამ ვებპორტალზე შესაძლოა, მართლა შეიქმნას ღირებული მხატვრული ტექსტები – „ცოცხალი წიგნები“, რომელთაც მკითხველი ერთდროულად დაწერს და წაიკითხავს.

მაშო სამადაშვილი

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი

სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა. ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

ორი მთვარის ამბავი

ორი მთვარის ამბავი
ავტორი: ბექა ქურხული
გამომცემლობა: „სიესტა“, 2011

„ეშმაკი ელაპარაკებოდა, უხსენებდა მთელი საგვარეულოს ცოდვებს, რაც იცოდა და არ იცოდა. თქვენს ეზოში, სადაც ორი კაკლის ხე ტიკაურის ხევს გადაჰყურებს, ორასი წლის წინ სამი კაცი მოკლეს და იქვე ჩამარხეს შენებმა, მას შემდეგ ეგ ადგილი დაწყევლილიაო... შენო, შენ, შენი დიდი პაპები, მამაშენი, მთელი თქვენი მოდგმა და ჯიში, ყველანი დაწყევლილები და ცოდვის შვილები ხართ, რუსიანში საყდრის ჯვარი თქვენ ჩამოხსენით სანაძლეოზე, სასტიკები, ცოდვიანები და მრუშები ხართ, თქვენგან გამწარებული ხალხის წყევლით ვერასოდეს გაიხარებთ, წყეულები ხართ და შენ ამათში ყველაზე უარესიო... ბოდიში მომიხადე, ბოდიში მომიხადე, ბოდიში მომიხადეო!...სანთელი იქვე ბჟუტავდა, ერთი წუთიც ვეღარ გაძლებდა, ვერაფრით გადაიწერა პირჯვარი, მარცხენა ხელიც წყდებოდა. მარცხენა მხარი უკვე გაუბუჟდა. ბოდიში მომიხადეო!“

როგორც კაცობრიობის ბედია უწყვეტი ადამისა და ევას შემდეგ, სწორედ ასევე, უწყვეტია თითოეული გვარის ბედი. არსებობს ეს ოხერი მემკვიდრეობა და საგვარეულო ცოდვები, რომლებიც თაობიდან თაობაზე გადადის და ძილშიც დაფეთებულს გახტუნებს, რომელსაც დარდობ და გღლის, და მერე ეს „დაღლილობა გღლის“, მით უფრო, თუ ალის შთამომავალი ხარ.

„იმ ღამეს მჭიდროდ დაგმანული კარის იქით დანთებულ კერიასთან მიმსხდარი სოფლელები მერამდენედა ჰყვებოდნენ ძველისძველ ამბავს: ადრე, სულ ადრე, ეს სოფელი მაშინ დაარსებულიც არ იყო, მაგათი გვარის თავი კაცი დაეჭირა ალს, მაგრამ ვერ დაემორჩილებინა, დაფეხმძიმებულიყო, იქვე გაუჩინა ბავშვი და თვითონ მომკვდარიყო. ალის წერა ეგრეა... მშობიარობის ცოდვას ხომ მარტო ადამიანი და ნადირი უძლებს. ჰოდა, იმ კაცს აეყვანა ბავშვი, წამოსულიყო და აქვე დასახლებულიყო. იმ ბავშვის შთამომავლები არიან ეგ მთავრიანები..“.

მას შემდეგ, ალის შთამომავლები სულ იმ ტბას უტრიალებენ, შავ-ლაქებიანს, რომელსაც თავზე „გათოშილი მთვარე“ ადგას და მგლები დაჰყმუიან, „ყვითელი, ტყვიასავით ცივი, ცარიელი თვალებით“. ბრუნდებიან ტბასთან, თავჩაღუნულები, რომ პატიება სთხოვონ და წყევლა აიხსნან, მაგრამ ალი არ პატიობთ, არ ენახვებათ. და ამიტომ, ოთხ ოჯახზე მეტი ვერ იკიდებს ამ წუთისოფელში ფეხს და იქაც, 50 წლამდე ვერ მიტანებულ ძმებს მარხავენ. დადიან და დათარეშობენ, სხვადასხვა მხარეს, გიჟები და წერას ატანილები... და წელიწადში ერთხელ თუ მოიყრიან თავს, საგვარეულო საყდარში.

აღარც სახლ-კარი რჩებათ, სადაც „გაბზარული კედლიდან მშობლიური ქვების სითბო და სუნი ატანს“ და სადაც ყველაზე საიმედო თავშესაფარია.

ეს ბექა ქურხულის სამყაროა, მისი გვარის ისტორია, მისი სახლი, თავის ალებით, ლეგენდებით, მგლებით, ეშმაკებით, ალექსანდრე პაპათი და ისიდორე მღვდლით, დარდითა და სიცოცხლის ჟინით, გოგოებითა და გიჟი ბიჭებით, რომლებიც დანის წვერზე ცხოვრობენ, იმიტომ, რომ არ იციან, სად გადის ზღვარი... და იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ იცხოვრებენ, მუცელზე ვერ იხოხებენ, ამისათვის მეტისმეტად მაღლები არიან და მეტისმეტად კარგად იციან გზის ფასი.

იციან და ტოვებენ ნაკვალევს.

ასეთივე ნაკვალევს ტოვებს „ორი მთვარის ამბავი“, პატარა რომანი, რომელიც ცხოვრებასავით არეული და ნამდვილია და ისეთივე იშვიათი, როგორც ნამდვილი სიხარული.

ალაგ-ალაგ გეზედმეტება კიდეც კონკრეტული პერსონაჟები, ან კონკრეტული ურბანული გარემო, ვერ ხვდები, რით არის საინტერესო ბიჭის მარად მომლოდინე ლენკა ან 90-იანი წლების დისკოთეკიდან გამოყოლილი ხმაური, ან „ჰარამხანები“ ემირატებში, მაგრამ სიუჟეტი უმნიშვნელო ხდება ტექსტში უხვად მიმოფანტული ბევრი ძალიან მაგარი პასაჟის გამო. ეს ის ადგილებია, სადაც აზრისა და შეგრძნებების დიაპაზონი ჩანს და ოთარ ჭილაძის ლიტერატურული ასოციაციები გახსენდება. ოღონდ ბექასთან ეს ასოციაციები უფრო ლაკონურია, ისევე, როგორც ჰემინგუეისთან.

მაგალითად: „როგორც ორმოში ჩავარდე. მერე მაღლა აიხედავ, მიხვდები და საბოლოოდ განთავისუფლებული, არხეინად მიაყრდნობ ზურგს ფესვებგამოჩრილ შავ მიწას. მშვიდად შეხედავ შენს მოპირდაპირედ აზიდულ შემობრუნებული სარკესავით შავ სიბნელეს. მერე მაინც იწყებ ამოსვლას და ამოხვალ... მაგრამ ყველაზე კარგად სწორედ ამოსული გრძნობ, რომ ერთხელაც იქნება და ვეღარ ამოაღწევ. ვერასოდეს... მაგრამ მანამდე დიდი გზაა, მაგ დღემდე. მანამდე ზიხარ ხოშიანად ზურგმიყრდნობილი და ხერხემალთან გრძნობ

შავ მიწაში გამოჩრილ, გადაჭრილ ფესვს“.

ეს ავტორის პირველი რომანია და მისი საერთო ქსოვილი თითქოს ცოტა ფრაგმენტულია. ყველაფერი ყოველთვის თავიდან იწყება და ეს ციკლი, ეს უწყვეტი მარადიულობა, მაინც კრავს ტექსტის ძარღვს, მაგრამ ვინც „ორი მთვარის ამბით“ მოიხიბლება, ვფიქრობ, ბექა ქურხულის ახალ რომანს უნდა დაელოდოს, სადაც სიუჟეტი და ლიტერატურა უფრო ორგანულად გაერთიანდება და უფრო ლაღად გაშლის ფრთებს.

დასაძლევია დროც – ბექას თაობის მწერლებს სულ საყვედურობენ, 90-იანი წლებიდან ვერ გამოხვედით, დროში დარჩითო. ვფიქრობ, ნიჭიერ მწერალს შეუძლია დრო პირობითობად აქციოს, დამარცხება – გამარჯვებად, და არსად არ დარჩეს, მათ შორის, არც საკუთარ სახლსა თუ მარცხში.

წიგნში შესულია 2010 წლის ჩანაწერებიც და ორი მოთხრობაც, მათ შორის „აჭარელი“, რომელიც ერთი წლის წინ „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურულ დამატებაშიც დაიბეჭდა. ეს მოთხრობა ერთდროულად ფანტასტიკური პუბლიცისტიკაცაა და კარგი ლიტერატურაც და იმდენად ბევრს ამბობს ამ ქვეყანაზე, რომ ვგონებ, სათარგმნიცაა. ისევე, როგორც სათარგმნია კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“.

„რწმენის გარეშე ბრძოლაში გამარჯვება არ იქნება. მუსულმანებს თუ დაგვიძახებენ და გაგვიშობენ, რაფრათ არ წავალთ... ომი რწმენით და ღმერთით უნდა, თვარა, ისე არ გამოვა ააფერი ისევლე დამარცხების, სირცხვილისა და უბედურების მეტი და შენ გეტყვი ეგერ, საშიშ და სახიფათო გზაზე დადიხარ ძალიან ნამეტანი და დაანებე ამ გზაზე სიარულს თავი, თვარა ურწმუნოდ დადიხარ და ურწმუნო სიკვდილს რომ შეეყარო, ცოდვა ხარ. ჯოჯოხეთი გელის იცოდე და ჰოი, რა საშინელი სამყოფელია, ერთი დღე ორმოცდაათი ათასი წელი გრძელდება იქ...

არაფერი, როგორც ჩანს, ამქვეყნად, მართლა არაფერი იცვლება, არც დრო. ვიდექით შუაღამისას სადღაც დუისში ჟღალწვერიანი ჩეჩნებით გარშემორტყმული ორი ქართველი, ერთმანეთში ვდაობდით და ერთ-ერთი ჩვენგანი აშკარად ცდებოდა“.

რომელი, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

„არავინ არაფერი იცის“, – გაიფიქრა. ჰკითხავ ვინმეს რა ვქნაო და რამე სისულელეს გეტყვის – მაგალითად, ოთხშაბათს და პარასკევს ყველი არ უნდა ჭამო და მაწონი არ უნდა დალიო და მამენტ ადამიანისთვის, თან შენი ძმაკაცისთვის, სროლა არ შეიძლება.

კნუტებს კიდევ ვერ ჰკითხავ.

ვერც გოგას.

საკუთარ თავს საერთოდ.

სამაგიეროდ, შეგიძლია ესროლო“.

შორენა შავერდაშვილი

ნიკო გომელაური – ორტომეული
რედაქტორი: თეა თვალავაძე
ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2011
ფასი: 20 ლარი
ნიკო გომელაურის ლექსების, თარგმანების, პირადი ჩანაწერების და პროზაული ნაწარმოებების სრული კრებული. უკვე არსებული წიგნების შევსებულ და რედაქტირებულ გამოცემაში პირველად იბეჭდება ნიკო გომელაურის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი კოტე ყუბანეიშვილის თერთმეტი ლექსი. ორტომეულს თან ერთვის პოეტის პირადი ფოტოები.



გასაღვიძებელი ზღაპრები
თეა თოფურია
ილუსტრაცია: ია გოგოლაშვილი
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი: 2011
ფასი: 11.90 ლარი
„ეს ზღაპრები იმათთვისაა, ვისაც ძილი უყვარს და ამის გამო სკოლაში აგვიანდება. იკითხება დილაუთენია, ხმამაღლა და მკაფიოდ“ – ასე იწყება თეა თოფურიას ზღაპრების ახალი წიგნი, რომელიც სკოლამდელი და მცირე სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

პინოკიო
კარლო კოლოდი
მთარგმნელი: ციცო ხოცუაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 29 ლარი
შესანიშნავი ილუსტრაციებითა და სასიამოვნო მელოდიებით გაფორმებული სამგანზომილებიანი, ხმოვანი წიგნი ხის თოჯინა პინოკიოსა და მისი მამის, დურგალი ჯეპეტოს ამბავს მოგვითხრობს. ამ წიგნში ბავშვებს ცელქ, ონავარ პინოკიოსთან ერთად თავგადასავლებით აღსავსე და ხიფათიანი მოგზაურობა ელით.

ლურჯი ყვავილები
რემონ კენო
მთარგმნელი: მაია ქაცაბაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 9.90 ლარი
სიდროლენს სამი ქალიშვილი ჰყავს; ჰერცოგ დ'ოჟსაც... სიდროლენს ცოლი დიდი ხანია, გარდაეცვალა, ჰერცოგ დ'ოჟსაც... სიდროლენს უყვარს გემრიელი სადილი და კამის ნაყენი, ჰერცოგ დ'ოჟსაც... სიდროლენს უყვარს ძილი, ჰერცოგ დ'ოჟსაც... სიდროლენს ესიზმრება, რომ ოჟის ჰერცოგია, ჰერცოგს ესიზმრება, რომ...
იქნებ სიდროლენია ჰერცოგი დ'ოჟი? თუ პირიქით – ჰერცოგია სიდროლენი? და საერთოდ, რა შუაშია ლურჯი ყვავილები?

ავსტრიული მოთხრობები
მთარგმნელი: თემურ ხანთაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 14.90 ლარი
წიგნში შესულია არტურ შნიცლერის, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის, რაინერ მარია რილკეს, ფრანც კაფკასა და რობერტ მუზილის მოთხრობები.

სინაღდე სიყალბისა
ზურაბ ლეჟავა
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2012

FM
ცნობი
98.0

ფასი: 6.90 ლარი
ზურაბ ლეჟავას მოთხრობების ახალ კრებულში "სინაღდე სიყალბისა" ხუთი ახალი მოთხრობა შევიდა. ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მოთხრობებს ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს – სინაღდე სიყალბისა. მათში იმდენადაა დარღვეული ზღვარი რეალურსა და მწერლის გამონაგონს შორის, რომ ძნელი მისახვედრი ხდება, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.



კავკასიური ნოველები
გრიგოლ რობაქიძე
მთარგმნელი: ნანა კოტრიკაძე
გამომცემლობა: არტანუჯი
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 6 ლარი
გრიგოლ რობაქიძის „კავკასიური ნოველები"(სამი ნოველა) ორჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე – 1932 წელს გამომცემლობა „ინზელის", ხოლო 1979 წელს – გამომცემლობა „ზურკამპის" მიერ. ეს წიგნი მწერლის სამშობლოში არ დაუბეჭდავთ, მაგრამ ქართველი მკითხველი მათ ემიგრანტულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში" ეცნობოდა. ორი ნოველა – „ენგადი" და „იმამ შამილ" მოგვიანებით, ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა და მკვლევართა, გამომცემელთა და, რაც მთავარია, მკითხველთა დიდი ინტერესი დაიმსახურა.
ამ გამოცემაში შესული კიდევ ერთი ნოველა „წმინდა ხარის მოკვლა" დღემდე უცნობი იყო და სპეციალურად ამ გამოცემისთვის ითარგმნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტექნიკა
დენის ლ.უილკოქსი, გლენ ტ.კამერონი
მთარგმნელი: ხათუნა მაისაშვილი, მაია გოგოლაძე, თამარ წილოსანი
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 41,5 ლარი
„საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა" სტუდენტებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ცნებების, სტრატეგიების და ტექნიკის შესწავლაში დაეხმარება. მეცნიერულ მეთოდებზე დაფუძნებულ გამოცემაში ხაზგასმულია ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი მედიის შემოქმედებითად გამოყენების მნიშვნელობა.

ალამისი – აფხაზური ნოველები
მიხაილ ლაკერბაი
მთარგმნელი: მამია ასათიანი, ფატი ნიშნიანიძე, აკაკი გეწაძე, პაპუნა ნერეთელი, მილიცა ჯაფარიძე.
რედაქტორი: თეა თვალავაძე
ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა
გამოცემის წელი: 2011
ფასი: 8 ლარი.
აფხაზი მწერლის მიხაილ ლაკერბაის ნოველები ქართულად ორჯერ, 1960 და 1965 წელს გამოიცა. რიგით მესამე, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემაში წინა ორი წიგნი გაერთიანდა და მუზეუმში დაცული ავტორის ავტობიოგრაფია და ლაკერბაის პირადი წერილები (შალვა დადიანისადმი, გერონტი ქიქოძისადმი და გრიგოლ ჩიქოვანისადმი და სხვ.) დაემატა. „ალამისი" აფხაზურად ზნეობრივ კოდექსს ნიშნავს. კრებულში ასზე მეტი ნოველა შევიდა.

გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება
ჯოზეფ შტიგლიცი
მთარგმნელი: ლიკა ჯამბურია
გამომცემლობა: რადარამი
გამოცემის წელი: 2012
უფასო
ნობელიანტი ეკონომისტი ჯოზეფ შტიგლიცი წლების მანძილზე მსოფლიო ბანკის მთავარ ვიცე-პრეზიდენტად და მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. მისი წიგნი „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება" მისივე პრაქტიკული გამოცდილების ანალიზია.
წიგნი, ძირითადად, ეკონომიკურ თემებზეა, თუმცა ის მკითხველთა ფართო წრეზეა გათვლილი. სადა და გასაგები ენის წყალობით, ავტორი ეკონომისტსაც და ეკონომიკურ საკითხებში ნაკლებად გარკვეულ მკითხველსაც ერთნაირი წარმატებით იწვევს დისკუსიაში. „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება" „რადარამის" მეორე წიგნია.

18 და 19 მაისი

მარჯანიშვილის თეატრი შექსპირის ფესტივალზე „მსოფლიო გლობუსში". ლონდონი

უილიამ შექსპირი

როგორც გენებოთ

რეჟისორი ლევან წულაძე

კოჯე
მარჯანიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
დრამატული **თეატრი**

www.marjanishvili.com

www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE

ამბავი დაბნეული ბედისწერისა

რეჟისორ მიხაილ მარმარინოსის შექსპირული ექსპერიმენტი თუმანიშვილის თეატრში

ავტორი დავით ბუხრიკიძე

„ჩვენ ვმუშაობთ სცენებზე, რომელიც მითის ფრაგმენტებისგან შედგება. მათ მსახიობების მიერ შემოთავაზებული რიტმი, ტემპერამენტი თუ მზერა განსაზღვრავს... მსახიობები უცნობი სამყაროდან მოვლენილი ანგელოზები არიან; კრიზისული მომენტების განმცხადებლები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ეხებიან და ჩვენში სამუდამოდ რჩებიან, ნანახის გარეშე..“.

ეს არის მცირე ფრაგმენტი ბერძენი რეჟისორის, მიხაილ მარმარინოსის ტექსტიდან, რომელმაც მან მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში შექსპირის „რომეო და ჯულიეტასთან“ თანაზიარებით და საკუთარი მახვილგონივრული ფანტაზიით შეთხზა. შესაბამისად, უცნაური და საკმარისზე გრძელია მისი საავტორო სპექტაკლის სათაური: „R+J, ბედისწერა დაბნეულია, რომეო და ჯულიეტა – მესამე მეხსიერება“.

შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ პარალელურად რეჟისორი თხზავს ტექსტს, რომელშიც უამრავი მრავალწერტილი, დაუსრულებელი ფრაზა თუ თეატრალური რებუსია. მსახიობები არ თამაშობენ კონკრეტულ პერსონაჟებს, ისინი ამბავს ხან ქოროს მგავსად მოგვითხრობენ, ხანაც დროებით მოირგებენ კონკრეტულ „როლებს“. პირანდელოს „ექვსი პერსონაჟისგან“ განსხვავებით, სპექტაკლის მსახიობები ავტორსაც გაშმაგებით დაეძებენ, მაყურებელსაც უწყობენ ბანალურ „დაკითხვას“ („როდესმე თუ განგიცდიათ რომეოსა და ჯულიეტას მსგავსი სიყვარული?.. როგორი გრძნობაა ეს?.. სად არის ახლა თქვენი სიყვარული?.. გაქვთ სურვილი, სიმღერა რომ მიუძღვნათ?) და ერთად შეკრებილნი, ამბავს ერთად გვიყვებიან. ამავდროულად, ცდილობენ, ინტერაქტიული მეთოდით, მაყურებელი სანახაობაში ჩართონ.

სიმართლე ვთქვათ, ცოტა რთულია „კრიზისული მომენტების განმცხადებელ“ მსახიობთა თამაშისა და ამბივალენტური ასოციაციებით დატვირთული რეჟისურის შეფასება. პოზიტიურ-პოეტური ენერგიით აღვსილ მსახიობთა აღმა-დაღმა ქროლვაში გატარებული თითქმის სამი საათი სადღაც გულის სიღრმეში მაინც მოგანატრებთ ყოჩაღი მერკუციოს კლასიკურ მონოლოგს პაწაწინა დედოფალ მების შესახებ: „... სწორედ ის არის ფერიათა ბებიაქალი;

ატომები ჰყავს მას შებმული პაწია ეტლში და მიძინებულთ უღიტინებს ცხვირში საამოდ. ამგვარად დაქრის ღამიდან ღამით, მიჯნურებს თავში შეეჭრება და ესიზმრებათ მათ სიყვარული..“.

რაც უფრო ღრმა და უცვეთელია დროისა და რეჟისორების მიერ ათასგზის „ნათრევი“ პოეზია შექსპირთან, მით უფრო სასტიკი, აბსურდული, დაბნეული და პროზაულია ბედისწერა მარმარინოსთან. თუმცა, სწორედ ეს საბედისწერო, პროზაულ-პოეტური რითმა, აწმყოსა და წარსულის მარადიული თუ პარადოქსული გადაძახილი, მტრობით შობილი საგვარეულო გვამების სუნი და შეურყვნელი გრძნობების სცენური სურნელი აშიშვლებს სპექტაკლის უმთავრეს ნერვს.

და აქვე რეჟისორის ჩანაწერი: “მოვლენები უნდა ვითარდებოდეს ასოციაციური სიჩქარით ფიქრშიც და მოქმედებაშიც. ბედისწერა, როგორც დროის საკითხი.... სიჩქარე იწვევს ბედისწერას“.

მარმარინოსის სპექტაკლში ყველას სადღაც ეჩქარება, ყველა სადღაც გარბის. მსახიობები ფრაზებს თითქოს შემთხვევით, მაგრამ ენერგიულად ისვრიან, რომლებიც გრძნობებად ვერ კრისტალდება და სადღაც ორთქლდება. არავითარი სასახლე და მეჯლისი კაპულეტებთან; ვერც მტრობის ალში გახვეული ვერონას შურისძიებას იგრძნობთ. ცივი აკლდამის მომნსუხველობას პლასტმასის თეთრი სკამები ენაცვლება; გახუნებულ ხალიჩაზე მოულოდნელად პოდიუმი მოეწყობა: დანა-ჩანგლებითა და არტისტული მზერით შემართული მსახიობები ირონიულად ჩამოივლიან, ხოლო სცენის სიღრმეში თეთრ ტილო-კედელს, დროდადრო, გავეშებული მსახიობები შეასკდებიან...

ვნებისგან დაცლილი, სირბილისგან არაქათგამოცლილი და ქოროდ შეკრებილი მსახიობები ერთ ეპიზოდში ფეხი-ფეხ გადადებულები, სინქრონულად გააბოლებენ სიგარეტს და „დაბნეულ ბედისწერას“ დაელოდებიან. ნებისმიერი მოლოდინი ხომ პატარა, დრამატულ პიესას ჰგავს, რომელსაც მოქმედება ახლავს და რომლის ბოლოსაც კათარზისი შეიძლება განიცადო. ამისათვის კი კარგად მომართული მეხსიერებაა საჭირო, რათა არ დავივიწყოთ – სიჩქარე იწვევს ბედისწერას!

ბერძენი რეჟისორი საქართველოში უკვე მესამე სპექტაკლს დგამს და შესაბამისად, ქართველ მსახიობებთან თანამშრომლობის საკმარისი გამოცდილება დაუგროვდა. სტაჟიან თეატრალებს უთუოდ ემახსოვრებათ „მედეა, ორი წერტილი მასალა“, რომელიც, ჰაინერ მიულერის ცნობილი პიესის მიხედვით, თუმანიშვილის თეატრში ჯერ კიდევ 2000 წელს დადგა და ემახსოვრებათ „ეროვნული ჰიმნიც“ – დადგმა, რომელმაც თავისი არაერთმნიშვნელოვანი ტექსტითა და პროვოკაციული სცენებით, 2003 წელს, იმ წინარეევოლუციურ ხანაში, ღამის სოციალურ-ესთეტიკური მღელვარება გამოიწვია პრესაში.

პროფესიით ნეირობიოლოგი, მიხაილ მარმარინოსი გასული საუკუნის 80-იან წლებში თეატრით იმდენად „ლეტალურად“ მოიწამლა, რომ საფუძვლიანი და აკადემიური რეჟისორული განათლება მიიღო. აქტიური თეატრალური ცხოვრება ათენში წამოიწყო, სადაც დააარსა „დელფიოს ეროსი“ – დასი, რომელიც დღემდე არსებობს „თესეუმ ანსამბლის“ სახელწოდებით.

მარმარინოსის შემოქმედებას არამხოლოდ საბერძნეთსა და საქართველოში იცნობენ. მის წარმოდგენებს ბრიუსელში, მოსკოვში, ვარშავასა და ბერლინშიც მოჰყვა გამოხმაურება. ამაზე საერთაშორისო პრემიებიც მეტყველებს: სამოქალაქო განათლებაში შეტანილი წვლილისათვის, გერმანია (2007); სპეციალური პრიზი სპექტაკლისათვის „წმინდანთა ცხოვრება“ (2009 წლის ოქტომბერი, შემოდგომის ფესტივალი, თეატრი „ოდეონი“, პარიზი); პრიზი პერფორმანსისათვის „აგორა“ (ბერლინის „ფოლკსბიუნეს“ ღია სცენა, 2009 წელი). თუმცა, ყველა ჯილდო მაინც პირობითია და რეჟისორს ყოველ ახალ წარმოდგენაში საკუთარ ფანტაზიასთან მუდმივი დუელი აქვს.

სპექტაკლში გამოყენებულია ვახტანგ ჭელიძის კლასიკური თარგმანი, რეჟისორის ტექსტი კი ბერძნულიდან ვერიკო მგელაძემ თარგმნა. ტექსტზე მუშაობდნენ, აგრეთვე, მანანა ანთაძე და დათა თავაძე. რეჟისორის მეგობარმა, კომპოზიტორმა დიმიტრის კამაროტოსმა ზუსტი, როკით შთაგონებული და „საპნის ბუშტივით ცარიელი აკორდები“ (სწორედ ასეა პროგრამაში მითითებული) შეთხზა. უშანგი იმერლიშვილის კოსტიუმებში ხავერდის სიმძიმე და კეთილშობილება კონტრასტულად ერწყმის ავანგარდულ ხაზებსა და დასაშვებ თავქარიანობას. მსახიობთა ამქარს ქოროს მსახიობები – მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, გიორგი ნაკაშიძე, ქეთა შათირიშვილი და გიორგი შარვაშიძე შეადგენენ.

თუმცა, ჩვენი სუბიექტური მზერა მაინც გამოარჩევს სამეფო უბნის თეატრში დაფრთიანებულ ნორჩებს – ეშმაკურად არტისტულ, ვნებიან კატო კალატოზიშვილს და რეფლექსური მიდრეკილების მელანქოლიკ ქეთა შათირიშვილს... რეჟისორი რომ ვიყო, ამ დუეტს სადღაც ათი წლის შემდეგ სტიუარტ-ელისაბედის როლებს უშურველად ვარგუნებდი. ამ ფონზე არც თუმანიშვილის თეატრის „ვეტერანის“, გიორგი ნაკაშიძის დავიწყება შეიძლება, რომელსაც უკვე აქვს მარმარინოსთან მუშაობის დიდი გამოცდილება – იგი ბერძენი რეჟისორის სამივე სპექტაკლში მონაწილეობს.

ვიქტორია ჯაიანი, თემურ სულუაშვილი
იური პოსოხოვის ქორეოგრაფია, 18 მარტი, 2012

თეთრი ვარდები შავი გედისთვის

ნინო (პრიმა) ანანიაშვილი – 30 წლის შემდეგ

ავტორი დავით ბუხრიკიძე
ფოტო გია გოგატიშვილი

როგორც არ უნდა ვეცადოთ ტერპსიხორას „გაფერადებას“, საბოლოოდ, კლასიკური ბალეტის მითოლოგია აქრომატულ, შავ-თეთრ განზომილებას არ სცილდება. და არამხოლოდ იმიტომ, რომ ჩაიკოვსკის გენიამ შავი და თეთრი გედის, ოდეტა-ოდილიას დრამატული ზღაპარი დამღასავით აღბეჭდა ცეკვის ისტორიაში, არამედ იმიტომაც, რომ საბოლოოდ, დიდი მოცეკვავეების ბედისწერაც სწორედ ამ გედების არქეტიპებს აირეკლავს – დიდი წარმატებისა თუ ფატალური უიღბლობის მიუხედავად. მაგალითად, ანა პავლოვა და გალინა ულანოვა თეთრი გედები არიან, მარგო ფონტეინი და მაია პლისეცკაია – შავი...

მიუხედავად იმისა, რომ ბალეტომანთა თუ კრიტიკოსთა შეფასებით, სახელოვანი ნინო ანანიაშვილი თეთრი გედების დედოფალ ოდეტასთან ასოცირდება, უკვე დღევანდელი კონტექსტის გათვალსწინებით, მაინც ჩნდება კითხვა: ვინ არის ჩვენი ნინო (ნინა, როგორც მას საყვარელი პედაგოგი, ნატალია ზოლოტოვა და მთელი რუსეთი უწოდებდა), გულწრფელი, მაგრამ ინფერნალურ-ინფანტილური ოდეტა თუ ძლიერი, სექსუალური და მტაცებელი ოდილია?

ეს სიფრიფანა, მაცდურად პოეტური, მხიარული ბუნების ქალბატონი, სინამდვილეში ძლიერი, შეუპოვარი და მტკიცე ხასიათით გამოირჩევა. უკვე შვიდი წელია, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს ხელმძღვანელობს და ცდილობს, უკვე დახავსებულ კლასიკას თანამედროვე ქორეოგრაფიის გაბედულება და ირონია მოარგოს. ამის დასტურია, თუნდაც ირჟი კილიანის „ექვსი ცეკვა“, იური პოსოხოვის „საგალობელი“ და ალექსეი რატმანსკის „სიზმრები იაპონიაზე“.

შეიძლება, გონების დაძაბვის გარეშე გავიხსენოთ მისი სასცენო ტიტულები, თუ მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ჯილდოები; ასზე მეტი კლასიკური თუ თანამედროვე სცენური პარტია და დროებით „გაქცევა“ უკვე დასაშლელად განწირული სსრკ-დან ბალანჩინის „ნიუ იორკ სიტი ბალეტში“. აღიარებულ მოცეკვავეს თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მუდმივი ბრძოლა უხდება მოსკოვის დიდ თეატრში ადგილის დასამკვიდრებლად და პარალელურად, ცნობილი ბრიტანელი ქორეოგრაფების, კენეტ მაკმილანის, ენტონი ტიუდორისა და ტრეი მაკენტაირის მოჯადოებასაც ახერხებს. რაც უკვე კლასიკის ხუნდებისგან თავდახსნასა და თანამედროვე ქორეოგრაფიის სახიფათო გზაზე შედგომას ნიშნავს.

„გეშინოდეთ, ეს გოგონა ყველაფერს მიაღწევს!“ – ეს უკვე ლეგენდარული მაია პლისეცკაიას

ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი, ფრაგმენტი ბალეტიდან „ანარეკლი", 18 მარტი, 2012

წინასწარმეტყველება, თუ გაფრთხილებაა. რატომღაც გვახსენდება რამდენიმე წლის წინ ყოფილი პიონერთა სასახლის ირგვლივ ატეხილი სკანდალიც, რომელიც მის მეუღლეს, გრიგოლ ვაშაძეს და ნაწილობრივ, მასაც უკავშირდება. ისევე, როგორც საქართველოდან გაქცეული და ჯერ კიდევ ძებნილი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილი დირექტორის, თამაზ ვაშაკიძის საქმე. მაგრამ, ეს უკვე სხვა „ბალეტის" სიუჟეტია...

შემოქმედების ათი წლის იუბილე, ნინო ანანიაშვილმა ტოკიოში აღნიშნა. მოგვიანებით, უკვე მშობლიურ „ბოლშოიში" იღებდა მილოცვებს და აი, 2012 წელი, მარტი. უკვე სრულიად საქართველო მადამ ანანიაშვილის საიუბილეო კვირეულს აღნიშნავს. ცხადია, მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია ერთობლივად და ერთობ შთამბეჭდავად უჭერდნენ მხარს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში კი, სახელოვანი მოცეკვავის კოსტიუმებისა და აქსესუარების გამოფენა გაიმართა. 50-მდე კოსტიუმის ექსპოზიცია, დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა შთამბეჭდავად წარმოადგინა. განსაკუთრებით ეფექტურია სოლიკო ვირსალაძის, ალექსეი ვასილევის, ვიაჩესლავ ოკუნევის მიერ შექმნილი საბალეტო კოსტიუმები.

„თბილისი მარიოტში" გაიმართა ფოტოალბომის „ნინო ანანიაშვილი" პრეზენტაცია. მასში უნიკალური ფოტოებია თავმოყრილი – ციგურებზე შემდგარი პატარა ნინოს ნაივური შავ-თეთრი ფოტოთი დაწყებული, ნიუ-იორკისა და ლონდონის სცენებზე ტრიუმფით დამთავრებული. „მძიმეწონიანი", 120 ლარის ღირებულების შთამბეჭდავი ფოტოალბომი, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. და მაინც, მთავარი მოვლენები რუსთაველის სახელობის თეატრსა და თბილისის საკონცერტო დარბაზში განვითარდა. მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებმა და იუბილარის მეგობრებმა პუბლიკას სარემონტოდ გამოკეტილი ოპერისა და ბალეტის თეატრის არსებობა შეახსენეს, რომელსაც 2013 წელს, სავარაუდოდ, ისევ ნინო ანანიაშვილი უხელმძღვანელებს.

რუსთაველში წარმოდგენილი ერთმოქმედებიანი ბალეტებიდან გამორჩეული იყო ესტონელი ქორეოგრაფის, ტეეტ კასკის „Tampopo"-ს პრემიერა. მთავარი პარტია საბალეტო დასის სოლისტებთან ერთად, თავად ნინო ანანიაშვილმა ირონიის საგრძნობი დოზითა და ცეკვისგან გამოცლილი მინიმალიზმით შეასრულა. სპექტაკლში ასევე მონაწილეობდა „ტრიო პერტე" – თეა ჭკუასელის (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძისა (ვიოლინო) და გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შემადგენლობით. გამორჩეულად უნდა აღვნიშნოთ ნინო ჩუბინიშვილის კოსტიუმები და მხატვრობა.

ნინო ანანიაშვილს ნატიფი ტექნიკის დემონსტრირება კიდევ ერთხელ მოუხდა, როდესაც პარტნიორთან, ვასილ ახმეტელთან ერთად, ფრედერიკ ეშტონის ბალეტში „მარგარიტა და არმანი" იცეკვა. თავის დროზე, ბრიტანელმა ქორეოგრაფმა ეს ბალეტი მარგო ფონტეინსა და რუდოლფ ნურიევს მიუძღვნა და მთავარი პარტიების ცეკვის უფლება მხოლოდ ბალეტის გამორჩეულ ვარსკვლავებს ჰქონდათ.

საიუბილეო დღეები 18 მარტს თბილისის საკონცერტო დარბაზშის მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიც ნინო ანანიაშვილთან ერთად, ამერიკის ბალეტის თეატრის, მოსკოვის დიდი თეატრის, ესპანეთის, ჩინეთის, ინგლისის ცნობილი საბალეტო დასების სოლისტები მონაწილეობდნენ. მაგალითად, ანხელ კორელა, დენის მატვიენკო, ხოსე მანუელ კარენიო... ისინი სხვადასხვა დროს პარტნიორობას უწევდნენ ნინო ანანიაშვილს. გალა-კონცერტში მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი და სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო დირიჟორობდა.

საიუბილეო კონცერტის ფინალში, ჩოხაში გამოწყობილი პრიმა-ბალერინას ეფექტურმა „ლეკურმა" (ნომერი თავის დროზე ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა) ერთგვარად განტვირთა კლასიკური პა-დე-დე-თი გადატვირთული პროგრამა. ადანის, ჩაიკოვსკის, გლაზუნოვისა და პროკოფიევის შემდეგ კი „ხორუმი" ეთნოგრაფიულ-ენერგეტიკულ სულის მოთქმას ჰგავდა. 50 წელს მიღწეული პრიმა, რომელიც თეატრის დასთან ერთად, საბალეტო სკოლასაც ყურადღებით „მწყემსავს", ჯერ კიდევ შთამბეჭდავად ცეკვავს. ამის დასტურია 28 ტრიალით შესრულებული ფუეტე და რუსული კლასიკური სკოლისთვის დამახასიათებელი ფორმის სიმკაცრე, დახვეწილობა და ისევ საოცრად ჰაეროვანი, გამომსახველი ხელები.

საიუბილეო საღამოსა და მოქმედი ბალერინა-დირექტორის შემხედვარე, ძნელია, გაარჩიო, სად იწყება ოდეტა და სად მთავრდება ოდილია. ამიტომ, სცენაზე დახვავებული თეთრი ვარდების მსგავსად, თაიგულს შავ გედს მივართმევთ; ისე, ღვთაებრივი სიმეტრიისა და ტერპსიხორას პატივსაცემად.

„დღე პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი“

იტალიური კინომუსიკა თბილისში

ავტორი ხათუნა ქარდავა

ფედერიკო მონდელჩი: „იტალიური კინომუსიკის შედევრები და ცეცხლოვანი არგენტინული ტანგო“ – ეწერა ბილეთზე, რომელიც თანამშრომელმა მომაჩეჩა ხელში, – კონცერტი რვაზე იწყება, რუსთაველის თეატრშია, მე ვერ მივდივარ, არადა, კარგი იქნება, მოახერხე და წადი!

იმ წუთს დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს ვერ მოვაბამდი, მაგრამ ბოლოს, ოჯახურ რუტინასთან დაბრუნება რამდენიმე საათით გადავდე და წავედი.

სავარძელზე ბუკლეტი დამხვდა:

ფედერიკო მონდელჩი (საქსოფონი).

ნიკოლოზ რაჭველი (დირიჟორი).

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

ფედერიკო მონდელჩი და ნიკოლოზ რაჭველი, თებერვალი 2012

გავარკვიე, რომ ფედერიკო მონდელჩი – ეს იტალიელი საქსოფონისტი, რომელიც ხშირად თანამშრომლობს სეიჯი ოძავასთან და ლა სკალას ორკესტრთან, საქართველოში ერთი კონცერტით ჩამოვიდა. კონცერტის დაწყებამდე გავიგე ისიც, რომ მონდელჩი დირიჟორიცაა და წესად აქვს საკუთარი რეპერტუარის იმ ქვეყნის ორკესტრთან ერთად შესრულება, სადაც კონცერტის ჩასატარებლად ჩადის.

ისევ ბუკლეტს დავხედე: ენიო მორიკონე, რობერტო მოლინელი, ნიკოლა პიოვანი, ნინო როტა, ასტორ პიაცოლა – მივხვდი, რომ რამდენიმე წუთში ძალიან ლამაზი კონცერტი უნდა დაწყებულიყო.

შუქი ჩაქრა და სცენაზე, ორკესტრის წევრების შემდეგ, ნიკოლოზ რაჭველი და იტალიელი საქსოფონისტი გამოვიდნენ. მცირე, შეთანხმებული პაუზის შემდეგ, დარბაზში ენიო მორიკონეს მელოდია დაირხა. გარშემო რაღაც საოცრება დატრიალდა, როდის იქცა ამდენი ინსტრუმენტის ჟღერადობა ერთ მთლიან, უნაზეს მელოდიად, ვერ ვიგრძენი. ვგრძნობდი მხოლოდ მუსიკას და ვხედავდი ტაქტებად აჟღერებულ კადრებს მსოფლიო კინოშედევრებიდან – „ამარკორდი“, „ლამაზი ცხოვრება“, „რვა ნახევარი“... ერთმანეთს სამი საქსოფონი ენაცვლებოდა: ალტი, სოპრანო, ტენორი. არავითარი შოუ, მხოლოდ ბრონეულისფერი შუქ-ჩრდილები და გრძნობები...

29 თებერვალს ჩვენთან პირველად შესრულდა მუსიკა რობერტო ბენინის ოთხი ოსკარის მქონე ფილმიდან „ლამაზი ცხოვრება“. ნიკოლა პიოვანიმ ეს მუსიკა, თურმე, სწორედ ფედერიკო მონდელჩისათვის დაწერა.

კონცერტის მეორე ნაწილი, პიაცოლას ტანგოებს დაეთმო. ფედერიკო მონდელჩი-ნიკოლოზ რაჭველი-ორკესტრი-დარბაზი – ეს ჯადოსნური წრე, კიდევ უფრო შეიკრა. კონცერტის მსვლელობის დროს მომინდა, ვინმესთვის მეკითხა: ფედერიკო მონდელჩი, ნიკოლოზ რაჭველი და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ერთად პირველად უკრავენ? თუ ასეა, მაშინ როგორ უგებენ ასე, უსიტყვოდ ერთმანეთს?

კონცერტის დასრულების შემდეგ, საღამოს ორგანიზატორმა, კომპანია „ბელისიმოს“ ხელმძღვანელმა, მანანა ფაცურიამ მითხრა, რომ მონდელჩისა და ნიკოლოზ რაჭველს ერთმანეთთან მხოლოდ ორი დღის ნაცნობობა და რამდენიმესაათიანი რეპეტიცია აკავშირებდათ. თვითონ მონდელჩი კი, საქართველოს, მანამდე, მხოლოდ გია ყანჩელის შემოქმედებით იცნობდა. თუმცა, როცა სცენაზე დავით თორაძის რომანსი, ფილმიდან „დღე პირველი დღე უკანასკნელი“ აჟღერდა, ფედერიკოს იტალიელობა საერთოდ გადამავიწყდა. ეს რომანსი მის რეპერტუარში შემთხვევით მოხვდა. ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, მან ქართველ მასპინძლებს რომანსის ქართული შესრულების გაგზავნა სთხოვა. მონდელჩის, ინოლა გურგულიას ნამღერი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ გაუგზავნეს... დარბაზმა, არც მეტი, არც ნაკლები, შოკი მიიღო. რომანსი „ბისზე“ ითხოვეს.

მერე, უკვე იყო ის, რაც ინტერვიუებში მოვისმინეთ: „ქართველი მსმენელი იტალიელს სჯობს, ის უფრო ემოციურია და განათლებული, არაჩვეულებრივი ორკესტრი გყავთ, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს“, – ფედერიკო მონდელჩი. „ეს იყო დღესასწაული, იმდენად დიდი დღესასწაული, რომ ასეთს არც ველოდი“, – ნიკოლოზ რაჭველი.

კონცერტის შემდეგ, კულისებში შევედი. ქალბატონ მანანა ფაცურიას ვესაუბრებოდი, როცა მას რუსთაველის თეატრის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი მიუახლოვდა და მოწიწებით ჰკითხა:

– თქვენ ჩამოიყვანეთ? ძალიან მაგარი იყო. სადმე შეიძლება მისი დისკი შევიძინო?“

– დიდი მადლობა. დისკს მე გაჩუქებთ, – მიიღო პასუხად.

გარეთ გამოვედი. მერე რა, რომ ციოდა. ფედერიკო მონდელჩიმ გაზაფხულს ერთი დღით დაასწრო.

ახალი გოჯოლადი

სტილი

2012-13 შემოდგომა-ზამთარი

ჩვენებები და ტენდენციები

მოდის ისტორია

ელეონორ ლამბერტი

ისტორია

„დიდი ოთხეული“

ფოტო: REUTERS

კვირეულების თემაზე

თამარ ალავიძე

წარმოიდგინეთ მე-20 საუკუნის დასაწყისის პარიზის მატარებლის სადგური. ბაქანზე, ხელით აწყობილი, მთლიანად ხის ზედაპირით დაფარული მატარებელია ჩამომდგარი (ნამდვილი მატარებლის ზომისა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე), საიდანაც, დროის თანაბარი ინტერვალების დაშორებით, სათითაოდ ჩამოდიან, ძირითადად, მდოგვისფერ-ყავისფერი ტონალობის სამოსში გამოწყობილი ქალები. თითოეულ მათგანს პორტიეს ტრადიციულ ფორმაში ჩაცმული მამაკაცი მოაცილებს, რომლის მთავარი ფუნქციაც მოგზაური ქალის ძვირფასი თვლებით და წავის ბეწვით გაწყობილი სამგზავრო ჩანთების ტრანსპორტირებაა.

ასეთი გახლდათ პარიზის ბოლო მოდის კვირეულზე Louis Vuitton-ის კოლექციის ჩვენება – მატარებლით, ბაქნით, ორთქლის ძლიერი ჭავლითა და ამ ანტურაჟში მონაწილე უსულო თუ სულიერი არსებებით. 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციისადმი მიძღვნილმა შოუმ სულ ნახევარ საათს გასტანა, მის შექმნაზე კი, ამ პრესტიჟულმა ფრანგულმა სახლმა რამდენიმე მილიონი ევრო დახარჯა.

ემანუელ კანტს მიაჩნდა, რომ მოდის ძირითადი ფუნქცია ადამიანებს შორის სოციალურ განსხვავებათა ხაზგასმა იყო. ძნელია, კანტს არ დაეთანხმო, განსაკუთრებით, მოდის ინდუსტრიის დღევანდელი დინამიკისა და მასშტაბების გათვალისწინებით. Louis Vuitton-ის ექსტრაორდინალური ჩვენება არც პირველია და სავარაუდოდ, არც უკანასკნელი იქნება პომპეზურობის მოტრფიალე დიზაინერთა შოუებს შორის. Christian Dior-ის, John Galliano-ს, Chanel-ის თუ Alexander McQueen-ის სახლებისთვის კვირეულებზე თეატრალიზებული ჩვენებების მოწყობა, უკვე წლებია, უალტერნატივო საჭიროებას წარმოადგენს. საზოგადოებაც სეზონიდან სეზონზე სულმოუთქმლად ელის მორიგ მდიდრულ და კრეატიულ სანახაობას.

ეს მოლოდინი კი, სოლიდურ ფინანსურ მოგებასთან ერთად, დამატებითი არგუმენტია თავად მოდის სახლებისთვის, რომ ისევ და ისევ გაიღონ უზომოდ დიდი ხარჯები კვირეულში მონაწილეობის მისაღებად. მომხმარებელს სულ სხვაგვარად ანდომებს ამა თუ იმ ნივთის შეძენას იმის გაცნობიერება, რომ ვთქვათ, ეს კაბა ცოტა ხნის წინ სუპერმოდელ კაროლინა კურკოვას ამშვენებდა Michael Kors-ის ჩვენებაზე. ამ პომპეზურ ჩვენებებში მოდის სახლები კიდევ ერთ მოგებას ხედავენ: კვირეულებს ყოველწლიურად ასობით მოდის ჟურნალისტი და მოდის ბლოგერთა მრავალრიცხოვანი არმია აშუქებს, მათი რეცენზიები თუ ფოტორეპორტაჟები კი მშვენიერი საშუალებაა, საკუთარი ახალი კოლექცია სრულიად ინტერნეტ საზოგადოებას უმცირესი დანახარჯის ფასად გააცნო (როგორც წესი, მოდის სახლები მედიის წარმომადგენლებს თავიანთი კოლექციებიდან სამოსსა და აქსესუარებს ჩუქნიან).

საბოლოოდ, კმაყოფილების ჯაჭვი რწყილი და ჭიანჭველას ზღაპრის სიუჟეტივით იკვრება: ჟურნალისტები და ბლოგერები – დიზაინერებს, დიზაინერები – მოდის სახლებს, მოდის სახლები – კვირეულების მომწყობ ორგანიზაციებს და ეს უკანასკნელები კი – მოდის მიმდევარ მრავალმილიონიან აუდიტორიას ამყოფებენ მუდმივი სიამოვნების მდგომარეობაში. თუმცა, მთავარი აქ, ისევ და ისევ, მოლოდინია, ახალი სეზონის, ახალი კოლექციების, ახალი ტენდენციების და საუკეთესო სანახაობების გაუნელებელი მოლოდინი.

ჯეკეტების გამო. 34 პიტსენ ცენტრი - Lee & Wrangler • ვეფხის ქ. 3 საფეხმლო ცენტრი "GTC" - Lee & Wrangler • ბულვარის ქ. 14ა - "ჯინსის გალერეა"
დადიანის ქ. 7. საფეხმლო ცენტრი "ჯინსალი" - "ჯინსის გალერეა" • გ. ლეონიძის ქ. 8 საფეხმლო ცენტრი "ახალი ყიდობანი" - "ჯინსის გალერეა"
ფანავაზ მეფის გამზ. "გალერეა" (ფილიალი) - "ჯინსის გალერეა" • ბათუმი, ბახმარიანის ქ. 23 - "ჯინსის გალერეა"

სერტიფიცირებული ორგანული კოსმეტიკა

სახის მოვლა

0% SLS 0% PARABENS 0% SILICONES

Audrey

ოფიციალური დისტრიბუციორი საქართველოში
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 67/85
ტელ/ფაქსი: +995 32 221 30 96; ელ-ფოსტა: audrey@audrey.ge

ფოტო: REUTERS

შემოდგომა-ზამთარი 2012-13

საუკეთესო აქსესუარები, სეზონის ტენდენციები და ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები ჩვენებებიდან.

LOUIS VUITTON-ის ჩვენება

ნიუ იორკი

ყვავილოვანი პრინტების და მაქმანების რეტრო-მიქსი, ტვიდი და დიდი ზომის მოსასხამები – ყველაფერი საუკეთესო საყვარელი ბებოს გარდერობიდან.

Diane von Furstenberg

ტრენდი: მონოქრომული პრინტები, სადაც, გეომეტრიული ფორმების და სილუეტის ხარჯზე, ფერთა გამა მინიმუმამდეა დაყვანილი

უხვად, რაც შეიძლება უხვად ძვირფასი თვლები! დახვეწილი და მბზინვარე მარგალიტები, ბრილიანტები და კრისტალები OSCAR DE LA RENTA-ს კოლექციაში.

Alexander Wang

Tommy Hilfiger

Victoria Beckham

ტრენდი: სტრუქტურირებული ქურთუკები, ეპოლეტები და ოქროსფერი ღილები – სამხედრო სტილი ისევ აქტუალურია.

Narciso Rodriguez

აქსესუარები: MARC JACOBS-ის ფეხსაცმელები დიდი ბალთით.

Carolina Herrera

ტრენდი: 1960-იანი წლების ნოსტალგია მოცულობით ვარცხნილობებში.

RODARTE: 1940-იანების სილუეტის ქურთუკები მხრებზე აქცენტით

აქსესუარები: DIANE VON FURSTENBERG-ის მხიარული ხელჩანთები.

აქსესუარები: MICHAEL KORS-ის ბეწვით გაწყობილი, ფუმფულა აქსესუარები ზამთრის ცივი დღეებისთვის.

საუკეთესო სანახაობა: BURBERRY PRORSUM-ის ჩვენება

Erdem



Peter Pilotto

ტრენდი: ყვავილებიანი პრინტი.



Jonathan Saunders

Christopher Kane

ტრენდი: იასამნისფერი – ზაფხულის უფრო ნეიტრალური, პასტელის ფერთა გამის შემდეგ, შეგიძლიათ, პირდაპირ გადაერთოთ შემოდგომა-ზამთრის ინტენსიურ იასამნისფერ პალიტრაზე.

ლონდონი

ბეისბოლის ქურთუკების მრავალფეროვანი არჩევანი, ყვავილებიანი ქსოვილები, მაღალყელიანი სვიტერები, ინტერპრეტაციები ტყავის შარვლის თემაზე და ფერთა ნათელ პალიტრაში წარმოდგენილი კუბოკრული სამოსი – ექსცენტრული დიზაინერების თამამი თამაშები ლონდონისთვის უცხო არასდროს ყოფილა.

Burberry Prorsum

Marios Schwab

Burberry Prorsum

აქსესუარები: BURBERRY PRORSUM-ის ხელთათმანები.

აქსესუარები: განსხვავებული ფორმის და განწყობის თავსაბურავები ლონდონის ჩვენებების დომინანტი აქსესუარი იყო.

ZARA

აპრილიდან უკვე თბილისში

ტანსაცმლისა და აქსესუარების ერთ-ერთი უმსხვილესი გლობალური სავაჭრო ქსელის Inditex Group-ის პარტნიორთა სიას სულ მალე საქართველოც შეემატება: აპრილის თვეში, თბილისში Zara-ს პირველი, ოფიციალური მაღაზიის გახსნა არის დაგეგმილი.

მსოფლიოს მასშტაბით 78 ქვეყანაში წარმოდგენილი Inditex Group-ის ქვეშ რვა ბრენდია გაერთიანებული: Zara, Pull & Bear, Massimo Durri, Bershka, Stradivarius, Oysho, Zara Home და Uterque. 1975 წელს ესპანეთში პირველი Zara-ს მაღაზიის გახსნიდან მოყოლებული, ბრენდისთვის ეს რიგით 1604-ე მაღაზია იქნება.

Inditex Group-ის თბილისურ გეგმების შესახებ საუდის არაბეთში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ჯგუფის გენერალური დირექტორი, **იასინ სიბარი** საუბრობს.

კონკრეტულად რომელი ბრენდების მაღაზიების გახსნას გეგმავთ თბილისში პირველ ეტაპზე?

ამ ეტაპზე, Inditex Group-ი თბილისში ერთდროულად გახსნის ექვს მაღაზიას: Zara, Massimo Dutti, Stradivarius, Bershka, Pull & Bear და Oysho. რაც შეეხება, ჩვენს ფრენჩაიზერ Alhokair Group-ს, მისი თაოსნობით გაიხსნება Banana Republic, New Look, Steve Madden, US Polo, Superdry, Blanco-ს და სხვა მრავალი ბრენდირებული მაღაზიები, ჯამში 20 მაღაზია.

თითოეული ბრენდისათვის რამდენი მაღაზია გაიხსნება თბილისში?

ქალაქში თითოეული ბრენდის ორი მაღაზია იქნება: ერთი „Tbilisi Mall"-ში, ხოლო მეორე - რომელიმე კონკრეტულ ქუჩაზე.

როდისთვის იგეგმება მაღაზიების გახსნა?

„Tbilisi Mall"-ში მაღაზიები აპრილის პირველ კვირაში გაიხსნება, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი გვაქვს ჩვენი ფლაგმანი მაღაზიის (Flagship store) გახსნა რუსთაველის გამზირზე.

თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც ხომ არ აპირებთ ოპერირებას?

ჩვენი ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს მაღაზიების გახსნას ასევე ბათუმში. ეს სამწლიანი გეგმაა, რომელიც ჯერჯერობით, ძირითადად, თბილისზე და ბათუმზე კონცენტრირდება. ამ დროის განმავლობაში კი განვიხილავთ ჩვენი მაღაზიების სხვა ქალაქებში გავრცელების საკითხსაც.

რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, რამდენად შეესაბამება თბილისის მაღაზიებში არსებული ფასები თქვენი ქსელის ევროპული მაღაზიების ფასებს?

ვინაიდან თბილისში იგივე ბრენდები, იგივე კონცეფციის მაღაზიები და იგივე პროდუქცია შემოგვაქვს, რაც ევროპაშია, ამდენად, ევროპასა და საქართველოს ფასებს შორის განსხვავება არ იქნება.

რა განსაკუთრებულ შემოთავაზებებს უნდა ელოდოს ქართველი მომხმარებელი თქვენი ბრენდებისაგან?

Inditex Group-ის ბრენდებს სხვებისაგან ის გამოარჩევს, რომ ჩვენ ესპანეთიდან ყოველ კვირას ორ ახალ კოლექციას ვიღებთ. ამ მხრივ, ჩემი აზრით, ბაზარზე ვერავინ გვიწევს კონკურენციას. ჩვენი მთავარი განმასხვავებელი ისაა, რომ მომხმარებელს ვაძლევთ საშუალებას, ყოველ კვირას ახალი, მოდური ასორტიმენტისგან შემდგარი კოლექცია იხილოს.

რამდენი ადამიანის დასაქმებას აპირებთ თქვენს მაღაზიებში საქართველოში?

Inditex Group მხოლოდ თავის მაღაზიებში დაახლოებით 140 ადამიანს დაასაქმებს. ხოლო თუ ამას ჩვენი ფრენჩაიზერის, Alhokair Group-ის მაღაზიებსაც დავამატებთ, მხოლოდ Tbilisi Mall-ში დაახლოებით 1000-მდე დასაქმებულს მივიღებთ.

კლასიკა 1950-იანი წლების თემაზე რაფ სიმონსმა ერთი შეხედვით შეუთავსებელი ქსოვილების იდეალურად შეხამებით და ულამაზესი ფერების გადაწყვეტით გაათამაშა.

საუკეთესო კოლექცია JIL SANDER.





აქსესუარები: PRADA-ს თვლებით გაწყობილი ჩანთები, FENDI-ს დაბალყელიანი ჩექმები მრავალ ტონალობაში და DOLCE& GABBANA-ს ბაროკოთი ინსპირირებული სათვალეები

აქსესუარები: MARNI-ს მცირე ზომის ჩანთები და დეკორაციული საყელოები

Bottega Veneta

Dolce&Gabbana

ტრენდი: ხავერდი. მინიმალისტური ქსოვილებიდან დაწყებული ყვავილებით გაწყობილი ვარიაციებით დასრულებული, მილანის კოლექციებში ჭარბობდა ხავერდის კაბები და კოსტიუმები.

მილანი

მილანის პოდიუმზე დიზაინერების მიერ წარდგენილი კოლექციები ერთმნიშვნელოვნად ზრდასრული ქალებისთვის არის განკუთვნილი.

Gucci

ტრენდი: გოთიკა. შავი მაქმანი, კაპეპოსასხამები, ჯვრით გაფორმებული სამოსი და აქსესუარები.

Versace

Etro

ახლებური ინტერპრეტაციები: მანების თემაზე ETRO-ს კოლექციაში

SALVATORE FERRAGAMO-ს ბოშა ქალი

Shine for you!

“შაინი” მომსახურებაზე ორიენტირებული ელიტარული მედცენტრია, სადაც თქვენს ჯანმრთელობასა და სილამაზეზე მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ზრუნავს!

Shine
ესთეტიკური მედცენტრი

ყველა უფრო ლამაზები

BIOLINE – JATO PROFESSIONAL

Crio–Thermo (ტალახით შეფუთვა) + ანტიცელულიტური მასაჟი (90 წუთი)

ორი თერმული წყლისგან შედგენილი ტალახი – გამდიდრებული თიხებით, წყალმცენარეებით, მცენარეული ზეთებით. მატონიზირებელია, ასტიმულირებს მიკროცირკულაციას, ცხიმოვან ცვლას, აქტიურად ებრძვის ცელულიტს, გამოაქვს ტოქსინები, ამაღლებს ტონუსს. ეფექტურია სისხლ–ძარღვების და კაპილარების პრობლემებისას და მოდუნებულ კანზე – აღადგენს ელასტიურობას.

10 პროცედურა 2–3–ჯერ კვირაში.

1 პროცედურის ფასი: Crio–Thermo 89 ლარი
+ ანტიცელულიტური მასაჟი 39 ლარი, სულ 128 ლარი

10 პროცედურა 960 ლარი (25%–იანი ფასდაკლებით)

- ლაზერული ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით;
- დერმატო–კოსმეტოლოგია;
- სახისა და სხეულის მოდელირება NANO ტექნოლოგიებით;
- ნაოჭების კორექცია;
- პერმანენტული მაკიაჟი;
- ინექციური კოსმეტოლოგია;
- მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობა ქირურგიული ჩარევის გარეშე! იკურნება: დისკოზი; მალთაშუა დისკის თიაქარი; ხერხემლის ოსტეოქონდროზი; მალთა კომპრესია; ქრონიკული წელის ტკივილი.
- მასაჟი – რელაქსი, გაჯანსაღება, კორექცია;
- სოლარიუმი – უსაფრთხო და თანაბარი რუჯი;
- თმისა და ფრჩხილის სტილი და ჰიგიენა.

თბილისი, კ.კეკელიძის №14 ტელ: (032) 2 230 330/ 5 68 230 330

www.shine.ge info.shine.ge FB: Aesthetic Medncentre Shine

ყველაზე სანახაობრივი ჩვენება – LOUIS VUITTON-ის ჩვენება!

პარიზი

პარიზის ჩვენებები ყველაზე დიდი აუდიტორიისთვის არის ხოლმე გათვლილი და არც ეს სეზონი ყოფილა გამონაკლისი: აქ საკუთარი სურვილების რეალიზებას ნებისმიერი ინტერესის, სტილის თუ მისწრაფების მქონე ქალი შეძლებს.

MIU MIU-ს მონოპრინტებში შესრულებული შარვლების და ქურთუკების ანსამბლი

აქსესუარები: CHRISTIAN DIOR-ის ბეწვით გაწყობილი ჩანთები.

Lanvin

Christian Dior

ტრენდი: 1950-იანი წლები და დიორის სილუეტი.

ტრენდი: ყვავილებიანი ნაქარგი.

შტეფანო პილატის ბოლო ჩვენება YSL-ისთვის – სახლის ტრადიციების გათვალისწინებით, პილატმ სიახლედ წარმოადგინა მაღალწელიანი, ე.წ. სიგარეტის სილუეტის შარვლები, რომლებიც YSL-ის საკულტო სილუეტის ქურთუკებთან იყო შეხამებული.



აქსესუარები: ვალენტინოს მეტალებით გაწყობილი ჩანთა.

აქსესუარები: GIVENCHY-ის მაღალყელიანი ჩექმები.



აქსესუარები: LANVIN-ის მასიური ყელსაბამები.

ელეონორ ლამბერტი

ავტორი თამარ ალავიძე

*სტატია მომზადდა **Vanity Fair** და **Guardian**-ის მასალებზე დაყრდნობით*

მას ნიუ-იორკში მოდის მთავარი ქუჩის – მეშვიდე ავენიუს გამგებელს ეძახდნენ. ყველაზე ხშირად პუბლიკაში ჩალმითა და მსხვილი სამკაულების აცმით ჩნდებოდა. წარმატებულ კარიერას მის მიერ დაწერილ პრეს-რელიზებს და პიარ აგენტის უბადლო ტალანტს უმადლოდა არაერთი ცნობილი ამერიკელი დიზაინერი, მათ შორის – ოსკარ დე ლა რენტა, ენ კლაინი, ბილ ბლასი. მეტიც, სწორედ ამ ქალბატონის დამსახურებით მოახერხა ამერიკის მოდის ინდუსტრიამ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, ამერიკელმა დი-

INOA
BEFORE THERE WAS HAIRCOLOUR,
NOW THERE IS INOA.
EXCLUSIVELY IN BEAUTY SALONS
L'ORÉAL PARIS PROFESSIONNEL
ALDO COPPOLA
41, Abashidze Str.
Tel.: 2 251053
ANASTASIA
37, Pekini Str.
Tel.: 8579907406
ARTE
9-a, Napareuli Str.
Tel.: 2 252642
CHACHAVA CLINIC
Esthetic Medical Center
38, Kostava Str.
Tel.: 2 953311
ELITE
1, Berdzenishvili Str.
Tel.: 2 231810
EXCELLENCE
88,Paliashvili Str.
Tel.: 2 232584
FRANCK PROVOST
28, Pekini Str.
Tel.: 2 386068
LADY SHARM
56, Abashidze Str.
Tel.: 2 252675
MELANGE
72, Paliashvili Str.
Tel.: 2 235452
NELLIE BLY
58, Paliashvili Str.
Tel.: 2 231564
N&N FASHION STORE
4, Besiki Str.
Tel.: 555 660000
RENAISSANCE
37, Abashidze Str.
Tel.: 2 915914
VISAGE
98, Paliashvili Str.
Tel.: 2 912420
VART BEAUTY
39-a, Paliashvili Str.
Tel.: 2 183688

ზაინერებმა კი, რომელთაც მანამდე ევროპაში „ტანსაცმლის“ მკერავებს უწოდებდნენ – პატივსაცემი და ანგარიშგასაწევი შემოქმედების ტიტულის მოპოვება.

ეს ქალბატონი ელეონორ ლამბერტი გახლავთ – ისტორიაში მოდის ყველაზე ცნობილი პიარ-ტექნოლოგი, რომელმაც 1962 წელს ამერიკის მოდის დიზაინერთა კავშირი დააარსა.

ელეონორ ლამბერტი 1903 წელს დაიბადა. ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის მოდის ინდუსტრიით დაინტერესდა. მისი ყურადღების ცენტრში ამერიკული მოდა მოექცა. ეს კი უკვე გამოწვევა იყო 1940-50-იან წლებში გავრცელებული აზრის მქადაგებლებისთვის, რომ ამერიკელი დიზაინერები მხოლოდ „მკერავები“ არიან, ნამდვილი მოდა კი იქ, შორეულ პარიზში იქმნება. იმ პერიოდში ზუსტად ასე ფიქრობდნენ ჟურნალების Vogue-ისა და Harper's Bazaar-ის რედაქტორები და საკუთარ გამოცემებში საპატიო სივრცეს მხოლოდ საფრანგეთში მოღვაწე დიზაინერებს უთმობდნენ, ამერიკელების ჩვენებებს კი თითქმის არ აშუქებდნენ. სწორედ ასეთ პერიოდში დაიწყო ელეონორ ლამბერტმა ამერიკელი დიზაინერების იმიჯის ამაღლებაზე და მათი საერთაშორისო რეპუტაციის შექმნაზე ზრუნვა. მისი მცდელობა, მსოფლიოსთვის ამერიკული მოდა გაეცნო, ერთგვარ კამპანიას ჰგავდა, რომელიც მიზანმიმართულად, ჯიქურ მიიწევდა წინ. ლამბერტის დიდი ხნის მეგობარი, ჯონ ლორინგი იხსენებს, რომ ლამბერტი საოცრად მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა. „ელეონორი არასდროს იღებდა პასუხად „არა“-ს. თითქოს, არც კი ესმოდა შენი ნათქვამი. წინა კარიდან რომ გაგეძევებინა, უკანა კარიდან ხელახლა შემოვიდოდა“, – ამბობს ლორინგი.

დროთა განმავლობაში, მოდის გავლენიანი ჟურნალების რედაქტორებმა უკან დაიხიეს და საკუთარი გამოცემების ფურცლები ნელ-ნელა გაიმეტეს ჩრდილოამერიკულ მოდაში მიმდინარე საინტერესო პროცესების გასაშუქებლად.

ელეონორ ლამბერტის დაუღალავი ძალისხმევის წყალობით, 1973 წელს ამერიკული მოდის ინდუსტრიისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: ამერიკელმა დიზაინერებმა ჯგუფური ჩვენება გამართეს მოდის ინდუსტრიის ცენტრალურ ქალაქში – პარიზში. ეს იყო პირველი გარღვევა ამერიკიდან ევროპაში.

ლამბერტმა ვერსალის სასახლეში დაგეგმილ შოუზე ხუთი დიზაინერი ჩაიყვანა – ბილ ბლასი, ოსკარ დე ლა რენტა, როი ჰალსტონი, სტივენ ბოროუსი და ენ კლაინი. როგორც მოდის ისტორიკოსები წერენ, ამერიკელების კოლექციებმა იმ წელს აშკარად დაჩრდილა თავიანთი პარიზელი კოლეგების ქმნილებები.

ლამბერტმა ვერსალის სასახლეში დაგეგმილ შოუზე ხუთი დიზაინერი ჩაიყვანა – ბილ ბლასი, ოსკარ დე ლა რენტა, როი ჰალსტონი, სტივენ ბოროუსი და ენ კლაინი. როგორც მოდის ისტორიკოსები წერენ, ამერიკელების კოლექციებმა იმ წელს აშკარად დაჩრდილა თავიანთი პარიზელი კოლეგების ქმნილებები. არადა, ევროპულ „ფრონტს“ ჰუბერ დე ჟივანში, ივ სენ ლორანი, პიერ კარდენი, ემანუელ უნგარო და ქრისტიან დიორის სახლის დიზაინერი, მარკ ბოანი „იცავდნენ“.

ამერიკელთა ამ წარმატებამ, ფაქტობრივად, განსაზღვრა ამერიკული მოდის ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ შოუს შემდეგ, ამერიკელი დიზაინერები ოფიციალურად აღიარეს.

ამ დროისთვის, ელეონორ ლამბერტს უკვე საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი ორგანიზაციისთვის, რომელსაც ამერიკელ დიზაინერთა ერთიანი სისტემა უნდა შეექმნა. ამერიკის მოდის დიზაინერთა კავშირი 1962 წელს მან ამ მიზნითაც დააფუძნა – ერთმანეთთან დაეკავშირებინა დიზაინერები, რომლებიც მანამდე მუდმივად შიდა გარჩევებსა და კამათში იყვნენ ჩართულნი. კავშირის შექმნით კი, ლამბერტმა მათ დაანახა, თუ რამდენად კარგია, როცა ჩნდება პრობლემების ერთად გადაჭრის, ხმის მიცემის სისტემით სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტის შანსი.

ელეონორ ლამბერტს ეკუთვნის ბევრი ისეთი ნოვაციაც, რომლებიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. 1940-იანი წლების დასაწყისში მან ხელახლა წამოიწყო „ყველაზე გემოვნებით ჩაცმულთა საერთაშორისო სიის“ დაკომპლექტება (International Best-Dressed List) – პროექტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე პარიზში კეთდებოდა, მაგრამ, შემდეგ, ომის მიზეზით შეწყდა.

მართალია, ლამბერტის ამ სიას დღეს უკვე აღარ აქვს ძველებური გავლენა, მაგრამ მის რიგებში მოხვედრა ახლაც დიდი პატივია იმ ქალებისათვის, ვისთვისაც მოდურად ჩაცმა „სერიოზული საქმიანობაა“. სიის პრეტენდენტებს ყოველწლიურად პრესტიჟული ჟურნალ-გაზეთების მოდის რედაქტორები წარადგენენ, ზოგჯერ ისეც, რომ ესა თუ ის კანდიდატი, ახლოს არც ჰყავთ ნანახი. მომდევნო ეტაპზე შერჩეული კანდიდატებიდან საუკეთესოებს რედაქტორებითა და მოდის ინდუსტრიის ცნობილი წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია არჩევს.

Juvéderm®
ULTRA

ALLERGAN
სახის ესთეტიკა

- ახალი თაობის ფრანგული ფილერები ზედაპირული, ღრმა ნაოჭებისა და ტუჩის კონტურის კორექციისთვის.
- ფართე ასორტიმენტი
- ხარისხიანო, სანდო, უსაფრთხო
- ხანგრძლივი ესთეტიკური ეფექტი

საუცხოო კოლექცია Juvéderm® ULTRA

მოითხოვეთ ესთეტიკურ ცენტრებში.
ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია"ჯიპისი"
შესაძენად დარეკეთ 295 28 02, ინფორმაციისთვის 2710707

ჯიპისი GPC

ელეონორ ლამბერტის სახელს უკავშირდება 1943 წელს Coty Fashion Critics Awards (CFCA)-ის პრესტიჟული დაჯილდოებაც, რომლის სპონსორიც Coty-ს პარფიუმერიის და კოსმეტიკის კორპორაცია გახლდათ, ჯილდო კი დიზაინერებს გამორჩეული კოლექციებისთვის გადაეცემოდათ. CFCA-მ 30 წელს იარსება, ვიდრე, დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტმა დიზაინერმა არ დაიწყო საკუთარი ბრენდის ქვეშ სუნამოების წარმოება და ამის გამო აღარ მოინდომეს Coty-სთან თანამშრომლობა. საბოლოოდ, Coty-ი ფარმაცევტულმა გიგანტმა, Pfizer-მა იყიდა, დაჯილდოების ცერემონიალი კი Council of Fashion Designers of America (CFDA)-მ განაგრძო. დღეს მის ჯილდოებს მოდის ინდუსტრიაში ოსკარის ტოლფასი რეპუტაცია აქვს.

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის კოსტიუმის ინსტიტუტთან თანამშრომლობა ელეონორ ლამბერტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო. 1937 წელს მისი გახსნის დღიდან, ელეონორი ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი უმთავრესი მხარდამჭერი და ქომაგი იყო.

1940-იან წლებში, როცა ლამბერტი ნიუ-იორკის კოსტიუმის ინსტიტუტში საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორად მუშაობდა, ამერიკაში მოდის კვირეულების ცნება შემოიტანა. მისი კონცეფციის მიხედვით, მოდის კვირეული წელიწადში ორჯერ იმართებოდა ნიუ-იორკში. ამ უზადოდ ორგანიზებულმა შოუებმა მალე სისტემატური ხასიათი მიიღო და სამუდამოდ ჩაანაცვლა დიზაინერების არაკოორდინირებული და ქაოტურად დაგეგმილი ჩვენებების ტრადიცია.

მოდის იმდროინდელი კვირეულები დროთა განმავლობაში დღევანდელ ცენტრალიზებულ მოდის ჩვენებებად გარდაიქმნა, რომლებიც მოდის 4 წამყვან ქალაქში ყოველწლიურად იმართება – ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონსა და მილანში.

პარალელურად, ამერიკული მოდის პოპულარიზაციის მიზნით, ელეონორ ლამბერტი სისტემატურად აწყობდა ჩვენებებს იაპონიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში. რაც მთავარია, ამ გასვლითი ღონისძიებების მნიშვნელობაში აშშ-ს ხელისუფლებასაც იოლად არწმუნებდა და დაფინანსებას აშშ-ს სახელმწიფო და ვაჭრობის დეპარტამენტებისგან იღებდა.

ლამბერტს ხელოვნების სფეროში მოღვაწე ტალანტების აღმოჩენის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. მაგალითად, პირველად სწორედ მან შენიშნა როი ჰალსტონი – 1970-იანი წლებში ძალიან პოპულარული ამერიკელი დიზაინერი, რომელიც ჯეკი კენედის უკერავდა ქუდებს. ლამბერტი ზრუნავდა იმაზეც, რომ ევროპელი დიზაინერების შემოქმედება ამერიკის ელიტურ წრეებშიც დაეფასებინათ. ის განსაკუთრებით ეხმარებოდა ვალენტინოს და პიერ კარდენს.

ელეონორ ლამბერტი ღრმა მოხუცებულობამდე მუშაობდა. „არასდროს მიიხედო უკან“ – მუდამ ეს იყო ელეონორის მთავარი ცხოვრებისეული დევიზი, – ამბობს მისი მეგობარი ჯონ ლორინგი, – მას არასდროს აღელვებდა უკვე მომხდარი, მიუხედავად იმისა, მარცხზე იყო საუბარი თუ ტრიუმფზე“.

საკუთარი ოფისი ელეონორ ლამბერტმა გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დახურა. ის 2003 წელს, 100 წლისა გარდაიცვალა.

ელეონორ ლამბერტი
კარიერის დასაწყისში

ვაგინალური კაფსულები საშოს ფლორის აღდგენისა და ჯანსაღი ფლორის შენარჩუნებისთვის.
ეკოვაგი ბალანსი ეფექტურად აქრობს საშოს ინფექციის სიმპტომებს: წვას, ქავილს, უსიამოვნო სუნის მქონე ვაგინალურ გამონადენს.

- **ეკოვაგი ბალანსის** შემადგენლობაში შემავალი რძემჟავა ბაქტერიები ჯანსაღი ვაგინალური ფლორის (ჩვეულებრივ საშოში არსებული ბაქტერიული ფლორის) ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია
- ეკოვაგი ბალანსი არ შეიცავს კონსერვანტებს, ჟელატინს და სხვა ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებს
- მონოდებულია გინეკოლოგების მიერ
- მოსახერხებელი მიღების ფორმა - ვაგინალურად, ერთხელ დღეში
- 24 თვის განმავლობაში ინახება ოთახის ტემპერატურაზე
- ახალი თაობის საშოს პრობიოტიკები დაფუძნებული მაღალ და პატენტირებულ ტექნოლოგიაზე

ფაქტორები, რომლებიც იწვევენ საშოს ფლორის დარღვევას:

- სამკურნალო საშუალებებით მკურნალობა (ანტიბიოტიკები, სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები, კონტრაცეპტივები)
- ყოველდღიური საფენების და ტამპონების გამოყენება
- სინთეტური საცვლები
- არასაკმარისი ინტიმური ჰიგიენა
- სქესობრივი კავშირი
- მენსტრუაცია
- მენოპაუზა
- დიაბეტი

ჩვენებები:

- ბაქტერიული ვაგინოზი
- ვაგინალური ინფექციების მკურნალობის შემდეგ ნორმალური მიკროფლორის აღდგენის მიზნით
- ვაგინალური ინფექციების პროფილქტიკა
- ადგილობრივი გინეკოლოგური პროცედურების ჩატარებამდე
- საშოდან გამონადენი

გამოყენების წესი:
ეკოვაგი ბალანსის 1 ვაგინალური კაფსულა თავსდება ღრმად საშოში 1-ჯერ დღეში საღამოს საათებში, მკურნალობის კურსი შეადგენს 8-10 დღეს.
ეკოვაგი ბალანსის არ საჭიროებს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს.
გაიცემა ურეცეპტოდ.

მწარმოებელი: Halsa Pharma, გერმანია
სავაჭრო ნიშნის მფლობელი: Bifodan, დანია
www. ecovag. com
www. bifodan. com

ტრენდი – საზღვაო სტილი

გასული საუკუნის დასაწყისში ბავშვების პატარა მეზღვაურების ფორმაში გამოწყობა ჩვეული მოვლენა იყო. მოდაში კი „მეზღვაური გოგონას“ სტილი, როგორც ასეთი, 1925 წლიდან დამკვიდრდა ლურჯი ფერის ქურთუკების, თეთრი შარვლებისა და წითელ პომპონიანი ე.წ. „ბრეტონის“ სტილის ქუდების ან მეზღვაურის თეთრი მაისურებისა და ადმირალის ქუდების სახით. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა კოკო შანელის დამსახურებით საზღვაო სტილი ერთ-ერთ ყველაზე მოდურ ჩაცმულობად იქცა, დღემდე საზღვაო-სანაოსნო თემატიკა არაერთი დიზაინერის მუდმივი თუ სპონტანური ინსპირაციის წყაროა.

1

1. **Salvatore Ferragamo**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
2. ენდი Უორჰოლი ბრეტონის მაისურში
3. **The Row**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
4. სტივენ მაიზელის ფოტო, **Vogue Italia**, 2001 წელი
5. ჯინ სიბერგი და ჟან პოლ ბელმონდო ფილმში „უკანასკნელი ამოსუნთქვა“, 1959 წელი
6. **Antonio Marras**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
7. **Stella McCartney**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
8. **Moschino**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
9. **Fendi**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია
10. პიკასო ბრეტონის მაისურში
11. **Oscar de la Renta**, 2012 წლის საკურორტო კოლექცია

JIL SANDER

გაზაფხული-ზაფხული 2012

რაფ საიმონსის ინსპირაცია

ავტორი თამარ ალავიძე

„დღეს ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ისევ და ისევ, 1950-იანების დეკადასთან გვაბრუნებს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა იყო, თუმცა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ სილუეტს და ფორმებს არ ვგულისხმობ, არამედ ვგულისხმობ იმ რიტუალებსაც, რასაც ქალი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვის დროს გადის: როგორ მიაშურებს ის სილამაზის სალონს და როგორ ზრუნავენ მის გალამაზებაზე სხვა ქალები; ის დიალოგებიც კი მნიშვნელოვანია, რომლებიც ქალებს შორის ამ დროს იმართება“, – ამბობს Jil Sander-ის ყოფილი შემოქმედებითი დირექტორი, რაფ საიმონსი.

Jil Sander-ის სახლისთვის მისი ერთ-ერთი ბოლო, 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია სწორედ 1950-იანების ამ მოტივებზე იყო აწყობილი.

წარმოშობით ბელგიელი საიმონსი, რომელსაც მოდის კრიტიკოსები ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალ დიზაინერს უწოდებენ, ყოველთვის იდეალურად ახერხებდა მოდის ამ გერმანული სახლის ძირითადი კოდის – სინატიფის და პრაგმატული მინიმალიზმის – შენარჩუნებას ისე, რომ არც საკუთარი ინტერესები დაეთმო. მის კოლექციებში ყოველთვის უხვად იყო წარმოდგენილი შუასაუკუნეების სტილისა და თანამედროვე ინოვაციების ნაზავიც – ის, რაც საიმონსის ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა.

რაფ საიმონსისთვის მინიმალიზმი სილამაზის ამოსავალი წერტილია. სეზონიდან სეზონზე, მის კოლექციებში, ლამაზი და მარტივი თარგით შექმნილი სამოსის მიღმა ყოველთვის იკითხება დიზაინერის ღრმა ესთეტიკური ხედვა და თანმიმდევრული ნააზრევი.

2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაში, 1950-იანი წლების მოტივების გარდა, საიმონსმა პაბლო პიკასოს კერამიკის პრინტებიც შეიტანა და მინიმალიზმს, ამჯერად, ასე სცა პატივი. ექსპერიმენტმა გაამართლა – Jil Sander-ის სახლის საკულტო თეთრ პერანგებსა და ტრიკოტაჟის ბლუზებზე დაბეჭდილი პიკასოს პრინტები, შეიძლება ითქვას, რომ წლის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ინსპირაციად იქცა.



1946 წელს პიკასო საფრანგეთში, ვალორისში გამართულ კერამიკის ყოველწლიურ გამოფენას დაესწრო. მხატვარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება Madoura-ს სამეთუნეო სახელოსნოს ნამუშევრებმა მოახდინა. მას იმდენად მოეწონა ეს ნაკეთობები, რომ სახელოსნოს მეპატრონეებს, სიუზან და ჟორჟ რამის შემოთავაზებას უყოყმანოდ დათანხმდა და იმ დღესვე, მათ სახელოსნოში ორი კერამიკული ფიგურა დაამზადა. მას შემდეგ, მთელი 25 წლის განმავლობაში, პიკასო სისტემატურად მუშაობდა კერამიკაზე Madoura-ს სახელოსნოში, უშუალოდ სიუზან რამის ხელმძღვანელობით. ამ წლებში მან ასობით კერამიკული ნამუშევარი შექმნა.

Etam
lingerie
Natalia Vodianova
ჭავჭავაძის №16; პუშკინის №5

„დიდი ოთხეულის“ ისტორია

ავტორი თამარ ალავიძე

ლიდერობის ბოლის ჯილდოები

ელეონორ ლამბერტის მიერ ორგანიზებული პრესის კვირეული

ჩარლზ ფრედერიკ უორთი

ჯოვან ბატისტა ჯორჯინი

20 წლის იყო ჩარლზ ფრედერიკ უორთი, 1846 წელს ლონდონიდან პარიზში იღბლის საძებნელად რომ ჩავიდა. ათი წლის თავზე, რუ დე ლა პეიზე, ახალგაზრდა ბრიტანელს უკვე საკუთარი კომპანია ჰქონდა რეგისტრირებული, სახელად – „Worth & Bobergh“, კერძო კლიენტურისთვის კი, მათ შორის, ავსტრიის პრინცესა ევჟენიასთვის, ინდივიდუალური შეკვეთით სამოსს კერავდა. ამ მოკლე დროში მისი ამხელა წარმატების მიზეზი იყო განსხვავებული შემოქმედებითი ხედვა და აშკარა ბიზნეს ალღოც – სწორედ ჩარლზ ფრედერიკ უორთი გახლდათ პირველი დიზაინერი, რომელმაც სამოსის ეტიკეტზე საკუთარი სახელი ამოტვიფრა და ამით, საკუთარი ბრენდის პოპულარიზებას შეუწყო ხელი.

თუმცა, ის, რომ ჩარლზ ფრედერიკ უორთი დღეს მარკეტინგის ერთ-ერთ გენიოსად ითვლება, მეტწილად მისი სულ სხვა მიგნების დამსახურებაა. უორთი პირველი დიზაინერი იყო, რომელმაც კლიენტურას თავისი მზა სამოსი ხის ბიუსტებზე ჩამოცმული კი არ წარუდგინა, მოხდენილი აღნაგობის ლამაზმანებს მოარგო ტანზე და საკუთარ სალონში მინი-ჩვენება გამართა.

მოდის ისტორიკოსები ამბობენ, რომ უორთის ეს სალონური შოუები დღევანდელი პომპეზური ჩვენებების პირველი ჩანასახია. ყოველი შემთხვევისთვის, სწორედ ამ დახურულ პრეზენტაციებს უმადლის მოდის ინდუსტრია მოდელების ინსტიტუტის გაჩენას. უორთის მოღვაწეობიდან თითქმის საუკუნის შემდეგ კი, ამ აუცილებელი კომპონენტების – მოდის ჩვენებისა და მოდელების – გამოყენებით, კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, რომლის გარეშეც თანამედროვე მოდის ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია: ნიუ-იორკში, პიარ ტექნოლოგიების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა ქალბატონმა – ელეონორ ლამბერტმა პირველი კვირეული მოაწყო.

მას შემდეგ, მოდის კვირეული კალენდარული წლის განუყოფელ ნაწილად იქცა. მოდის ოთხ დედაქალაქში – ნიუ-იორკში, ლონდონში, მილანსა და პარიზში – წელიწადში ორჯერ იმართება წლის ძირითადი ტენდენციების განმსაზღვრელი კვირეულები, რომელზეც მოდის სახლები ექვსი თვის წინსწრებით წარადგენენ მომდევნო სეზონისადმი მიძღვნილ კოლექციებს. ყველაფერი მინიმალურ დეტალებამდეა განსაზღვრული და გაწერილი, პირველ რიგში – გრაფიკი. ამიტომ ყველამ იცის, რომ მოდის კვირეულებს ყოველწლიურად ხსნის ნიუ-იორკი – ქალაქი, სადაც ყველაფერი დაიწყო 1940-იან წლებში.

როდესაც 1943 წელს პირველ მოდის კვირეულს გეგმავდა, ელეონორ ლამბერტს ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონდა – ამერიკული მოდის ჟურნალები და დიდი სავაჭრო ცენტრები როგორმე ამერიკელი დიზაინერებით დაეინტერესები-

ნა. ეს ის წლებია, როდესაც Vოგუე-სა და Harper's Bazaar-ის მსგავსი გავლენიანი გამოცემები ამერიკელ დიზაინერებს თითქმის არ სცნობდნენ, ჟურნალის გვერდებს კი ექსკლუზიურად ფრანგული მოდის სიახლეებს უძღვნიდნენ. განსაკუთრებული აქტიურობით მაშინ არც თვითონ დიზაინერები გამოირჩეოდნენ. მათი ინსპირაციის მთავარ წყაროსაც მეორე მსოფლიო ომამდე პარიზელი კოლეგების შემოქმედება წარმოადგენდა. მეტიც, ამერიკული სამოსი იმ წლებში თითქმის მთლიანად ფრანგული თარგების კოპირებით იქმნებოდა. როდესაც 1940 წელს გერმანელებმა პარიზი დაიკავეს, მოდის ჟურნალები, მსხვილი სავაჭრო ცენტრები და დიზაინერები ამერიკაში სრულმა პანიკამ მოიცვა. ისინი სრულ საინფორმაციო ვაკუუმში დარჩნენ – საომარ ეპიცენტრში მოხვედრილი პარიზიდან მოდური სიახლეები ოკეანის გადაღმა აღარ აღწევდა.

შექმნილი სიტუაცია ელეონორ ლამბერტმა საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოიყენა. ამ დროს ის უკვე თანამშრომლობდა ნიუ-იორკის კოსტიუმის ინსტიტუტთან (New York Dress Institute) და მოდის ინდუსტრიაშიც საკმაოდ გავლენიანი ფიგურა გახლდათ. ამიტომ მის ინიციატივას – გაეხსნა „პრესის კვირეული", ანუ ამერიკელი დიზაინერების კოლექციების ჩვენებები საგანგებოდ პრესისთვის მოეწყო – ყველა აღტაცებით შეხვდა; მით უფრო, რომ ამ ფართომასშტაბიან ღონისძიებას ლამბერტი კოსტიუმის ინსტიტუტის სახელით მართავდა.

ექვსდღიან ჩვენებებზე 150 კორესპონდენტი იყო მიწვეული, გასაშუქებლად კი სულ 56 მათგანი გამოცხადდა. თუმცა, ლამბერტისთვის ესეც მნიშვნელოვანი იყო – ამხელა ყურადღებას ამერიკელი დიზაინერები მანამდე არასდროს ღირსებიან. თანაც, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მათ მიერ შექმნილ სამოსს საზოგადოება იმ სავაჭრო სახელით კი არ დაიმახსოვრებდა, სადაც მათი ტანსაცმელი იყიდებოდა, არამედ კონკრეტულად, პირადად, ავტორი დიზაინერის სახელით.

ლამბერტის ექსპერიმენტმა გაამართლა. „პრესის კვირეულს" დიდი დაინტერესება მოჰყვა. სასიამოვნო გაკვირვება ყველაზე გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემებმაც კი ვერ დამალეს.

ამერიკის კონტინენტზე მოდის ისტორიას კიდევ უფრო შორს თუ გავყვებით, 1903 წლამდე მივალთ. ამ წელს ნიუ-იორკულმა მაღაზიამ, სახელწოდებით Ehrich Brothers, საშუალო ფენის ქალების ყურადღების მისაპყრობად, ისეთივე ჩვენება გამართა, როგორსაც პარიზის მაღალი მოდის სალონებში ხშირად მართავდნენ: მაღაზიის დირექციამ მოდელები დაიქირავა და ქალის სამოსი და აქსესუარები მაღაზიის კლიენტ ქალბატონებს მათი საშუალებით გააცნო.

1910 წლისთვის მსგავი ჩვენებები უკვე ნიუ-იორკის ფარგლებს გარეთ არსებულ დიდ სავაჭრო ცენტრებშიც იმართებოდა, მომდევნო ათ წელიწადში კი ჩვენებების მოწყობის წესი იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ყავის დასალევად კაფეში

პარიზის მოდის კვირეული, LOUIS VUITTON, გაზაფხული/ზაფხული 2012

შესულ ამერიკელს დიდი შანსი ჰქონდა, თავი შუაგულ მოდის ჩვენებაზე ამოეყო.

იტალიური მოდის ინდუსტრიაშიც საგანგებოდ აქვთ აღნიშნული ის თარიღი, როცა პირველი მოდის ჩვენება მათ ქვეყანაშიც გაიმართა. ეს 1951 წელს ფლორენციაში მოხდა. იდეა ფლორენციელ არისტოკრატს და ანტიკვარიატის კოლექციონერ ჯოვან ბატისტა ჯორჯინის ეკუთვნოდა. იტალიური მოდის პოპულარიზების იდეით შეპყრობილმა ჯორჯინიმ, დიდი ძალისხმევითა და საკუთარი კავშირების გამოყენებით, 1951 წლის თებერვალში, ფლორენციაში იტალიური მოდის სახლების, ამერიკელი პრესის და მსხვილი სავაჭრო ცენტრების წარმომადგენლების მონაწილეობით, მოდის ჩვენება გამართა. ღონისძიება იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სისტემატური ხასიათი მიიღო და წლების განმავლობაში ფლორენციის კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილიც გახდა. თუმცა, ოცი წლის შემდეგ ფლორენციამ გავლენა დაკარგა. მილანში მოდის ცხოვრება იმდენად განვითარდა, რომ 1970-იან წლებში ეპიცენტრად მილანი იქცა. შესაბამისად, „დიდ ოთხეულშიც“ იტალია მილანმა წარმოადგინა.

ამ ოთხეულში ყველაზე ნორჩი ლონდონის მოდის კვირეულია – ის არსებობის მხოლოდ 28-წლიან ისტორიას ითვლის. ოფიციალური ვერსიით, კვირეული პირველად 1984 წელს ვესტ ლონდონში გაიმართა და მასში მონაწილეობა იმ დროისთვის დებიუტანტმა დიზაინერებმა – ბეთი ჯექსონმა, დევიდ ფილდენმა და ჯონ გალიანომ მიიღეს. ღონისძიება ისეთივე კაშკაშა და ექსცენტრული გამოვიდა, როგორც ჩვენებაში მონაწილე დიზაინერების შემოქმედებითი ხედვა და ტემპერამენტი. ეს პათოსი ლონდონის მოდის კვირეულს დღემდე აქვს შენარჩუნებული და ყოველ სეზონზე, გაცილებით უფრო თამამ და არატრადიციულ კოლექციებს სთავაზობს საზოგადოებას, ვიდრე უფრო ტრადიციულ კვირეულებზე ნიუ-იორკში, მილანსა და პარიზში.

დღეს უკვე, ამ „დიდი ოთხეულის“ კვირეულების დაგეგმვა, ორგანიზება, მონაწილე დიზაინერების და მოდის სახლების შერჩევა, მსგავსი პრინციპებითა და სისტემით მიმდინარეობს. ამიტომაც, ამ რთული მექანიზმის სქემის შესახებ წარმოდგენის შესაქმენლად, ყველაზე სამართლიანი პარიზის მაგალითის მოშველიება იქნება.

თუ ვინმეს მიაჩნია, რომ საფრანგეთის მოდის ინდუსტრიის ყველაზე გავლენიანი ფიგურა კარლ ლაგერფელდი, ან თუნდაც LVMH-ის კონგლომერატის აღმასრულებელი დირექტორი, ბერნარ არნოა, იმედი უნდა გავუცრუო. კაცი, რომელიც, „რუხი კარდინალის“ მსგავსად, კულისებიდან უჩუმრად და ზედმეტი აფიშირების გარეშე მართავს მულტიმილიარდიან მეგაინდუსტრიას, ჩვეულებრივი ბიზნესმენი, დიდიე გრუმბაჰია. თავის დროზე ის ივ სენ ლორანს და პიერ ბერჟეს Yves Saint Laurent Rive Gauche-ის დაფუძნებაში დაეხმარა, მოგვიანებით Thierry Mugler-ის სახლის აღმასრულებელი დირექტორი იყო, ვიდრე 1997 წელს საფრანგეთის მოდის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩევდნენ.

საფრანგეთის მოდის ფედერაცია, რომლის წინამორბედი ორგანო 1868 წელს დაარსდა პარიზში, გახლავთ უწყება, რომელიც ყველას და ყველაფრის გამრიგეა საფრანგეთში, რასაც კი მცირეოდენი შეხება მაინც აქვს მოდასთან. მეტიც, სწორედ ეს ორგანიზაცია განსაზღვრავს პარიზის მოდის კვირეულის მნიშვნელობას და იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზეც.

„შესაძლოა, იყო გენიოსი ლონდონში, მაგრამ საერთაშორისო სტატუსის და პრესტიჟის მოსაპოვებლად აუცილებელია ჩვენების პარიზში გამართვა. ეს ყოველთვის ასე იყო, უორთიდან დაწყებული მაკქუინით დამთავრებული“, – აღნიშნავს გრუმბაჰი.

საფრანგეთის მოდის ფედერაციის უმთავრესი ფუნქცია მოდის კვირეულების დაგეგმვა და ორგანიზებაა, ჩვენებების თარიღისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრაც მას ევალება. ყოველი წელი ორ ძირითად სეზონად იყოფა – გაზაფხული-ზაფხულის და შემოდგომა-ზამთრის სეზონი. მართალია, ბოლო წლებში ე.წ. „სეზონებსშუა კოლექციებიც“ (interseasonal) გახდა პოპულარული,

მაგრამ კალენდარული ციკლი მაინც ზემოთ ნახსენები ორი, დომინანტი სეზონის ირგვლივ ტრიალებს.

ჩვენებების განრიგი თითქმის უცვლელია და ყოველწლიურად დადგენილ დროსა და ადგილას იმართება: ქალების მზა სამოსის (pret-a-porter) გაზაფხული-ზაფხულის ჩვენებები, ტრადიციულად თებერვლის თვეში, ნიუ-იორკში იწყება და მარტში პარიზში სრულდება, შემოდგომა-ზამთრის ჩვენებები კი – სექტემბერ-ოქტომბერში მიმდინარეობს. მამაკაცების მზა სამოსის ჩვენებებს რაც შეეხება, შემოდგომა-ზამთრის კოლექციების წარდგენა ჩვეულებისამებრ, მილანში ხდება, იანვრის თვეში და ერთ კვირამდე გრძელდება, რასაც იმავე ხანგრძლივობის კვირეული მოსდევს პარიზში. ის თითზე ჩამოსათვლელი მოდის სახლები, რომელთაც მაღალი მოდის (Haute Couture) კოლექციების შექმნის ფუფუნება აქვთ, საკუთარ ქმნილებებს მამაკაცთა კვირეულების დასრულებიდან ერთი კვირის თავზე პარიზში წარმოადგენენ. საფრანგეთის მოდის ფედერაციის თითოეულ წევრს მკაცრად განსაზღვრული ადგილი აქვს და მათი გადანაცვლება დაუშვებელია. გამონაკლისის სახით, როდესაც კონკრეტულ სეზონზე რომელიმე მონაწილე გადაწყვეტილებას მიიღებს, გამოეთიშოს კვირეულს (ასეთებიც ხდება), კვირეულის სხვა მონაწილეს ეძლევა საშუალება, დაიკავოს გამოთავისუფლებული ადგილი.

კვირეულის პირველი დღე, ტრადიციისამებრ, ახალგაზრდა სახლებს და ბრენდებს ეთმობათ, რომელთაც, „ახალბედობის“ მიუხედავად, სათანადო საერთაშორისო აღიარება და მზარდი ფინანსური მაჩვენებლები გააჩნიათ. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, ვინაიდან საფრანგეთის მოდის ფედერაციის წევრობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, სწორედ რომ, წარმატებული ბიზნესის ფლობაა: „კლანის“ წევრი ისე ვერ გახდები, თუ უკვე არსებული ან მოსალოდნელი საერთაშორისო გაყიდვები არ გაგაჩნია. თუმცა, იდეალური ფინანსური მდგომარეობის და ჭრა-კერვის უბადლო ტალანტის გარდა, სათანადო მნიშვნელობა პრესპორტფოლიოს და ინდუსტრიის გამორჩეული წევრის (ე.წ. ნათლიმამას) სარეკომენდაციო წერილსაც ენიჭება. ასე რომ, ფედერაციის „კლუბის“ წევრობა ბევრი დიზაინერისთვის აუხდენელ ოცნებად რჩება.

პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში, დღეში, საშუალოდ 11 ჩვენება იმართება, ჩვენებების ტრადიციული მასპინძელი კი Carrousel du Louvre-ის სავაჭრო ცენტრია. იმის გამო, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის პარიზი დღემდე რჩება მოდის მექად, აქ ფრანგული მოდის სახლების და დიზაინერების გვერდით, მონაწილეობას არაერთი იაპონური,

კლინიკა „ხერხემალი“

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა

ზურგის ტკივილი განაჩენი არ არის!

მკურნალობისა და პროფილაქტიკის პროგრამები

ორთოპედიული აქსესუარები

კვალიფიციური მედპერსონალი

თანამედროვე სამედიცინო აპარატურა

მეთოდები, რომლებსაც ვიყენებთ:

- აუტოგრავიტაციული დაჭიმვა სპეციალურ ტახტზე
- ფიზიოთერაპია
- სამკურნალო მასაჟი
- მანუალური თერაპია
- სამკურნალო ვარჯიში
- ლიმფოდრენაჟი (პნევმომასაჟი)
- რეფლექსოთერაპია
- ლოკალური ინექციები
- მედიკამენტოზური თერაპია
- მეტაბოლიზმის აქტივაცია და ანტიოქსიდანტური თერაპია

- ოსტეოქონდროზი
- ხერხემლის მალთაშორისი დისკის თიაქარი
- ტანდეგობის დარღვევა (სქოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი)
- რადიკულიტი
- იშიაზი
- ართროზი
- ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია

ზურგის ტკივილს კომპლექსური მკურნალობა სჭირდება!



მისამართი: ქ.თბილისი, პეკინის 5,
მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული
ტელ: 214 33 97, 790 91 51 97
www. vertebra.ge

ბელგიური, იტალიური თუ ბრიტანული წარმომავლობის ბრენდი იღებს.

ჯონ გალიანოს, Chanel-ისა და ალექსანდრ მაკქუინის ჩვენებების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ მოდის ჩვენებები ნამდვილ სანახაობადაა ქცეული. კოლექციის შექმნის ღირებულებას ემატება ერთი ათწუთიანი შოუს ორგანიზების ხარჯებიც, რაშიც შედის: მოდელების ჰონორარები, დარბაზის ქირა, სასტუმროს და ავიაბილეთების ფასები, ცნობადი სახეების მოწვევასა (დიახ, გაღებული წყალობისთვის მათ, ხშირ შემთხვევაში, უხდიან) და ჟურნალისტების საჩუქრებზე გამოყოფილი თანხები. ეს ყველაფერი კი, ჯამში, რამდენიმე ასეული ათასიდან რამდენიმე მილიონ ევრომდეც შეიძლება ღირდეს. მაგალითად, Ralph Lauren-ის თითოეული ჩვენების ღირებულება დაახლოებით 1.5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

„იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მოდის ინდუსტრიას გარედან უყურებენ, ეს ყოველივე წმინდა წყლის სიგიჟეა – სიგიჟეა ექვსი თვის განმავლობაში თავდაუზოგავი მუშაობა სულ რამდენიმეწუთიანი შოუს ხათრით, – აღნიშნავს ბრიტანული ბრენდის, Matthew Williamson-ის აღმასრულებელი დირექტორი, ჯოზეფ ველოსა, – მაგრამ მერწმუნეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სინამდვილეში ირგვლივ ყველა გამადიდებელი შუშით გვიყურებს: ყველა გულდასმით აკვირდება ჩვენების ტექნიკურ მხარეს; დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მოახერხებ თუ არა საკუთარ ჩვენებაზე ცნობილი მოდელების გამოყვანას და შეძლებ თუ არა ბევრი ავტორიტეტული პიროვნების მოწვევას. რასაკვირველია, კოლექციაში წარდგენილ სამოსს და აქსესუარებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ დანარჩენის სათანადოდ ორგანიზებას მოახერხებ, ასეთ შემთხვევაში, „თითქმის კარგი“ კოლექცია შეგიძლია „სუპერ კოლექციად“ აქციო. შედეგად, პრესის კეთილგანწყობას დაიმსახურებ, შენს სახელს ჟურნალებში მსხვილი სავაჭრო ცენტრების და მაღაზიების ბაიერებიც ნახავენ, დაინტერესდებიან და თუ გაგიმართლებს, სარფიან გარიგებასაც გამოჰკრავ ხელს“.

ფოტოჟურნალისტები ჩვენების დაწყების მოლოდინში

თუმცა, კოლექციის საჯარო ჩვენებებს ნეგატიური მხარეც გააჩნია. მაგალითად, თუნდაც ის, რომ ჩვენების დასრულებიდან რამდენიმე წუთში, კოლექციის ამსახველი ფოტოები სინათლის სხივის სისწრაფით ვრცელდება ინტერნეტში, რაც ბევრი დაინტერესებული პირისათვის (ბაიერები) ჩვენებაზე დასწრების აუცილებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ამას გარდა, თითქოს ფართო აუდიტორიის წინაშე სათქმელსაც აღარ იტოვებ: როდესაც ჩვენებიდან ექვსი თვის თავზე კოლექცია გაყიდვაში წავა, აღმოაჩენ, რომ მაღაზიაში მისული დაინტერესებული მყიდველის სასიამოვნოდ გაოცების შესაძლებლობა უკვე დაკარგული გაქვს – მან ხომ შენი კოლექციის შესახებ უმცირესი დეტალებიც კი იცის.

სწორედ ამის გამო მიიღო ორი წლის წინ ტომ ფორდმა გადაწყვეტილება (როდესაც Tom Ford-ის სახელით ქალის სამოსის პირველი კოლექცია შექმნა), უარი ეთქვა ფართომასშტაბიანი ჩვენებების ჩატარებაზე და ამის ნაცვლად, დახურული ტიპის ჩვენება მოაწყო, სადაც მხოლოდ რამდენიმე რედაქტორი და ინდუსტრიის წამყვანი პირები იყვნენ მიწვეული. ფორდის „საიდუმლო სერობაზე“ დასწრება ფოტოგრაფებისთვის ახლაც სასტიკად აკრძალულია და მხოლოდ მის პირად ფოტოგრაფს, ტერი რიჩარდსონს აქვს პატივი, ფირზე აღბეჭდოს დიზაინერის სეზონური კოლექციები, რაც შემდეგ შეზღუდულად ვრცელდება რამდენიმე პრესტიჟული მოდის ჟურნალის მეშვეობით.

კონსიუმერული ბუმის და ახალი ტექნოლოგიების არანორმალურად მზარდი ტემპის გათვალისწინებით, შესაძლოა ტომ ფორდს სხვა მოდის სახლებმაც მიბაძონ და პომპეზურ კვირეულებს პრივატული ჩვენებების გამართვა არჩიონ – დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, ერთი რამ ფაქტია: თეატრალიზებული სანახაობების მოყვარული საზოგადოება კიდევ დიდხანს ვერ დარჩება გულგრილი იმ მაცდუნებელი და საოცრად მდიდრული შოუების მიმართ, რომელთაც „დიდი ოთხეული“ წელიწადში ორჯერ ყოველ მიზეზგარეშე გვთავაზობს.

www.radiokalaki.ge
FM 101.9
ქალაქი
იაქტიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა
RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში
მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე
INFO@RADIOKALAKI.GE

მალე...

98.5